

სასაქონლო სამართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2019, №10

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2019, №10

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2019, №10

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2019, №10

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ბიორგი ჭყონიკა

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 299 04 18;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საქიჯბელი

1. დავალების ხელშეკრულება	
საადვოკატო მომსახურების სანაცვლოდ გასამრჯელოს (ჰონორარის) მიღება	4
გასამრჯელო დავალებისათვის	52
2. დაზღვევა	
პასუხისმგებლობა სავალდებულო დაზღვევისას	108
3. საბანკო მომსახურება; საბანკო გარანტია	
გარანტიის უარი ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე	124
4. ამხანაგობის ხელშეკრულება	150
შესატანის შეტანის ვალდებულება	150

1. დავალაშის ხელშეკრულება

საადვოკატო მომსახურების სანაცვლოდ გასამრჯელოს (ჰონორარის) მიღება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1161-1116-2016

12 ოქტომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეცი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ც. დ-ი (შემდეგში: მოსარჩელე, შეგებებულ სარჩელში მოპასუხე, ადვოკატი, რწმუნებული, აპელანტი) 2012-2013 წლებში წარმოადგენდა ნ. კ-ის (შემდეგში: მოპასუხე, შეგებებული მოსარჩელე, კლიენტი, მარწმუნებელი ან კასატორი) ინტერესებს სასამართლოში წარმოებულ სხვადასხვა დავებთან დაკავშირებით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში: სსკ, 907-ე მუხლი).

1.1. რწმუნებულმა მარწმუნებლის ინტერესები წარმოადგინა შეიდ სასამართლო დავაში. აქედან სამ დავაზე მხარეთა შორის წერილობით გაფორმდა ხელშეკრულება საადვოკატო (იურიდიულ) მომსახურებაზე, რომლებითაც განისაზღვრა ადვოკატის მომსახურების ანაზღაურების ოდენობა და წესი (სსკ-ის 910-ე მუხლი), კერძოდ:

1.1.1. 2012 წლის 4 მარტის ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელე, როგორც ადვოკატი, წარმოადგენდა მოპასუხეს (კლიენტს) დავაში, სადაც ეს უკანასკნელი იყო მოსარჩელე, ხოლო შპს „ზ-ი“ – მოპასუხე. ხელშეკრულების 2.2.4. პუნქტის თანახმად, მომსახურების ღირებულება შეადგენდა **მოგებული თანხის 4%**-ს. თანხის გადახდა უნდა მომხდარიყო ადვოკატის კლიენტის სასარგებლოდ მოპასუხისათვის დაკისრებული თანხის ამოღებისთანავე რწმუნებულის ანგარიშზე ჩარიცხვის გზით. აღნიშნული ხელშეკრულების 2.4.1 მუხლის თანახმად, მარწმუნებელს (კლიენტს) უფლება ჰქონდა, იურიდიული მომსახურების სრულ დასრულებამდე, ნებისმიერ

დროს, უარი ეთქვა ხელშეკრულებაზე, მაგრამ უნდა აენაზღაურებინა რწმუნებულის მიერ შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი (იხ. მომსახურების ხელშეკრულება);

1.1.2. 2012 წლის 17 მაისის ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელე, როგორც ადვოკატი, წარმოადგენდა მოპასუხეს (კლიენტს) დავაში, სადაც ეს უკანასკნელი იყო მოსარჩელე, ხოლო შპს „ს-ი“ – მოპასუხე. ხელშეკრულების 2.2.4. პუნქტის თანახმად, მომსახურების ღირებულება შეადგენდა **დავის საგნის ღირებულების 4%-ს**. თანხის გადახდა უნდა მომხდარიყო ადვოკატის კლიენტის სასარგებლოდ მოპასუხისათვის დაკისრებული თანხის ამოღებისთანავე რწმუნებულის ანგარიშზე ჩარიცხვის გზით. მომსახურების ხელშეკრულების 2.4.1. მუხლის თანახმად, მარწმუნებელს (კლიენტს) უფლება ჰქონდა, იურიდიული მომსახურების სრულ დასრულებამდე, ნებისმიერ დროს, უარი ეთქვა ხელშეკრულებაზე, მაგრამ უნდა აენაზღაურებინა რწმუნებულის მიერ შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი (იხ. მომსახურების ხელშეკრულება);

1.1.3. 2012 წლის უთარილო ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელე, როგორც ადვოკატი, წარმოადგენდა მოპასუხეს (კლიენტს) დავაში, სადაც ეს უკანასკნელი იყო მოსარჩელე, ხოლო შპს „ჩ-ი“ – მოპასუხე, ამ ხელშეკრულების 2.2.4. პუნქტის თანახმად, მომსახურების ღირებულება შეადგენდა **დავის საგნის ღირებულების 4%-ს**. თანხის გადახდა უნდა მომხდარიყო ადვოკატის კლიენტის სასარგებლოდ მოპასუხისათვის დაკისრებული თანხის ამოღებისთანავე რწმუნებულის ანგარიშზე ჩარიცხვის გზით. ხელშეკრულების 2.4.1. მუხლის თანახმად, მარწმუნებელს უფლება ჰქონდა, იურიდიული მომსახურების სრულ დასრულებამდე ნებისმიერ დროს, უარი ეთქვა ხელშეკრულებაზე, მაგრამ უნდა აენაზღაურებინა რწმუნებულის მიერ შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი (იხ. მომსახურების ხელშეკრულება).

1.2. დანარჩენ ოთხ შემთხვევაში იურიდიული მომსახურებისა და ამ მომსახურებისათვის განეული ანაზღაურების თაობაზე მხარეებს შორის ზეპირი შეთანხმება შედგა.

2. წინამდებარე გადაწყვეტილების პირველ პუნქტში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე ადვოკატის (განსახილველი დავის მოსარჩელის) მიერ წარმოებული დავები შემდეგნაირად დასრულდა:

2.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით ადვოკატის კლიენტის სარჩელი შპს „ზ-ის“ (იხ.1.1.1 ქვეპუნქტი) მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე არ დაკ-

მაყოფილდა. გადანყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ (ადვოკატის კლიენტმა). თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 დეკემბრის გადანყვეტილებით მოსარჩელის (ადვოკატის კლიენტის) სააპელაციო საჩივარი შპს „ზ-ის“ მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. შპს „ზ-ს“, როგორც მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 178 580 ლარის გადახდა. ამავე გადანყვეტილებით, მოპასუხე შპს „ზ-ს“ მოსარჩელის (ადვოკატის კლიენტის) სასარგებლოდ დაეკისრა წარმომადგენლის იურიდიული მომსახურებისათვის განეული ხარჯის – 2 380 ლარის ანაზღაურება. აღნიშნული გადანყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ. მოსარჩელის (რომელიც ამ შემთხვევაში მოპასუხეა) საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩა 2013 წლის 12 აპრილის განჩინებით სასამართლოს მიერ განსაზღვრული ხარვეზის (ბაჟის გადაუხდელობის) შეუვსებლობის გამო;

2.1.1. 2013 წლის 28 ივნისს საკასაციო სასამართლოს მიმართა მოსარჩელის (განსახილველ დავაში-მოპასუხის, ანუ ადვოკატის კლიენტის) წარმომადგენელმა ე. გ-ემ და მოითხოვა სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტა. აღნიშნული განცხადება დაკმაყოფილდა საკასაციო სასამართლოს 2013 წლის 15 ივნისის განჩინებით. ამასთან, გაუქმდა მოცემულ საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული ყველა გადანყვეტილება (იხ. ტ.1, გადაწყვეტილება: ს.ფ. 200-206; გადაწყვეტილება: ს.ფ. 42-53; ხელშეკრულება: ს.ფ. 191-192; განცხადებები: ს.ფ. 193-194; განჩინება: ს.ფ. 195-199; განჩინება: ს.ფ. 272-276). საბოლოოდ, ამ საქმეზე ადვოკატმა (ძირითადად მოსარჩელემ) ორი ინსტანციის სასამართლოში მიიღო მონაწილეობა და მისი კლიენტის სასარგებლოდ პროცესუალურ მოწინააღმდეგეს დაეკისრა 178 580 ლარი.

2.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 ივნისის გადანყვეტილებით მოსარჩელის (აღნიშნულ დავაში მოპასუხის, ანუ ადვოკატის კლიენტის) სარჩელი შპს „ს-ის“ (იხ. 1.1.2 ქვეპუნქტი) წინააღმდეგ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მის სასარგებლოდ მოპასუხე საწარმოს დაეკისრა 2 655 302 ლარის გადახდა. სარჩელის მოთხოვნა შპს „ს-ის“ მიმართ ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელის (ადვოკატის კლიენტის) მოთხოვნა წარმომადგენლის მომსახურებაზე განეული ხარჯის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, რადგან სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელეს არ ჰქონდა წარდგენილი იურიდიული მომსახურებისათვის განეული ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულებები;

2.2.1. აღნიშნულ საქმეზე კლიენტის, როგორც მოსარჩელის, ინტერესებს იცავდა ადვოკატი (განსახილველი დავის მოსარჩელე) მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში, ხოლო სააპელაციო სასამართლოში კი მოსარჩელეს სხვა ადვოკატი – ვ. ს-ე წარმოადგენდა. სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა ვ. ს-ის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ სარჩელზე უარის თქმის გამო და გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება (იხ. ტ.1, გადაწყვეტილება: ს.ფ. 33-41; გადაწყვეტილება/ამონაწერი სხდომის ოქმიდან: ს.ფ. 102-106; სასამართლო სხდომის ოქმი: ს.ფ. 253-258).

2.3. ადვოკატი (მოსარჩელე) წარმოადგენდა კლიენტს, როგორც მოსარჩელეს შპს „ჩ-ის“ წინააღმდეგ წარმოებულ დავაზე (იხ.1.1.3 ქვეპუნქტი). თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით ადვოკატის კლიენტის სარჩელი შპს „ჩ-ის“ წინააღმდეგ არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ (ადვოკატის კლიენტმა). თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით, მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილებით ადვოკატის კლიენტის სასარგებლოდ მოპასუხეს – შპს „ჩ-ს“ 511 980 ლარის ანაზღაურება დაეკისრა. აგრეთვე, ამ უკანასკნელსვე დაეკისრა, ზიანის სახით, 2012 წლის 26 მარტიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე 511 980 ლარის წლიური 8,5% (43 518 ლარი ყოველწლიურად) ანაზღაურება. აღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში 11.02.2013 წელს და მასზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი (იხ. ტ.1, გადაწყვეტილება: ს.ფ. 18-32; სააღსრულებო ფურცელი: ს.ფ. 189-190). ამ საქმეზე ადვოკატი ორი ინსტანციის სასამართლოში მონაწილეობდა.

2.4. ადვოკატი (განსახილველი საქმის მოსარჩელე) წარმოადგენდა საკუთარ კლიენტს, როგორც მესამე პირს, სამოქალაქო დავაში შ. შ-ის სარჩელის გამო მოპასუხე – ა. მ-ის წინააღმდეგ, რომლის დავის საგანი იყო – ხელშეკრულების ბათილად ცნობა, თანხის დაკისრება; ამ საქმეზე დავის საგნის 8 144 833 აშშ დოლარის 2,5%-ის 0,1%-ია 203,62 აშშ დოლარი. ადვოკატის კლიენტის წილი, როგორც სანარმოს პარტნიორის, შეადგენს 2,5%-ს.

2.5. ადვოკატი (მოსარჩელე) წარმოადგენდა კლიენტს (მოპასუხეს) თ. ბ-ის წინააღმდეგ წარმოებულ დავაში, დავის საგანი იყო თანხის დაკისრება; ამ საქმეზე ადვოკატმა (მოსარჩელემ) მოიგო დავა პირველი ინსტანციის სასამართლოში, რაც პროცესუალური მონაწილეობის მიერ სააპელაციო წესით გასაჩივრების შემდეგ, ისევ

ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნდა, თუმცა, ამ ეტაპზე მოპასუხეს (ანუ ადვოკატის კლიენტს) უკვე სხვა წარმომადგენელი ჰყავდა.

2.6. ადვოკატი (მოსარჩელე) წარმოადგენდა კლიენტს, როგორც მოპასუხეს, ამ უკანასკნელის წინააღმდეგ შ. შ-ის მიერ აღძრულ სარჩელზე, დავის საგანი – თანხის დაკისრება.

2.6.1 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით, შ. შ-ის სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა და მის სასარგებლოდ მოპასუხეს (ადვოკატის კლიენტს) დაეკისრა სესხის ძირითადი თანხის გადახდა 3 000 000 აშშ დოლარის, ასევე ძირითადი თანხის 2,5%-ის ანუ 75 000 აშშ დოლარის გადახდა, ძირითად თანხაზე დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდა გადასახდელი თანხის თვიური 2%-ის ოდენობით – 4 560 აშშ დოლარი. მას ასევე დაეკისრა გადასახდელად 972 000 აშშ დოლარი და პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის თვიური 2%-ის ოდენობით 2012 წლის მარტიდან სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის თარიღამდე – 7 600 აშშ დოლარის ოდენობით. აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხის წარმომადგენელმა (ადვოკატმა) გაასაჩივრა;

2.6.2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 7 ნოემბრის განჩინებით მოპასუხის (ადვოკატის კლიენტის) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილების 1.1. პუნქტი, ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება და მოპასუხეს (ადვოკატის კლიენტს) შ. შ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ძირითადი თანხის გადახდა 2 928 000 აშშ დოლარის ოდენობით.

2.6.3. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ (ადვოკატის კლიენტმა). საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 11 იანვრის განჩინებით, საკასაციო საჩივრის ვადის დარღვევით შეტანის გამო, ადვოკატის კლიენტის (მოპასუხის) საჩივარი დარჩა განუხილველი. 2013 წლის 20 ივნისს მხარეებმა (ადვოკატის კლიენტმა და შ. შ-მა) ხელი მოაწერეს შეთანხმებას სარჩელებზე და მოთხოვნებზე უარის თქმის შესახებ (*იხ: შეთანხმება; სასამართლო გადაწყვეტილებები; საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებები*). ამ საქმეზე ადვოკატი კლიენტს წარმოადგენდა ორი ინსტანციის სასამართლოში, ხოლო, კლიენტის საკასაციო საჩივარი განუხილველად დარჩა საპროცესო ვადის დარღვევით წარდგენის გამო.

2.7. ადვოკატი (მოსარჩელე) წარმოადგენდა კლიენტს (მოპასუხეს) შპს „ჩ-ის“ წინააღმდეგ წარმოებულ საქმეზე, დავის საგანი – კრების ოქმის ბათილად ცნობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს

2012 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ (ადვოკატის კლიენტმა) სააპელაციო წესით გაასაჩივრა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი, საპროცესო ვადის გასვლის მოტივით, განუხილველი დარჩა (იხ. სასამართლოს გადაწყვეტილებები). ამ საქმეზე ადვოკატი კლიენტს წარმოადგენდა პირველი ინსტანციის სასამართლოში და მისი სააპელაციო საჩივარი განუხილველი დარჩა.

3. კლიენტმა ადვოკატს 2012 წლის 7 ნოემბერს გადაურიცხა 1 000 (ათასი) ლარი, ხოლო 2013 წლის 4 ივლისს – 33 082 (ოცდაცამეტი ათას ოთხმოცდაორი) ლარი /20 000 – ოცი ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში/, როგორც იურიდიული მომსახურების ღირებულება (იხ. ამონაწერი ნაერთი ანგარიშიდან, სალაროს შემოსავლის ორდერი).

4. სარჩელის მოთხოვნა და საფუძვლები

4.1. ადვოკატმა 2013 წლის 9 აგვისტოს სარჩელი (იხ. დაზუსტებული სარჩელი) აღძრა ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ და მოითხოვა:

4.1.1. წინამდებარე გადაწყვეტილების 2.1-2.1.1 ქვეპუნქტებში მითითებული გარემოებიდან გამომდინარე – განეული საადვოკატო მომსახურების – 7 143,2 ლარის ანაზღაურება, რაც 178 580 ლარის 4%-ია;

4.1.2. წინამდებარე გადაწყვეტილების 2.2-2.2.1 ქვეპუნქტებში მითითებული გარემოებიდან გამომდინარე – განეული საადვოკატო მომსახურების – 249 040 ლარის ანაზღაურება;

4.1.3. წინამდებარე გადაწყვეტილების 2.3 ქვეპუნქტში მითითებული გარემოებიდან გამომდინარე – განეული მომსახურების – 23 368,2 ლარის ანაზღაურება;

4.1.4. წინამდებარე გადაწყვეტილების 2.4 ქვეპუნქტში მითითებული გარემოებიდან გამომდინარე – განეული მომსახურების – 81 448 აშშ დოლარის ანაზღაურება;

4.1.5. წინამდებარე გადაწყვეტილების 2.5 ქვეპუნქტში მითითებული გარემოებიდან გამომდინარე – განეული მომსახურების – 4 079 ლარის ანაზღაურება;

4.1.6. წინამდებარე გადაწყვეტილების 2.6-2.6.3 ქვეპუნქტებში მითითებულ საქმეზე მარნმუნებლისათვის განეული საადვოკატო მომსახურების – 30 000 აშშ დოლარის ანაზღაურება;

4.1.7. წინამდებარე გადაწყვეტილების 2.7 ქვეპუნქტში მითითებულ საქმეზე მარნმუნებლისათვის განეული საადვოკატო მომსახურების – 2 000 ლარის ანაზღაურება;

4.2. მოსარჩელემ მიუთითა ამ გადაწყვეტილების 1-1.1.3, 1.2, 2-

2.1.1, 2-2.7 პუნქტებში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებზე და განმარტა:

4.2.1. წინამდებარე გადაწყვეტილების 2.1-2.1.1 ქვეპუნქტებში მითითებულ საქმეზე იურიდიული მომსახურების თაობაზე მხარეებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ადვოკატს განეული მომსახურებისათვის უნდა მიეღო **მოგებული თანხის 4%**. დავის საგანს წარმოადგენს 738 955 აშშ დოლარის (1 296 005 ეკვივალენტი ლარში) გადახდა. პირველი ინსტანციის სასამართლომ ადვოკატის წარმომადგენლობით კლიენტის სარჩელი არ დააკმაყოფილა, რაც ადვოკატმა გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ადვოკატის კლიენტის სააპელაციო საჩივარი, შესაბამისად – სარჩელი, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ადვოკატის კლიენტის სასარგებლოდ პროცესუალურ მონინააღმდეგეს – მოპასუხეს 178 580 ლარის, აგრეთვე, ადვოკატის ხარჯების – 2 380 ლარის ანაზღაურება დაეკისრა. აღნიშნული გადაწყვეტილება ადვოკატმა (კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე) საკასაციო წესით გაასაჩივრა, თუმცა, მოულოდნელად მარნმუნებელმა (ადვოკატის კლიენტმა) უარი თქვა სარჩელზე. მოსარჩელემ წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1.1 ქვეპუნქტში ასახულ გარემოებაზე მითითებით განმარტა, რომ აღნიშნულ სარჩელში მოგებული თანხა იყო 178 580 ლარი, რომლის 4%, როგორც საადვოკატო მომსახურების ჰონორარი, შეადგენს 7 143,2 ლარს;

4.2.2. წინამდებარე გადაწყვეტილების 2.2-2.2.1 ქვეპუნქტებში ასახული საადვოკატო მომსახურების თაობაზე ადვოკატმა (მოსარჩელემ) განმარტა, რომ ამ დავის საგნის ღირებულება იყო 5 536 714 ლარი და წლიური 17% ეკვივალენტი ლარებში. იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება კლიენტთან გაფორმდა 2012 წლის 17 მაისს, რომლის მიხედვითაც ადვოკატს (მოცემულ საქმეზე მოსარჩელეს) უნდა მიეღო **დავის საგნის ღირებულების 4%**. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ადვოკატის კლიენტის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, მოპასუხეს დაეკისრა 2 611 580 ლარის გადახდა, რაც სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში გაასაჩივრა კლიენტმა (მოცემულ საქმეზე მოპასუხემ), თუმცა, თბილისის სააპელაციო სასამართლოში მარნმუნებლის ახალმა წარმომადგენელმა – ვ. ს-ემ მარნმუნებლის დავალებით უარი თქვა სარჩელზე. მოსარჩელის (ადვოკატის) განმარტებით, დავის საგნის ღირებულებას შეადგენდა 5 536 714 ლარს დამატებული ყოველწლიური 17% აღსრულებამდე, ე.ი. სარჩელის შეტანიდან 2013 წლის ივლისამდე, ანუ იმ დრომდე, როდესაც მისი ყოფილი კლიენტის ახალმა წარმომადგენელმა უარი თქვა სარჩელზე. 5 536 714 ლარის 4%-ს შეადგენს

221 468 ლარი, რაც უნდა დაეკისროს კლიენტს (განსახილველი დავის მოპასუხეს). ამასთან, ადვოკატმა დავის საგანზე (5 536 714 ლარზე) მოთხოვნილი წლიური 17% შეამცირა 10%-მდე, რაც თვეში შეადგენს 0.83%-ს. იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელის შეტანიდან მასზე უარის თქმამდე გავიდა 15 თვე, ამ პერიოდის წლიური 10% შეადგენს 689 320 ლარს. ვინაიდან აღნიშნული თანხაც ასევე დავის საგანს წარმოადგენდა, მისი 4%, როგორც მომსახურების ღირებულება, შეადგენს 27 572 ლარს, რაც ასევე უნდა დაეკისროს კლიენტს (მოპასუხეს) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ადვოკატმა (მოსარჩელემ) წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1.2. ქვეპუნქტში ასახულ გარემოებაზე მითითებით განმარტა, რომ მის ყოფილ კლიენტს (მოპასუხეს) უნდა დაეკისროს ადვოკატის მიერ განეული იურიდიული მომსახურების სახით სულ 249 040 (221 468 + 27 572) ლარის ანაზღაურება;

4.2.3. წინამდებარე გადაწყვეტილების 2.3 ქვეპუნქტში ასახული გარემოებებიდან გამომდინარე, ადვოკატმა (მოსარჩელემ) განმარტა, რომ დავის საგანი შეადგენდა 511 980 ლარს და ამ თანხის წლიური 17%, საიდანაც მას, როგორც წარმომადგენელს, განეული მომსახურებისათვის უნდა მიეღო **დავის საგნის ღირებულების 4%** გადაწყვეტილების აღსრულებამდე. პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით ადვოკატის კლიენტის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით ადვოკატის კლიენტის, როგორც მოსარჩელის ძირითადი მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდა. კლიენტის სამოქალაქო დავაზე პროცესუალურ მოწინააღმდეგეს დაეკისრა 511 980 ლარი და მისი 8,5%-ის (43 518 ლარის) წლიურად გადახდა. გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და 2013 წლის 15 მარტს გაიკა სააღსრულებო ფურცელი. 511 980 ლარის 4% შეადგენს 20 479,2 ლარს, რაც ადვოკატის (მოსარჩელის) განმარტებით, უნდა დაეკისროს მის ყოფილ კლიენტს (მოპასუხეს). რაც შეეხება წლიურ 17%-ს, ადვოკატმა (მოსარჩელემ) 10%-მდე შეამცირა მოთხოვნა, რაც თვეში 0,83%-ს შეადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ კლიენტის სარჩელის შეტანიდან 2013 წლის სექტემბერში რამდენიმე საქმეზე ერთად გაფორმებულ მორიგებამდე, რომელშიც გათვალისწინებული იყო მოცემული საქმეც, გავიდა 17 თვე, ამ პერიოდის წლიური 10% შეადგენს 72 240 ლარს $511\ 980 * 0,83\% (=42,494) * 17$ თვეზე = 72 240 ლარს. ადვოკატის (მოსარჩელის) მტკიცებით, აღნიშნული თანხაც დავის საგანს წარმოადგენდა და მისი 4% შეადგენს 2 889 ლარს, რაც ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით უნდა დაეკისროს კლიენტს (მოპასუხეს). მოსარჩე-

ლემ წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1.3. ქვეპუნქტში ასახულ გარემოებაზე მითითებით განმარტა, რომ სულ აღნიშნულ საქმეზე განეული იურიდიული მომსახურებისათვის მოპასუხეს (კლიენტს) უნდა დაეკისროს 23 368,2 ლარის ანაზღაურება (20 479,2+2 889=23 368,2);

4.2.4. წინამდებარე გადაწყვეტილების 2.4 ქვეპუნქტში ასახული საადვოკატო მომსახურების თაობაზე მოსარჩელემ (ადვოკატმა) განმარტა, რომ მითითებულ დავაში, რომელშიც მისი კლიენტი (მოპასუხე) მესამე პირს წარმოადგენდა, ადვოკატი წარმომადგენლობას ზეპირი შეთანხმების საფუძველზე ახორციელებდა. ადვოკატის განმარტებით, მისი მარწმუნებელი წინამდვილეში არ იყო დაინტერესებული სარჩელის დაკმაყოფილებით, რადგან დავის საგანი იყო იმ ხელშეკრულების ბათილად ცნობა, რომლითაც მისი მარწმუნებელი გახდა შპს „ფ-აში“ 2.5%-ის მესაკუთრე. შესაბამისად, კლიენტის ინტერესში ვერ შევიდოდა ამ ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ვინაიდან ამის შედეგად იგი კარგავდა წილს საზოგადოებაში. სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სრულად შეესაბამებოდა მარწმუნებლის (მოპასუხის) ინტერესებს, საბოლოოდ კი, მორიგების აქტით მოპასუხემ ზემოხსენებულ სანარმოში მიიღო 95%-იანი წილი. ადვოკატის განმარტებით, მისი მომსახურების გასამრჯელოს წარმოადგენდა დავის საგნის ღირებულების 4%. მიუხედავად აღნიშნულისა, ადვოკატმა მოითხოვა ყოფილი კლიენტისათვის (მოპასუხისათვის) არა დავის საგნის ღირებულების 4%-ის, არამედ – 1%-ის დაკისრება, რაც ჩვეულებრივ ანაზღაურებაზე ნაკლებია და შეადგენს 81 448 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარებში;

4.2.5. წინამდებარე გადაწყვეტილების 2.5 ქვეპუნქტში ასახული გარემოების თაობაზე ადვოკატმა (მოსარჩელემ) აღნიშნა, რომ დავის საგანს შეადგენდა 202 950 ლარისა და წლიური 17%-ის დაკისრება. ადვოკატის (მოსარჩელის) განმარტებით, იურიდიული მომსახურების შესახებ მხარეებს შორის ზეპირი შეთანხმება არსებობდა და იგი განისაზღვრებოდა დავის საგნის ღირებულების 4%-ით, რაც შეადგენდა 8 118 ლარს, თუმცა, მოსარჩელის განცხადებით, მან შეამცირა მოთხოვნა და კლიენტისათვის (მოპასუხისათვის) ამ უკანასკნელის მიერ აღიარებული დავის საგნის ღირებულების 2%-ის, ანუ 4 059 ლარის დაკისრება მოითხოვა ადვოკატის სასარგებლოდ;

4.2.6 წინამდებარე გადაწყვეტილების 2.6 ქვეპუნქტში ასახული საადვოკატო მომსახურების თაობაზე ადვოკატმა (მოსარჩელემ) განმარტა, რომ ამ საქმეში შ. შ-ი მის მარწმუნებელს (მოპასუხეს) ედავებოდა სესხის თანხას – 3 000 000 აშშ დოლარს, აგრეთვე ჯა-

რიმას – 972 000 აშშ დოლარსა და პირგასამტეხლოს, სულ – 4 165 560 აშშ დოლარს. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით შ-ის სარჩელი ადვოკატის კლიენტის წინააღმდეგ სრულად დაკმაყოფილდა, ხოლო წარმომადგენლის ძალისხმევით, სააპელაციო წესით გასაჩივრების გზით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით კლიენტის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: შ. შ-ს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე 72 000 აშშ დოლარის ნაწილში. აღნიშნული გადაწყვეტილება ადვოკატმა საკასაციო წესითაც გაასაჩივრა, თუმცა, საჩივარი განუხილველი დარჩა გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი საპროცესო ვადის გაშვების (ერთი დღით დაგვიანების) გამო. აღნიშნულ დავის საგანს მთლიანობაში წარმოადგენდა 4 165 560 აშშ დოლარი, თუმცა, ადვოკატმა (მოსარჩელემ) მოითხოვა მხოლოდ 3 000 000 აშშ დოლარის 1%-ის დაკისრება კლიენტისათვის (მოპასუხისათვის), რაც 30 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს შეადგენს ლარებში. საქმე სწორედ ადვოკატის დიდი ძალისხმევით მივიდა საკასაციო ინსტანციამდე;

4.2.7. წინამდებარე გადაწყვეტილების 2.7 ქვეპუნქტში ასახული საადვოკატო მომსახურების თაობაზე ადვოკატმა (მოსარჩელემ) განმარტა, რომ აღნიშნულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა კრების ოქმის ბათილად ცნობა. მხარეები (ადვოკატი და კლიენტი) ზეპირად შეთანხმდნენ 2 000 აშშ დოლარის გადახდაზე, ამასთან, ეს თანხა გადახდილი უნდა ყოფილიყო თითოეულ ინსტანციაში. მოსარჩელის განმარტებით, მისთვის მოპასუხეს (კლიენტს) გაწეული მომსახურებისათვის თანხა არ გადაუხდია.

5. მოპასუხის (კლიენტის) შესაგებელი სარჩელზე და ამ უკანასკნელის მიერ ადვოკატის წინააღმდეგ წარდგენილი შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა

5.1. სარჩელზე წარდგენილი წერილობითი შესაგებლით კლიენტმა (მოპასუხემ) არ ცნო მის წინააღმდეგ ადვოკატის მიერ აღძრული სარჩელი და მიუთითა:

5.1.1. საქმეში მოთავსებული სასამართლო გადაწყვეტილებებიდან აშკარა იყო, რომ ადვოკატის მეშვეობით წარმოებულ სასამართლო დავებში კლიენტს მოთხოვნილი თანხის შესამედიც კი არ მიუღია. წარმომადგენლის უპასუხისმგებლობამ მარწმუნებელს უდდესი ზიანი მიაყენა, რადგან მის წინააღმდეგ კანონიერ ძალაში შევიდა გადაწყვეტილება, რომლითაც დაეკისრა მილიონობით აშშ დოლარის გადახდა, ხოლო პროცესუალურმა მოწინააღმდეგემ სააღსრულებო წარმოება დაიწყო და ადვოკატის კლიენტს მთელი ქონება დაუყადალა, რის გამოც ეს უკანასკნელი იძულებული გახდა, მორიგებით დაეთმო ქონების უმეტესი ნაწილი; მათ შორის, უა-

რი ეთქვა მოგებულ საქმეებზეც. აღნიშნულის მიუხედავად, მან მაინც გადაუხადა ადვოკატს (მოცემულ დავაზე ძირითად მოსარჩელეს) 20 000 აშშ დოლარი (33 083 ლარი). წინამდებარე გადანყევტილების 4.2.1 ქვეპუნქტში მითითებულ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით კლიენტმა განმარტა, რომ შპს „ზ-ის“ საქმეზე განეული მომსახურების ასანაზღაურებლად ადვოკატმა (მოსარჩელემ) წარადგინა მხოლოდ მის მიერ ცალმხრივად ხელმონერილი ხელშეკრულება, რომელიც ხელშეკრულების სამუშაო ვერსიას წარმოადგენდა და მხოლოდ მაშინ ჩაითვლებოდა დადებულად/დასრულებულად, თუ ორივე მხარე მოაწერდა ხელს. ასეც რომ იყოს, ხელშეკრულების თანახმად, თანხის გადახდა უნდა მომხდარიყო მისი ამოღებისთანავე, ეს პირობა კი არ დამდგარა. მოპასუხის (კლიენტის) განმარტებით, მისმა ადვოკატმა (მოსარჩელემ) სრულად წააგო პროცესი პირველი ინსტანციის სასამართლოში, სააპელაციო სასამართლომ კი მხოლოდ მეორე მოთხოვნა დააკმაყოფილა. საკაცაციო სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ ადვოკატი ჩვეული უპასუხისმგებლობით მოეკიდა საქმეს და კლიენტი იძულებული გახდა, ხარვეზის განჩინების ჩასაბარებლად გაეშვა თანამემწე, რომელმაც განჩინება გადასცა ადვოკატს, ამ უკანასკნელმა კი სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არ შეავსო ხარვეზი და არც რაიმე შუამდგომლობით მიუმართავს სასამართლოსათვის. საბოლოოდ, ეს საქმეც იმგვარად დასრულდა, რომ კლიენტმა (მოპასუხემ) უარი ეთქვა სარჩელზე და გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს ის გადანყევტილებაც, რომლითაც მისი მოთხოვნა ნაწილობრივ იყო დაკმაყოფილებული. ამდენად, შპს „ზ-ის“ საქმეზე განეული საადვოკატო მომსახურებისათვის მოსარჩელის (ადვოკატის) მიერ გასამრჯელოს მოთხოვნა უსაფუძვლო იყო;

5.1.2. წინამდებარე გადანყევტილების 4.2.2 ქვეპუნქტში მითითებულ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით მოპასუხემ (კლიენტმა) განმარტა, რომ შპს „ს-თან“ დაკავშირებულ დავას რწმუნებული გულგრილად მიუდგა; იგი განუწყვეტილვ ითხოვდა საქმის გადადებას სათანადო დოკუმენტების გარეშე, მისი მოქმედება საეჭვო გახდა, რის გამოც მოუხდა საქმეში მეორე ადვოკატის ჩართვა. ადვოკატის უპასუხისმგებლო მოქმედების გამო, ჯერ კიდევ საქალაქო სასამართლოს გადანყევტილების გამოტანამდე, კლიენტი იძულებული გახდა, რომ ყველაფერი დაეთმო პროცესუალური მოწინააღმდეგისათვის, ამ უკანასკნელის ადვოკატებს გადასცა მოპასუხემ მინდობილობა და თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვა, რის შედეგადაც გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადანყევტილება. გარდა ამისა, არ შეიძლება ადვოკატის (მოსარჩელის) სასარ-

გებლოდ კლიენტს (მოპასუხეს) დაეკისროს ანაზღაურება შპს „ს-ის“ საქმეზე, რადგან საქმეში წარდგენილი ხელშეკრულების თანახმად, მომსახურების ანაზღაურება მოხდება საქმის მოგებით დასრულების შემდეგ, სასამართლო დავის მოპასუხისათვის გადასახდელად დაკისრებული თანხის ამოღების შემდეგ, რეალურად საქმე შეწყდა და, საბოლოო ჯამში, ადვოკატის კლიენტის მოპასუხეს დავის შედეგად გადასახდელად არაფერი დაკისრებია;

5.1.3. წინამდებარე გადაწყვეტილების 4.2.3 ქვეპუნქტში მითითებულ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით კლიენტმა (მოპასუხემ) განმარტა, რომ შპს „ჩ-ის“ საქმე მან სრულად წააგო, რადგან მისმა წარმომადგენელმა იგი დაგვიანებით გაასაჩივრა და აღნიშნული საფუძვლით სასამართლოს განჩინებით საქმე განუხილველად დარჩა;

5.1.4. წინამდებარე გადაწყვეტილების 4.2.4 ქვეპუნქტში მითითებულ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით მოპასუხემ (კლიენტმა) განმარტა, რომ ამ დავაში ის მესამე პირის სტატუსით მონაწილეობდა, ადვოკატი (მოსარჩელე) კი მართლაც წარმოადგენდა მას. კლიენტის დაინტერესება ამ დავაში შემოიფარგლებოდა მხოლოდ 2.5%-ით, რადგან მისი, როგორც პარტნიორის, წილის ოდენობა სანარმოში იმ დროისათვის სწორედ 2.5%-ს შეადგენდა. კლიენტი ადვოკატს შეუთანხმდა საადვოკატო მომსახურების ღირებულებაზე, მაგრამ არა დავის საგნის ღირებულების 1%-ის, როგორც ამას მოსარჩელე უთითებდა (141 719 ლარი), არამედ დავის საგნის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, რაც საერთო ჯამში შეადგენს 8 144 883 აშშ დოლარის 2.5%-ს ანუ 20 362 აშშ დოლარის 0,1%-ს, რაც 203 აშშ დოლარია, ისიც იმ შემთხვევაში, თუკი დავა მის (კლიენტის) სასარგებლოდ დასრულდებოდა;

5.1.5. წინამდებარე გადაწყვეტილების 4.2.5 ქვეპუნქტში მითითებულ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით კლიენტმა (მოპასუხემ) დაადასტურა, რომ მხარეებს შორის არსებობდა ზეპირი გარიგება საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების შესახებ. მომსახურების ანაზღაურება მოხდებოდა კლიენტის (მოპასუხის) სასარგებლოდ საქმის დასრულების შემთხვევაში, მაგრამ არა დავის საგნის ღირებულების 4%-ის, როგორც ამას მოსარჩელე (ადვოკატი) უთითებდა, არამედ დავის საგნის ღირებულების 2%-ის ოდენობით, რაც ჯამში შეადგენს არა 8 118 ლარს, არამედ – 4 059 ლარს;

5.1.6. წინამდებარე გადაწყვეტილების 4.2.6 ქვეპუნქტში მითითებულ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით მოპასუხემ (კლიენტმა) განმარტა, რომ აღნიშნულ საქმეზე სადავო იყო მხოლოდ ჯარიმა, შესაბამისად, დავის საგნის ღირებულება იყო 972

000 აშშ დოლარი და არც ერთ შემთხვევაში იგი არ უნდა განისაზღვროს 5 220 000 აშშ დოლარით (სესხის ჩათვლით), როგორც ამას ადვოკატი (მოსარჩელე) მიუთითებდა. ადვოკატმა თავისი უპასუხისმგებლობით აქაც გაუშვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა, რაც საქმის განუხილველად დატოვების საფუძველი გახდა;

5.1.7. წინამდებარე გადაწყვეტილების 4.2.7 ქვეპუნქტში მითითებულ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით მოპასუხემ (კლიენტმა) განმარტა, რომ ამ საქმეზე ადვოკატთან (მოსარჩელესთან) არსებობდა ზეპირი შეთანხმება 2 000 ლარის გადახდის თაობაზე, თუკი საქმე ადვოკატის კლიენტის გამარჯვებით დასრულდებოდა. მისმა წარმომადგენელმა წააგო საქმე, შესაბამისად, მოთხოვნა ჰონორარის დაკისრებაზე უსაფუძვლო იყო (*იხ. შესაგებელი*).

5.2. ადვოკატის წინააღმდეგ მისმა კლიენტმა 2015 წლის 28 მაისს შეგებებული სარჩელი აღძრა და მოითხოვა ადვოკატისათვის 20 000 (ოცი ათასი) აშშ დოლარის, 1000 ლარის – როგორც უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად მიღებული თანხის და კლიენტისათვის მიყენებული ზიანის – 1 000 000 აშშ დოლარის დაკისრება.

5.2.1. შეგებებული მოსარჩელის განმარტებით, მისმა თანაპარტნიორმა შ. შ-მა, მის წინააღმდეგ წამოიწყო სასამართლო დავები ერთობლივ სანარმოებში. კლიენტი მისი ინტერესების დასაცავად სიტყვიერად შეუთანხმდა ადვოკატს, რისთვისაც საქმეების დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, წარმომადგენელს გადაუხდოდა 20 000 აშშ დოლარს. კლიენტმა შეასრულა პირობა და გადაუხადა თანხა ადვოკატს, თუმცა, ამ უკანასკნელის ქმედებებმა ეჭვევებში დააყენა წარმომადგენლის სანდოობის საკითხი, რადგან ის არ ცხადდებოდა სხდომაზე, უზენაეს სასამართლოში დროულად არ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, სასამართლო დავაზე კლიენტის მონინააღმდეგე მხარემ დაიწყო იძულებითი აღსრულება კლიენტის (შეგებებული მოსარჩელის) ქონებაზე, მას დაუყადაღეს ქონება, მოახდინეს მისი ბიზნესის პარალიზება, რის გამოც ადვოკატის კლიენტს გადასახდელად მილიონობით ლარი დაეკისრა. ადვოკატი არ მოქმედებდა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ამ უკანასკნელს დამახინჯებულად აწვდიდა ინფორმაციას მასზე მინდობილი საქმეების მსვლელობის შესახებ, რამაც საბოლოოდ მარწმუნებელი უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო და იძულებული გახდა, რომ პროცესუალური მონინააღმდეგისათვის სხვადასხვა მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე დაეთმო. ადვოკატმა არაჯეროვნად შეასრულა ვალდებულება და დაუმსახურებლად მიიღო კლიენტისაგან მომსახურების თანხა, შესაბამის-

სად, ამ უკანასკნელს წარმომადგენელმა უნდა დაუბრუნოს უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად მიღებული თანხები. შეგებებული მოსარჩელის (კლიენტის) განმარტებით, დაბრუნებას ექვემდებარება 2012 წლის 7 ნოემბერს ადვოკატისათვის იურიდიული მომსახურების ღირებულების სახით გადახდილი 1 000 ლარი და 2013 წლის 4 ივლისს გადარიცხული 33 082 ლარი (20 000 აშშ დოლარი);

5.2.2. შეგებებულმა მოსარჩელემ ადვოკატის მიერ მიყენებული ზიანის – 1 000 000 აშშ დოლარის ანაზღაურებასთან დაკავშირებით განმარტა, წარმომადგენლის ქმედების შედეგად მარნმუნებელმა იზარალა 11 მილიონ ნახევარზე მეტი ღირებულების ქონება, თუმცა, მხოლოდ 1 000 000 აშშ დოლარს ითხოვდა (იხ. შეგებებული სარჩელი).

6. შეგებებული სარჩელის მოპასუხის (ადვოკატის) შესაგებელი

6.1. ადვოკატმა არ ცნო მის წინააღმდეგ კლიენტის მიერ აღძრული შეგებებული სარჩელი და განმარტა, რომ სინამდვილეს არ შეესაბამებოდა, რომ თითქოს მან არ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი სასამართლოში, რის გამოც მარნმუნებელს დაეკისრა მილიონობით ლარი და დაუყადაღეს ქონება. სასამართლოს განჩინება საკასაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის შესახებ ადვოკატს არ ჩაბარებია. აღნიშნულს ადასტურებდა თვითონ კლიენტიც, როდესაც უთითებდა, რომ განჩინების ჩასაბარებლად გაუშვა მძღოლი, თუმცა, ადვოკატმა სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხადა და საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, ბაჟი კი რნმუნებულს (კლიენტს) უნდა გადაეხადა და არა მის წარმომადგენელს. მოგვიანებით, კლიენტის (შეგებებული მოსარჩელის) ახალმა წარმომადგენელმა ამ საქმეზე წარადგინა განცხადება სარჩელზე უარის თქმის შესახებ, რის შემდეგაც შეწყდა საქმის წარმოება და გაუქმდა საქმეზე გამოტანილი ყველა გადაწყვეტილება (განჩინება);

6.2. მარნმუნებლის ქონებას ყადაღა დაედო პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებით, კერძოდ, შეგებებულმა მოსარჩელემ სესხის ხელშეკრულების საფუძველზე ნასესხები 3 000 000 აშშ დოლარი არ დაუბრუნა გამსესხებელს (შ. შ-ს), გარკვეული დროის განმავლობაში მოვალე მხოლოდ პროცენტს უხდიდა კრედიტორს, რის გამოც ამ უკანასკნელმა სარჩელი შეიტანა და მსესხებლის მთელი ქონება დააყადაღა სასამართლომ. ადვოკატის მიერ განუული მომსახურების შედეგად, თბილისის სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ კლიენტისათვის კრედიტორის სასარგებლოდ დაკისრებული სესხის ძირითადი თანხა – 3 000 000 აშშ დოლარი 72 00 აშშ დოლარით შეამცირა;

6.3. შპს „ს-ის“ საქმეზე სასამართლომ შეგებებული მოსარჩე-

ლის (ადვოკატის კლიენტის) სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო, ამიტომ დაუსაბუთებელია ამ უკანასკნელის ვარაუდი, რომ ადვოკატს მიუძღვის ბრალი საქმის გაჭიანურებაში. საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას კი კლიენტმა უარი თქვა სარჩელზე, რაც განპირობებული იყო იმით, რომ ამ უკანასკნელმა კრედიტორთან არსებულ რამდენიმე დავაზე შეთანხმებას მიაღწია;

6.4. შპს „ჩ-თან“ დაკავშირებული დავა, ადვოკატის მომსახურების შედეგად, მისი კლიენტის მოგებით დასრულდა;

6.5. ზემოხსენებულ საწარმოსთან დაკავშირებული მეორე დავა, რომელიც კრების ოქმის ბათილად ცნობას ეხებოდა, კლიენტის სახელით დაიწყო ადვოკატმა და სარჩელი აღძრა იმ საფუძველით, რომ საწარმოს სანესდებო კაპიტალის გაზრდა არასწორი იყო. ამასთან, კლიენტმა ადვოკატს დაუმალა 2011 წლის 1 მარტის კრების ოქმის არსებობა, სადაც თურმე რწმუნებული თვითონაც მონაწილეობდა და თანხმობაც განაცხადა სანესდებო კაპიტალის გაზრდაზე და დაადასტურა კიდევ ხელმოწერით, რაც საფუძველად დაედო მისი სარჩელის უარყოფას (იხ. შეგებებული სარჩელით მოპასუხის /ადვოკატის/ შესაგებელი).

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

7.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით:

7.1.1. ადვოკატის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მოპასუხეს (კლიენტს) მოსარჩელის (ადვოკატის) სასარგებლოდ დაეკისრა 77 712 ლარის და 3 203,62 აშშ დოლარის გადახდა;

7.1.2. კლიენტის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

7.2. სასამართლომ საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამოიკვლია და დადგენილად მიიჩნია წინამდებარე გადაწყვეტილების 1-3 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებანი და დავის მოსანესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 316-ე, 317-ე, 327-ე, 361-ე, 709-ე, 710-ე, 394-ე, 408-ე, 412-ე მუხლები, აგრეთვე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომი: სსსკ) მე-3, მე-8, 39-ე 53-ე, 191-ე, 243-ე-244-ე, 248-ე-250-ე, 257-ე, 364-ე, 365-ე, 367-ე, 369-ე მუხლები.

7.3. წინამდებარე გადაწყვეტილების 4.1-4.2.1 ქვეპუნქტებში ასახულ ძირითად სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა:

7.3.1. სსკ-ის 316-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება, ხოლო 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუ-

ცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. სსკ-ის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება დადებულიად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. სსკ-ის 709-ე მუხლის თანახმად, დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული/მინდობილი ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯით. ამავე კოდექსის 710-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო მხოლოდ ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, გასამრჯელო ჩაითვლება უსიტყვოდ შეთანხმებულად, თუ გარემოებათა მიხედვით მოქმედების შესრულება მხოლოდ გასამრჯელოთა მოსალოდნელი, ხოლო მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ გასამრჯელოს ოდენობა არ არის განსაზღვრული, მაშინ რაიმე ნიხრის არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სანიხრო გასამრჯელო, ისევე, როგორც ნიხრის არარსებობისას ჩვეულებრივი გასამრჯელო.

7.3.2. სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში მხარეებს შორის ურთიერთობა წარმოშობილია დავალების ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე. სსკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს გაუწია იურიდიული მომსახურება, რომლის ღირებულებაც კლიენტს ადვოკატისათვის არ აუნაზღაურებია.

7.4. საქალაქო სასამართლომ იმსჯელა თითოეულ საქმეზე, სადაც ადვოკატი კლიენტის ინტერესებს წარმოადგენდა და ამ უკანასკნელს წარმომადგენლის მიერ განეული იურიდიული მომსახურებისათვის შემდეგი გაანგარიშებით დააკისრა გასამრჯელო /ჰონორარი/:

7.4.1. 04.03.2012წ. ხელშეკრულების საფუძველზე (იხ. ამ გადაწყვეტილების 1.1.1 ქვეპუნქტი) კლიენტს ადვოკატის სასარგებლოდ დაეკისრა 7143,2 ლარის გადახდა. საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის წარმომადგენლის განმარტება, რომ 04.03.2012წ. ხელშეკრულებაზე მხოლოდ ერთი მხარის ხელმოწერა იყო, აღნიშნული სამუშაო ვარიანტს წარმოადგენდა და მხარეები საბოლოოდ არ შეთანხმებულან არც ერთ ვარიანტზე. ხელშეკრულება მხოლოდ

იმ შემთხვევაში ჩაითვლებოდა დასრულებულად, თუკი მასზე ორივე მხარე მოანერდა ხელს;

7.4.2. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქმეში წარდგენილ ხელშეკრულებაზე სწორედ მოპასუხის (ადვოკატის კლიენტის) ხელმოწერა იყო, შესაბამისად, მისი ნების ნამდვილობა, რაც უკავშირდებოდა კლიენტის მიერ ადვოკატისათვის განეული იურიდიული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას და მის ოდენობას, სწორედ აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარეობდა. ამის საწინააღმდეგო სარწმუნო მტკიცება მოპასუხემ სასამართლოს ვერ წარუდგინა. ამასთან, სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ ამ სახის ხელშეკრულებისათვის წერილობითი ფორმის დაცვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, სავალდებულო არ არის;

7.4.3. საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა 04.03.2012წ. ხელშეკრულების 2.2.4. პუნქტზე, რომლის თანახმად, მომსახურების ღირებულება შეადგენს მოგებული თანხის 4%-ს და თანხის გადახდა უნდა მომხდარიყო ადვოკატის კლიენტის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის პროცესუალური მონინააღმდეგისათვის დაკისრებული თანხის ამოღებისთანავე რწმუნებულის ანგარიშზე ჩარიცხვის გზით. საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში მითითებული ჰონორარი სამივე ინსტანციის სასამართლოში განხორციელებული წარმომადგენლობისათვის იყო დადგენილი (იხ. მომსახურების ხელშეკრულება); სასამართლომ აღნიშნა, რომ ვერ გაითვალისწინებდა მოპასუხის (კლიენტის) წარმომადგენლის განმარტებას, რომ თანხის გადახდა მოხდებოდა ამოღებისთანავე, რომ ეს პირობა არ დამდგარა და რომ მისთვის თანხის ამოღების პროცესი იყო მნიშვნელოვანი. სასამართლოს შეფასებით მოპასუხემ სარწმუნოდ ვერ დაუსაბუთა, რომ ადვოკატის მიერ იურიდიული მომსახურების განევა მოსალოდნელი იყო გასამრჯელოს გარეშე. მართალია, მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ თანხის გადახდა მოხდებოდა ადვოკატის კლიენტის მონინააღმდეგის – მოპასუხისათვის დაკისრებული თანხის ამოღებისთანავე, მაგრამ აღნიშნული მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 2.4.1. პუნქტის, ისევე, როგორც იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის ფაქტობრივად განეული იყო მომსახურება, არ შეიძლებოდა გამხდარიყო ადვოკატისათვის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი. მოსარჩელე ადასტურებდა, რომ მის მიერ შესაბამის საქმეზე წარდგენილი ხელშეკრულება მოიცავდა სამივე ინსტანციაში იურიდიული მომსახურების განევას მოპასუხისათვის. მხარეები შეთანხმებული იყვნენ, როგორც ეს სასამართლომ დადგენილად მიიჩნია,

ანაზღაურებაზე მოგებული თანხის 4%-ის ოდენობით;

7.4.5. აღნიშნული ჰონორარის ანაზღაურებაზე სასამართლომ უარის თქმის საფუძველად ასევე ვერ გაიზიარა მოპასუხის (ადვოკატის კლიენტის) განმარტება, რომ რადგან შპს „ზ-ის“ დავაზე გაუქმდა ყველა ინსტანციის გადაწყვეტილება, მოსარჩელეს (ადვოკატს) არ ჰქონდა შესაბამისი თანხის მოთხოვნის უფლება. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საკასაციო სასამართლომ გააუქმა კასატორის – ადვოკატის კლიენტის მიერ მოთხოვნაზე უარის თქმის გამო, შპს „ზ-ის“ საქმეზე არსებული გადაწყვეტილებები, მათ შორის, რომლითაც შპს „ზ-ს“, როგორც პროცესუალურ მონინალმდეგეს ადვოკატის კლიენტის (მოპასუხის) სასარგებლოდ დაეკისრა 178 580 ლარის გადახდა. სასამართლო ისიც აღნიშნა, რომ როდესაც ადვოკატის კლიენტმა, როგორც კასატორიმა, საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე უარი თქვა მოთხოვნაზე შპს „ზ-ის“ მიმართ, კლიენტის წარმომადგენელი მოსარჩელე (ადვოკატი) აღარ იყო. ადვოკატის კლიენტმა რწმუნებულება გასცა ე. გ-ეზე, რომელიც იმავდროულად წარმოადგენდა პროცესუალური მონინალმდეგის შპს „ზ-ის“ წარმომადგენელს.

7.4.6. საქალაქო სასამართლოს შეფასებით, საკასაციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილებების გაუქმება ვერ გახდებოდა კლიენტის მიერ ადვოკატის გასამრჯელოს ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი. უდავოა, რომ საადვოკატო მომსახურება განეული იყო, უდავო იყო, რომ სააპელაციო სასამართლოში მოსარჩელის (ადვოკატის) მონაწილეობით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მისი კლიენტის (მოპასუხის) მოთხოვნა. აქედან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია ადვოკატ-კლიენტს შორის შეთანხმება ჰონორარზე მოგებული თანხის 4%-ის ოდენობით. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელისავე (ადვოკატისავე) განმარტებით, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება ეხებოდა საქმის წარმოებას სამივე ინსტანციაში და ადვოკატი აღარ წარმოადგენდა კლიენტის (მოპასუხის) ინტერესებს საკასაციო სასამართლოს მიერ 2013 წლის 15 ივლისის განჩინების მიღებისას, საქმეში წარდგენილი განჩინებები საფუძველზე, საქალაქო სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ საკასაციო სასამართლოში კლიენტს თავდაპირველად წარმოადგენდა ადვოკატი (მოსარჩელე), სწორედ ამ უკანასკნელის მიერ შეტანილ საკასაციო საჩივარზე დაადგინა ხარვეზი საკასაციო სასამართლომ, ხოლო ხარვეზის შესახებ განჩინება სხვა წარმომადგენელმა ჩაიბარა და ასევე სხვა წარმომადგენელმა თქვა უარი შპს „ზ-ის“ მიმართ მოპასუხის (კლიენტის) მოთხოვნაზე. საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, მოპასუხეს (კლიენტს) მოსარჩელის (ადვოკატის) სასარ-

გებლოდ უნდა დაკისრებოდა მის მიერ მოთხოვილი თანხა სამივე ინსტანციაში განეული მომსახურებისათვის, ანუ მოგებული თანხის 4%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 7 143,2 ლარს.

7.5. 17.05.2012წ. ხელშეკრულების საფუძველზე (იხ. ამ გადაწყვეტილების 1.1.2 ქვეუბნქტი) კლიენტს ადვოკატის სასარგებლოდ დაეკისრა 83 013 ლარის გადახდა. ხელშეკრულების 2.2.4 მუხლის თანახმად, მომსახურების ღირებულება შეადგენს დავის საგნის ღირებულების 4%-ს და თანხის გადახდა უნდა მომხდარიყო ადვოკატის კლიენტის პროცესუალური მონინაალმდეგის – მოპასუხისათვის დაკისრებული თანხის ამოღებისთანავე რწმუნებულის ანგარიშზე ჩარიცხვის გზით. ხელშეკრულების 2.4.1. მუხლის თანახმად, მარწმუნებელს უფლება აქვს იურიდიული მომსახურების სრულ დასრულებამდე, ნებისმიერ დროს განაცხადოს უარი ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აანაზღაუროს რწმუნებულის მიერ შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი.

7.5.1. საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის (ადვოკატის კლიენტის) წარმომადგენლის განმარტება, რომ აღნიშნული ხელშეკრულება გაფორმდა კლიენტის მონინაალმდეგე მხარისათვის თანხის დაკისრების მიზნით; მოპასუხის მტკიცებით, არსერიოზული იყო დავის საგნიდან გამომდინარე შეთანხმების არსებობა. სასამართლომ აღნიშნა, საქმეში წარმოდგენილი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე მოსარჩელე ნ. კ.-ი, მოპასუხე შპს „ს-ი“, რომლის თანახმადაც სასარჩელო მოთხოვნას წარმოდგენდა მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 5 536 714 ლარის გადახდა, აგრეთვე მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების სახით 941 241,38 ლარის გადახდის დაკისრება. ამასთან, 5 536 714 ლარის 17%-ს წარმოდგენს 941 241,38 ლარი, თუმცა, მისი გადახდა, როგორც გადანყვეტილებიდან ირკვევა არ არის მოთხოვნილი აღსრულებამდე. ამავე გადანყვეტილებით მოპასუხეს მოსარჩელის (ამ შემთხვევაში ადვოკატის კლიენტის) სასარგებლოდ დაეკისრა 2 655 302 ლარის გადახდა, ხოლო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. საქალაქო სასამართლომ ამ შემთხვევაშიც არ გაითვალისწინა მოპასუხის წარმომადგენლის განმარტება, რომ ადვოკატისათვის გასამარჯვლოს გადახდა მოხდებოდა თანხის ამოღებისთანავე, რომ ეს პირობა არ დამდგარა და თანხის ამოღების პროცესი იყო მნიშვნელოვანი. სასამართლომ მოპასუხის ვერც ის განმარტება გაიზიარა, რომ რადგან სარჩელზე უარის თქმის გამო საბოლოოდ შეწყდა საქმის წარმოება ადვოკატს (მოსარჩელეს) აღარ ჰქონდა ანაზღაურების მოთხოვნის უფლება;

7.5.2. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ თანხის გადახდა მოხდებოდა კლიენტის მონინალმდეგეზე დაკისრებული თანხის ამოღებისთანავე, მაგრამ აღნიშნული მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 2.4.1. პუნქტის გათვალისწინებით არ შეიძლებოდა გამხდარიყო ადვოკატისათვის (მოსარჩელისათვის) ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი. სასამართლოს მოპასუხემ ვერ დაუდასტურა, რომ მოსარჩელის მიერ მისთვის შესაბამისი მომსახურების განევა უნდა მომხდარიყო გასამრჯელოს გადახდის გარეშე. სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა, რომ მოპასუხეს (კლიენტს) თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარმოადგენდა ვ. ს-ე, რომელიც იყო შპს „ს-ის“ (ანუ კლიენტის პროცესუალური მონინალმდეგის) წარმომადგენელი თბილისის საქალაქო სასამართლოში;

7.5.3. საქალაქო სასამართლოს შეფასებით, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება ეხებოდა იურიდიული მომსახურების განევის სამივე ინსტანციის სასამართლოში. უდავოა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოპასუხის წარმომადგენელს აღარ წარმოადგენდა მოსარჩელე (ადვოკატი) და კლიენტს სხვა წარმომადგენელი ჰყავდა სააპელაციო სასამართლოში. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მხარეთა შორის შეთანხმების არსებობა მომსახურების ღირებულების ანაზღაურებაზე დავის საგნის ღირებულების 4%-ის ოდენობით. მოსარჩელე (ადვოკატი) შესაბამის თანხას ითხოვდა მის მიერ შემცირებული ოდენობით – $5\ 536\ 714 + 689\ 320$ ლარის 4%-ს ანუ $221\ 468 + 27\ 572 = 249\ 040$ ლარს. სასამართლომ ამ ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და მოპასუხეს (კლიენტს) მოსარჩელის (ადვოკატის) სასარგებლოდ დააკისრა, ამ უკანასკნელის მიერ განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის მესამედის ოდენობით – 83 013 ლარი.

7.6. 2012წ. უთარილო ხელშეკრულების საფუძველზე (იხ. ამ გადაწყვეტილების 1.1.3 ქვეპუნქტი) კლიენტს ადვოკატის სასარგებლოდ დაეკისრა 15 578, 8 ლარის გადახდა. ამ შემთხვევაში მომსახურების საგანს წარმოადგენდა ადვოკატის მიერ კლიენტისათვის იურიდიული მომსახურების განევა შპს „ჩ-ის“ წინალმდეგ აღძრულ სარჩელზე. ხელშეკრულების მიხედვით ადვოკატს სამივე ინსტანციის სასამართლოში ეკისრებოდა კლიენტის წარმომადგენლობა. ხელშეკრულების 2.2.4 მუხლის თანახმად, მომსახურების ღირებულება შეადგენს დავის საგნის ღირებულების 4%-ს. თანხის გადახდა მოხდება მოპასუხეზე (კლიენტის პროცესუალური მონინალმდეგეზე) დაკისრებული თანხის ამოღებისთანავე რწმუნებულის ან-

გარიშზე ჩარიცხვის გზით. აღნიშნული ხელშეკრულება ხელმოწერილია მხარეების მიერ, თუმცა, მასზე არ არის აღნიშნული თარიღი;

7.6.1. საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის (კლიენტის) განმარტება, რომ არ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული აღნიშნული ხელშეკრულება, ვინაიდან მასზე არ იყო მითითებული თარიღი, ასევე, გაურკვეველი იყო მხარეთა შეთანხმება. მისი გაფორმება მოხდა იმ მიზნით, რომ მესამე პირს (კლიენტის მონინა-აღმდეგეს) დაეკისრებოდა შესაბამისი თანხები. გაურკვეველია, რომელ საქმეზეა აღნიშნული შეთანხმება გაფორმებული, რადგან რამდენიმე დავას აწარმოებდნენ შპს „ჩ-ის“ მიმართ. ამასთან, სხვა ხელშეკრულებებშიც იგივე პირობებია გათვალისწინებული. მოპასუხე ასევე აღნიშნავდა, რომ არ დამდგარა პირობა, რაც ხელშეკრულებაშია აღნიშნული, რომ თანხის გადახდა მოხდებოდა მისი ამოღებისთანავე;

7.6.2. სასამართლომ არასარწმუნოდ მიიჩნია მოპასუხის მტკიცება და განმარტა, რომ ხელშეკრულებაში ცალსახად არის მითითებული, რომელ საქმეზე იქნა გაფორმებული ხელშეკრულება, კერძოდ, იგი ეხებოდა თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით წარმოებულ დავას შპს „ჩ-ის“ წინააღმდეგ. მოპასუხეს (კლიენტს) არ წარუდგენია დამადასტურებელი მტკიცებულება და სარწმუნოდაც არ მიუთითებია სასამართლოსათვის, რომ იმავე მხარეებს შორის თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით სხვა დავაც წარმოებდა. თარიღის გაუფორმებლობა კი მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში ასახულ ნებას არანამდვილად ვერ აქცევდა.

7.6.3. საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მხარეებს შორის შესაბამისი პირობებით ხელშეკრულების გაფორმების ფაქტობრივი გარემოებები. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის წარმომადგენლის განმარტება, რომ თანხის გადახდა მოხდებოდა ამოღებისთანავე, ეს პირობა არ დამდგარა და თანხის ამოღების პროცესი იყო მნიშვნელოვანი. სასამართლომ განმარტა, რომ მართალია მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული იყო, რომ თანხის გადახდა მოხდებოდა მოპასუხისათვის დაკისრებული თანხის ამოღებისთანავე, მაგრამ აღნიშნული, ხელშეკრულების 2.4.1 პუნქტის გათვალისწინებით არ შეიძლებოდა გამხდარიყო ადვოკატისათვის გასამრჯელოს ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი;

7.6.4. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხესა (ადვოკატის კლიენტს) და შ. შ-ს შორის 2013 წლის 20 ივნისს მიღწეული იქნა შეთანხმება სარჩელებზე და მოთხოვნებზე უარის თქმის თაობაზე, რომ-

ლითაც მათი შეთანხმებით გაუქმდა მოცემულ საქმეზე 2013 წლის 15 მარტს გაცემული სააღსრულებო ფურცელი. მოცემულ საქმეზე ადვოკატის კლიენტის მოთხოვნა მონინააღმდგეის მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ და ორივე ინსტანციის სასამართლოში კლიენტს წარმოადგენდა მოსარჩელე (ადვოკატი). ის გარემოება, რომ შემდგომი შეთანხმებით გაუქმდა მოცემულ საქმეზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი, სასამართლოს მოსაზრებით, ვერ გახდებოდა ადვოკატის მიერ განეული მომსახურების ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი. მოპასუხემ (კლიენტმა) სასამართლოს ვერ დაუდასტურა, რომ მისთვის ადვოკატს (მოსარჩელეს) მომსახურება გასამრჯელოს გარეშე უნდა გაენია. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო მომსახურების ანაზღაურება დავის საგნის ღირებულების 4%-ის ოდენობით. ამასთან, აღნიშნული ხელშეკრულება მოიცავდა მომსახურების განეევას სამივე ინსტანციის სასამართლოში. მოსარჩელემ მოთხოვნა შემცირებული ოდენობით დააყენა – სულ 23 368,2 ლარის ოდენობით (20 479,2+2 889), საქალაქო სასამართლომ მოთხოვნილი თანხის 2/3-ის ანაზღაურება დააკისრა მოპასუხეს, რადგანაც ამ უკანასნელს ორი ინსტანციის სასამართლოში წარმოადგენდა ადვოკატი.

7.7. ამ გადაწყვეტილების 2.4 ქვეპუნქტში დასახელებულ საქმეზე, ადვოკატი საკუთარი კლიენტის, როგორც მესამე პირის ინტერესებს, წარმოადგენდა შ. შ-ის მიერ აღძრულ სარჩელში მოპასუხე – ა. მ-ის წინააღმდეგ. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მოპასუხე (კლიენტი) სადავოდ არ ხდიდა, რომ ადვოკატმა (მოსარჩელემ) გაუწია მომსახურება, არც იმაზე დავობდა, რომ ადვოკატის მომსახურება სასყიდლიანი უნდა ყოფილიყო. კლიენტის შედავება ეხებოდა ადვოკატისათვის გადასახდელი გასამრჯელოს (მომსახურების სანაცვლო ანაზღაურების) ოდენობას.

7.7.1. კლიენტის (მოპასუხის) განმარტებით, მხარეთა შორის არსებობდა შეთანხმება დავის საგნის ღირებულების – 8 144 883 აშშ დოლარის 2.5%-ის 0.1%-ის თაობაზე, რადგან მოპასუხის, რომელიც ამ დავაში მესამე პირად იყო ჩართული, ინტერესი შემოიფარგლებოდა 2.5%-ით, რაც იქიდან გამომდინარეობდა, რომ მისი წილი შპს „ფ-აში“ სწორედ 2.5%-ს შეადგენდა. კლიენტის მტკიცებით, დავის მის სასარგებლოდ დასრულების შემთხვევაში, გადაუხდიდა იგი ადვოკატს გასამრჯელოს;

7.7.2. საქალაქო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელე (ადვოკატმა) სარწმუნოდ ვერ მიუთითა და დაამტკიცა, მოცემულ საქმეზე რა ოდენობით უნდა მიეღო მას საზღაური იურიდიული მომსა-

ხურების განვივის სანაცვლოდ. ადვოკატმა ვერ მიუთითა დამაჯერებლად, თუ რა შეთანხმება არსებობდა მისაღებ გასამრჯელოსთან დაკავშირებით მხარეებს შორის. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის (ადვოკატის) განმარტება, რომ ჩვეულებრივ ანაზღაურებას ადვოკატ-კლიენტს შორის წლების განმავლობაში არსებული და ჩამოყალიბებული საქმიანი ურთიერთობებიდან გამომდინარე შეადგენდა დავის საგნის ღირებულების 4%. მოსარჩელემ სასამართლოს ვერ დაუმტკიცა, რომ მხარეთა შორის არსებული ურთიერთობებიდან გამომდინარე იგი ჩვეულებრივ იღებდა 4%-ს დავის საგნის ღირებულებიდან, რადგან არ წარუდგენია სასამართლოს დავის საგნის ღირებულების 4%-ის ოდენობით ანაზღაურების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტები და სარწმუნოდაც არ მიუთითებია მათზე;

7.7.3. მოსარჩელის (ადვოკატის) მიერ წარდგენილ ხელშეკრულებებზე მსჯელობისას, საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ ისინი არ ადასტურებდნენ, რომ განუული მომსახურებისათვის ადვოკატი ჰონორარის სახით, ჩვეულებრივ, დავის საგნის ღირებულების 4%-ს იღებდა. სასამართლომ განმარტა, რომ ადვოკატის მიერ წარდგენილი წერილობითი ხელშეკრულება ითვალისწინებდა, ასევე, ანაზღაურებას მოგებული თანხის 4%-ის ოდენობით. საქალაქო სასამართლომ, ასევე არ გაიზიარა მოსარჩელის (ადვოკატის) განმარტება, რომ დავის საგნის ღირებულების 4%-ს სსსკ-ი ითვალისწინებს ჩვეულებრივ ანაზღაურებად. სასამართლომ განმარტა, რომ სსსკ-ის შესაბამისი მუხლი განსაზღვრავს იმ გონივრულ ოდენობას, არა უმეტეს რომლის ფარგლებშიც სასამართლო აკისრებს შესაბამის მხარეს მეორე მხარის მიერ წარმომადგენლის მომსახურებაზე განუულ ხარჯებს. ამასთან, აღნიშნული არ ეხება მხარეთა შორის არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობას იურიდიული მომსახურების განვივის თაობაზე და იგი მხოლოდ განსაზღვრავს იმ მაქსიმალურ ოდენობას, რომლის ფარგლებშიც შეიძლება სასამართლომ დააკისროს წაგებულ მხარეს მეორე მხარის სასარგებლოდ მის მიერ განუული ხარჯების ანაზღაურება;

7.7.4. სასამართლომ აღნიშნა, რომ ის გარემოება, რომ საბოლოოდ მხარეებს შორის მოხდა შეთანხმება, რომლის საფუძველზე მათ შორის გაუქმდა მოპასუხის (კლიენტის) სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილებები, ვერ გახდებოდა ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი მოსარჩელისათვის (ადვოკატისათვის). საქალაქო სასამართლომ მოცემულ საქმეზე განუული მომსახურებისათვის მოპასუხეს (კლიენტს მოსარჩელის (ადვოკატის) სასარგებლოდ დააკისრა 8 144 883 აშშ დოლარის 2.5%-ის 0,1%, რაც 203,62 აშშ დოლარია.

7.8. ამ გადაწყვეტილების 2.5 ქვეპუნქტში მითითებულ საქმეზე საქალაქო სასამართლომ მოპასუხეს (კლიენტს) მოსარჩელის (ადვოკატის) სასარგებლოდ დააკისრა 4059 ლარის გადახდა. მხარეთა შორის წერილობითი ხელშეკრულების არარსებობის მიუხედავად, უდავოდ იქნა მიჩნეული, რომ ადვოკატი კლიენტის ინტერესებს წარმოადგენდა ამ უკანასკნელის მიერ აღძრულ სარჩელზე მოპასუხე თ. ბ-ის წინააღმდეგ, ხოლო დავის საგანი იყო თანხის დაკისრება. არც ის იყო სადავო, რომ განუული მომსახურების სანაცვლოდ ადვოკატს უნდა მიეღო გასამრჯელო. მოპასუხის (კლიენტის) განმარტებით, მხარეთა შორის არსებობდა შეთანხმება დავის საგნის ღირებულების 2%-ის თაობაზე (2015 წლის 18 მარტის სასამართლო სხდომის ოქმი, საპაექრო სიტყვა). ამასთან, მოპასუხის წარმომადგენელი განმარტავდა, რომ თანხის გადახდა მოხდებოდა საქმის მოგებისა და თანხის ამოღების შემდეგ, თანხა არ ყოფილა ამოღებული, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმე დასრულდა კლიენტის გამარჯვებით, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება გაუქმდა მეორე ინსტანციის სასამართლოს განჩინებით, საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნდა ქვემდგომ სასამართლოში, სადაც უკვე სხვა წარმომადგენელი მონაწილეობდა მოპასუხის (კლიენტის) სახელით, ამასთან, პროცესუალური მონინააღმდეგისაგან თანხის ამოღება არ მომხდარა;

7.8.1. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის განმარტება ზემოხსენებული საფუძვლებით ადვოკატის მიერ განუული მომსახურების ანაზღაურებაზე უარის თქმის თაობაზე. უდავო იყო, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში ადვოკატის (მოსარჩელის) მონაწილეობით საქმე დასრულდა ამ უკანასკნელის კლიენტის (მოპასუხის) გამარჯვებით, ის გარემოება, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება გაუქმდა სააპელაციო წესით გასაჩივრების ეტაპზე და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს, სადაც უკვე სხვა წარმომადგენელი მონაწილეობდა მოპასუხის (კლიენტის) სახელით, ისევე ის, რომ პროცესუალური მონინააღმდეგისაგან არ მომხდარა თანხის ამოღება და საბოლოოდ მხარეები მორიგდნენ, საქალაქო სასამართლოს შეფასებით, ვერ გახდებოდა მოსარჩელის (ადვოკატის) მოთხოვნის უარყოფის საფუძველი. მოპასუხემ სასამართლოს ვერ დაუსაბუთა, რომ მისთვის ადვოკატს (მოსარჩელეს) უსასყიდლოდ უნდა გაენია საადვოკატო მომსახურება;

7.8.2. საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ რამდენადაც მოპასუხე ადასტურებდა შეთანხმების არსებობას დავის საგნის ღირებულების 2%-ზე და მოსარჩელეც ამ ოდენობით ითხოვდა განუული მომსახურების ანაზღაურებას შესაბამის საქმეზე, ადვოკა-

ტის სასარგებლოდ კლიენტს უნდა დაკისრებოდა დავის საგნის ღირებულების 2%, რაც 4 059 ლარია. სსსკ-ის 131-ე მუხლის თანახმად, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას.

7.9. ამ გადაწყვეტილების 2.6 ქვეპუნქტში დასახელებულ საქმეზე, საქალაქო სასამართლომ მოპასუხეს (კლიენტს) მოსარჩელის (ადვოკატის) სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება დააკისრა დავის საგნის ღირებულების 3 000 000-ის 0,1%-ის – 3 000 აშშ დოლარის ოდენობით. ამ შემთხვევაშიც ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე წარმოადგენდა ადვოკატი (მოსარჩელე) კლიენტს, როგორც მოპასუხეს, ამ უკანასკნელის წინააღმდეგ შ. შ-ის მიერ აღძრულ სარჩელზე. პირველი ინსტანციის სასამართლოში კლიენტმა (მოპასუხემ) წააგო დავა, თუმცა, სააპელაციო წესით გასაჩივრების გზით, სადაც კლიენტს ადვოკატი (მოსარჩელე) წარმოადგენდა, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი და ამ უკანასკნელს შ. შ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ძირითადი თანხა 2 928 000 აშშ დოლარის ოდენობით. საკასაციო ინსტანციის სასამართლოში ადვოკატმა დაარღვია საკასაციო საჩივრის წარდგენისათვის დადგენილი საპროცესო ვადა და საკასაციო განაცხადის ვადის დარღვევით შეტანის გამო იგი განუხილველად დარჩა;

7.9.1 საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის (ადვოკატის) მტკიცება, რომ მას ამ დავაზე დავის საგნის ღირებულების 1%-ის ოდენობით უნდა მიეღო გაწეული მომსახურების სანაცვლო გასამრჯელო. მოსარჩელემ სასამართლოს ვერ წარუდგინა აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება და ვერც სარწმუნოდ მიუთითა იმაზე რომ, ჰონორარის სახით, სწორედ დავის საგნის 1%-ზე არსებობდა მხარეთა შორის ზეპირი შეთანხმება. საქალაქო სასამართლო, სსსკ-ის 131-ე მუხლის დანაწესს დაეყრდნო (ნორმის დეფინიცია იხ. ამ გადაწყვეტილების 7.8.2 ქვეპუნქტში), რადგან მოპასუხე სადავოდ არ ხდიდა, რომ ადვოკატის ანაზღაურებისათვის მხარეები შეთანხმდნენ დავის საგნის ღირებულების 0.1%-ზე, სწორედ ამ გამოანგარიშებით დაეკისრა მოპასუხეს (კლიენტს) მოსარჩელის (ადვოკატის) სასარგებლოდ 3000 აშშ დოლარის გადახდა;

7.9.2 საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე სადავოდ ხდიდა დავის საგნის ოდენობას და აცხადებდა, რომ მისთვის სადავო იყო 972 00 აშშ დოლარი და ადვოკატისათვის გასამრჯე-

ლოს გადახდაც მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ მოპასუხეს (კლიენტს) გადასახდელად არ დაეკისრებოდა ჯარიმა – 972 000 აშშ დოლარი, შესაბამისად, მოპასუხის მტკიცებით, დავის საგანი იყო არა 5 220 000 აშშ დოლარი, არამედ – 972 000 აშშ დოლარი;

7.9.3. საქალაქო სასამართლომ მოპასუხის (კლიენტის) ზემოხსენებული მტკიცების სანინააღმდეგოდ განმარტა, რომ დავის საგანი (ოდენობა) ასახული იყო სასამართლოს შესაბამის გადაწყვეტილებებში, საქალაქო სასამართლომ ამ შემთხვევაში გაიზიარა მოსარჩელის (ადვოკატის) განმარტება დავის საგნის ღირებულების განსაზღვრასთან მიმართებით, ამასთან, იგი გასამრჯელოს სახით მხოლოდ 3 000 000 აშშ დოლარიდან ითხოვდა მის მიერ მოთხოვნილი ოდენობით თანხის დაკისრებას. აღნიშნულ საქმეზეც საბოლოოდ მხარეებს (კლიენტსა და მის მონინააღმდეგეს) შორის 2013 წლის 20 ივნისს შეთანხმება გაფორმდა. მოსარჩელე (ადვოკატი) აღარ იყო მოპასუხის (კლიენტის) წარმომადგენელი. საქალაქო სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული არ გამორიცხავდა მხარის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებას. ის გარემოება, რომ კლიენტის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, ისევე როგორც ის, რომ მოდავე მხარეები მორიგდნენ, ვერ გახდება ადვოკატის (მოსარჩელის) მიერ განეული მომსახურების ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი.

7.10. ამ გადაწყვეტილების 2.7 ქვეპუნქტში მითითებულ საქმეზე, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხეს (კლიენტს) მოსარჩელის (ადვოკატის) სასარგებლოდ 2 000 ლარის ანაზღაურება დაეკისრა. ამ საქმეზე მხარეთა შორის სადავო არ იყო ზეპირი შეთანხმების არსებობა, ასევე, სადავო არ იყო გასამრჯელოს სახით ადვოკატისათვის 2 000 ლარის ანაზღაურება. მოპასუხე (კლიენტი) დავობდა, რომ აღნიშნული თანხის გადახდა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ იგი საქმეს გამარჯვებით დაასრულებდა. მოპასუხემ ამ შემთხვევაში დავა წააგო, რის გამოც, მისი მოსაზრებით, ადვოკატს არ ეკუთვნოდა გასამრჯელო;

7.10.1. მოპასუხის ზემოხსენებული მტკიცების სანინააღმდეგოდ, საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ კლიენტს არ წარუდგენია სასამართლოსათვის რაიმე მტკიცებულება და სარწმუნოდაც არ მიუთითებია, რომ მხოლოდ დავის მის სასარგებლოდ დასრულების შემთხვევაში იქნებოდა კლიენტი ვალდებული, აენაზღაურებინა ადვოკატის მიერ განეული მომსახურების სანაცვლო გასამრჯელო, სხვა შემთხვევაში, ამ უკანასკნელს უსასყიდლოდ უნდა გაენია მომსახურება კლიენტისათვის.

7.11. მოპასუხის შეგებებულ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით (იხ. ამ გადაწყვეტილების 5.2-5.2.2 ქვეპუნქტები), საქა-

ლაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეებს შორის არსებობდა ურთიერთობა იურიდიული მომსახურების განვევის შესახებ, რომელიც წესრიგდებოდა, როგორც წერილობითი, ისე – ზეპირი ფორმით დადებული შეთანხმებებით. სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ შეგებებულმა მოსარჩელემ (კლიენტმა) მოპასუხეს (ადვოკატს) გადაუხადა 20 000 (ოცი ათასი) აშშ დოლარი და 1 000 (ათასი) ლარი, როგორც ამ უკანასკნელის მიერ გაწეული იურიდიული მომსახურების საფასური. აღნიშნული თანხის გადახდა მოხდა მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებიდან გამომდინარე, როგორც გაწეული იურიდიული მომსახურების ღირებულება. შესაბამისად, ადვოკატისათვის გადახდილი ჰონორარის დაბრუნების მოთხოვნის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები არ არსებობდა.

7.11.1. ადვოკატის (თავდაპირველი მოსარჩელის) მიერ კლიენტისათვის (შეგებებული მოსარჩელისთვის), ზიანის სახით, 1 000 000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარის ანაზღაურების თაობაზე სასამართლომ განმარტა: სსკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამონვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის. სსკ-ის 408-ე მუხლის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულება აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. სასამართლომ განმარტა, რომ როგორც სახელმეკრულეობ, ისე დელიქტიდან გამომდინარე საფუძვლით, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება პირს დაეკისრება მხოლოდ ერთდროულად რამდენიმე პირობის არსებობის შემთხვევაში: 1. მართლსაწინააღმდეგო ქმედება, 2. ზიანი, 3. მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგსა (ზიანს) და მართლსაწინააღმდეგო ქმედებას შორის, 4. ზიანის მიმყენებელის ბრალი. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელე ვალდებულია, დაამტკიცოს ზიანის არსებობა და მისი მოცულობა, ასევე – მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ანუ, მოვალის მოქმედება უნდა იყოს არა მარტო ბრალეული, არამედ – ზიანის გამომწვევიც. შესაბამისად, ზიანის მიმყენებელმა უნდა დაამტკიცოს მის ქმედებაში მართლწინააღმდეგობისა და ბრალის არარსებობა.

7.11.2. სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში კლიენტმა შეგებებულ სარჩელში ვერ დაასაბუთა ადვოკატის მიერ ვალდებულების დარღვევა. ასევე, ვერ დაამტკიცა ზიანის არსებობის ფაქტობრივი გარემოება. აღნიშნული კი გამოორიცხავდა კლიენტის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებას ადვოკატის წინააღმდეგ.

8. მოპასუხის (კლიენტის) სააპელაციო საჩივარი

8.1. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ადვოკატის კლიენტმა (მოპასუხემ), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, ადვოკატის (ძირითადი მოსარჩელის) სარჩელის უარყოფა, კლიენტის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგ არგუმენტებზე დაყრდნობით:

8.1.1. სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებები და ასევე არ დაადგინა ფაქტობრივი გარემოება მოპასუხის (კლიენტის) მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შესახებ. სასამართლომ უდავოდ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად არ მიიჩნია ისეთი უტყუარი ფაქტები, რომლებიც ასახული იყო მის შესაგებელსა და შეგებებულ სარჩელში, რამაც იძულებული გახადა კლიენტი (აპელანტი) კონკრეტული სასამართლო დავები მორიგებით დაესრულებინა;

8.1.2. სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ საქმეზე წარდგენილი ერთი ხელშეკრულება ადვოკატის მომსახურების ანაზღაურების შესახებ უთარილოა, ხოლო დანარჩენი – არ არის ხელმოწერილი ორივე მხარის მიერ. სსკ-ის 68-ე მუხლის შესაბამისად, გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუკი ასეთი ფორმა არ არის დაწესებული, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი. ამავე კოდექსის 69-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გარიგება შეიძლება დაიდოს ზეპირი ან წერილობითი ფორმით, ხოლო მეორე ნაწილის შესაბამისად, გარიგება წერილობითი ფორმით შეიძლება დაიდოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან მხარეთა შეთანხმებით. ამავე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, გარიგების წერილობითი ფორმის არსებობისას საკმარისია გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერა. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის (ადვოკატის) მიერ წარდგენილი სამი ხელშეკრულება, მისი შინაარსისა და ფორმის გათვალისწინებით, ბათილია;

8.1.3. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მომსახურების ხელშეკრულებებს უდავოდ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნევდა, მართებულად უნდა შეეფასებინა სამივე ხელშეკრულების ის პუნქტები, რომლებითაც განსაზღვრულია ადვოკატის მომსახურების ანაზ-

ლაურების პირობები და წესი. ამ ხელშეკრულებათაგან ორ შემთხვევაში ადვოკატის ჰონორარი განისაზღვრება დავის საგნის ღირებულების 4%-ით, ხოლო მესამე შემთხვევაში – მოგებული თანხის 4%-ით. ამ ხელშეკრულებების მიხედვით ასევე ცხადია, რომ ადვოკატის მომსახურების ანაზღაურება თანხის ამოღებისთანავე, რწმუნებულის ანგარიშზე ჩარიცხვით უნდა მომხდარიყო. ამ შეთანხმების შესაბამისად, ადვოკატი გასამრჯელოს მიიღებდა მაშინ, როდესაც კლიენტის პროცესუალურ მონინაალმდევე მხარეს გადასახდელად დაეკისრებოდა გარკვეული თანხა. ამ თანხიდან იქნებოდა გადახდილი ადვოკატის მომსახურების ღირებულებაც. მაშასადამე, ხელშეკრულებებში ეს პუნქტები წარმოადგენენ პირობადადებულ გარიგებებს, ხოლო ვინაიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები (თანხის მოგება და მოპასუხისთვის თანხის დაკისრება) არ დამდგარა, აღნიშნული შეპირებებიც ძალას კარგავენ, რაც თანხის გადახდის ვალდებულებისგან ათავისუფლებს მარწმუნებელს (ადვოკატის კლიენტს);

8.1.4. სასამართლომ არასათანადოდ შეაფასა კლიენტის შეგებებულ სარჩელში მითითებული ფაქტები და არ დააკმაყოფილა მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე (იხ. სააპელაციო საჩივარი).

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება და დასკვნები

9.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით ადვოკატის კლიენტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება. სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასებები (სსსკ-ის 390.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

9.2. მოპასუხის (კლიენტის) სააპელაციო პრეტენზიებთან დაკავშირებით (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-8 პუნქტი) სასამართლომ განმარტა:

9.2.1. პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები და მართებულად დააკვალიფიცირა მხარეთა შორის არსებული მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობები, რის შედეგადაც სასამართლო მივიდა სწორ გადაწყვეტილებამდე. ადვოკატმა სააპელაციო საჩივრით სადავოდ გახადა სამივე წერილობითი ხელშეკრულების ის პუნქტი, სადაც განმარტებულია ადვოკატისათვის, ამ უკანასკნელის მიერ განეული მომსახურების საზღაურად, კლიენტის მიერ ჰონორარის

გადახდის პროცედურები. აპელანტის ძირითადი პრეტენზია იმას ეხებოდა, რომ სასამართლომ შეთანხმების ზემოხსენებული პუნქტები არასწორად განმარტა, ვინაიდან ადვოკატისათვის გადასახდელი გასამრჯელო უნდა დაანგარიშებულიყო სასამართლო დავის შედეგად მოგებული თანხიდან და არა დავის საგნის ღირებულებიდან, ჰონორარის გადახდა კი უნდა მომხდარიყო კლიენტის პროცესუალური მონინაალმდევისათვის დაკისრებული თანხის ამოღებისთანავე რწმუნებულის (ადვოკატის) ანგარიშზე ჩარიცხვის გზით;

9.2.2. სასამართლოს შეფასებით, აპელანტის მტკიცება, რომ წარმომადგენლისათვის მომსახურების ანაზღაურება უნდა მოხდეს მხოლოდ მონინაალმდევე მხარისათვის თანხების გადასახდელად დაკისრებისა და ამ თანხის ამოღების შემდეგ, დაუსაბუთებელია და ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან, ადვოკატის მიერ კლიენტისათვის იურიდიული მომსახურების განევის ფაქტი სახეზეა და აღნიშნული სადავოდ არ გაუხდია მოპასუხეს (ადვოკატის კლიენტს), შესაბამისად, წარმომადგენლისათვის მის მიერ ფაქტობრივად განეული მომსახურების ანაზღაურება დამოკიდებული ვერ იქნებოდა კლიენტის პროცესუალური მონინაალმდევისათვის დაკისრებული თანხის ამოღებაზე. იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ კლიენტმა ადვოკატს შეუწყვიტა დავალის ხელშეკრულებები, სასამართლოს შეფასებით, მითითებული არგუმენტის გაზიარების საფუძველი მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 2.4.1. მუხლის გათვალისწინებით [მარწმუნებელს უფლება ჰქონდა იურიდიული მომსახურების სრულ დასრულებამდე ნებისმიერ დროს უარი ეთქვა ხელშეკრულებაზე, მაგრამ უნდა აენაზღაურებინა რწმუნებულის მიერ შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი], არ არსებობდა, მით უმეტეს, როდესაც უდავოა, რომ ადვოკატისაგან (მოსარჩელისგან) კლიენტმა (მოპასუხემ) მიიღო გარკვეული მომსახურება. ამ კონტექსტში სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება, რომ მხარეთა შორის არსებული შეთანხმებები სსკ-ის 90-ე და 93-ე მუხლების საფუძველზე წარმომადგენდა პირობადადებულ გარიგებებს და განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან, ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების დადგომას ადგილი არ ჰქონია, ის ძალადაკარგულად ითვლებოდა;

9.2.3. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, საქმეში წარდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით უსაფუძველო იყო აპელანტის მტკიცება, რომ ადვოკატის მომსახურების ხარჯები უნდა ანაზღაურებულიყო მხოლოდ პროცესუალური მონინაალმდევისათვის დაკისრებული თანხის ამოღების შემთხვევაში.

9.3. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტის პრეტენზია, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის საგანსაც წარმოადგენდა იურიდიული მომსახურების გაწევა შპს „ჩ-ის“ წინააღმდეგ წარმოებულ დავაში (იხ. ამ გადაწყვეტილების 1.1.3 და 2.3 ქვეპუნქტები), არ უნდა მიჩნეულიყო ნამდვილად, ვინაიდან ხელშეკრულებაზე არ იყო მითითებული თარიღი. სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებულ ხელშეკრულებაზე თარიღის არარსებობა ვერ გახდებოდა ამ ხელშეკრულების საფუძველზე ადვოკატის მიერ გაწეული იურიდიული მომსახურების ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან ხელშეკრულებით ცალსახად დგინდებოდა, რომ კლიენტისათვის ადვოკატს იურიდიული მომსახურება უნდა გაენია „შპს ჩ-ის“ წინააღმდეგ დავაში, შესაბამისად, ხელშეკრულებაზე თარიღის მიუთითებლობა არ წარმოადგენდა მხარეთა მიერ გამოხატული ნების ექვექცემ დაყენების საფუძველს;

9.4. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა შეგებებული მოსარჩელისათვის ზიანის ანაზღაურების თაობაზე უარის თქმის ნაწილშიც: სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულელებელი გარემოება. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად კი, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. იმისათვის, რომ მხარეს დაეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, უნდა გამოიკვეთოს შემდეგი პირობები: უნდა არსებობდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება; სახეზე უნდა იყოს ზიანი; უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგსა (ზიანს) და მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას შორის; ზიანის მიმყენებელს უნდა მიუძღოდეს ბრალი. განსახილველ შემთხვევაში, შეგებებული სარჩელის ავტორმა (ადვოკატის კლიენტმა) სათანადო მტკიცებულებების წარდგენით ვერ დაადასტურა მისთვის ზიანის მიყენების ფაქტი და ზემოთ მითითებული პირობების არსებობა, რის გამოც მართებულად ეთქვა უარი შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

9.5. თბილისის სააპელაციო სასამართლომ დასკვნის სახით განმარტა, რომ აპელანტმა ვერ უზრუნველყო გასაჩივრებული გადაწყვეტილების საპირისპიროდ შესაბამისი მტკიცებულებებით გამყარებული დასაბუთებული პრეტენზიის წარმოდგენა. ის დასაბუთება, რაც აპელანტმა შესთავაზა სასამართლოს, არ იძლეოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის

2015 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმებისათვის საკმარის საფუძველს. ამასთან, აპელანტმა ვერ უზრუნველყო შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად შესაბამისი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა, რის გამოც არ არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობა (იხ. სააპელაციო სასამართლოს განჩინება).

10. მოპასუხის საკასაციო საჩივარი

10.1. მოპასუხემ (ადვოკატის კლიენტმა) საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განჩინება და მისი ნაწილობრივ გაუქმება მოითხოვა, კერძოდ – ძირითადი მოსარჩელის (ადვოკატის) ნაწილობრივ დაკმაყოფილებული სარჩელის უარყოფა შემდეგ საკასაციო პრეტენზიებზე დაყრდნობით:

10.1.1. სასამართლომ არასწორად შეაფასა საადვოკატო მომსახურების ღირებულება, საქმეზე წარდგენილი ე.წ. წერილობითი ხელშეკრულებების 2.2.3, 2.2.4. და 2.4.1 ქვეპუნქტების მიხედვით. თუკი სააპელაციო სასამართლო წარმოდგენილ ე.წ. ხელშეკრულებებს ნამდვილად მიიჩნევდა, მაშინ ამ ე.წ. ხელშეკრულების 2.2.4. ქვეპუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, ისინი პირობით გარიგებად უნდა ჩაეთვალა ადვოკატის მომსახურების ღირებულების ანაზღაურების ნაწილში, რაც უცხო არ არის ამ სახის ხელშეკრულებისათვის და ანაზღაურების საკითხიც ამავე პუნქტის დათქმის შესაბამისად უნდა გადაეწყვიტა; ე.წ. ხელშეკრულების 2.2.3 ქვეპუნქტი რწმუნებულს (კლიენტს) უფლებას ანიჭებდა, ცალმხრივად შეეწყვიტა წარმომადგენელთან, ხოლო 2.4.1. ქვეპუნქტი თითოეულ ინსტანციაში წარმომადგენლის მონაწილეობის პრინციპიდან გამომდინარე წყვეტდა ამ უკანასკნელის ანაზღაურების საკითხს; სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა ამავე საქმეებზე სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ადვოკატის მომსახურების ანაზღაურებაზე უარის თქმის, ერთ შემთხვევაში კი, მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ და ამ ფაქტის მიმართ ადვოკატის (ძირითადი მოსარჩელის) დამოკიდებულება, რომელიც იმთავითვე შეეგუა იმას, რომ მისი მომსახურების ღირებულება ანაზღაურებული არ იქნებოდა და კანონით დადგენილ დროში არ გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილებები (სსსკ-ის 261-ე მუხლი);

10.1.2. სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნა ადვოკატის მომსახურების თანხების განსაზღვრის გონივრულობის თაობაზე;

10.1.3. სსკ-ის 68-ე მუხლი, 69-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები განსაზღვრავენ, რომ გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კა-

ნონით დადგენილი ფორმის დაცვა, რომ იგი შეიძლება დაიდოს, როგორც წერილობით, ისე – ზეპირად, ხოლო წერილობითი გარიგების დადებისას, საჭიროა გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერა. ამავე კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება. სააპელაციო სასამართლომ ამ ნორმათა დანაწესის უგულვებლყოფით, ნამდვილად მიიჩნია მოსარჩელის მიერ წარდგენილი ე.წ. ხელშეკრულებები, მიუხედავად იმისა, რომ ზოგზე არ იყო შესრულებული მარწმუნებლის ხელმოწერა, ანუ – არ იყო გამოხატული მისი ნება ე.წ. ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების ოდენობასთან დაკავშირებით, ზოგზე არ იყო მითითებული თარიღი და სხვ. ასეთ შემთხვევაში ნაცვლად იმისა, რომ ეს ე.წ. გარიგებები ბათილად მიეჩნია, ისინი ნამდვილად ცნო, თუმცა, სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების საკითხი ამ ე.წ. ხელშეკრულებაში მითითებული პირობის შესაბამისად არ გადანყვიტა და სულ სხვა შინაარსით დატვირთა ე.წ. ხელშეკრულებები ადვოკატის ჰონორარის ანაზღაურების ნაწილში;

10.1.4 სსკ-ის 710-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო მხოლოდ ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ამ ნორმაში მითითებული გარემოება, რომ მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო მხოლოდ ხელშეკრულებით, იმას გულისხმობს, რომ გადახდა უნდა მოხდეს ამ ხელშეკრულებაში მითითებული პირობების შესაბამისად. ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ის სამი წერილობითი ე.წ. ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების ღირებულების გადახდის შესახებ, თუ მათ სასამართლო ბათილად არ ჩათვლიდა, მაშინ მომსახურების ღირებულების ანაზღაურების საკითხიც ამ ე.წ. ხელშეკრულებათა მოთხოვნის მტკიცე დაცვით უნდა განეხორციელებინა. საქმეში წარდგენილი ე.წ. ხელშეკრულებით კი უდავოდაა დადგენილი, რომ მომსახურების ღირებულების ანაზღაურება წინასწარ არ მოხდება. მომსახურების ანაზღაურება მოხდება საქმის განხილვის დასრულების შემდეგ. მოპასუხეზე დაკისრებული თანხის ამოღებისთანავე რწმუნებულის ანგარიშზე ჩარიცხვის გზით (2.2.4 ქვეპუნქტი). ამგვარი შინაარსით იყო დატვირთული ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ შვიდივე ეპიზოდში, მათ შორის – ოთხი ზეპირი, იმ განსხვავებით, რომ სხვადასხვა საქმეზე მომსახურების ანაზღაურება სხვადასხვა ოდენობით მოხდებოდა, რაც უდავოდ მონიშნავს იმას, რომ ეს ე.წ. ხელშეკრულებები პირობითი ხასიათის იყო;

10.1.5. სსკ-ის 90-ე მუხლის შესაბამისად, პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების დადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა ამ მოვლენის დადგომისთანავე. ამავე კოდექსის 93-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გარიგება დადებულია იმ პირობით, რომ რაიმე მოვლენა დადგება განსაზღვრულ ვადაში, მაშინ პირობა ძალადაკარგულად ითვლება, თუკი ეს ვადა გავა და მოვლენა არ დადგება. კასატორის მტკიცებით, ე.წ. ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანხები გადასახდელად არასდროს არ დაკისრებია სადავო საქმეზე მონინაალმდეგე მხარეს, ანუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა არც ერთ შემთხვევაში არ დამდგარა, აქედან გამომდინარე, შეპირებამ მომსახურების თანხების ანაზღაურებაზე, თავისთავად, ძალა დაკარგა და რწმუნებულს მარწმუნებულისათვის რაიმე თანხის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ წარმოეშობა, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება სასყიდლიანი იყო, მაგრამ პოზიტიური პირობით, რომელიც არ დადგა იმიტომ, რომ სასამართლოთა გადაწყვეტილებებით მონინაალმდეგე მხარეს, გარდა ერთი შემთხვევისა, ადვოკატის მომსახურების ხარჯების ანაზღაურება არასდროს დაკისრებია. აღნიშნული წერილობითი ქვაზი-ხელშეკრულებები სწორედ ამისთვის იდებოდა, რომ მონინაალმდეგე მხარეს დაჰკისრებოდა ადვოკატის მომსახურების თანხების ანაზღაურება და სწორედ მონინაალმდეგისათვის დაკისრებული ადვოკატის მომსახურების ხარჯებით მომხდარიყო ადვოკატის შრომის ანაზღაურება;

10.1.6. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ უპირობოდ გაიზიარა მოპასუხის (კლიენტის) წარმომადგენლის განმარტება დაზუსტებული სარჩელით ოთხ საქმეზე ადვოკატის მომსახურების ღირებულების ანაზღაურების ოდენობის შესახებ (ამ შემთხვევაში არ გაიზიარა მოსარჩელის მითითებები მომსახურების ღირებულების ოდენობის ნაწილში), მაგრამ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია ასეთი ხელშეკრულებების პირობადადებულ გარიგებებზე მიჩნევის შესახებ და არაფერი მიუთითა, თუ რატომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია ანაზღაურების ოდენობის თაობაზე და რატომ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია. კასატორს არასდროს უარუყვია, რომ ადვოკატის მომსახურება ფასიანი იყო, თუმცა, დავალების ხელშეკრულება შეიძლება უსასყიდლოდაც დაიდოს, მაგრამ იგი იყო პირობადადებული. მომსახურების საფასურის გადახდა პირდაპირ უკავშირდებოდა საქმის არა მარტო მოგებით დამთავრებას, არამედ – მოპასუხისათვის მომსახურების თანხების გადასახდელად დაკისრებას და ამ თანხების ამოღებას, რაც არც ერთ შემ-

თხვევაში არ დამდგარა, რის გამოც შეპირებამ მომსახურების ანაზღაურების შესახებ, თავისთავად ძალა დაკარგა;

10.1.7. იმის გასაქარწყლებლად, რომ ადვოკატის მომსახურების ასანაზღაურებელ თანხად ერთ კონკრეტულ საქმეში, რომელიც თავისი შინაარსით მეტად მარტივია, მარწმუნებელზე 83 013 ლარის დაკისრება არაგონივრულია, კასატორი უთითებს №3კ-509-03, 21.05.2003წ. საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან, სადაც განიმარტა სსსკ-ის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილი და აღნიშნა ადვოკატის მომსახურების საზღაურად დავის საგნის ღირებულების 4%-ის გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როცა წარმომადგენელი სახელმწიფო ხარჯზე მონაწილეობს სასამართლო განხილვაში და ისიც მაშინ, თუ განსახილველი საქმე რთული და მნიშვნელოვანია. სხვა შემთხვევაში მომსახურების ხარჯების ანაზღაურება ხდება საქმის სირთულესთან გონივრულ შესაბამისობაში. მართალია, ადვოკატის მომსახურების ხარჯების ოდენობას და გადასახდელად მონინალმდეგე მხარისათვის დაკისრების საკითხს საპროცესო კანონმდებლობა არეგულირებს, ხოლო ადვოკატის მომსახურების სასყიდლიანობის საკითხი სამოქალაქო მატერიალური კანონმდებლობით რეგულირდება და მომსახურების ღირებულების განსაზღვრისათვის მნიშვნელოვან აქვს მხარესა და იურიდიული დახმარების გამწვევს შორის დადებულ ხელშეკრულებას, მაგრამ ამ ნორმის სასამართლოსეული განმარტება და მითითება იმაზე, რომ სხვა შემთხვევაში მომსახურების ხარჯების ანაზღაურება ხდება საქმის სირთულესთან გონივრულ შესაბამისობაში. ამ კრიტერიუმების გაუთვალისწინებლად დადებული ხელშეკრულება ბათილია, სსკ-ის 54-ე მუხლის შესაბამისად, „ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს და ზნეობის ნორმებს“. უზენაესმა სასამართლომ საქმე №ას-792-1114-07, 11.02.2008წ. მიუთითა, რომ ვინაიდან ადვოკატისათვის განეული ხარჯები წარმოადგენს სასამართლოს გარეშე ხარჯებს, ამგვარი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილ ფაქტობრივად განეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულების საფუძველზე. ამგვარი მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მხარის მოთხოვნის საფუძველზე, თვითონაც შეუძლია გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობა. კასატორის მოსაზრებით, საკასაციო სასამართლომ მოხმობილი საქმის მაგალითზე ხაზი გაუსვა საადვოკატო ანაზღაურების ოდენობის გონივრულობას და ფაქტობრივად განეული სამუშაოების შესახებ არსებული მტკიცებულებების შესაბამისად გადანყვე-

ტის აუცილებლობას;

10.1.8. კასატორს მიაჩნია, რომ ქვემდგომი ინსტანციების სასამართლოების პოზიციის გაზიარების შემთხვევაშიც, მხარეთა შორის წერილობით დადებული სამი, ხოლო ზეპირად – ოთხი ხელშეკრულების ნამდვილობის პირობებშიც კი, მოპასუხეს ადვოკატის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის ჰონორარის სახით გადასახდელად შეიძლებოდა დაჰკისრებოდა 35 404 ლარი+1580 ლარი+15578 ლარი+203 დოლარი+1353+2000 დოლარი+660=54575 ლარი და 2203 დოლარი, რომელსაც უნდა გამოაკლდეს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის გადახდილი 34 082 ლარი და ამ გაანგარიშებით, საბოლოოდ ძირითადო მოსარჩელისათვის გადასახდელი დარჩებოდა 20 493 ლარი და 2203 დოლარი, თუმცა, ძირითადი საკასაციო პრეტენზიების გათვალისწინებით, ესეც უკანონო იქნებოდა.

11. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

11.1. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 აპრილის განჩინებით საკასაციო განაცხადი წარმოებაშია მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად, ხოლო ამავე სასამართლოს 2017 წლის 13 აპრილის განჩინებით, მოპასუხის (კლიენტის) საკასაციო განაცხადი დასაშვებად იქნა მიჩნეული სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს მხარეთა განმარტებების შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზება-შეჯერების, საქმის არსებითად განხილვის შედეგად მიაჩნია, რომ მოპასუხის საკასაციო პრეტენზიათა ნაწილი დასაბუთებულია და ისინი გაზიარებული უნდა იქნეს, რაც საფუძველად დაედო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმებას და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული ახალი გადაწყვეტილების საფუძველზე, საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილებას, მოსარჩელის სასარგებლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილებული სარჩელის ნაწილობრივ გაუქმებისა და შეცვლის ნაწილში შემდეგი მოტივაციით:

12. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თა-

ნახმად, სააკელიაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

13. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81; Hirvisaari v. Finland, §32).

14. საკასაციო სასამართლო, უწინარესად, იმას აღნიშნავს, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა მართებულად განსაზღვრეს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, მის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურების სანაცვლოდ გასამრჯელოს (ჰონორარის) მიღებაზე გამომდინარეობს სსკ-ის 709-ე და მომდევნო მუხლებიდან, რაც დავალების ხელშეკრულების საფუძველზე რწმუნებულსა და მარწმუნებელს შორის ურთიერთობებს ასახავს;

14.1. თავის მხრივ, მოპასუხე (კასატორი) ხანდაზმულობის შესაგებელს არ უპირისპირებს სარჩელს, თუმცა, მიაჩნია, რომ მოსარჩელეს არ წარმოშობია ჰონორარის მოთხოვნის უფლება და ამ კონტექსტში რამდენიმე საფუძველზე უთითებს: 1. სამი წერილობითი ხელშეკრულებიდან, ერთზე არ არის ორივე მხარის ხელმოწერა და ის მხოლოდ მხარეთა შორის მიმდინარე მოლაპარაკების შედეგად შემუშავებული ერთ-ერთი, თუმცა, ხელმოწერილი ვარიანტია; ერთ ხელშეკრულებაზე კი არ არის მითითებული თარიღი; 2. იმ დაშვებითაც, რომ წერილობითი ხელშეკრულებები ნამდვილია, კასატორს მიაჩნია, რომ მოსარჩელეს არ წარმოშობია გასამრჯელოს (ჰონორარის) მოთხოვნის უფლება, რადგან სასამართლომ არასათანადოდ განმარტა ხელშეკრულებათა 2.2.3, 2.2.4, და 2.4.1 პუნქტები, რომლებიც პირობადადებული გარიგებებია და პირობის არ დადგომის გამო, ვადის გასვლით, ხელშეკრულებები შეწყდა, რის გამოც, კლიენტს (მოპასუხეს) არ ეკისრება ადვოკატი-სათვის (მოსარჩელისათვის) ჰონორარის ანაზღაურება;

14.2. კასატორი დავობს ჰონორარის ოდენობის განსაზღვრის გონივრულობაზე და უთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსზე, საკასაციო სასამართლოს პრაქტიკაზე და, საადვოკატო (იურიდიული მომსახურების) ხელშეკრულებების სასამართლოს მიერ ნამდვილად მიჩნევის შემთხვევაში, ალტერნატივის სახით, საკუთარ

განგარიშებას წარმოადგენს ადვოკატის სასარგებლოდ ჰონორარის დაკისრების შემთხვევაში (იხ. 10.1.8 ქვეპუნქტი).

15. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 69.1 მუხლის საფუძველზე გარიგება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობით, ხოლო, რადგან განსახილველ შემთხვევაში სადავო არაა, რომ საადვოკატო მომსახურების სანაცვლოდ მისაღებ ანაზღაურებაზეა საუბარი, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მხარეთა შორის სადავო სამართალურთიერთობა საადვოკატო ხელშეკრულებიდან (რომელიც მოცემულ შემთხვევაში ზოგჯერ იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებადაც არის მოხსენიებული, ალტერნატივის სახით, რადგან ამჟამად არ არის საადვოკატო და იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებების ცნების გამიჯვნის საჭიროება) გამომდინარეობს და ამიტომ, დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების გარდა, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 19.1 მუხლსაც მოიხმობს, რომელიც არ ადგენს საადვოკატო მომსახურებისათვის წერილობითი ხელშეკრულების გაფორმების სავალდებულობას, თუმცა, დასახელებული სპეციალური კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ადვოკატს ავალდებულებს, კლიენტს დროულად მიაწოდოს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი (ანუ კლიენტის) საქმის წარმოებასთან.

15.1. საკასაციო სასამართლო სავსებით იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობასა და დასკვნებს, რომ მხარეთა შორის სამ შემთხვევაში წერილობით გაფორმებული ხელშეკრულება (მიუხედავად ცალკეული რეკვიზიტის თუ მხარის ხელმოწერის არქონისა), ასევე, ზეპირი შეთანხმებები ადასტურებს ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობას შვიდ სასამართლო საქმეზე, რაც ეჭვქვეშ იმ საფუძველზეა ვერ დადგება, რომ შვიდივე შემთხვევაში ზეპირი ხელშეკრულებაც რომ ყოფილიყო, საქმის მასალებშია მტკიცებულებები (არაერთი სასამართლო თუ სხვა საპროცესო აქტის /სარჩელი, შესაგებელი/ სახით), რომელთა საფუძველზე უდავოა, რომ განსახილველ საქმეზე მოსარჩელე (ადვოკატი) საადვოკატო მომსახურებას უწევდა მოპასუხეს (კლიენტს), ამიტომ ამ უკანასკნელის მტკიცება ხელშეკრულებების არანამდვილობასთან დაკავშირებით დაუსაბუთებელია, ისევე, როგორც იმის მტკიცება, რომ კლიენტს, მხოლოდ დავის წარმატებით დასრულების შემთხვევაში უნდა გადაეხადა გასამრჯელო (ჰონორარი) ადვოკატისათვის;

15.2. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოები მართებულად აღნიშნავენ, რომ საადვოკატო მომსახურება არ არის უსასყიდლო. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ე.წ. პრო ბონო ანუ უსას-

ყიდლო მომსახურება (რაც ასევე განსხვავდება, სახელმწიფოს ხარჯზე ცალკეული სემინტის პირთათვის განეული უფასო იურიდიული დახმარებისაგან) იმ პროფესიული სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილია, რომელიც მიღებული და დამკვიდრებულია, როგორც ევროგაერთიანების წევრი ქვეყნების საადვოკატო ბიუროების, ისე – აშშ-ის იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელთა კერძო საადვოკატო პრაქტიკაში და არა მხოლოდ სოციალურად დაუცველ პირთა იურიდიულ მომსახურებას მოიცავს, არამედ იდეალური მიზნების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივ მხარდაჭერასაც.

16. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების დასკვნებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, წერილობითი თუ ზეპირი ფორმით შეთანხმდნენ ადვოკატი და კლიენტი საადვოკატო მომსახურებაზე, კლიენტს ეკისრება ადვოკატის მიერ განეული იურიდიული მომსახურების ანაზღაურება. საკასაციო სასამართლო, უწინარესად, იმსჯელებს მხარეთა შორის ხელმოწერილი სამი ხელშეკრულების კონკრეტულ პუნქტებზე, რომლებშიც სსკ-ის 319-ე და 327-ე მუხლების საფუძველზე აისახა ადვოკატის სამუშაო და მისი ანაზღაურება, შეაფასებს მხარეთა ნების გამოვლენის გონივრულობას, შეთანხმების მიღწევისას იმ დანაწესის გათვალისწინებით, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის (იხ. მე-15 პუნქტი) მოწესრიგებიდან გამომდინარე, ადვოკატს ეკისრება კლიენტის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით, ამ უკანასკნელისათვის ყველა ფინანსური ვალდებულების /რომელიც სასამართლო ხარჯების გარდა, ადვოკატისათვის გადასახდელ ჰონორარსაც მოიცავს/ შესახებ ინფორმაციის დროულად და კვალიფიციურად მიწოდება, რაც კერძოსამართლებრივი გარიგების მონაწილე კონტაქტითა იმთავითვე პრეზუმირებული კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარეობს (სსკ-ის 8.3 მუხლი).

16.1. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საადვოკატო მომსახურების ჰონორარის (გასამრჯელოს) ოდენობის შესახებ რაიმე მოწესრიგებას „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი ან ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი (დამტკიცებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ 2006 წლის 15 აპრილს) არ შეიცავს. ამაზე ყურადღების გამახვილება სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია იმის გათვალისწინებით, რომ მაგალითად, ევროგაერთიანების ადვოკატთა (CCBE) ქვეყნის მოდელური კოდექსი, რომელიც სახელმძღვანელოა ევროგაერთიანებისა და ევროპის ეკონომიკური სივრცის ადვოკატთათვის, აწესრიგებს ჰონორარის საკითხს, კერძოდ, 3.4 პუნქტით დადგენილია, რომ

3.4.1. ადვოკატის მიერ მოთხოვნილი ჰონორარი სრულად უნდა გაუმჟღავნდეს კლიენტს და უნდა იყოს სამართლიანი და ზომიერი.

3.4.2. ადვოკატსა და კლიენტს შორის სხვაგვარი შეთანხმების არსებობის გარდა, ადვოკატის მიერ მოთხოვნილი ჰონორარი ექვემდებარება რეგულირებას იმ ადვოკატურისა თუ იურიდიული საზოგადოების წესების შესაბამისად, რომელსაც ადვოკატი მიეკუთვნება. საკასაციო სასამართლო ისევ ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 3.3 მუხლს მოიხმობს, რომელიც უკრძალავს ადვოკატს აწარმოოს ე.წ. Pactum Quota de Litis (3.3.1 ქვეპუნქტი), რაც ნიშნავს 3.3.2. შეთანხმებას ადვოკატსა და კლიენტს შორის, რომელიც დადებულია იმ საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე, რომელშიც კლიენტი ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს და რომლის საფუძველზე კლიენტი იღებს ვალდებულებას ადვოკატს გადასცეს წილი საქმის შედეგიდან, მიუხედავად იმისა, თუ წილი თანხას ან სხვა სარგებელს წარმოადგენს, რომელსაც კლიენტი საქმის გადაწყვეტისას მიიღებს. 3.3.3 Pactum Quota de Litis არ მოიცავს შეთანხმებას, რომლის თანახმად, ჰონორარი გამოიანგარიშება ადვოკატის მიერ აღებული საქმის ღირებულების საფუძველზე, ოფიციალურად დამტკიცებული ჰონორარების სისტემის ან ადვოკატზე იურისდიქციის მქონე კომპეტენტური ორგანოს კონტროლის ქვეშ (http://www.ccbe.eu/NTCdocument/EN_CCBE_CoCpdf1_1382973057.pdf).

16.2. განსახილველ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არ არის საკანონმდებლო წესით მოწესრიგებული ადვოკატის მიერ ჰონორარის, მათ შორის წარმატების ჰონორარის (რაც ზოგიერთ ქვეყანაში აკრძალული იყო და მოგვიანებით იქნა დაშვებული, ზოგან კი დღესაც ზუსტად რეგლამენტირებული წესით გამონაკლისის სახით დაიშვება) გამოანგარიშების საკითხი, სასამართლომ მხარეთა შორის ხელმოწერილი სამი ხელშეკრულების სადავო პუნქტების (2.2.3, 2.2.4 და 2.4.1) განმარტების, ანუ მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების გონივრულობისა და დადგენილი გასამრჯელოს სამართლიანობის შეფასების გზით უნდა იმსჯელოს თითოეულ ხელშეკრულებაზე.

17. საკასაციო სასამართლო მხარეთა შორის ხელმოწერილი სამი ხელშეკრულების შესახებ მსჯელობისას, უწინარესად, იმას აღნიშნავს, თუ რა წესით შეთანხმდა ადვოკატისათვის კლიენტის მიერ ჰონორარის (გასამრჯელოს) ანაზღაურება, ამასთან, ეს საზღაური, თავისი არსით ჰონორარი იყო, თუ წარმატების ჰონორარი, რომელიც, ადვოკატისათვის უკვე გადახდილი გასამრჯელოს გარდა, დავის წარმატებით დასრულებისათვის /რაც არა მხოლოდ მხარის სასარგებლოდ მიღებულ გადაწყვეტილებაში გამოიხატება, არამედ-მოდავე მხარეთა მორიგებაშიც/ დამატებით თანხის გადახ-

დას გულისხმობს, რომელიც, როგორც წერილობითი ხელშეკრულებებიდან ირკვევა, ერთ შემთხვევაში მოგებული თანხის 4%-ით განისაზღვრებოდა, ხოლო ორ შემთხვევაში – დავის საგნის ღირებულების 4%-ით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მხარეები ადვოკატის გასამრჯელოზე (მომსახურების საზღაურზე) შეთანხმდნენ და არა წარმატების ჰონორარზე. მანამ, სანამ ჰონორარის გამომანგარიშების წესზე და მის გონივრულობაზე იმსჯელებს საკასაციო სასამართლო, კასატორის პრეტენზიას უპასუხებს და განმარტავს, რომ ადვოკატთან წერილობით გაფორმებული სამივე ხელშეკრულების 2.2.4 პუნქტის შინაარსი: „თანხის გადახდა უნდა მომხდარიყო ადვოკატის კლიენტის სასარგებლოდ მოპასუხისათვის დაკისრებული თანხის ამოღებისთანავე რწმუნებულის ანგარიშზე ჩარიცხვის გზით“ (იხ. ამ გადაწყვეტილების 1.1.1-1.1.3 ქვეპუნქტები) არ წარმოადგენს პირობადადებულ გარიგებას სსკ-ის 90-ე მუხლის თანახმად, რადგან საადვოკატო ჰონორარის ანაზღაურების კლიენტის ნებაზე დამოკიდებულ პირობად (სსკ-ის 92-ე მუხლი) ან პოზიტიურ პირობად (სსკ-ის 93.1 მუხლი) განმარტება სრულიად არაგონივრული, უსამართლო და სამოქალაქო ბრუნვის დამაზიანებელი იქნებოდა;

17.1. ადვოკატ-კლიენტს შორის ხელმოწერილი სამი ხელშეკრულების ზემოხსენებული 2.2.4 ქვეპუნქტში ასახული შეთანხმების განმარტებისას, შესაძლებელია აღინიშნოს, რომ ის ადვოკატის უფლებას კი არ ადგენს ჰონორარის მოთხოვნაზე /რადგან განუვლი მომსახურების სანაცვლოდ, ცხადია, რომ ადვოკატმა უნდა მიიღოს გასამრჯელო/, არამედ, შესაძლოა გასამრჯელოს გადახდის ვადამოსულობაზე მიუთითებდეს. განსახილველ შემთხვევაში, წერილობით ხელშეკრულებებში ასახული 2.2.4 პუნქტის განმარტებისას, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით დადგენილ საადვოკატო საქმიანობის პრინციპებს შორისაა: „ა) საადვოკატო საქმიანობის კანონიერება“; „ე) ადვოკატის მიერ კლიენტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და პატივისცემა“, „თ) ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა“. აღნიშნულზე მითითებისას, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადვოკატი, როგორც პროფესიონალი, კლიენტთან გაფორმებული იურიდიული (საადვოკატო) მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, ცხადია, კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში სამართლებრივად იბოჭება იმ შეთანხმებით, რომლის ძირითადი პირობების შემთავაზებელი თვითონვეა. კერძო საადვოკატო პრაქტიკის მქონე ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობა (სახელმწიფოს ხარჯზე განხორციელებული სავალდებულო დაცვისაგან განსხვავებით) იმასაც მოიცავს, რომ საკუთარი

სურვილით დათანხმდეს ან არ დათანხმდეს კონკრეტული კლიენტის საქმეზე მუშაობას, თუმცა, მისი პროფესიული დამოუკიდებლობა და თავისუფლება შემოფარგლულია კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით (იხ. „ადვოკატთა შესახებ“ კანონის პირველი მუხლის მეორე ნაწილი), ხოლო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (შემდეგში: აპეკ-ი) 8.8 მუხლი ავალდებულებს ადვოკატს, რომ მისი საქმიანობის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის, რაც სსკ-ის 8.3 მუხლით კერძოსამართლებრივი ურთიერთობისას მხარეთა კეთილსინდისიერების პრინციპის გამოხატულებაა პროფესიული ეთიკური ვალდებულების ქრილში; აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების რომელიმე არსებითი პირობის დაუზუსტებლობა, ბუნდოვანება ადვოკატის სამართლებრივი რისკია, რაც ამ შემთხვევაში, სამ სხვადასხვა ხელშეკრულებაში გამოვლინდა კლიენტთან შეთანხმებულ ანაზღაურებასთან დაკავშირებით. მხარეთა შორის სადავოდ ქცეული 2.2.4 პუნქტის ჩანაწერი არ აზუსტებს ადვოკატი ჰონორარზე, თუ წარმატების ჰონორარზე შეთანხმდა კლიენტთან, ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ კლიენტს ადვოკატისათვის გადახდილი აქვს ჯამში 34 083 ლარი. ადვოკატს მიაჩნია, რომ 2.2.4 პუნქტით კლიენტს შეუთანხმდა გასამრჯელოზე განუყოფელი მომსახურებისათვის, ხოლო კლიენტის განმარტებით, მხოლოდ დავის მის სასარგებლოდ (მოგებით, გამარჯვებით) დასრულების შემთხვევაში წარმოეშობოდა ადვოკატს საზღაურის მოთხოვნის უფლება, რაც, ცალკეულ შემთხვევაში, წარმატების ჰონორარზე შეთანხმებადაც შეიძლება განიმარტოს, თუმცა, არა ამ შემთხვევაში, რაზედაც ქვემოთ მითითებულია;

17.2. განსახილველ შემთხვევაში ხელშეკრულების ორივე მხარის სამართლიანი ინტერესის შეფასებაა მნიშვნელოვანი, თუმცა, საკასაციო სასამართლოს არც იმგვარი ვარაუდის საფუძველი აქვს, რომ ადვოკატის სურვილი იქნებოდა თავის თავზე ეტვირთა მისაღები ჰონორარის (გასამრჯელოს) გადახდის სურვილთან ან გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებული ის რისკები, რომელსაც, როგორც წესი, მისი კლიენტის მოვალე (საპროცესო მონინაალმდეგე) ატარებს. სადავო 2.2.4 პუნქტის კასატორისეული ვერსიის გაზიარების შემთხვევაში, თუკი ეს უკანასკნელი ნააგებდა დავას, არ ეკისრებოდა ადვოკატისათვის გასამრჯელოს გადახდის ვალდებულება, ხოლო, თუ მოიგებდა საქმეს, მაგრამ მისი პროცესუალური მონინაალმდეგე (დავაში დამარცხებული მხარე) არ გადაიხდიდა სასამართლო დავის შედეგად მოსარჩელის (კლიენტის) სასარგებლოდ თანხას, მაშინ ამ ვითარებაშიც არ ექნებოდა ამ უკანას-

კნელს ადვოკატისათვის მომსახურების სანაცვლო ანაზღაურების გადახდის ვალდებულება. აქედან გამომდინარე, სამი წერილობითი ხელშეკრულების 2.2.4 პუნქტის შინაარსის კასატორისეული ინტერპრეტაციის შემთხვევაში, ვერასდროს დადგება ჰონორარის გადახდის ვადამოსულობა. ცხადია, რომ საკასაციო სასამართლოს სრულიად დაუსაბუთებელ და უსუსურ არგუმენტად მიაჩნია კასატორის ის პოზიცია, რომ ეს ქვაზი-ხელშეკრულებები მხოლოდ იმიტომ იდებოდა, რომ კლიენტის პროცესუალური მონინალმდეგისათვის მომხდარიყო სასამართლო დავის წარმატებით დასრულების შემდეგ თანხების დაკისრება და ამგვარად ანაზღაურდებოდა ადვოკატის გასამრჯელო. საკასაციო სასამართლო არა მართო სამართლებრივად უვარგისად, არამედ – არამართლობიერადაც აფასებს მხარის ამგვარ განმარტებას;

17.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ხელშეკრულების მხარეებს არ გაუცნობიერებიათ ბოლომდე ჰონორარის გადახდის წესი, რადგან სრულიად აშკარაა, რომ შეუძლებელია ადვოკატის ინტერესში შედიოდეს ჰონორარის გადახდის დაკავშირება კლიენტის პროცესუალური მონინალმდეგისაგან თანხის ამოღებასთან. სსკ-ის 52-ე მუხლის „ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მართკოოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან“, საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება დამოკიდებულია კრედიტორის ნებაზე და, შესაბამისად, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ მოგებული მხარე უფლებამოსილია, მოურიგდეს პროცესუალურ მონინალმდეგს, ისევე, როგორც 10 წლის განმავლობაში, როდესაც მოისურვებს, მაშინ წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი, სრულიად ცხადია, რომ ადვოკატი დგება განუვლი მომსახურებისათვის გასამრჯელოს მიღების შეუძლებლობის რისკის წინაშე, რაც არ შეესაბამება ხელშეკრულების გონივრული განმარტების სტანდარტს; საკასაციო სასამართლოს დაუშვებლად მიაჩნია კასატორის აღნიშნული პრეტენზიის გაზიარება და ადვოკატისათვის გადასახდელი ჰონორარის მხოლოდ და მხოლოდ კლიენტის ნებაზე დამოკიდებულ საკითხად განხილვა, რაზედაც ადვოკატს არავითარი გავლენის მოხდენაც კი არ შეუძლია. აქედან გამომდინარე, ხელშეკრულების ორივე მხარის სამართლიანი ინტერესების შეფასებისას, საკასაციო სასამართლო მიმართავს ე.წ. გეგმის სანინალმდეგო/უნებლიე ხარვეზის გამოყენებას, რაც ხელშეკრულების დამატებითი და გონივრული განმარტებით მიიღწევა;

17.4. ერთ-ერთ საქმეზე გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებით განიმარტა: „მოსარჩელის მოთ-

ხოვნის უფლების არსებობა აგრეთვე ვერ დადგინდება ხელშეკრულების დამატებითი განმარტების გზით, ვინაიდან ხელშეკრულება არ შეიცავს გეგმის საწინააღმდეგო/უნებლიე ხარვეზს. მსგავსი ხარვეზი ხელშეკრულების პირობების განერისას სახეზეა, როდესაც მხარეებს გამორჩევათ ხელშეკრულების რომელიმე პუნქტი, ან შეგნებულად ღიად დატოვებენ მას, ვინაიდან ხელშეკრულების დადების მომენტში, არ მიიჩნიეს, რომ საჭირო იყო მისი განსაზღვრა, ხოლო მოგვიანებით აღმოჩნდება, რომ მათი ეს ვარაუდი არასწორია. ამასთან გეგმის საწინააღმდეგო/უნებლიე ხარვეზზე საუბრობენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება არ შეიცავს პუნქტს, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ მოხდეს მხარეთა იმ შეთანხმებული გეგმის განხორციელება, რომელიც საფუძვლად უდევს ამ პუნქტს, და რის გამოც ხელშეკრულების სრულყოფის გარეშეც ვერ მივიღებთ ჯეროვან, მხარეთა ინტერესების შესატყვის გამოსავალს.... აგრეთვე ხელშეკრულების სტანდარტული პირობები შეიძლება შეიცავდეს გეგმის საწინააღმდეგო/უნებლიე ხარვეზს და საჭიროებდეს ხელშეკრულების დამატებით განმარტებას..... ის, თუ რამდენად არის სახეზე გეგმის საწინააღმდეგო/უნებლიე ხარვეზი, ამის დადგენა შესაძლებელია ხელშეკრულების განმარტების გზით....“ (იხ. ამონარიდი გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებიდან 20.04.2017 – VII ZR 194/13 – NJW 2017, 2025). ხელშეკრულებაში მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების გონივრული და არა გამოთქმის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასამართლომ „ბოლომდე უნდა იფიქროს“ იმასთან დაკავშირებით, თუ სავარაუდოდ რა შეიძლებადა ყოფილიყო მხარეთა სურვილი. ამ კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება [10.11. 1999 – I ZR 183/97 – NJW 2000, 743]: „ხელშეკრულების დამატებით განმარტების არსი მდგომარეობს ხარვეზის შემცველი გარიგების მხარეთა ჰიპოთეტური სურვილის შესაბამისად განვრცობაში. ამასთან, სასამართლო უნდა ამოვიდეს იქიდან, თუ რაზე შეთანხმდებოდნენ მხარეები, როგორც კეთილსინდისიერი ხელშეკრულების მხარეები, კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით მათი ინტერესების ჯეროვანი შეჯერების პირობებში, თუ მათ არ გამორჩებოდათ ხელშეკრულების შესაბამისი პუნქტი. არსებული ხარვეზები უნდა შეივსოს ხელშეკრულების დამატებით განვრცობის გზით იმგვარად, რომ „ბოლომდე იყოს ნაფიქრი“ კონკრეტული ხელშეკრულების ძირითადი პუნქტები (Sdr. BGHZ 84, 1, 7; 90, 69, 77; 135, 387, 392). აქედან გამომდინარე, მხარეთა ჰიპოთეტური ნების გამორკვევისას ხელშეკრულების დანარჩენი შინაარსისა და ხელშეკრულების დადების მომენტში არ-

სებული სხვა გარემოებების პარალელურად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მხარეთა ფაქტობრივ ნებას, რამდენადაც შესაძლებელია მისი დადგენა....“.

17.5. ზემოხსენებულ პუნქტებში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადვოკატ-კლიენტს შორის ხელმოწერილი სამი წერილობითი ხელშეკრულების 2.2.4 პუნქტი ავალდებულებს კლიენტს გადაუხადოს ადვოკატს მის მიერ ფაქტობრივად განეული იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ გასამრჯელო, რომელიც სამართლიანად უნდა იყოს გამოიმუშავებული ადვოკატის მიერ. ამ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს მხარეთა სახელშეკრულებო ნების გამოვლენის თავისუფლების პრინციპს, თუმცა, კეთილსინდისიერების ფარგლებში კონტრაჰენტთა ქმედებებს, ერთმანეთისადმი ნაკისრი უფლება-მოვალეობების, ხელშეკრულებაში გამოვლენილი ფაქტობრივი ნების გონივრულობისა და სამართლიანობის შეფასების საფუძველზე მოახდენს;

18. საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს კასატორის პრეტენზიებს ადვოკატის მიერ ფაქტობრივად განეული დროისა და დახარჯული რესურსის შესატყვისად გამოიმუშავებული ჰონორარის გაანგარიშების თვალსაზრისით და ყოველ საქმეზე განიხილავს ადვოკატის მიერ თითოეულ სასამართლო ინსტანციაში განეული მომსახურების შესაბამისი ჰონორარის გადახდის კლიენტისათვის დაკისრების მართებულობასა და გონივრულობას:

18.1. წინამდებარე გადაწყვეტილების 7.4.1-7.4.6 ქვეპუნქტებში მითითებულ საქმეზე, იმის გათვალისწინებით, რომ მხარეები წერილობითი ხელშეკრულებით შეთანხმდნენ ადვოკატისათვის მომსახურების სანაცვლოდ მოგებული თანხის 4%-ის გადახდაზე, საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს საქალაქო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, რასაც სააპელაციო სასამართლოც დაეთანხმა და იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულება ითვალისწინებდა სამივე ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობას, რადგან ადვოკატმა კლიენტს ორი ინსტანციის სასამართლოში გაუნია მომსახურება, ხოლო მესამე ინსტანციის სასამართლოში კლიენტმა სხვა წარმომადგენელს მიანიჭა უფლებამოსილება, საკასაციო სასამართლოს სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დასაბუთებულად მიაჩნია და ადვოკატის სასარგებლოდ კლიენტს (კასატორს) აკისრებს მოგებული თანხის 4%-ის 2/3-ს ანუ 4762,13 ლარს, რაც ორი ინსტანციის სასამართლოში სამართლიანად გამოიმუშავა ადვოკატმა;

18.2. ამ გადაწყვეტილების 7.5-7.5.3 ქვეპუნქტებში დასახელებულ საქმესთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მხარეთა

შეთანხმების გონივრულობასთან დაკავშირებით დავის საგნის ღირებულების 4%-ის თაობაზე განმარტავს, რომ ამ შემთხვევაში ნაწილობრივ გასაზიარებელია კასატორის პოზიცია და მხარეთა შორის ხელმოწერილ შეთანხმებაში ასახული ნების გონივრული განმარტების შედეგად, დაუსაბუთებლად მიაჩნია, რომ კლიენტმა დადოს ხელშეკრულება, სადაც ადვოკატისათვის გადასახდელი ჰონორარის გამოანგარიშება დაეფუძნება დავის საგნის ღირებულებას, მისი ზედა ზღვარის დანესების გარეშე და მოცემულ შემთხვევაში მიაჩნია, რომ ორივე მხარისათვის სამართლიანი და გონივრული შეთანხმება იქნებოდა მოგებული თანხის 4%. საკასაციო სასამართლო, ცხადია, არ გამორიცხავს, ადვოკატ-კლიენტის შეთანხმებას იმგვარად, რომ დავის საგნის ღირებულების კონკრეტული პროცენტული ოდენობით იქნეს გაანგარიშებული ადვოკატისათვის გადასახდელი გასამრჯელო, თუმცა, მისი ზედა ზღვარის (ჩამკეტი ბარიერის) დაუდგენლად, შესაძლებელია იმგვარი ვითარების მიღება, როდესაც, მაგალითად დავის საგნის ღირებულებაა 500 000 ლარი, კლიენტი დათანხმდა ადვოკატს, გასამრჯელოს სახით გადაუხადოს დავის საგნის ღირებულების 4%, რაც 20 000 ლარია, ადვოკატის წარმომადგენლობითი საქმიანობის შედეგად, კლიენტმა ნაწილობრივ დაიკმაყოფილა მოთხოვნა და წარმატებას მიაღწია მხოლოდ 10 000 ლარის ნაწილში, თუმცა, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რადგან ზედა ჭერი არ განსაზღვრულა გასამრჯელოს შეთანხმებისას, კლიენტმა სასამართლო დავის შედეგად მოგებული 10 000 ლარის ნაწილში მიღწეული წარმატებისათვის, ჰონორარის სახით, 20 000 ლარი უნდა გადაუხადოს ადვოკატს, რაც არაგონივრულია. მართალია, განსახილველ შემთხვევაში, ასეთი მოცემულობა არ გვაქვს, თუმცა, სსსკ-ის იმ დანაწესის გათვალისწინებითაც, რომ გონივრულ ფარგლებში უნდა განისაზღვროს გადასახდელი გასამრჯელო, ასევე, აპეკ-ის 8.8 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ ნაწილში კასატორის პოზიცია ნაწილობრივ გასაზიარებელია. ადვოკატის მონაწილეობით ერთ სასამართლო ინსტანციაში, მისმა კლიენტმა აღძრული სარჩელით წარმატებას მიაღწია 2 655 302 ლარის ნაწილში, რომლის 4% შეადგენს 106,212,08 ლარს, ხოლო მისი 1/3 ნაწილი 35 404 ლარია, რა ნაწილშიც დასაბუთებულად უნდა იქნეს მიჩნეული ადვოკატის (მოსარჩელის) მოთხოვნა და სწორედ ამ ოდენობით უნდა დაეკისროს ამ საქმეზე განული იურიდიული მომსახურების ანაზღაურება მოპასუხეს (კასატორს). ამ ნაწილში კასატორის პრეტენზიის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის დასაბუთებულობის შემომწმებისას, საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა ამ გადაწყვეტილების 7.7.3 ქვეპუნქტში ასახული საქალაქო სასამართლოს მი-

ერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაც, რასაც სააკველაციო სასამართლოც დაეთანხმა;

18.3. ამ გადაწყვეტილების 2.3, 7.6-7.6.4 ქვეპუნქტებში დასახელებულ საქმეზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაშიც ხელშეკრულების 2.2.4 პუნქტი ადვოკატის ჰონორარის სახით ითვალისწინებს დავის საგნის ღირებულების 4%-ის ანაზღაურებას, რაზედაც უკვე იმსჯელა საკასაციო სასამართლომ 18.2 ქვეპუნქტში, გასაზიარებელია საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. იმის გათვალისწინებით, რომ ადვოკატმა იმთავითვე შემცირებული სახით – 23 368,2 ლარის ფარგლებში დააყენა მოთხოვნა, საიდანაც ორი ინსტანციის სასამართლოში მონაწილეობისათვის მოთხოვნა 2/3 ნაწილში დაკმაყოფილდა, რაც 15 578,8 ლარია. საკასაციო სასამართლოს დასაბუთებულად და გონივრულად მიაჩნია ადვოკატის სარჩელი ამ ნაწილში, შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს ამ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება.

18.4. ამ გადაწყვეტილების 2.4, 7.7-7.7.4 ქვეპუნქტებში ასახული გარემოებები და დასკვნები სრულად არის გაზიარებული საკასაციო სასამართლოს მიერ, შესაბამისად, ადვოკატის სასარგებლოდ მის კლიენტს 203 აშშ დოლარი დაეკისრა და ამ ნაწილშიც უცვლელად დარჩა გასაჩივრებული განჩინება.

18.5. ამ გადაწყვეტილების 7.8-7.8.2 ქვეპუნქტებში დასახელებულ საქმეზე, იმის გათვალისწინებით, რომ ადვოკატი მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში მონაწილეობდა, ხოლო მხარეები ჰონორარის სახით შეთანხმდნენ დავის საგნის ღირებულების 2%-ზე, რაც 4059 ლარია, საკასაციო სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა ზეპირად შეთანხმებული ჰონორარის მხოლოდ 1/3 ნაწილზე, რაც 1352 ლარია. სწორედ ამ მოცულობით დაკმაყოფილდა საკასაციო საჩივრის მოთხოვნა ამ ნაწილში და ნაწილობრივ შეიცვალა გასაჩივრებული განჩინება;

18.6. ამ გადაწყვეტილების 2.6, 7.9-7.9.3 ქვეპუნქტებში დასახელებულ საქმეზე, მხარეთა ზეპირი შეთანხმების, დავის საგნიდან – 3 000 000 აშშ დოლარის 0,1%-ის ოდენობით ადვოკატისათვის გადასახდელი ჰონორარის ნაწილში მოპასუხის მოსაზრებისა და იმის გათვალისწინებით, რომ ადვოკატი ორი ინსტანციის სასამართლოში წარმოადგენდა კლიენტს, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ადვოკატმა სამართლიანად გამოიმუშავა დავის საგნის ღირებულების 0,1%-ის 2/3 ნაწილი, რაც 2000 აშშ დოლარია და ამ ნაწილში შეცვალა გასაჩივრებული განჩინება და ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა;

18.7 ამ გადაწყვეტილების 7.10-7.10.1 ქვეპუნქტებში დასახელებულ საქმეზე გაზიარებულია საქალაქო სასამართლოს მსჯელო-

ბა და დასკვნები, შესაბამისად, ადვოკატის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია 2000 ლარის ოდენობით და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული განჩინება.

19. საკასაციო სასამართლოს მიერ მოპასუხის საკასაციო განაცხადის ნაწილობრივ დაკმაყოფილების გზით, ადვოკატის მიერ შვიდ საქმეზე განეული საადვოკატო მომსახურების გათვალისწინებით (საიდანაც სამ შემთხვევაში წერილობითი, ხოლო ოთხზე – ზეპირი ხელშეკრულებები გაფორმდა), კლიენტს (კასატორს) ადვოკატის (მოსარჩელის) სასარგებლოდ დაეკისრა 59 097.93 ლარი და 2203 აშშ დოლარი, რასაც უნდა გამოაკლდეს მოპასუხის (კასატორის) მიერ უკვე გადახდილი 34 083 ლარი და, საბოლოოდ, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 25 014.93 (ოცდახუთი ათას თოთხმეტი ლარისა და ოთხმოცდაცამეტი თეთრის) ლარისა და 2203.62 (ორი ათას ორას სამი აშშ დოლარისა და სამოცდაორი ცენტის) აშშ დოლარის გადახდა.

20. მხარეთა შორის გადანაწილებული სახელმწიფო ბაჟი ასახულია წინამდებარე გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ნ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. ნაწილობრივ გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 ოქტომბრის განჩინება და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადანყვეტილება;
3. ც. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. ც. დ-ის სასარგებლოდ ნ. კ-ს დაეკისროს 25 014.93 (ოცდახუთი ათას თოთხმეტი ლარი და ოთხმოცდაცამეტი თეთრი) ლარისა და 2 203.62 (ორი ათას ორას სამი აშშ დოლარი და სამოცდაორი ცენტი) აშშ დოლარის გადახდა;
5. დანარჩენ ნაწილში ც. დ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
6. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს საოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელად;
7. ც. დ-ს ნ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისროს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან – 2 634.85 ლარის და 50 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ანაზღაურება;
8. გადანყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ბასამრჯელო დავალაზისათვის

ბადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1281-2018

27 მარტი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2013 წლის პირველ თებერვალს ვ. მ-მა (შემდეგში: თავდაპირველი მოსარჩელე ან მეორე მოპასუხე ან მონინალმდეგ მხარე) და შპს „E-...“-მა სარჩელი აღძრეს მ. ზ-ის (შემდეგში: თავდაპირველი სარჩელით მოპასუხე ან მეორე მოსარჩელე ან კასატორი), გ. და ე. ზ-ეების, მ. ბ-ისა და შპს „ნ-ის“ წინააღმდეგ (შემდეგში: თავდაპირველი სარჩელი), შემდეგი მოთხოვნებით:

2. მოპასუხისათვის და გ. ზ-ისათვის 316 150 აშშ დოლარის დაკისრება თავდაპირველი მოსარჩელის სასარგებლოდ;

3. მოპასუხისათვის და გ. ზ-ისათვის 730 069 აშშ დოლარის დაკისრება თავდაპირველი მოსარჩელისა და შპს „E-...“-ის სასარგებლოდ;

4. მოპასუხეს და ე. ზ-ეს შორის ქ. ქ-ში, დ. ა-ის გამზირ №...-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი 2-...) 2011 წლის 6 ივნისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა;

5. შპს „ნ-ის“ 2011 წლის 17 აგვისტოს №- კრების ოქმის (სანოტარო აქტი №-...) ბათილად ცნობა; მოპასუხისათვის დაკისრებული თანხის ამოღების დადგენა მ. ბ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი 0-...), მდებარე ქ. თბილისში, პ. ი-ის ქ. №...-ში მდებარე (ყოფილი ჯ-ის) 1/2 ნაწილიდან.

6. თავდაპირველი სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები: 2007 წლის პირველ მაისს, თავდაპირველმა მოსარჩელემ სადავო მიწის ნაკვეთის შესაძენად კომპანია „ე-ისაგან“ ისესხა 500 000 ლარი. იმავე წლის აგვისტოში გაფორმდა სესხის ხელშეკრულება, რომლითაც მოპასუხეებს უნდა ჩარიცხოდათ 6 000 000 აშშ დოლარი. თავდაპირველი მოსარჩელე მოპასუხეებს ურიცხავდა თანხას მიწისა და სამშენებლო მასალების შესაძენად, სახლის მშენებლობისათ-

ვის და შესაბამისი ნებართვების მისაღებად, რაც მათ დანიშნულე-ბისამებრ არ გამოიყენეს, კერძოდ: ა) თავდაპირველი სარჩელით მოპასუხემ და გ. ზ-ემ ვერ წარადგინეს 730 069 აშშ დოლარის ხარ-ჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები. სადავო თანხა მითვისე-ბული აქვთ თავდაპირველი სარჩელით მოპასუხეს და გ. ზ-ეს. აღ-ნიშნული გარემოებების დასადასტურებლად თავდაპირველ სარ-ჩელს დაერთო სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩე-ნი. ამასთან, თავდაპირველ სარჩელში მითითებული იყო, რომ არ-ქიტექტორთან 192 000 აშშ დოლარის თაობაზე გაფორმებული ხელ-შეკრულება იყო ყალბი და რეალურად, მხარეებმა მომსახურების ღირებულებად 70 000 ლარი განსაზღვრეს. ამასთან, სადავო მიწის ნაკვეთის შესაძენად, თავდაპირველი სარჩელით მოპასუხემ და გ. ზ-ემ 424 000 აშშ დოლარის ნაცვლად, 300 000 აშშ დოლარი გადაი-ხადეს. მითვისებული ფულის დაბრუნების თავიდან არიდების მიზ-ნით, თავდაპირველი სარჩელით მოპასუხემ 2011 წლის 6 ივნისს, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა თავის შვილთან – ე. ზ-ესთან, რომელმაც ეს ქონება 2011 წლის 18 აგვის-ტოს, შპს „ნ-ის“ სანესდებო კაპიტალში შეიტანა.

7. თავდაპირველი სარჩელით მოპასუხეებმა წარადგინეს რო-გორც მოთხოვნის გამომრიცხველი, ისე განხორციელების შემა-ფერხებელი შესაგებელი (ხანდაზმულობა). სახელდობრ, მიუთი-თეს, რომ ისინი მოქმედებდნენ სწორედ მათი მარწმუნებლის (თავ-დაპირველი მოსარჩელე) დავალების შესრულების მიზნით და მისი ინტერესების შესაბამისად. იმავდროულად, უარყვეს სისხლის სა-მართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენის პრეიუდიციული ძალა თავდაპირველი სარჩელის განხილვისას.

8. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-ლეგიის 2013 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (შემდეგში – პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება) თავდაპირველი სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: დაეკისრა თავდაპირველი სარჩელით მოპასუხეს 152 200 აშშ დოლარის გადახდა თავდაპირველი მოსარ-ჩელის სასარგებლოდ; თავდაპირველ მოსარჩელეს უარი ეთქვა გ. ზ-ისათვის თანხის დაკისრებაზე. არ დაკმაყოფილდა შპს „E.“-ის მოთხოვნა თავდაპირველი სარჩელით მოპასუხისათვის და გ. ზ-ისათვის თანხის დაკისრების თაობაზე. არ დაკმაყოფილდა თავდა-პირველი სარჩელი ე. ზ-ის, მ. ბ-ისა და შპს „ნ-ის“ მიმართ მოთხოვ-ნის ნაწილშიც.

9. თავდაპირველი სარჩელი სამართლებრივად შეფასდა საქარ-თველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 394-ე, 317-ე, 709-ე, 715-ე, 992-ე, 50-ე, 56-ე, 1158-ე, 1159-ე და 1170-ე მუხლე-ბით.

10. გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო საჩივრით.

11. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 14 აპრილის განჩინებით, არცერთი სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 15 ოქტომბრის გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

12. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 14 აპრილის განჩინება საკასაციო საჩივრით გასაჩივრდა ორივე მხარის მიერ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 აპრილის განჩინებით თავდაპირველი სარჩელის მოპასუხის – მ. ზ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შპს „E“-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო რაც შეეხება თავდაპირველი სარჩელის მოსარჩელის – ვ. მ-ის საკასაციო საჩივარს, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 14 აპრილის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც ვ. მ-ს უარი ეთქვა 124150 აშშ დოლარის თავდაპირველი სარჩელით მოპასუხისათვის დაკისრებაზე და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს. მეოთხე და მეხუთე სასარჩელო მოთხოვნების ნაწილში სარჩელი დარჩა განუხილველად, ხოლო დანარჩენ ნაწილში კი გასაჩივრებული განჩინება დარჩა უცვლელად.

13. 2013 წლის 21 მაისს მ. ზ-ემ (შემდეგში: მეორე მოსარჩელე, ან თავდაპირველი სარჩელით მოპასუხე ან კასატორი) სარჩელით მიმართა სასამართლოს ვ. მ-ის (შემდეგში: თავდაპირველი მოსარჩელე ან მეორე მოპასუხე ან მოწინააღმდეგე მხარე) მიმართ და მოითხოვა 600000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება.

14. მეორე სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები: 2007 წლის 21 მაისს, თავდაპირველმა მოსარჩელემ მეორე მოსარჩელეს მიანიჭა უფლებამოსილება მისი სახელით შეეძინა მიწის ნაკვეთი, ქ. ქ-ში. მინდობილობის ვადა 10 წლით განისაზღვრა. მეორე მინდობილობა თავდაპირველმა მოსარჩელემ 2007 წლის 16 აგვისტოს გასცა მეორე მოსარჩელეზე, ისევ 10 წლის ვადით. აღნიშნული მინდობილობით მიანიჭა უფლებამოსილება ააშენოს და დააპროექტოს მრავალბინიანი სახლი, რომელიც მდებარეობს ქ. ქ-ი, ა-ის გამზ. №-ში. ამ მხრივ მოლაპარაკებები აწარმოოს შესაბამის ადგილობრივ მმართველობის და თვითმმართველობის ორგანოებთან, დადოს ხელშეკრულება სამშენებლო კომპანიასთან, დაიცვას მინდობის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესები წარმოადგინოს იგი ყველა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთან. მესამე მინდობილობა გაცემუ-

ლია 2008 წლის 20 ნოემბერს, რომლითაც, თავდაპირველმა მოსარჩელემ მეორე მოსარჩელეს მიანიჭა უფლებამოსილება, თავისი შეხედულებისამებრ მართოს, მოახდინოს რეალური გაყოფა, გაასხვისოს, გაყიდოს უძრავი ქონება მდებარე ქ-ი, ა-ის ქ. №-ში. წინამდებარე მინდობილობის ფარგლებში წარმოადგინოს საკუთრების მიმნდობი იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებში. ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს, ნაწილობრივ ან სრულად გადასცეს წინამდებარე მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილებანი სხვა პირებს. მინდობილობა გაიცა 1 წლის ვადით. წინამდებარე მინდობილობებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მეორე მოსარჩელემ თავდაპირველი მოსარჩელისათვის შეიძინა 49905 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ქ-ქ-ში, ა-ის ქ. №-ში მრავალბინიანი სახლის მშენებლობისათვის; მეორე მოსარჩელე თავის შვილ გ. ზ-ესთან ერთად ახორციელებდა თავდაპირველი მოსარჩელის მიერ დაფუძნებული შპს „K-ის“ ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, მანვე ზემოაღნიშნული მინდობილობების საფუძველზე შპს „ა-თან“ გააფორმა წარდობის ხელშეკრულება. თავდაპირველ მოსარჩელეს გასამრჯელოს სახით განეული მომსახურების სანაცვლოდ უნდა გადაეცა ქ-ი, ა-ის ქ. №-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლიდან 4 ბინა. საცხოვრებელი ფართებისა და სართულების შერჩევის უფლებამოსილება გააჩნდა მეორე მოსარჩელეს. თავდაპირველ მოსარჩელეს არ გადაუცია მეორე მოსარჩელისათვის არცერთი ბინა. იმის გათვალისწინებით, რომ გასამრჯელოს სახით გათვალისწინებული ბინები სარჩლის აღძვრის მომენტისათვის აღარ წარმოადგენს თავდაპირველი მოსარჩელის საკუთრებას, მეორე მოსარჩელემ მოითხოვა მათი საბაზრო ღირებულების სახით 600000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება

15. მეორე მოსარჩელემ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომი: სსკ-ი) 316-317-ე, 709- 710-ე მუხლები.

16. მეორე სარჩელით მოპასუხემ (თავდაპირველმა მოსარჩელემ) წარადგინა როგორც მოთხოვნის განხორციელების გამომრიცხველი, ისე განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი (ხანდაზმულობა). კერძოდ მიუთითა, რომ მხარეებს შორის რაიმე სახის შეთანხმება მინდობილი მოქმედების შესრულების სანაცვლოდ რაიმე სახის გასამრჯელოს გადახდაზე არ ყოფილა. თავდაპირველი მოსარჩელე ენდობოდა მეორე მოსარჩელეს როგორც მეგობარს. იმის დაშვების შემთხვევაშიც კი, რომ გასამრჯელოს სახით მართლაც უნდა მომხდარიყო ბინების გადაცემა, მეორე სარჩელიდან გამომდინარე თავდაპირველ მოსარჩელეს ბინების გადაცემა უნ-

და განეხორციელებინა 2009 წლის 25 იანვრამდე, შესაბამისად სარჩელი ხანდაზმულიცაა, რადგან შეტანილი იქნა 2013 წლის 21 მაისს.

17. 2013 წლის 14 ნოემბერს მეორე მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და თავდაპირველი მოსარჩელისაგან გასამრჯელოს სახით საბოლოოდ მოითხოვა 594968 ლარის გადახდა.

18. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით, მეორე მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თავდაპირველ მოსარჩელეს მეორე მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 355 372.8 ლარის გადახდა.

19. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით თავდაპირველი მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო მეორე მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მეორე მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე და ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება. მეორე სარჩელის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდა და თავდაპირველ მოსარჩელეს მეორე მოსარჩელის სასარგებლოდ დამატებით დაეკისრა 239 596 ლარის გადახდა.

20. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გასაჩივრდა თავდაპირველი მოსარჩელის მიერ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მეორე მოსარჩელის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის განჩინებით, პირველი მოსარჩელის (მეორე მოპასუხე) საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

21. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 მაისის განჩინებით, სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე მოხდა განსახილველ საქმეთა გაერთიანება ერთ წარმოებად და მიენიჭა შესაბამისი ნომერი 2/ბ-372-18.

22. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით დადგა შემდეგი იურიდიული შედეგი:

23. თავდაპირველი მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

24. გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება თავდაპირველი სარჩელით მოპასუხისათვის თავდაპირველი მოსარჩელის სასარგებლოდ 124 150 აშშ დოლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში, თავდაპირველი სარჩელი დაკმაყოფილდა: დაეკისრა თავდაპირველი სარჩელით მოპასუხეს თავდაპირველი მოსარჩელის სასარგებლოდ 2007 წლის 28 მაისის გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 124 150 აშშ დოლარის გადახდა. დაეკისრა თავდაპირველი სარჩელით მოპასუხეს თავდაპირველი მოსარჩელის სასარგებლოდ აგრეთვე 11 000 ლარის გადახდა;

25. თავდაპირველი სარჩელით მოპასუხის (მეორე მოსარჩელე) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, აგრეთვე გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება მეორე მოსარჩელის სასარგებლოდ თავდაპირველი მოსარჩელისათვის 355 372.8 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; მეორე მოსარჩელის სარჩელი მეორე მოპასუხის მიმართ დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების მოთხოვნით, არ დაკმაყოფილდა.

26. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

27. თავდაპირველ მოსარჩელესა და მეორე მოსარჩელეს შორის შედგა სამი მინდობილობა:

28. 2007 წლის 21 მაისს გაცემული მინდობილობით, თავდაპირველმა მოსარჩელემ მეორე მოსარჩელეს მიანიჭა უფლებამოსილება მისი სახელით შეეძინა მიწის ნაკვეთი, ქ.ქ-ში. მინდობილობის ვადა 10 წლით განისაზღვრა.

29. მეორე მინდობილობა თავდაპირველმა მოსარჩელემ 2007 წლის 16 აგვისტოს გასცა მეორე მოსარჩელეზე, ისევე 10 წლის ვადით. აღნიშნული მინდობილობით მიანიჭა უფლებამოსილება ააშენოს და დააპროექტოს მრავალბინიანი სახლი, რომელიც მდებარეობს ქ. ქ-ი, ა-ის გამზ. №-ში. ამ მხრივ მოლაპარაკებები აწარმოოს შესაბამის ადგილობრივ მმართველობის და თვითმმართველობის ორგანოებთან, დადოს ხელშეკრულება სამშენებლო კომპანიასთან, დაიცვას მინდობის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესები წარმოადგინოს იგი ყველა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთან.

30. მესამე მინდობილობა გაცემულია 2008 წლის 20 ნოემბერს, რომლითაც თავდაპირველმა მოსარჩელემ, როგორც საკუთრების

მიმდობმა მეორე მოსარჩელეს შემდგომში „მინდობილ მესაკუთრეს გადასცა ყველა უფლებამოსილება, თავისი შეხედულებისამებრ მართოს, მოახდინოს რეალური გაყოფა, გაასხვისოს, გაყიდოს უძრავი ქონება მდებარე ქ-ი, ა-ის ქ. №-ში. წინამდებარე მინდობილობის ფარგლებში წარმოადგინოს საკუთრების მიმდობი იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებში. ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს, ნაწილობრივ ან სრულად გადასცეს წინამდებარე მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილებანი სხვა პირებს. მინდობილობა გაიცა 1 წლის ვადით. წინამდებარე მინდობილობებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მეორე მოსარჩელემ თავდაპირველი მოსარჩელისათვის შეიძინა 49905 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ქ.ქ-ში, ა-ის ქ. №-ში; მრავალბინიანი სახლის მშენებლობისათვის; იგი თავის შვილ გ.ზ-ესთან ერთად ახორციელებდა თავდაპირველი მოსარჩელის მიერ დაფუძნებული შპს „K-ის“ ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, მანვე ზემოაღნიშნული მინდობილობების საფუძველზე შპს „ა-თან“ გააფორმა ნარდობის ხელშეკრულება.

31. დადგენილი იქნა, რომ 2009 წლის 25 იანვარს შპს „K-ს“ საკუთრებაში გადაეცა მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული შენობა – ნაგებობებით, მდებარე ქ-ი, ა-ის ქ. №-... მითითებული უძრავი ქონება შპს „K-ის“ სამართალმემკვიდრის შპს „E-ის“ საკუთრებაა.

32. თავდაპირველ მოსარჩელესა და მეორე მოსარჩელეს შორის არსებული შეთანხმებით, თავდაპირველ მოსარჩელეს განეული მომსახურების სანაცვლოდ გასამრჯელოს სახით მეორე მოსარჩელისთვის უნდა გადაეცა ქ-ი, ა-ის ქ. №-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლიდან 4 ბინა. საცხოვრებელი ფართებისა და სართულების შერჩევის უფლებამოსილება მეორე მოსარჩელეს ჰქონდა.

33. დადგენილი იქნა, რომ დავალების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განევისათვის თავდაპირველ მოსარჩელეს მეორე მოსარჩელისათვის არ გადაუცია 4 ბინა.

34. დადგენილი იქნა, რომ ქ. ქ-ი, ა-ის გამზ. №-ში მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში მდებარე ბინების განშლა მომხდარია და მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მესაკუთრეა შპს „E-...“-ი.

35. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის განჩინებით პირველი მოსარჩელის (მეორე მოპასუხე) საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება და საქმე არსებითად განხილვის მიზნით დაუბრუნდა ქუთაი-

სის სააპელაციო სასამართლოს. საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე დაბრუნების დასაბუთებაში საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველი დავის ფარგლებში პასუხი უნდა გაცემულიყო შემდეგ კითხვებზე: ა) გათვალისწინებული იყო თუ არა ზემოთ მითითებული დავალების ხელშეკრულებებით გასამრჯელო ვალდებულების შესრულებისათვის; ბ) წარმოადგენდა თუ არა გასამრჯელო ოთხი ნებისმიერი ბინის საფასურს; გ) რწმუნებულის მიერ მარწმუნებლის თანხების მითვისება დავალების ხელშეკრულების შესრულებისას ნიშნავს თუ არა ვალდებულების არაკეთილსინდისიერად და არაჯეროვნად შესრულებას; დ) შეიძლება თუ არა რწმუნებულის მიერ ვალდებულების არაკეთილსინდისიერად და არაჯეროვნად შესრულების მიუხედავად რწმუნებულმა მოითხოვოს განეული საქმიანობისათვის გასამრჯელო.

36. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საკასაციო სასამართლომ პირველ და მეორე საკითხთან დაკავშირებით განმარტა: დავალების ხელშეკრულებებში გასამრჯელოზე მხარეების შეთანხმების არარსებობის მიუხედავად, მათ შორის წარმოშობილი ურთიერთობა მხოლოდ გასამრჯელოთი არის მოსალოდნელი. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ წერილობითი ფორმით დავალების ხელშეკრულების დადებისას გასამრჯელოს გაუთვალისწინებლობა ნიშნავდა მხარეთა შორის უსასყიდლო ურთიერთობის არსებობას. გასამრჯელოს ოდენობის დადგენისას სასამართლო დაეყრდნო არა ნიხრის ან ჩვეულებრივი გასამრჯელოს პრინციპს, არამედ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 21 აგვისტოს განაჩენით დადგენილ ფაქტს, რომლითაც თავდაპირველი მოსარჩელე აღიარებს, რომ დავალების ხელშეკრულების შესრულების შედეგად ის დაპირდა მეორე მოსარჩელეს მშენებარე საცხოვრებელ სახლში ნებისმიერი 4 ბინის გადაცემას. ამ დადგენილი ფაქტის წინააღმდეგ კასატორს არ ჰქონდა წარმოდგენილი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით. ამდენად, ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პირველი და მეორე კითხვების პასუხად გამოტანილ იქნა დასკვნა, რომ მხარეთა შორის დავალების ხელშეკრულებები ითვალისწინებდა გასამრჯელოს ოთხი ნებისმიერი ბინის გადაცემით სახით. მესამე საკითხთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ მისცა შეფასება საქმეში არსებულ მტკიცებულებას. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა საქმეში არსებული, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 21 აგვისტოს განაჩენი. საკასაციო

სასამართლომ განმარტა, რომ დავალების ხელშეკრულების შესრულებისას მარწმუნებლის მიერ დავალებული თანხების მითვისება წარმოადგენდა ვალდებულების არაკეთილსინდისიერად და არაჯეროვნად შესრულებას.

37. საკასაციო სასამართლოს მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ კასატორი საქმის განხილვისას უთითებდა მოსარჩელის მიერ თანხების მითვისების განაჩენით დადგენილ ფაქტებზე, სააპელაციო სასამართლომ შეფასება არ მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებას (ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 21 აგვისტოს განაჩენს) და არ გამოიკვლია განაჩენით დადგენილი ფაქტები, კერძოდ მიუთითებენ თუ არა ეს ფაქტები მოსარჩელის მიერ დავალების ხელშეკრულებების არაკეთილსინდისიერად და არაჯეროვნად შესრულებაზე. აღნიშნული ფაქტების კვლევის შედეგად წარმოიშობა საქმისათვის მნიშვნელოვანი კითხვა: შეიძლება თუ არა რწმუნებულის მიერ ვალდებულების არაკეთილსინდისიერად და არაჯეროვნად შესრულების მიუხედავად რწმუნებულმა მოითხოვოს განეული საქმიანობისათვის გასამრჯელო. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით – სააპელაციო სასამართლოს არა აქვს გამოკვლეული აღნიშნული საკითხი. სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ იმ ფაქტების კვლევით, რომელიც მიუთითებენ გასამრჯელოს თაობაზე შეთანხმების არსებობა-არარსებობასა და გასამრჯელოს მოცულობაზე. სააპელაციო სასამართლო არ იკვლევს და არ მსჯელობს მოპასუხის (კასატორის) მიერ მითითებულ ფაქტებზე და მტკიცებულებებზე, რომელთაც მნიშვნელობა გააჩნიათ დავის სწორად გადაწყვეტისათვის. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად არასწორად განსაზღვრა მტკიცებების საგანი, მტკიცებების საგანში არ შეიყვანა მოპასუხის (კასატორის) მიერ მითითებული ფაქტები და არ შეაფასა ამ ფაქტების დამდგენი მტკიცებულება. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ კონკრეტულ დავაში – შესრულების ხარისხზე მხარეები არ დავობენ.

38. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 22 აპრილის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა პირველი მოსარჩელის საკასაციო საჩივარი, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ მეორე მოსარჩელისათვის 124 150 აშშ დოლარის გადახდის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

39. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დანარჩენ ნაწილში, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 15 ოქტომბრის

გადანყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

40. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 მაისის განჩინებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოდან ხელახლა განსახლველად დაბრუნებული ეს ორი საქმე (თავდაპირველ სარჩელთან დაკავშირებით ნაწარმოები და მეორე სარჩელთან დაკავშირებით ნაწარმოები) გაერთიანდა ერთ წარმოებად.

41. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა თავდაპირველი მოსარჩელის სააპელაციო საჩივარზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე, მეორე მოსარჩელისათვის 124 150 აშშ დოლარის გადახდის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში, და პირველი და მეორე მოსარჩელის სააპელაციო საჩივრებზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე, გასამრჯელოს სახით თავდაპირველი მოსარჩელისათვის თანხის დაკისრების თაობაზე.

42. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თავდაპირველმა მოსარჩელემ მეორე მოსარჩელის სახელზე 2007 წლის 21 მაისს გასცა მინდობილობა (სანოტარო აქტი №-...), რომლითაც უფლება მისცა მისი სახელით შეეძინა მიწის ნაკვეთები ქ-ში, ემოქმედა მისი სახელით, ქონება გაეტარებინა რეგისტრაციაში ქ-ის საჯარო რეესტრში, აეღო შესაბამისი ამონაწერი, გადაეხადა ყველა საჭირო გადასახადი, მათ შორის სანოტარო ბიუროში, ხელი მოეწერა მის მაგივრად ყველა საჭირო დოკუმენტზე, ყოფილიყო მისი წარმომადგენელი ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და მუნიციპალურ დაწესებულებებთან ურთიერთობებში, მათ შორის ბანკთან, საგადასახადო ინსპექციაში და შეასრულოს ყველა ის საჭირო კანონიერი მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესასრულებლად. აღნიშნული მინდობილობის საფუძველზე, მეორე მოსარჩელემ 2007 წლის 28 მაისს, გააფორმა გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება მ. გ-ის, ბ. ბ-ის, ლ. მ-ის და ც. ბ-ის წარმომადგენელთან ნ. ჭ-ასთან, რომლის საფუძველზეც თავდაპირველი მოსარჩელის სახელზე შეიძინა უძრავი ქონება, კერძოდ 4990 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მდებარე ქ. ქ-ი, ა-ის გამზარი №-... ხელშეკრულება დამოწმებული იქნა სანოტარო წესით და აღნიშნული ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 424 150 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარად (იხ. ხელშეკრულება). ხელშეკრულების მე-3 მუხლის თანახმად მხარეები შეთანხმდნენ, რომ ნასყიდობის ფასს მყიდველი გადაუხდიდა გამყიდველს შემდეგი გრაფიკის დაცვით: 120 000 აშშ დოლარს გადაიხდიდა ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისთანავე, 261 735 აშშ დოლარს – 2007 წლის 14 ივნისამდე, ხო-

ლო 42 415 აშშ დოლარს გადაიხდიდა 2007 წლის 28 ივნისამდე. ამ დავალების შესარულებლად მარნმუნებელმა რწმუნებულს გადაუხადა 424150 აშშ დოლარი.

43. მოცემულ შემთხვევაში, თავდაპირველი მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის (მეორე მოსარჩელე) 124 150 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე დაეფუძნა იმ გარემოებას, რომ თავდაპირველმა მოსარჩელემ მეორე მოსარჩელეს დაავალა რა თავისი სახელით უძრავი ქონების შეძენა – დავალების შესასრულებლად და მიწის ნაკვეთის შესაძენად გადასცა 424 150 აშშ დოლარი. თავდაპირველმა მოსარჩელემ ბოროტად გამოიყენა მარნმუნებლის ნდობა, მოტყუებით დაეუფლა და მიისაკუთრა მარნმუნებლის ფული, რომელიც განკუთვნილი იყო ზემოხსენებულ დავალების შესასრულებლად, კერძოდ, მოპასუხემ მიწის ნაკვეთის შესაძენად დადაცემული თანხიდან მიითვისა 124 150 აშშ დოლარი.

44. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 21 აგვისტოს განაჩენით, მეორე მოსარჩელის ბრალდების საქმეზე, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მეორე მოსარჩელემ ჩაიდინა თაღლითობა ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დიდი ოდენობით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, წინასწარი შეთანხმებით ფგუფის მიერ, მანვე ჩაიდინა საწარმოში ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გამოყენება, ამ ორგანიზაციის საწინააღმდეგოდ თავისთვის გამორჩენის და უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ამავე განაჩენით დადასტურებულია, რომ მ. ზ-ემ, 2007 წელს, ქ. ქ-ში ა-ის გამზ №-...ში მდებარე 4990 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ქ-ასაგან შეიძისა 300 000 აშშ დოლარად, ნასყიდობის ხელშეკრულებაში კი არასწორად მიეთითა ნასყიდობის საფასურად 424 150 აშშ დოლარი.

45. სააპელაციო სასამართლომ, განაჩენით დადგენილი ფაქტების პრეიუდიციული მნიშვნელობის მინიჭებასთან დაკავშირებით მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 22 აპრილის განჩინებიდან გამომდინარე საკასაციო პალატის განმარტებაზე სსსკ-ის 106-ე მუხლთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მართალია, სსსკ-ის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი (დისპოზიცია „ფაქტები იმის შესახებ, განხორციელდა თუ არა მოქმედება და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქოსამართლებრივი შედეგების შესახებ, რომლის მიმართაც გამოტანილია საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილება“) 2010 წლის 24 სექტემბერს განხორცი-

ელებული ცვლილების შედეგად ამოღებულ იქნა, მაგრამ იმავე წლის 15 დეკემბრის კანონით (№4075.სსმ1, №76) განხორციელებული ცვლილებით დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნების განხილვისას მოქმედებს განსხვავებული წესი, რაც იმას გულისხმობს, რომ კანონიერ ძალაში შესულ განაჩენში მითითებული სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტები ხელახლა არ დგინდება, ანუ ისინი დადგენილად მიიჩნევა (სსსკ-ის XXXIV თავი).

46. ვინაიდან, სასამართლოს განაჩენში მითითებული ფაქტობრივი გარემოების გასაბათილებელი სარწმუნო, უტყუარი მტკიცებულება წარმოდგენილი ვერ იქნა, მიჩნეული იქნა, რომ დავალების შესრულების პროცესში, როდესაც მეორე მოსარჩელემ თავდაპირველი მოსარჩელისათვის შეიძინა მინის ნაკვეთი, მდებარე ქ. ქ-ი, ა-ის გამზ. №-...ში, რწმუნებულმა (მეორე მოსარჩელე) მითვისა პირველი მოსარჩელის კუთვნილი 124 150 აშშ დოლარი.

47. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 992-ე მუხლით, რომლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი; ამავდროულად კოდექსის 408.1 მუხლის თანახმად: იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

48. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საფუძვლიანი და მტკიცებულებებით გამყარებულია თავდაპირველი სარჩელის მოთხოვნა მეორე მოსარჩელისათვის 124 150 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე და ამ ნაწილში სარჩელი დაკმაყოფილებულ იქნა.

49. რაც შეეხება მეორე სარჩელს თავდაპირველი მოსარჩელის მიმართ გასამრჯელოს სახით თანხის დაკისრების მოთხოვნით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ამ ნაწილში, მეორე სარჩელი უსაფუძვლობის გამო არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

50. მეორე სარჩელთან დაკავშირებით დადგენილად იქნა მიჩნეული ამ გადაწყვეტილების პპ:14,15,16-ში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

51. დადგენილად იქნა მიჩნეული აგრეთვე ის გარემოება, მხარეთა შორის არსებული დავალების ხელშეკრულება იყო სასყიდლიანი, რომელიც საზღაურის სახით ითვალისწინებდა საცხოვრებელ სახლში ნებისმიერი 4 ბინის გადაცემას. აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებას ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი განაჩენი. მინდობილობებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მეორე მოსარჩელის მიერ თავდაპირველი მოსარჩელისათვის შეძე-

ნილი იქნა 49905 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ქ. ქ-ში, ა-ის ქ. №...-ში; მრავალბინიანი სახლის მშენებლობისათვის; იგი თავის შვილ გ.ზ-ესთან ერთად ახორციელებდა თავდაპირველი მოსარჩელის მიერ დაფუძნებული შპს „K-ის“ ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, მანვე ზემოაღნიშნული მინდობილობების საფუძველზე შპს „ა-თან“ გააფორმა ნარდობის ხელშეკრულება. მოძიებული იქნა არქიტექტორი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაპროექტებისათვის და გაფორმებული იქნა ხელშეკრულება სამშენებლო პროექტის მოსამზადებლად; დავალების ხელშეკრულების ფარგლებში, მეორე მოსარჩელე შესაბამის ორგანოებთან ახდენდა ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისათვის სათანადო განცხადებებით მიმართვას და ურთიერთობის დამყარებას და ვიდრე მინდობილობის გაუქმებამდე, ანუ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულებამდე ფაქტობრივად ხელმძღვანელობდა საცხოვრებელი სახლის მშენებლობას. 2008 წლის 21 ნოემბერს, მ-მა დააფუძნა შპს „K-...“, რომლის დირექტორად მ. ზ-ის შვილი გ. ზ-ე დაინიშნა. 2009 წლის 25 იანვარს შპს „K-...ს“ საკუთრებაში გადაეცა მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული შენობა – ნაგებობებით, მდებარე ქ-ი, ა-ის ქ. №... ამჟამად უძრავი ქონება შპს „K-ის“ სამართალმემკვიდრის შპს „E-ის“ საკუთრებაა. დადგენილია, რომ 2011 წლის 19 მაისს №... სანოტარო აქტით, თავდაპირველმა მოსარჩელემ მეორე მოსარჩელეს გაუუქმა მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილებები.

52. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ამ გადაწყვეტილების პ: 44-ში მითითებულ საკითხებზე და შეაფასა რა 2012 წლის 21 აგვისტოს განაჩენი, დადგენილად მიიჩნია, რომ დავალების ხელშეკრულების შესრულებისას მეორე მოსარჩელემ ჩაიდინა თალღითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დიდი ოდენობის სხვისი ნივთის (ფულის) დაუფლება მოტყუებით, წინსწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, მანვე ჩაიდინა საწარმოში ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გამოყენება, ამ ორგანიზაციის ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის გამორჩენის და უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

53. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების დასაბუთებაში საკასაციო პალატის მსჯელობაზე, რომლის მიხედვით, უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა, რომ მოცემულ საქმეში შესრულების ხარისხზე მხარეები არ დავობენ. ხარჯი, რომელიც მეორე მოსარჩელემ გასწია დავალების შესასრულებლად, (თან იმგვარი ხარჯი, რომლის მიმართაც მარნმუნებელს, თავდაპირველ მოსარჩელეს შესაძლოა ჰქონოდა

იურიდიული და ეკონომიური ინტერესი) განსახილველი საქმის მასალებიდან არ დასტურდება.

54. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 709-ე მუხლით, რომლის თანახმად, დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე. ამავე კოდექსის 361-ე მუხის მეორე ნაწილის თანახმად: ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამასთან აღნიშნა, რომ სსკ-ის 115-ე და მე-8 მუხლების მიხედვით, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. ისეთ ვითარებაში, როცა სახელშეკრულებო ურთიერთობაში ვალდებულების შესრულების პარალელურად, მეორე მოსარჩელემ მიითვისა თავდაპირველი მოსარჩელის თანხები, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ დავალების ხელშეკრულება მეორე მოსარჩელემ შეასრულა არაკეთილსინდისიერად, ამიტომაც მეორე სარჩელიდან გამომდინარე მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული.

55. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივართი გასაჩივრდა მეორე მოსარჩელის მიერ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და მეორე სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება, აგრეთვე თავდაპირველი სარჩელის (124 000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში) დაკმაყოფილებაზე უარის თქმა

56. საკასაციო საჩივარი წარმოდგენილია, სააპელაციო პალატის მიერ როგორც მატერიალურ სამართლებრივი ნორმების არასწორი გამოყენებისა და განმარტების [სსსკ-ის 393-ე მუხლის პირველი ნაწილი], ისე, საპროცესო სამართლებრივი დარღვევების (მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის არასწორი განაწილება) არსებობის საფუძვლებით [სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი].

57. კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად, მტკიცებულებათა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვის გარეშე დაადგინა, რომ კასატორმა მისთვის დავალების შესასრულებლად გადაცემული 124 000 აშშ დოლარი არ გამოიყენა დავალების შესასრულებლად – უძრავი ნივთის შესაძენად.

58. კასატორი აღნიშნავს, როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 22 აპრილის განჩინებაში მიეთითა, სააპე-

ლაციო სასამართლოს მიერ კასატორისათვის 124 000 აშშ დოლარის დაკისრებაზე უარი დაეფუძნა მონმეთა ჩვენებებს, ასევე საქმეში არსებულ თანხის მიღების დამადასტურებელ ხელწერილებს, თუმცა შეფასების გარეშე დარჩა კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, კერძოდ არ იქნა გამოკვლეული თუ რა დაადგინა განაჩენმა უძრავი ქონების შესაძენად პირველი მოპასუხისათვის გადაცემული თანხის ხარჯვის ნაწილში, ასევე არ იმსჯელა იმაზე, შეეძლოთ თუ არა გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებულ მტკიცებულებებს განაჩენით დადგენილი ფაქტების გაქარწყლება. ამრიგად საქართველოს უზენაესი სასამართლოს მითითებით სააპელაციო სასამართლოს დაევალა ა) განაჩენის შეფასება და ბ) განაჩენთან ერთობლობაში სხვა მტკიცებულებების (მონმეთა ჩვენებების და თანხის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტების) შეფასება. სააპელაციო სასამართლოს მიერ იმ ფაქტის დადგენა, რომ კასატორმა უძრავი ნივთის ნასყიდობის სანაცვლოდ მისთვის გადმორიცხული თანხის ნაწილი მიითვისა, მოხდა არასწორად, საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივ და სრულად შესწავლის გარეშე, შესაბამისად, კასატორმა მიიჩნია, რომ ამ დადგენილ ფაქტს არ შეიძლება გააჩნდეს საკასაციო სასამართლოსთვის სავალდებულო მნიშვნელობა. ამ ფაქტის დადგენას საფუძვლად დაედო პროცესუალური დარღვევა, რომელიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოების არასწორად შეფასება-დადგენა. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას შეაფასა განაჩენი, თუმცა საერთოდ უყურადღებოდ დატოვა ის მტკიცებულებები, რომლებიც მანამდე კასატორის სასარგებლო გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი გახდა. სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა განაჩენი და მხედველობაში მიიღო მხოლოდ მონმეთა ჩვენებები და წერილობითი მტკიცებულებები, მეორედ განხილვისას კი სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა მონმეთა ჩვენებები და წერილობითი მტკიცებულებები და მხედველობაში მიიღო მხოლოდ განაჩენი. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავს არც დასაბუთებულ და არც დაუსაბუთებელ მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ იქნა უგულვლელყოფილი საქმის განხილვისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები, რომელთა შეფასების შედეგადაც საქმის პირველად განხილვისას ნასყიდობის თანხის სრულად გადახდა დაადგინა იმავე სასამართლომ.

59. კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიკვლია განაჩენით დადგენილი ფაქტები, კერძოდ, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კო-

ლევების 2012 წლის 21 აგვისტოს განაჩენის აღწერილობით სამოტივაციო ნაწილში აღნიშნულია: „წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის საფუძველზე, სასამართლომ დადგინოდა ცნო, რომ მ. ზ-ემ ჩაიდინა თაღლითობა – ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, ... რაც გამოიხატა შემდეგში: მ. ზ-ე გამოძიებით დადგინდა პირთან ერთად მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაუფლა მათთვის ინვესტორ ვ. მ-ის მიერ 2007 წლის მაისის შემდგომ პერიოდში ქ. ქ-ში მიწის ნაკვეთების შესაძენად ... მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახის დასაპროექტებლად და ასაშენებლად გადმორიცხულ ინვესტიციის თანხას 1 046 219 აშშ დოლარის ოდენობით, საიდანაც 741 613,83 აშშ დოლარი ... წარმოადგენდა შპს „ა-ის“ მიერ ხსენებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე წარდობის ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოს ღირებულების ასანაზღაურებელ თანხას“. კასატორი აღნიშნავს, რომ აღნიშნული წინადადებით სრულად არის გადმოცემული კასატორისათვის ბრალად შერაცხული ქმედების აღწერილობა და ადვილად არის შესაძლებელი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებაში მოყვანილი მსჯელობის (124 000 აშშ დოლარი მითვისების ნაწილში) გაქარწყლება, კერძოდ, განაჩენით სრული მითვისებული თანხიდან მხოლოდ ნაწილია დაკონკრეტებული, თუ როდის და რისთვის გადმორიცხული თანხა იქნა მითვისებული. დარჩენილი ნაწილი განმარტებული არ არის. შესაბამისად, 304 605,17 აშშ დოლარის მითვისების საკითხი განაჩენით განმარტებული არ არის. მითითებული განაჩენის დანარჩენი ნაწილი ეხება მოწმეთა ჩვენებების გადმოცემას, ხოლო უძრავი ნივთის ნასყიდობასთან დაკავშირებით მხოლოდ ორი მოწმის ჩვენებაა გადმოცემული: ო. მ-ას და ნ. ჭ-ას. ო. მ-ას განმარტებით მიწის ნაკვეთის შესაძენად კასატორმა რეალურად დაახლოებით 100 000 აშშ დოლარით ნაკლები თანხა გადაიხადა (ნაცვლად 124 000 აშშ დოლარისა). რაც შეეხება ნ. ჭ-ას, მისი განმარტებით, მან კასატორს 300 000 აშშ დოლარად მიჰყიდა მიწის ნაკვეთი, თუმცა ნასყიდობის ხელშეკრულებაში მიეთითა 424 000 აშშ დოლარი (მიწის ნაკვეთის მესაკუთრეები, რომლებმაც სამოქალაქო საქმის განხილვისას დაადასტურეს კასატორისაგან და გ. ზ-ისგან დამატებით თანხების პირადად მიღება, სისხლის სამართლის საქმეზე საერთოდ არ დაკითხულან – განაჩენში მათი პოზიცია დაფიქსირებული არ არის).

60. კასატორმა აღნიშნა, რომ მიწის ნაკვეთის ნასყიდობასთან დაკავშირებით განაჩენში განმარტებული არ არის თანხის მოცულობა, რომელიც შეიძლება ყოფილიყო მითვისებული მიწის ნაკვე-

თის ნასყიდობიდან გამომდინარე. მასში გადმოცემულია მხოლოდ ორი მოწმის ჩვენება, რომლებიც განსხვავებულ ციფრს ასახელებენ და რაც ყველაზე მთავარია, ციფრების გამოკლებით ვერანაირად ვერ ვიღებთ ციფრს 124 000-ს. განაჩენში არ არის დაკონკრეტებული თუ რისგან შედგებოდა 304 605,17 აშშ დოლარი. მითითებაა გაკეთებული არქიტექტორისთვის მისაცემ თანხებზე და აღნიშნულია რომ ასეთი თანხა 192 000 აშშ დოლარს შეადგენდა. შესაბამისად, 304 605,17 აშშ დოლარს უნდა გამოაკლდეს 192 000 აშშ დოლარი და რჩება მხოლოდ 112605,17 აშშ დოლარი. კასატორი აღნიშნავს, რომ მისთვის გაუგებარია საიდან დაადგინა სააპელაციო სასამართლომ, რომ კასატორმა 124 000 აშშ დოლარი მიითვისა; ან რომ ასეთი თანხა სწორედ უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადმორიცხული თანხაა.

61. კასატორი მოითხოვს აგრეთვე მეორე სარჩელიდან გამომდინარე სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, რაც უკავშირდება თავდაპირველი მოსარჩელისათვის დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე გასამრჯელოს სახით მეორე მოსარჩელის სასარგებლოდ 594968 ლარის გადახდის დაკისრებას. კასატორი აღნიშნავს, რომ თუნდაც მიჩნეული იქნეს დავალების შემსრულებელი მხარის მიერ გარკვეული გადაცდომის ჩადენა, მას ისედაც დაეკისრა თავისი არამართლობიერი ქმედებისათვის საზღაურის გადახდა ანუ მარწმუნებლის აღდგენა იმ მდგომარეობაში, რაც იარსებებდა წმინდების მართლობიერი ქმედების შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ თავისი გადანყვეტილებით რწმუნებულს კუთვნილი გასამრჯელოს ანაზღაურებაზე უარის თქმით დამატებითი სანქცია შეუფარდა. განსახილველ შემთხვევაში უდავოა, რომ თავდაპირველი მოსარჩელე გამდიდრდა კასატორის მიერ განეული შრომის შედეგად: მან დაზოგა ის ხარჯი, რომლის გაღებაც მოუწევდა ნებისმიერი ანალოგიური დავალების შესრულებისათვის. ასეთ ხარჯად კი ითვლება გასამრჯელოს სახით შეპირებული 4 ბინის ღირებულება. კასატორი დამატებით უთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის განჩინებით დადგენილ გარემოებაზე, რომ მხარეთა შორის დადებული დავალების ხელშეკრულებები ითვალისწინებდა რწმუნებულისათვის გასამრჯელოს გადახდას ოთხი ნებისმიერი ბინის გადაცემის გზით და რომ მხარეები არ დავობდნენ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე. (იხ. საკასაციო საჩივარი).

სამოტივაციო ნაწილი:

62. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2018 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო საკასაციო სასამართლოს 2018 წლის 27 დეკემბრის განჩინებით კი საკასაციო საჩივარი ცნობილი იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, ასევე, მტკიცებულებების შეჯერებისა და გაანალიზების, საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგი მოტივაციით:

63. კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და მეორე მოპასუხისათვის (თავდაპირველი მოსარჩელე) 594968 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებას (იხ., ამ გადაწყვეტილების პ: 17). სასარჩელო მოთხოვნა იმ ფაქტობრივ გარემოებებს ეფუძნება, რომ:

64. 2007 წლის 21 მაისს, თავდაპირველმა მოსარჩელემ მეორე მოსარჩელეს (კასატორი) მიანიჭა უფლებამოსილება მისი სახელით შეეძინა მიწის ნაკვეთი, ქ. ქ-ში. მინდობილობის ვადა 10 წლით გაისაზღვრა.

65. მეორე მინდობილობა თავდაპირველმა მოსარჩელემ 2007 წლის 16 აგვისტოს გასცა კასატორზე, ისევე 10 წლის ვადით. აღნიშნული მინდობილობით მიანიჭა უფლებამოსილება აეშენებინა და დაეპროექტებინა მრავალბინიანი სახლი, რომელიც მდებარეობს ქ. ქ-ი, ა-ის გამზ. №-ში. ამ მხრივ მოლაპარაკებები ეწარმოებინა შესაბამის ადგილობრივ მმართველობის და თვითმმართველობის ორგანოებთან, დაედო ხელშეკრულება სამშენებლო კომპანიასთან, დაეცვა მიმდობის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესები, წარმოედგინა იგი ყველა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთან.

66. მესამე მინდობილობა გაცემული იქნა 2008 წლის 20 ნოემბერს, რომლითაც, თავდაპირველმა მოსარჩელემ მეორე მოსარჩელეს მიანიჭა უფლებამოსილება, თავისი შეხედულებისამებრ ემართა, მოეხდინა რეალური გაყოფა, გაესხვისებინა, გაეყიდა უძრავი ქონება, მდებარე ქ-ი, ა-ის ქ. №-...ში. წინამდებარე მინდობილობის ფარგლებში წარმოედგინა საკუთრების მიმდობი იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებში. ხელი მოეწერა ყველა საჭირო საბუთზე, ნაწილობრივ ან სრულად გადაეცა წინამდებარე მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილებანი სხვა პირებისთვის. მინდობილობა გაცემული იქნა 1 წლის ვადით.

67. წინამდებარე მინდობილობებით მინიჭებული უფლებამოსი-

ლების ფარგლებში მეორე მოსარჩელემ თავდაპირველი მოსარჩელისთვის შეიძინა 49905 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ქ. ქ-ში, ა-ის ქ. №-...ში მრავალბინიანი სახლის მშენებლობისათვის; მეორე მოსარჩელე თავის შვილ გ. ზ-ესთან ერთად ახორციელებდა თავდაპირველი მოსარჩელის მიერ დაფუძნებული შპს „K-ის“ ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, მანვე ზემოაღნიშნული მინდობილობების საფუძველზე შპს „ა-თან“ გააფორმა ნარდობის ხელშეკრულება.

68. თავდაპირველ მოსარჩელეს გასამრჯელოს სახით განეული მომსახურების სანაცვლოდ კასატორისათვის უნდა გადაეცა, ქ-ი, ა-ის ქ. №-...ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლიდან 4 ბინა. საცხოვრებელი ფართებისა და სართულების შერჩევის უფლებამოსილება გააჩნდა კასატორს. თავდაპირველ მოსარჩელეს არ გადაუცია მეორე მოსარჩელისათვის არცერთი ბინა.

69. კასატორი აგრეთვე მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას იმ ნაწილშიც, რომლითაც მონინააღმდეგე მხარის (პირველი მოსარჩელე) სასარგებლოდ დაეკისრა 124150 აშშ დოლარის გადახდა.

70. მოცემულ შემთხვევაში, თავდაპირველი მოსარჩელის მოთხოვნა კასატორისათვის (მეორე მოსარჩელე) 124 150 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე ეფუძნება იმ გარემოებას, რომ თავდაპირველმა მოსარჩელემ კასატორს დაავალა რა თავისი სახელით უძრავი ქონების შექმნა – დავალების შესასრულებლად და მიწის ნაკვეთის შესაძენად გადასცა 424 150 აშშ დოლარი. კასატორმა ბოროტად გამოიყენა მარწმუნებლის ნდობა, მოტყუებით დაეუფლა და მიისაკუთრა მარწმუნებლის ფული, რომელიც განკუთვნილი იყო ზემოხსენებულ დავალების შესასრულებლად, კერძოდ, კასატორმა თითქოსდა მიწის ნაკვეთის შესაძენად გადაცემული თანხიდან მითთვისა 124 150 აშშ დოლარი.

71. საკასაციო პრეტენზიებზე მსჯელობამდე, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნოს: საკასაციო პალატამ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანა მდგომარეობს სასარჩელო მოთხოვნის იდენტიფიცირებასა და იმის დადგენაში თუ, რის საფუძველზე, რომელ ფაქტობრივ გარემოებებზეა დამყარებული მოთხოვნა. მოსარჩელის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში კი, სასამართლომ უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ იურიდიულ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად მოძიებული ნორმა (ან ნორმები) უნდა შეიცავდეს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემომნებაც დავის განმხილ-

ველი სასამართლოს ვალდებულებაა და იმგვარად უნდა განხორციელდეს, რომ დადგინდეს ნორმის წინაპირობები (მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა), რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას. საბოლოოდ, სასამართლომ უნდა გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. პროცესის მონაწილე მხარე კი, რომელსაც გააჩნია მოთხოვნა მეორე მხარის მიმართ, ვალდებულია, სულ მცირე, მიუთითოს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა ადგენს (შეიცავს). აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა ასკვნის, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (შდრ., სუსგ №ას-1338-2018, 25 იანვარი, 2019 წელი, პ-17; №ას-1470-2018, 15 თებერვალი, 2019 წელი, პ-41). თავის მხრივ, მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ სარჩელის მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან, ზიანის მიყენებიდან (დელიქტი), უსაფუძვლო გამდიდრებიდან თუ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიდან.

72. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ამ გადაწყვეტილების პ-6 და პ-14 მითითებულ თითოეული სარჩელის ფაქტობრივ გარემოებებზე და მიაჩნია, რომ მოთხოვნა კასატორისათვის (თავდაპირველი მოპასუხე) და მონინალმდევე მხარისათვის (თავდაპირველი მოსარჩელე) თანხის დაკისრების შესახებ ეფუძნება ერთმანეთისაგან განსხვავებულ ფაქტობრივ გარემოებებს და საჭიროებს განსხვავებულ სამართლებრივ მოწესრიგებას. სახელდობრ, მეორე მოსარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივი შემადგენლობა (აღწერილობა) განაპირობებს მის სამართლებრივ მოწესრიგებას დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმათა დანაწესიდან – სსკ-ის 709-ე მუხლი და 710-ე მუხლი, ხოლო თავდაპირველი მოსარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივი შემადგენლობა (აღწერილობა) სამართლებრივ მოწესრიგებას საჭიროებს დელიქტური ვალდებულებებით გათვალისწინებული საფუძვლებიდან – სსკ-ის 992-ე, 408-ე მუხლის პირველი ნაწილი.

73. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მონინალმდევე მხარისათვის (პირველი მოსარჩელე) კასატორის სასარგებლოდ 594968

ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში, კასატორმა წარმოადგინა დასაშვები (დასაბუთებული) საკასაციო პრეტენზია მატერიალურ სამართლებრივი დარღვევის თვალსაზრისით [სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილი]. დასაშვები საკასაციო პრეტენზიის განხილვის მიზნით კი, საკასაციო პალატა პირველ რიგში, ყურადღებას მიაქცევს მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებსაც სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ და რომლებიც ასახულია ამ გადაწყვეტილების პპ.27-34.

74. თავდაპირველ მოსარჩელესა და მეორე მოსარჩელეს შორის შედგა სამი მინდობილობა:

75. 2007 წლის 21 მაისს გაცემული მინდობილობით, თავდაპირველმა მოსარჩელემ მეორე მოსარჩელეს მიანიჭა უფლებამოსილება მისი სახელით შეეძინა მიწის ნაკვეთი, ქ. ქ-ში. მინდობილობის ვადა 10 წლით განისაზღვრა.

76. მეორე მინდობილობა თავდაპირველმა მოსარჩელემ 2007 წლის 16 აგვისტოს გასცა მეორე მოსარჩელეზე, ისევ 10 წლის ვადით. აღნიშნული მინდობილობით მიანიჭა უფლებამოსილება ააშენოს და დააპროექტოს მრავალბინიანი სახლი, რომელიც მდებარეობს ქ. ქ-ი, ა-ის გამზ. №-...ში. ამ მხრივ მოლაპარაკებები აწარმოოს შესაბამის ადგილობრივ მმართველობის და თვითმმართველობის ორგანოებთან, დადოს ხელშეკრულება სამშენებლო კომპანიასთან, დაიცვას მიმდობის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესები წარმოადგინოს იგი ყველა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთან.

77. მესამე მინდობილობა გაცემულია 2008 წლის 20 ნოემბერს, რომლითაც თავდაპირველმა მოსარჩელემ, როგორც საკუთრების მიმდობმა მეორე მოსარჩელეს შემდგომში „მინდობილ მესაკუთრეს გადასცა ყველა უფლებამოსილება, თავისი შეხედულებისამებრ მართოს, მოახდინოს რეალური გაყოფა, გაასხვისოს, გაყიდოს უძრავი ქონება მდებარე ქ-ი, ა-ის ქ. №-...ში. წინამდებარე მინდობილობის ფარგლებში წარმოადგინოს საკუთრების მიმდობი იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებში. ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს, ნაწილობრივ ან სრულად გადასცეს წინამდებარე მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილებანი სხვა პირებს. მინდობილობა გაიცა 1 წლის ვადით. წინამდებარე მინდობილობებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მეორე მოსარჩელემ თავდაპირველი მოსარჩელისათვის შეიძინა 49905 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ქ. ქ-ში, ა-ის ქ. №-...ში; მრავალბინიანი სახლის მშენებლობისათვის; იგი თავის შვილ გ. ზ-ესთან ერთად ახორციელებდა თავდაპირველი

მოსარჩელის მიერ დაფუძნებული შპს „K-ის“ ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, მანვე ზემოაღნიშნული მინდობილობების საფუძველზე შპს „ა-თან“ გააფორმა წარდობის ხელშეკრულება.

78. დადგენილი იქნა, რომ 2009 წლის 25 იანვარს შპს „K...-ს“ საკუთრებაში გადაეცა მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული შენობა – ნაგებობებით, მდებარე ქ-ი, ა-ის ქ. №-.... მითითებული უძრავი ქონება შპს „K...-ის“ სამართალმემკვიდრის შპს „E-ის“ საკუთრებაა.

79. თავდაპირველ მოსარჩელესა და მეორე მოსარჩელეს შორის არსებული შეთანხმებით, თავდაპირველ მოსარჩელეს განუული მომსახურების სანაცვლოდ გასამრჯელოს სახით მეორე მოსარჩელისთვის უნდა გადაეცა ქ-ი, ა-ის ქ. №-...ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლიდან 4 ბინა. საცხოვრებელი ფართებისა და სართულების შერჩევის უფლებამოსილება მეორე მოსარჩელეს ჰქონდა.

80. დადგენილი იქნა, რომ დავალების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განვეისათვის თავდაპირველ მოსარჩელეს მეორე მოსარჩელისათვის არ გადაუცია 4 ბინა.

81. დადგენილი იქნა, რომ ქ. ქ-ი, ა-ის გამზ. №-...ში მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში მდებარე ბინების განშლა მომხდარია და მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მესაკუთრეა შპს „E-...“-ი.

82. მოცემულ საქმეში შესრულების ხარისხზე მხარეები არ დავობენ. ხარჯი, რომელიც მეორე მოსარჩელემ გასწია დავალების შესასრულებლად, (თან იმგვარი ხარჯი, რომლის მიმართაც მარწმუნებელს, თავდაპირველმა მოსარჩელეს შესაძლოა ჰქონოდა იურიდიული და ეკონომიური ინტერესი) განსახილველი საქმის მასალებიდან არ დასტურდება.

83. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის განჩინებით პირველი მოსარჩელის (მონინაალმდეგე მხარე) საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება და საქმე არსებითად განხილვის მიზნით დაუბრუნდა იმავე სააპელაციო სასამართლოს.

84. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლებრივი ნორმის მისადაგება სასამართლოს პრეროგატივაა, მთავარია სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შესატყვისი მტკიცებულებებით გამყარება, რაც მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მიუთითებლობის ან არასწორად მითითების შემთხვევაშიც, მონინაალმდეგე მხარის პოზიციისა და საქმეზე მტკიცებულებათა ერთობლივი გაანალიზებისა

და შეჯერების შედეგად, სასამართლოს კვლევისა და იურიდიული შეფასების საგანია. (იხ. სუსგ. №ას-493-473-2016, 14.12.2016წ.; №ას-1224-1149-2015, 20.05.2016წ.; №ას-920-870-2015, 09.06.2016წ.; №ას-101-97-2016, 15.07.2016წ.; №ას-195-183-2014, 21.10.2016წ.)

85. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მეორე მოსარჩელის (კასატორის) მოთხოვნის – განეული მომსახურებისათვის გასამრჯელოს მიღება – სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 709-ე მუხლი (დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალბებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე), და სსკ-ის 710-ე მუხლი (მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო მხოლოდ ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში).

86. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

87. მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო სამართალში, ზოგადად არის სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძველთან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს (იხ. ბოელინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 38.) კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა. მოთხოვნა უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა.

88. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირზე მიმართული უფლებაა, რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. მოთხოვნა საპროცესო-სამართლებ-

რივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადაწყვეტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.

89. მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია და სასურველია მათი აღრევა თავიდან იქნეს აცილებული. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება, მოსარჩელის უფლებამოსილებაა, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაა (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 42.)

90. მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ მისი მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან თუ სხვა ვალდებულებითი ურთიერთობებიდან.

91. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მო-

პასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

92. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზე და მოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

93. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

94. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული

შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

95. მტკიცების ტვირთზე მითითებას აკეთებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება.

96. მტკიცების ტვირთი – ესაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორედ გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადანყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს.

97. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მოწინააღმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან).

98. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გავმიჯნოთ ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაქულტატიური მოვალეობა. მხარეები სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალნი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყა-

ლიბდეს და ეხებოდეს საქმის გადანყვეტიისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან.

99. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებლს) და რომელი არა, ესაა – სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატერიალურ სამართლებრივი ნორმა.

100. მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დაამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბიოლინგი, ლადო ქანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2003, გვ.64).

101. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადანყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ., გადანყვეტილება საქმეზე Ruiz Torija v. Spain, §§ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გადანყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად და-

უშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადანყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ., გადანყვეტილება საქმეზე *Seryavin and Others v. Ukraine* §5-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. *Kraska v. Switzerland*, § 30; *Van de Hurk v. the Netherlands*, § 59; *Perez v. France*, § 80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმტებისათვის, არამედ იცოდნენ და ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ. *Milatova and others v. The Czech republic* §59; *niderost-huber v. Switzerland*, § 24; *k.s. v. finland* § 21; ასევე, სუსგ №ას-1191-1133-2014, 14 მაისი, 2015 წელი).

102. საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა, აგრეთვე მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება და სადავო ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს ვალდებულებაა, მიუხედავად იმისა, ედავებიან თუ არა ამ შეფასებას მხარეები. ეს იმას ნიშნავს, რომ არც სააპელაციო და არც საკასაციო სასამართლო არაა შებოჭილი სააპელაციო თუ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევებით და ისინი ამონმებენ გადანყვეტილებას მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით. თუ ასეთი შემთხვევების შედეგად ზემდგომი ინსტანციის სასამართლო იმ დასკვნას გამოიტანს, რომ საჩივრის მოთხოვნა გადანყვეტილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ არა საჩივარში მითითებული, არამედ მატერიალურსამართლებრივი ნორმის (კანონის) სხვა დარღვევის გამო, სასამართლომ უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადანყვეტილება.

103. იმ შემთხვევაში კი, თუ არასწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად, ანუ კანონის (სსსკ-ის 393.2 მუხლის) დარღვევით მიღებული გადანყვეტილების ძალაში დატოვება შესაძლებელია სხვაგვარი სამართლებრივი შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, თავისი განჩინებით ძალაში დატოვოს გასაჩივრებული გადანყვეტილება ან ამ გადანყვეტილების შეცვლით მიიღოს

ახალი გადაწყვეტილება (სსსკ-ის 386-ე მუხლი). ასეთივე შესაძლებლობითაა აღჭურვილი საკასაციო სასამართლოც, კერძოდ, მას შუიძლია, არ გააუქმოს გადაწყვეტილება და ძალაში დატოვოს იგი (სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) ან ახალი გადაწყვეტილებით დაადგინოს სხვა სამართლებრივი შედეგი (სსსკ-ის 411-ე მუხლი).

104. განსახილველ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე საკასაციო პალატა საჭიროდ მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს დავალების ხელშეკრულების სამართალურთიერთობის თავისებურებებზე:

105. „დავალების ხელშეკრულება ის სამართლებრივი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც პირს შეუძლია მიანდოს თავის რწმუნებულს იურიდიული მომსახურების განევა, პარტნიორთა კრებაზე მონაწილეობის მიღება, ფასიან ქალაქდებთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოება და ა.შ., ამ ხელშეკრულების საგანია რწმუნებულის მიერ ერთი ან რამდენიმე მოქმედების შესრულება. მარწმუნებელმა შეიძლება დაავალოს რწმუნებულს როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი მოქმედების შესრულება, ვინაიდან, თავად დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელ მუხლში არ არის დაკონკრეტებული რწმუნებულის მიერ შესასრულებელი მოქმედების ხასიათი, ამიტომ ასეთი ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ყველა იმ მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ სამართლებრივ შედეგს. დავალების ხელშეკრულების ფარგლებში, მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო (სსკ-ის 710-ე მუხლის პირველი ნაწილი)“ (შდრ. სუსგ №ას-895-845-2015, 2016 წლის 29 იანვრის განჩინება).

106. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულებათა განმარტების თავისებურება განპირობებულია ურთიერთობათა ორმხრივი (მრავალმხრივი) ხასიათით, დისპოზიციური ნორმების გამოყენებით, სავაჭრო და საქმიანი ჩვეულებებითა და ტრადიციებით, მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობაში ჩამოყალიბებული პრაქტიკით, იმპერატიული ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინების აუცილებლობით და ა.შ.

107. ხელშეკრულება არის მხარეთა მიერ მიღწეული კონსესუსის შედეგი, რომელიც, სამართლებრივი თვალსაზრისით, იწვევს მხარეთა მიმართ უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას მათივე ნების საფუძველზე. ხელშეკრულების არსებობისათვის აუცილებელია ორი ან მეტი ნების თანხვედრა, რაც იწვევს მხარეთა საერთო ნების დადგენის აუცილებლობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელშეკრულების განმარტების არსი მხარეთა მიერ გამოვლენილი საერთო ნების ნამდვილი შინაარსის, ხელშეკრულების რეალური მიზნის დადგენაში მდგომარეობს. სასამართლო მხარეთა

ნამდვილ ნებას ადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმარტების პროცესში წარმოიშობა ხელშეკრულების ტექსტში გადმოცემულ დებულებათა შორის წინააღმდეგობა ან შეუსაბამობა.

108. ყველა იმ გარიგებაში, რომლებშიც ნების გამოვლენის ნამდვილობა დამოკიდებულია მეორე მხარის მიერ ამ ნების მიღებაზე, არცთუ იშვიათად იბადება კითხვა, სწორად გაიგო თუ არა მეორე მხარემ ის, რისი თქმაც ნების გამომვლენ პირს სურდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გარიგებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ორი მხარე – ნების გამომვლენი და ნების მიმღები – მონაწილეობს, აშკარა გახდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გამოვლენილი ნების სწორად გაგებას მეორე მხარის მიერ. მრავალი გარემოებით შეიძლება იყოს გამოწვეული, რომ ის, რაც იგულისხმა ნების გამომვლენმა, სხვაგვარად გაიგო მისმა მიმღებმა. აქედან წარმოიშობა გამოვლენილ ნებათა კონფლიქტი, რომელიც საჭიროებს სწორად გადაწყვეტას. ამ კონფლიქტის გადაწყვეტის სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს ნების გამოვლენის განმარტება.

109. სსკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. ცხადია, რომ ეს „გონივრული განსჯა“ უნდა ემყარებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს, კერძოდ, ნების გამოვლენის განმარტება უნდა განხორციელდეს ნების მიმღების შემეცნების (გაგების) შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ამგვარი განმარტების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ხელშესახები გარემოება, რომელიც ამ შემთხვევას ახასიათებს.

110. ხელშეკრულების განმარტების საჭიროებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა ხელშეკრულება, რომლის გამონათქვამებიც ბუნდოვანი, ორაზროვანი ან ურთიერთგამომრიცხავია, აგრეთვე როცა მისი გამონათქვამები შესწორებასა და შევსებას მოითხოვენ. ხელშეკრულების განმარტების დროს სასამართლო ორ მნიშვნელოვან საკითხს წყვეტს: სასამართლოს ევალება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში გაკეთებული გამონათქვამების დაზუსტება, ხოლო მეორეს მხრივ, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით ხელშეკრულებაში ღიად დარჩენილი ადგილების ე.წ. ხარვეზების შევსებას ახორციელებს.

111. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკანონმდებლო მონესრიგებას საფუძვლად უდევს კონკრეტული სოციალური პროცესების მართვის სამართლებრივ-პოლიტიკური მოდელი ანუ, როდესაც კანონმდებელი განსაზღვრულ ქცევას სავალდებულოდ ადგენს, ამით მას სურს განსაზღვრული მიზნების მიღწევა. ასეთ შემ-

თხვევაში კანონმდებელს მინიჭებული აქვს უფლებამოსილებები ერთის მხრივ, დასახული მიზნის მიღწევასთან, ხოლო მეორეს მხრივ, ამ მიზნის მისაღწევად გამოსაყენებელი სამართლებრივი საშუალებების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. კანონის ინტერპრეტაცია უნდა ემსახურებოდეს ამ კანონის მიზანს. კანონის ცალკეული დებულებები გააზრებული უნდა იქნას სხვადასხვა დებულებათა ურთიერთდამოკიდებულებაში.

112. კანონის ინტერპრეტაცია მთლიანობაში წარმოადგენს არგუმენტების შერჩევისა და გადანყვეტილებების მიღების პროცესს, რომელიც ხშირად სხვადასხვა, ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფ მიზნებზე არის ორიენტირებული. სამართლებრივი გადანყვეტილებები დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციებზე, რადგან განსხვავებულ, თუნდაც ტიპიურ სიტუაციებში, მიზნები და მათთან დაკავშირებული ინტერესები სხვადასხვა მოცულობითა და კონსტელაციაში გარკვეულ როლს თამაშობენ.

113. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამართლიანობის მიღწევის გარდა, სამართლის ამოცანაა, უზრუნველყოს სამართლებრივი უსაფრთხოება და ინტერესთა ოპტიმალური და მიზანშეწონილი დაკმაყოფილება. ყოველივე ეს მიზანი გათვალისწინებულ უნდა იქნას კანონის ინტერპრეტაციისა და განვრცობის პროცესში. სამართლის ფუნქცია, რომ პრობლემები სამართლიანად გადანყვიტოს, არა მხოლოდ ინტერპრეტაციის გზით ხორციელდება, არამედ, ამავე დროს, წარმოადგენს კანონის განვრცობის საჭიროების შემონიშნას.

114. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონის ინტერპრეტაციის მიზნის მისაღწევად ანუ კანონის აზრის გასაგებად, გამოიყენება განმარტების გრამატიკული, ლოგიკური, ისტორიული და სისტემური ხერხები. „გრამატიკული“ ინტერპრეტაციის მიზანია, დაადგინოს, ენობრივი თვალსაზრისით, რა მნიშვნელობით იხმარება კანონის სიტყვები ამ ენის მატარებელთა საზოგადოებაში და რა მნიშვნელობით იყენებს მათ კანონმდებელი. (რაინჰოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მე-10 გადამუშავებული გამოცემა, GIZ 2009, 53).

115. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კანონის ინტერპრეტაცია სამართლიან მონესრიგებასა და ოპტიმალურ დაკმაყოფილებას უნდა ინვესტირდეს. კანონის ინტერპრეტაცია არ ნიშნავს მხოლოდ სიტყვების მიღმა მდგომი აზრის ახსნას, არამედ იგი ნიშნავს სხვადასხვა მნიშვნელობებიდან ყველაზე სწორი და გადამწყვეტი მნიშვნელობის შერჩევას. „ინტერპრეტაციას აქვს მსჯელობითი ხასიათი, როდესაც არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების წარმოდგენა ხდება, რომელთაგან უკეთეს მოტივაციას უპირატესი

მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. (რაინჰოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მე-10 გადაამუშავებული გამოცემა, GIZ 2009, 59). გარდა ამისა, კანონის ინტერპრეტაცია უნდა იცავდეს „სამართლის ერთიანობის“ პრინციპს, ე.ი. ინტერპრეტაციის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში სამართლის სხვა ნორმებთან. სამართლის ნორმა ისე უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, რომ იგი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ლოგიკურად თავსებადი იყოს უფრო მაღალი ან იგივე რანგის ნორმათა კონტექსტში.

116. იმის გათვალისწინებით, რომ მხარეთა შორის წარმოშობილი დავა ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით მოწესრიგებას, უცხო ქვეყნის სასამართლო პრაქტიკასა და საკანონმდებლო გამოცდილებას მოცემულ საქმეზე გავლენა ვერ ექნება და მასზე სასამართლოს მიერ მიღებული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტის – სახელმწიფოს სახელით მიღებული გადაწყვეტილების დაფუძნება უმართებულოა. თუმცა გერმანიის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომები საქართველოსათვის, როგორც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისათვის, ყურადსაღებია. ერთ-ერთ საქმეზე გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებით განიმატა: „მოსარჩელის მოთხოვნის უფლების არსებობა აგრეთვე ვერ დადგინდება ხელშეკრულების დამატებითი განმარტების გზით, ვინაიდან ხელშეკრულება არ შეიცავს გეგმის საწინააღმდეგო/უნებლიე ხარვეზს. მსგავსი ხარვეზი ხელშეკრულების პირობების განერისას სახეზეა, როდესაც მხარეებს გამორჩებათ ხელშეკრულების რომელიმე პუნქტი, ან შეგნებულად ღიად დატოვებენ მას, ვინაიდან ხელშეკრულების დადების მომენტში, არ მიიჩნეის, რომ საჭირო იყო მისი განსაზღვრა, ხოლო მოგვიანებით აღმოჩნდება, რომ მათი ეს ვარაუდი არასწორია. ამასთან გეგმის საწინააღმდეგო/უნებლიე ხარვეზზე საუბრობენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება არ შეიცავს პუნქტს, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ მოხდეს მხარეთა იმ შეთანხმებული გეგმის განხორციელება, რომელიც საფუძვლად უდევს ამ პუნქტს, და რის გამოც ხელშეკრულების სრულყოფის გარეშეც ვერ მივიღებთ ჯეროვან, მხარეთა ინტერესების შესატყვის გამოსავალს.... აგრეთვე ხელშეკრულების სტანდარტული პირობები შეიძლება შეიცავდეს გეგმის საწინააღმდეგო/უნებლიე ხარვეზს და საჭიროებდეს ხელშეკრულების დამატებით განმარტებას..... ის, თუ რამდენად არის სახეზე გეგმის საწინააღმდეგო/უნებლიე ხარვეზი, ამის დადგენა შესაძლებელია ხელშეკრულების განმარტების გზით.....“ (იხ. ამონარიდი გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებიდან

20.04.2017 – VII ZR 194/13 – NJW 2017, 2025). ხელშეკრულებაში მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების გონივრული და არა გამოთქმის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასამართლომ „ბოლომდე უნდა იფიქროს“ იმასთან დაკავშირებით, თუ სავარაუდოდ რა შეიძლება იყოს ყოფილიყო მხარეთა სურვილი. ამ კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება [10.11. 1999 – I ZR 183/97 – NJW 2000, 743]: „ხელშეკრულების დამატებით განმარტების არსი მდგომარეობს ხარვეზის შემცველი გარიგების მხარეთა ჰიპოთეტური სურვილის შესაბამისად განვრცობაში. ამასთან, სასამართლო უნდა ამოვიდეს იქიდან, თუ რაზე შეთანხმდებოდნენ მხარეები, როგორც კეთილსინდისიერი ხელშეკრულების მხარეები, კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით მათი ინტერესების ჯეროვანი შეჯერების პირობებში, თუ მათ არ გამორჩებოდათ ხელშეკრულების შესაბამისი პუნქტი. არსებული ხარვეზები უნდა შეივსოს ხელშეკრულების დამატებით განვრცობის გზით იმგვარად, რომ „ბოლომდე იყოს ნაფიქრი“ კონკრეტული ხელშეკრულების ძირითადი პუნქტები (შდრ. BGHZ 84, 1, 7; 90, 69, 77; 135, 387, 392). აქედან გამომდინარე, მხარეთა ჰიპოთეტური ნების გამორკვევისას ხელშეკრულების დანარჩენი შინაარსისა და ხელშეკრულების დადების მომენტში არსებული სხვა გარემოებების პარალელურად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მხარეთა ფაქტობრივ ნებას, რამდენადაც შესაძლებელია მისი დადგენა...“ (შდრ. სუსგ №ას -1161-1116-2016, 12 ოქტომბერი, 2017.)

117. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, მხარეთა შორის დადებული დავალების ხელშეკრულება მარნმუნებელს (მონინალმდეგე მხარე) ავალდებულებს გადაუხადოს რწმუნებულს (კასატორი) მის მიერ ფაქტობრივად განეული მომსახურების სანაცვლოდ გასამრჯელო, რომელიც სამართლიანად უნდა იყოს გამომუშავებული რწმუნებულის მიერ. ამ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს მხარეთა სახელშეკრულებო ნების გამოვლენის თავისუფლების პრინციპს, თუმცა, კეთილსინდისიერების ფარგლებში კონტრაჰენტთა ქმედებებს, ერთმანეთისადმი ნაკისრი უფლება-მოვალეობების, ხელშეკრულებაში გამოვლენილი ფაქტობრივი ნების გონივრულობისა და სამართლიანობის შეფასების საფუძველზე მოახდენს.

118. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ წარმომადგენლობის ინსტიტუტს საფუძვლად უდევს კონკრეტული პირის (ან პირთა) უფლება სამართლებრივ ურთიერთობებში წარმოადგინოს სხვა პირი (ან პირები) – წარმომადგენლობის უფლებამოსილება. სკ-ის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, წარ-

მომადგენლობის უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს ანდა წარმოიშობა მინდობილობის საფუძველზე (იხ. დამატებით: ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 427.)

119. წარმომადგენლის მეშვეობით გარიგების დადებისას მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნეს მიღებული შემდეგი ფაქტორები: ა) წარმომადგენელი გამოხატავს საკუთარ ნებას, ბ) ამას იგი აკეთებს სხვისი სახელით, გ) უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა წარმოდგენილ პირს. ჩამოთვლილი კრიტერიუმები კუმულატიური ხასიათისაა და მათი ერთობლიობა ქმნის შესაბამის სამართლებრივ შედეგს. წარმომადგენელსა და წარმოდგენილ პირს შორის წარმოშობილი ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს გარიგება – დავალების ხელშეკრულება და მის საფუძველზე რწმუნებულისათვის მინდობილობის გაცემა ანუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება.

120. მინდობილობის შინაარსი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა სახის ურთიერთობა უდევს ამ უფლებამოსილებას საფუძველად: დავალება, შრომის ხელშეკრულება, სამენარმეო საზოგადოების წესდება, სამანდატო ხელშეკრულება თუ სხვა. მაშასადამე, მინდობილობა არის როგორც გარიგების საფუძველზე მინიჭებული წარმომადგენლობის უფლებამოსილება – რწმუნებულება, რითიც განსხვავდება იგი კანონით წარმომადგენლობისგან. (იხ. დამატებით: ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 103-ე, თბ., 1999, 277). გარიგებისმიერი წარმომადგენლობა ნებაყოფლობითი წარმომადგენლობაა, რადგან ამ დროს პირი თავად იღებს გადაწყვეტილებას თავისი ინტერესების რეალიზებისთვის უფლებამოსილების სხვისთვის გადაცემის თაობაზე. წარმომადგენლობად უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ პირდაპირი წარმომადგენლობა, ე.ი. როცა წარმომადგენელი მოქმედებს წარმოდგენილი პირის სახელით და ამ პირის ინტერესებისათვის. (იხ. დამატებით: ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011.)

121. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, სსკ-ის 709-ე მუხლის მიხედვით, დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე. ამავე კოდექსის 710-ე მუხლის შესაბამისად, „1. მარწმუნებელი ვალდებულია, გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო მხოლოდ ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. 2. გასამრჯელო ჩაითვლება უსიტყვოდ შეთანხმებულად, თუ გარემოებათა მიხედვით მოქმედების შესრულება მხოლოდ გასამრჯელოთი

არის მოსალოდნელი. 3. თუ გასამრჯელოს ოდენობა არ არის განსაზღვრული, მაშინ რაიმე ნიხრის არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სანიხრო გასამრჯელო, ისევე, როგორც ნიხრის არარსებობისას – ჩვეულებრივი გასამრჯელო“.

122. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დავალების ხელშეკრულების დადებისას გასამრჯელოს კონკრეტულ ოდენობაზე ან მისი გამოთვლის წესზე შეთანხმებლობა არ გულისხმობს მხარეთა შორის უსასყიდლო ურთიერთობის არსებობას. ამ თავისებურებაზე მიუთითებს სსკ-ის 710-ე მუხლის მე-2 ნაწილი „გასამრჯელო ჩაითვლება უსიტყვოდ შეთანხმებულად, თუ გარემოებათა მიხედვით მოქმედების შესრულება მხოლოდ გასამრჯელოთი არის მოსალოდნელი“. ამ ნორმით გათვალისწინებული გარემოების გაქარწყლება შესაძლებელია თვით დაინტერესებული პირის მიერ, თუ იგი დაადასტურებს, რომ სადავო ურთიერთობა გასამრჯელოს არ ითვალისწინებდა. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის (მარწმუნებლის) მითითება, რომ მხარეებს შორის იმთავითვე არ არსებობდა შეთანხმება რაიმე სახის ფიქსირებული ოდენობის გასამრჯელოზე, არ იყო საკმარისი სსკ-ის 710-ე მუხლის მე-2 ნაწილით მოცემული პრეზუმფციის გასაქარწყლებლად. სსკ-ის 710-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „თუ გასამრჯელოს ოდენობა არ არის განსაზღვრული, მაშინ რაიმე ნიხრის არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სანიხრო გასამრჯელო, ისევე, როგორც ნიხრის არარსებობისას – ჩვეულებრივი გასამრჯელო“. ამდენად, კანონი უშვებს შესაძლებლობას, რომ გასამრჯელოს თაობაზე ხელშეკრულებაში შესაბამისი დათქმის არარსებობის მიუხედავად, მისი ოდენობა დადგინდეს ნიხრების ან ამ ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ჩვეულებების მიხედვით გონივრული ოდენობით. სსკ-ის 709-ე და 710-ე მუხლების ნორმატიული შინაარსი დავალებისათვის გასამრჯელოს გადახდის ვალდებულებას ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებს უკავშირებს.

123. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იურიდიულ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული შეხედულებაა, რომ დამტკიცებას არ საჭიროებენ ე.წ. პრეზუმირებული ანუ ნავარაუდევო ფაქტები. პრეზუმფცია წარმოადგენს ვარაუდს ამა თუ იმ ფაქტის არსებობის შესახებ. პრეზუმფციების მეშვეობით კანონმდებელი აწინააღმდეგებს მტკიცების ტვირთს მხარეთა შორის და იგი არის მტკიცების ტვირთის გამოხატვის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი და ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა.

124. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მო-

სარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2003, გვ.64).

125. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამართალწარმოებაში პრეზუმციების არსებობა იმითაა განპირობებული, რომ ფაქტების გარკვეული ნაწილი მტკიცებას არ საჭიროებს. სამოქალაქო პროცესში მონაწილეობს ორი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე. შესაბამისად, ერთი ნაწილი მტკიცების საგანში შემავალი ფაქტებისა ივარაუდება მოსარჩელის სასარგებლოდ, ხოლო დანარჩენი ნაწილი – მოპასუხის სასარგებლოდ. ის, რაც მოსარჩელის სასარგებლოდ ივარაუდება უნდა გააქარწყლოს მოპასუხემ, ხოლო ის, რაც მოპასუხის სასარგებლოდ ივარაუდება პირიქით, უნდა გააქარწყლოს მოსარჩელემ. ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზუმფციები სასამართლოში მტკიცების მოვალეობისაგან კი არ ათავისუფლებს მხარეს, არამედ წარმოადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესს. მოსარჩელე ვალდებულია დაამტკიცოს მტკიცების საგანში შემავალი გარკვეული ფაქტების ნაწილი, ხოლო ამ ფაქტების მეორე ნაწილი ვალდებულია დაამტკიცოს მოპასუხემ. ნორმები, რომლებიც შეიცავს პრეზუმფციებს, წარმოადგენენ კანონის პირდაპირ მითითებას იმის შესახებ, რომელმა მხარემ კონკრეტულად რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს სამოქალაქო პროცესში. ამა თუ იმ ფაქტის დამტკიცების ტვირთისაგან გათავისუფლება წარმოადგენს არა მიზეზს, არამედ ამ ტვირთის განაწილების შედეგს, ანუ პრეზუმფციების მეშვეობით კანონმდებელი ანაწილებს დამტკიცების ტვირთს მხარეთა შორის და მტკიცების ტვირთის გამოხატვის სხვა ფორმებს შორის, რომელსაც იცნობს მატერიალური სამართალი, პრეზუმფციები ყველაზე სრულყოფილი და პრაქტიკულად ხელმისაწვდომი ფორმაა (იხ. თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ.,

2005, გვ.230).

126. თუ რომელი მხარისათვის უფრო ადვილია დაამტკიცოს ესა თუ ის ფაქტი, აგრეთვე რომელი ფაქტების დამტკიცების საფუძველზე წარმოიშობა ვარაუდი (პრეზუმფცია) გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტების არსებობის შესახებ, განსაზღვრულია კანონით, ხოლო ზოგიერთ შემთხვევებში კი, სასამართლო პრაქტიკით.

127. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 710-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია კანონისმიერი ვარაუდი (praesumptio juris), რომლის უარყოფაც საწინააღმდეგოს დამტკიცებით არის შესაძლებელი, რაც ამსუბუქებს რწმუნებულის მტკიცების ტვირთს და ზეგავლენას ახდენს მხარეებს შორის არსებულ მატერიალურსამართლებრივ ურთიერთობაზე. შესაბამისად, პრეზუმფციის უარყოფა უნდა მოხდეს მონინააღმდეგე მხარის (მარწმუნებლის) მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე.

128. საკასაციო პალატა კასატორის პირველ საკასაციო პრეტენზიასთან მიმართებით (იხ.წინამდებარე გადაწყვეტილების პ.61) ყურადღებას გაამახვილებს წინამდებარე გადაწყვეტილების პპ: 35-37., აგრეთვე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესულ განჩინებაზე, რომლითაც გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო: განსახილველი დავის ფარგლებში პასუხი უნდა გაცემოდა შემდეგ კითხვებს: 1. გათვალისწინებული იყო თუ არა დავალების ხელშეკრულებებით გასამრჯელო ვალდებულების შესრულებისათვის; 2. წარმოადგენდა თუ არა გასამრჯელო ოთხი ნებისმიერი ბინის საფასურს; 3. რწმუნებულის მიერ მარწმუნებლის თანხების მითვისება დავალების ხელშეკრულების შესრულებისას ნიშნავს თუ არა ვალდებულების არაკეთილსინდისიერად და არაჯეროვნად შესრულებას; 4. შეიძლება თუ არა რწმუნებულის მიერ ვალდებულების არაკეთილსინდისიერად და არაჯეროვნად შესრულების მიუხედავად რწმუნებულმა მოითხოვოს განუული საქმიანობისათვის გასამრჯელო.

129. პირველ და მეორე საკითხთან დაკავშირებით, 2015 წლის 10 სექტემბრის განჩინებაში საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის (თავდაპირველი მოსარჩელე) მოსაზრება იმის თაობაზე, რომ წერილობითი ფორმით დავალების ხელშეკრულების დადებისას გასამრჯელოს გაუთვალისწინებლობა ნიშნავს მხარეთა შორის უსასყიდლო ურთიერთობის არსებობას. კანონი, ამ მოსაზ-

რების სანინალმდეგოდ, ადგენს ასეთ ვითარებაში გასამრჯელოს განსაზღვრის კრიტერიუმებს. მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის წარმოშობილი იყო გრძელვადიანი ურთიერთობა, რომელიც ითვალისწინებდა მოგების მიღების მიზნით მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის აშენებას, რაც მაღალი ალბათობით შესაძლებელია განხორციელდეს გასამრჯელოს სანაცვლოდ. გასამრჯელო ჩაითვლება უსიტყვოდ შეთანხმებულად, თუ გარემოებათა მიხედვით მოქმედების შესრულება მხოლოდ გასამრჯელოთი არის მოსალოდნელი. ამ თავისებურებაზე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 710-ე მუხლის მე-2 ნაწილი. თუმცა ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული გარემოების გაქარწყლება შესაძლებელია თვით დაინტერესებული პირის მიერ, თუ იგი დაადასტურებს, რომ სადავო ურთიერთობა გასამრჯელოს არ ითვალისწინებდა. აღნიშნული თავდაპირველმა მოსარჩელემ ვერ დაადასტურა (სსსკ-ის 102-ე მუხლი). იგი უთითებდა მხოლოდ დავალების ხელშეკრულებებში გასამრჯელოზე შეთანხმების არარსებობაზე, რაც არ არის საკმარისი 710-ე მუხლის მე-2 ნაწილით მოცემული პრეზუმფციის გასაქარწყლებლად. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ გასამრჯელოს ოდენობა არ არის განსაზღვრული, მაშინ რაიმე ნიხრის არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სანიხრო გასამრჯელო, ისევე, როგორც ნიხრის არარსებობისას – ჩვეულებრივი გასამრჯელო. ამდენად, კანონი უშვებს შესაძლებლობას, რომ გასამრჯელოს თაობაზე ხელშეკრულებაში შესაბამისი დათქმის არარსებობის მიუხედავად მისი ოდენობა დადგინდეს ნიხრების ან ამ ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ჩვეულებების მიხედვით. აღნიშნულთან ერთად, ყურადსაღებია, რომ გასამრჯელოს ოდენობის დადგენისას სასამართლო დაეყრდნო არა ნიხრის ან ჩვეულებრივი გასამრჯელოს პრინციპს, არამედ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 21 აგვისტოს განაჩენით დადგენილ ფაქტს, რომლითაც ვ. მ-ი (პირველი მოსარჩელე) აღიარებს, რომ დავალების ხელშეკრულების შესრულების შედეგად ის დაპირდა მეორე მოსარჩელეს (მ. ზ-ეს) მშენებარე საცხოვრებელ სახლში ნებისმიერი 4 ბინის გადაცემას. ამ დადგენილი ფაქტის წინააღმდეგ კასატორმა ვერ წარმოადგინა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით. ამდენად, ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პირველი და მეორე კითხვების პასუხად გამოტანილი იქნა დასკვნა, რომ მხარეთა შორის დავალების ხელშეკრულებები ითვალისწინებდა გასამრჯელოს ოთხი ნებისმიერი ბინის გადაცემით სახით.

130. მესამე საკითხთან დაკავშირებით, საკასაციო სასამარ-

თლომ აღნიშნა, რომ კასატორს წარმოდგენილი ჰქონდა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რომლის თანახმად სააპელაციო სასამართლომ არ მისცა შეფასება საქმეში არსებულ მტკიცებულებას. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა საქმეში არსებული, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 21 აგვისტოს განაჩენი. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ დავალების ხელშეკრულების შესრულებისას მარწმუნებლის მიერ დავალებული თანხების მითვისება წარმოადგენს ვალდებულების არაკეთილსინდისიერად და არაჯეროვნად შესრულებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულება (რისთვისაც გათვალისწინებულია გასამრჯელო) ნიშნავს მის შესრულებას ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ წესის საწინააღმდეგო ქმედება არის ვალდებულების დარღვევა. მიუხედავად იმისა, რომ პირველი მოსარჩელე საქმის განხილვისას უთითებდა მეორე მოსარჩელის მიერ თანხების მითვისების განაჩენით დადგენილ ფაქტებზე, სააპელაციო სასამართლომ შეფასება არ მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებას (ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 21 აგვისტოს განაჩენს) და არ გამოიკვლია განაჩენით დადგენილი ფაქტები, კერძოდ მიუთითებენ თუ არა ეს ფაქტები მოსარჩელის მიერ დავალების ხელშეკრულებების არაკეთილსინდისიერად და არაჯეროვნად შესრულებაზე.

131. აღნიშნული ფაქტების კვლევის შედეგად წარმოიშობა საქმისათვის მნიშვნელოვანი კითხვა: შეიძლება თუ არა რწმუნებულის მიერ ვალდებულების არაკეთილსინდისიერად და არაჯეროვნად შესრულების მიუხედავად, რწმუნებულმა მაიც მოითხოვოს განეული საქმიანობისათვის გასამრჯელო. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს არ ჰქონდა გამოკვლევული აღნიშნული საკითხი. სააპელაციო სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ იმ ფაქტების კვლევით, რომლებიც მიუთითებდნენ გასამრჯელოს თაობაზე შეთანხმების არსებობა-არარსებობასა და გასამრჯელოს მოცულობაზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად არასწორად განსაზღვრა მტკიცების საგანი, მტკიცების საგანში არ შეიყვანა მოპასუხის (პირველი მოსარჩელის) მიერ მითითებული ფაქტები და არ შეაფასა ამ ფაქტების დამდგენი მტკიცებულება.

132. 2015 წლის 10 სექტემბრის განჩინებაში საკასაციო სასამართლომ აგრეთვე მიუთითა, რომ არაკეთილსინდისიერ მხარესაც შესაძლებელია გააჩნდეს მოთხოვნები კონტრაპენტის მიმართ. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება ამ მოთხოვნების ფარგლების

დადგენას. კერძოდ, დავალების ხელშეკრულების საფუძველზე დავალებული მოქმედებით მარნმუნებელი იღებს სარგებელს, შესაბამისად მას გააჩნია შესრულების მიმართ იურიდიული და ეკონომიკური ინტერესი. მოცემულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს აღნიშნული ინტერესი. შესაძლებელია მოსარჩელეს (რნმუნებულს) გააჩნდეს მხოლოდ იმ ხარჯის მოთხოვნის უფლება, რომელიც მან გასწია დავალების შესასრულებლად და, რომლის მიმართ მარნმუნებელს გააჩნია იურიდიული და ეკონომიკური ინტერესი იმ თანხების გამოკლებით, რაც მიუთითებს მის მიერ ვალდებულების არაკეთილსინდისიერად შესრულებაზე. მოცემულ საქმეში შესრულების ხარისხზე მხარეები არ დავობენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ უნდა გაუქმებულიყო გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაბრუნებულიყო იმავე სააპელაციო სასამართლოსთვის, რათა სააპელაციო სასამართლოს სწორად განსაზღვრა მტკიცების საგანი, შეეფასებინა მტკიცებულება (განაჩენი) სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში და დაედგინა მეორე მოსარჩელის მოთხოვნის მოცულობა.

133. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, იმსჯელოს სამოქალაქო საპროცესო სამართლით გათვალისწინებულ პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე ფაქტების ინსტიტუტზეც. (სსკ-სკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი)

134. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, წინასწარ დადგენილი ძალის მქონე ფაქტებად კანონმდებელი განიხილავს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს და მხარეს მათ დასადასტურებლად მტკიცებულებათა წარდგენის ვალდებულებისაგან ათავისუფლებს იმ შემთხვევაში, თუ სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ, ანუ პრეიუდიციული ძალის მქონედ ფაქტობრივი გარემოების მიჩნევისათვის, სავალდებულოა, არსებობდეს სამოქალაქო საქმეზე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების სუბიექტები სხვა სამოქალაქო საქმის მხარეებად უნდა გვევლინებოდნენ. თავად პრეიუდიციულ ფაქტებში იგულისხმება ისეთი იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებითაც განსაზღვრულია მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები, რაც საფუძველად დაედო გადაწყვეტილების გამოტანას. პრეიუდიციულობის შემონმების დროს მნიშვნელობა ენიჭება როგორც იმ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესუ-

ლი გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები, ასევე ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების შინაარსს. მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია ასევე სასამართლო გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალა, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათსა და სავალდებულობას არა მარტო კონკრეტული პროცესისათვის, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩევლო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი (სსსკ-ის 106-ე მუხლის განმარტების თაობაზე იხილეთ: სუსგ №ას-827-791-2014, 13.11.2015; სუსგ №ას-58-56-2016, 26.02.2016წ.)

135. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ პრეიუდიციული ძალის მქონე არ არის გადაწყვეტილების/განჩინების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ყველა გარემოება, ასევე, პრეიუდიციული ძალა არ ვრცელდება ამ ფაქტების სამართლებრივ შეფასებაზე. ეს საკითხი უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული, სასამართლოს მიერ დადგენილი რომელი ფაქტები ამართლებს სარეზოლუციო ნაწილში ჩამოყალიბებულ დასკვნებს. „გადაწყვეტილების კანონიერ ძალას გააჩნია კანონით განსაზღვრული სუბიექტური და ობიექტური ფარგლები, რომელიც აზუსტებს გადაწყვეტილების მოქმედების საზღვრებს. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება საქმის განხილვაში მონაწილე პირთა წრეზე (სუბიექტური ფარგლები) და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე (ობიექტური ფარგლები). შესაბამისად, გასაჩივრებას ექვემდებარება გადაწყვეტილება, თუ სადავოა მისი სარეზოლუციო ნაწილით და არა აღწერილობითი ან სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტი“ (მდრ. სუსგ №ას-710-2011-09, 07.09.2009წ.). ფაქტების პრეიუდიციულობის შემოწმების დროს მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო იმ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები (კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ), არამედ ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების შინაარსს (რომელი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზეც იქნა მიღებული გადაწყვეტილება. იხ. სუსგ №ას-827-791-2014, 13.11.2015წ.).

136. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონიერ ძალაში შედის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც, კანონის თანახმად, ასაბუთებენ, ამართლებენ სარეზოლუციო ნაწილს. ფაქტების პრეიუდიციულობის შემონების დროს მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ იმ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები (სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), გამოტანილი იმავე მხარეების მიმართ, რომლებიც მონაწილეობენ სხვა სამოქალაქო საქმის განხილვაში), არამედ მატერიალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებსაც (გადაწყვეტილებით დადგენილი იმ ფაქტობრივი გარემოებების შინაარსს, რომელი გარემოებების საფუძველზეც იქნა მიღებული გადაწყვეტილება).

137. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დავაში მონაწილე მხარეების მიმართ სხვა სამოქალაქო საქმეზე მიღებულ, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტისათვის პრეიუდიციული ძალის მინიჭების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ეფუძნება იმ ფაქტს, რომელიც იურიდიულად ამართლებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ფაქტი არ შეიძლება მიჩნეულ იქნას პრეიუდიციულად და ის უნდა იქნას შეყვანილი მტკიცების საგანში (იხ. სუსგ №ას-455-769-09, 03 დეკემბერი, 2009 წელი; სუსგ №ას-146-140-2012, 12 ივლისი, 2012 წელი; სუსგ №ას-74-68-2015, 27 თებერვალი, 2015 წელი.)

138. საქართველოს უზენაესი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2015 წლის 10 სექტემბრის განჩინებით საქმეზე №ას-739-707-2015 დადგინდა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პ. 32-33.), რომ მოდავე მხარეთა შორის (პირველი და მეორე მოსარჩელები) დავალების ხელშეკრულებები ითვალისწინებდა გასამრჯელოს ოთხი ნებისმიერი ბინის გადაცემით სახით. შესაბამისად კასატორის პირველ საკასაციო პრეტენზიასთან მიმართებით ამ ფაქტს სსსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე საკასაციო პალატისათვის პრეიუდიციული მნიშვნელობა გააჩნია.

139. საქართველოს უზენაესი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2015 წლის 10 სექტემბრის განჩინებით (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 36,37.), სააპელაციო პალატას დაევალა ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 21 აგვისტოს განაჩენით დადგენილი ფაქტების გა-

მოკვლევა, კერძოდ მიუთითებენ თუ არა ეს ფაქტები მოსარჩელის მიერ დავალების ხელშეკრულებების არაკეთილსინდისიერად და არაჯეროვნად შესრულებაზე. აღნიშნული ფაქტების კვლევის შედეგად კი პასუხის გაცემა შეკითხვაზე შეიძლება თუ არა რწმუნებულის მიერ ვალდებულების არაკეთილსინდისიერად და არაჯეროვნად შესრულების მიუხედავად რწმუნებულმა მოითხოვოს განუხილველი საქმიანობისათვის გასამრჯელო. იმავდროულად საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ არაკეთილსინდისიერ მხარესაც შესაძლებელია გააჩნდეს მოთხოვნები კონტრაქტის მიმართ. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება ამ მოთხოვნების ფარგლების დადგენას. კერძოდ, დავალების ხელშეკრულების საფუძველზე დავალებული მოქმედებით მარწმუნებელი იღებს სარგებელს, შესაბამისად მას გააჩნია შესრულების მიმართ იურიდიული და ეკონომიკური ინტერესი. მოცემულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს აღნიშნული ინტერესი. შესაძლებელია მოსარჩელეს (რწმუნებულს) გააჩნდეს მხოლოდ იმ ხარჯის მოთხოვნის უფლება, რომელიც მან გასწია დავალების შესასრულებლად და, რომლის მიმართ მარწმუნებელს გააჩნია იურიდიული და ეკონომიკური ინტერესი იმ თანხების გამოკლებით, რაც მიუთითებს მის მიერ ვალდებულების არაკეთილსინდისიერად შესრულებაზე. მოცემულ საქმეში შესრულების ხარისხზე მხარეები არ დავობენ.

140. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სამართლის სუბიექტთა ქცევის კეთილსინდისიერების პრინციპზე, რომელსაც ყველა მართლწესრიგი ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს და წარმოაჩენს მას თანამედროვე სამართლისა და ბიზნესის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპად.

141. თანამედროვე ქართულ სამართლებრივ სივრცეში კეთილსინდისიერება მატერიალურ სამართლებრივ ნორმად გადაიქცა და სამართლიანობასა და თანასწორობაზე დამყარებულ სამართლებრივ სისტემაში გაერთიანდა, რითაც უფრო ფართო დატვირთვა შეიძინა. კეთილსინდისიერების პრინციპი თანამედროვე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობასა და დოქტრინაში დიდწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, სამართლიანობას, ვალდებულებების მიმართ პატიოსან დამოკიდებულებას. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების არა დაპირისპირება, არამედ მათი სოლიდარობაა, რაც ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის საფუძველია.

142. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერე-

ბა როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტი. მის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი. კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსი, უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ მხარეს, გარდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისა, ევალება ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებაც, ანუ კონტრაჰენტის პატივსაღები ინტერესების გათვალისწინება და დაცვა. ამ მოთხოვნის დარღვევა კი არა მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების პროცესში, არამედ სახელშეკრულებო მოლაპარაკებათა და ძირითადი ვალდებულებების შესრულების შემდგომ ეტაპზეც შეიძლება პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი გახდეს.

143. კეთილსინდისიერების პრინციპს სამი ფუნქცია ეკისრება: 1) ყველა ხელშეკრულება უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე; 2) კეთილსინდისიერების პრინციპს აქვს ხარვეზის (სამართლის ნორმის ხარვეზის) შემავსებელი ფუნქცია, ასევე ხელშეკრულების პირობათა (რომლებიც მხარეთა მიერ ან/და კანონით არ იყო გათვალისწინებული) დამატების ფუნქცია; 3) გამაუქმებელი, შემზღუდავი და „მაკორექტირებელი“ ფუნქცია.

144. კეთილსინდისიერების პრინციპი უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს კონტრაჰენტის ინტერესების გათვალისწინებას, რომლის არარსებობის შემთხვევაში ადგილი აქვს უფლების ბოროტად გამოყენებას. იგი წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის შეფასებით კრიტერიუმს, რომლის შესაბამისადაც, სამართლიანისა და უსამართლოს გამიჯვნის გზით, პირი იღებს ობიექტური დამკვირვებლის შეფასებით ყველაზე სამართლიან გადაწყვეტილებას. კეთილსინდისიერების პრინციპი ქართულ სასამართლო პრაქტიკაში მიზნულია უშუალოდ მოქმედ სამართლად და მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად, რომლის მიზანი სამართლიანი შედეგის დადგომა და უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა (იხ. სუსგ №ას-1338-1376-2015, 29 ივნისი, 2015; №ას-221-213-2012; №ას-23-18-2011, 24 მაისი, 2011.).

145. კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენება აქტუალური ხდება მაშინ, როცა პირის მოთხოვნა ან ქმედება ფორმალურად შეესაბამება მოქმედ მატერიალურ კანონმდებლობას, მაგრამ მისი განხორციელება კონკრეტულ შემთხვევაში უსამართლოა. შესაბამისად, მისი ფუნქცია აშკარად უსამართლო შედეგების თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობასა და სიმყარეს (იხ. სუსგ №ას-862-828-2016, 24 თებერვალი, 2017; №ას-528-501-2015, 04 ნოემბერი, 2015;

№ას-549-521-2015, 18 ნოემბერი, 2015.).

146. ევროპის სახელმწიფოებო სამართლის პრინციპების მიხედვით, თითოეული მხარე ვალდებულია მოქმედებდეს კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის ფარგლებში, რაც არ შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირიცხოს ხელშეკრულებით. კეთილსინდისიერებისა და ნდობის პრინციპი მიჩნეულია ყოველისმომცველ პრინციპად, თუ არ არის დადგენილი კონკრეტული შემთხვევისთვის სპეციალური დანაწესი (იხ: Principles of European Contract Law (PECL), Art. 1:201. Lando O., Is Good Faith an Over-Arching General Clause in The Principles of European Contract Law, European Review of Private Law, 6-2007, Kluwer Law International, 842.).

147. საკასაციო პალატის მოსაზრებით, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობა, მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინება, მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენა საჭიროა ამ ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისათვის. ასეთ შემთხვევაში, ორივე მხარე იქნება კმაყოფილი: კრედიტორი – ვალდებულების შესრულების მიღებით, ხოლო მოვალე – ვალდებულები-საგან გათავისუფლებით.

148. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ხელშეკრულების ყოველ მხარეს ვალდებულების შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ავალდებულებს გამოიჩინოს მეორე მხარის ქონებისა და უფლებებისადმი გულისხმიერება. გულისხმიერების ვალდებულება მხარეებისათვის დამატებითი ვალდებულების დაკისრებას არ გულისხმობს, ყოველთვის ვალდებულების შინაარსშივე მოიაზრება და ერთგვარ მორალურ კატეგორიას განეკუთვნება. იგი შეიძლება გულისხმობდეს ასევე წინასახელშეკრულებო პერიოდში მხარის მიერ განხორციელებული ქმედებებისადმი პატივისცემას, აგრეთვე მისთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასაც.

149. ევროპის სახელმწიფოებო სამართლის პრინციპებში (მუხლი 1:202) გულისხმიერების ვალდებულება ნახსენებია როგორც Duty of Co-operate, რაც შეიძლება გაგებული იქნეს როგორც გულისხმიერებად, ასევე თანამშრომლობის ვალდებულებად. ამ პრინციპის დარღვევა წარმოადგენს სახელმწიფოებო ვალდებულების დარღვევას და ამ დროს გამოიყენება ვალდებულების დარღვევის დროს გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლები. შესაბამისად, მოვალეს შეუძლია მიუთითოს ამ საფუძვლებზე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კრედიტორმა დაარღვია გულისხმიერების ვალდებულება (იხ: Lando O., Beale H.G., Principles of European

Contract Law, Parts I and II, Kluwer Law International, London/Boston, 2000, 120.).

150. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ გაამახვილებს ყურადღებას უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის განჩინებით დადგენილ გარემოებებზე, კერძოდ, მხარეთა შორის დავალების ხელშეკრულებები ითვალისწინებდა გასამრჯელოს ოთხი ნებისმიერი ბინის გადაცემით სახით, აგრეთვე მოცემულ საქმეში შესრულების ხარისხზე მხარეები არ დავობენ. (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პ.პ. 68, 71). მოწინააღმდეგე მხარეს (თავდაპირველი კასატორი) სარწმუნო მტკიცებულებების წარმოდგენის გზით სადავო არ გაუხდია აგრეთვე ბინების ნატურით გადაცემის ნაცვლად ფულადი გასამრჯელოს ოდენობა.

151. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პ.პ. 61), რომ იმ პირობებში, როდესაც რწმუნებულს (პირველი მოსარჩელე) დაეკისრა მარწმუნებლის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურება ანუ მარწმუნებლის აღდგენა იმ მდგომარეობაში, რომელიც იარსებებდა რწმუნებულის მხრიდან კეთილსინდისიერი (მართლობიერი) ქმედების შემთხვევაში, არ არსებობს რწმუნებულისათვის დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე შეთანხმებული გასამრჯელოს ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი.

152. შესაბამისად, იურიდიულად ნაწილობრივ დაუსაბუთებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილება (სსსკ-ის 393-ე მუხლი). აღნიშნული გარემოება, სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად კი, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების საფუძველია.

153. სსსკ-ის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

154. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

155. ვინაიდან კასატორის სასარგებლოდ თავდაპირველი მოსარჩელისათვის 594968 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნა დასაბუთებულია, ამ ნაწილში, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მეორე სარჩელის მოთხოვნა სრულად

უნდა დაკმაყოფილდეს.

156. კასატორი აგრეთვე მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას იმ ნაწილშიც, რომლითაც მონინა აღმდგე მხარის (პირველი მოსარჩელე) სასარგებლოდ დაეკისრა 124150 აშშ დოლარის გადახდა.

157. მოცემულ შემთხვევაში, თავდაპირველი მოსარჩელის მოთხოვნა კასატორისათვის (მეორე მოსარჩელე) 124 150 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე ეფუძნება იმ გარემოებას, რომ თავდაპირველმა მოსარჩელემ კასატორს დაავალა რა თავისი სახელით უძრავი ქონების შექმნა – დავალების შესასრულებლად და მინის ნაკვეთის შესაძენად გადასცა 424 150 აშშ დოლარი. კასატორმა ბოროტად გამოიყენა მარნმუნებლის ნდობა, მოტყუებით დაეუფლა და მისაკუთრა მარნმუნებლის ფულის ნაწილი, რომელიც განკუთვნილი იყო ზემოხსენებული დავალების შესასრულებლად, კერძოდ, კასატორმა მინის ნაკვეთის შესაძენად გადაცემული თანხიდან თითქოსდა მიითვისა 124 150 აშშ დოლარი (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პ: 57-60.).

158. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსაზღვრული სამართლებრივი მიზნის შესაძლო მიღწევისას, როდესაც ერთი მოთხოვნა განსხვავებული სამართლებრივი საფუძვლით წარმოიშობა, არსებობს მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია. მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის დროს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი მოცემულია კანონის იმ ნორმებში, რომელთა თანახმად ერთ პირს მეორისაგან შეუძლია განსაზღვრული მოქმედების შესრულება ან ასეთი მოქმედებისაგან თავის შეკავება. ერთი და იგივე მოთხოვნის განხორციელება სხვადასხვა სამართლებრივი საშუალებით არის შესაძლებელი. ამ დროს უფლებამოსილ პირს ეკუთვნის თეორიულად ერთმანეთის თანაბარი, ერთი და იგივე ინტერესის დაცვისათვის გამიზნული ალტერნატიული სამართლებრივი საშუალებების ერთობლიობა. მოთხოვნათა კონკურენციისაგან განსხვავებით, სადაც მოსარჩელის უფლებამოსილებათა მოთხოვნათა შორის არჩევა, მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის დროს, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთაგან ერთ-ერთის გამოყენება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებათა (იხ. დამატებით: ლ.ჭანტურია., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ; 2011, გვ.132; ჰ. ბოლინგი/პ.ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი, თბილისი-ბრემენი, 2004-2009 წ., გვ.14; ქ. ქოჩაშვილი., მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისას, თბ, 2012წ, გვ.280; ს. ჩაჩავა., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო

სამართალში, სად. ნაშრ., თსუ, 2010, გვ.39; ს. ჰენშელი., სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდოლოგია, თბ., 2009, გვ.84.).

159. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები გარკვეული ლოგიკური რიგითობის მიხედვით უნდა შემოწმდეს. კანონი ამ რიგითობას არ აწესებს. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების შემოწმების რიგითობა უნდა განისაზღვროს მიზანშეწონილობის მიხედვით და უნდა გამომდინარეობდეს კანონის სისტემიდან. სარჩელთა კონკურენცია, რომელიც მდგომარეობს მოთხოვნის რამდენიმე საფუძვლის ერთდროულად ფორმირებაში, მოიცავს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო, სახელშეკრულებო და სავინდიკაციო, სავინდიკაციო და დელიქტურ, დელიქტურ და კონდიქციურ, კონდიქციურ და სავინდიკაციო სარჩელთა კონკურენციას.

160. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ როცა ერთი და იგივე მოთხოვნის განხორციელება სხვადასხვა სამართლებრივი საშუალებით არის შესაძლებელი, პირველ რიგში უნდა შემოწმდეს მოთხოვნის სახელშეკრულებო საფუძველი. სსკ-ის 715-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, რწმუნებული მოვალეა დაუბრუნოს მარწმუნებელს ყველაფერი, რაც მან მიიღო მინდობილი მოქმედების შესასრულებლად და არ გამოიყენა ამისათვის, აგრეთვე ისიც, რაც მან შეიძინა მინდობილი მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით. თუმცა განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პ: 46-48), საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს, გამოიტანოს დასკვნა იმის შესახებ, რომ პირველი მოსარჩელის (მონინალმდეგე მხარე) მოთხოვნის სამართლებრივი შედეგი გამომდინარეობს სსკ-ის 992-ე („პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი“), აგრეთვე სსკ-ის 408.1 („იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულზე გარემოება“) მუხლების შემადგენლობიდან. კასატორს არ წამოუყენებია დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება) სააპელაციო სასამართლოს მიერ თავდაპირველ სარჩელთან დაკავშირებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების (იხ.წინამდებარე გადაწყვეტილების პპ.41-48) მიმართ (სსსკ-ის 407.2 მუხლი), რომელთა შეფასებაც, მხარეთა ახსნა-განმარტებების მხედველობაში მიღებით, საკასაციო პალატას აძლევს შესაძლებლობას, პირველი სარჩელიდან გამომდინარე დავა დელიქტის მომწესრიგებელი ნორმებით გადაწყვიტოს.

161. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვალდებულების დარღვევა სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის საფუძველია, რომელიც იურიდიული პასუხისმგებლობის სახეა. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმათაგან ზიანის ანაზღაურებას აქვს უნივერსალური მნიშვნელობა და გამოიყენება სამოქალაქო უფლებათა დარღვევის ყველა შემთხვევაში, მაშინ როცა სხვა ფორმების გამოყენებაზე პირდაპირ უთითებს კანონი ან ხელშეკრულება კონკრეტული სამართალდარღვევისას. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, პასუხისმგებლობა ერთი კონტრაპენტისა მეორეს წინაშე, სამართალდამრღვევისა – დაზარალებულის წინაშე, დაკავშირებულია არა პიროვნული თავისუფლების ბოჭვასთან, როგორც ისტორიულ წარსულში, არამედ მოვალის მხოლოდ ქონების შემცირებასთან.

162. ქონებრივი პასუხისმგებლობის ვალდებულ პირზე დასაკისრებლად საჭიროა, რომ სახეზე იყოს სამართალდარღვევის შემადგენლობა. შემადგენლობის ორგანიზმს ჰქმნის სამართლებრივად ფასეულ სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებათა ერთობლიობა, რომელთა თანაარსებობა მოვალეზე პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია. ამ შემადგენლობის ელემენტებია: სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანი; დამრღვევის მართლსაწინააღმდეგო ქმედება; მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის; სამართალდარღვევის ბრალი.

163. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ წარმოშობის საფუძვლების მიხედვით განასხვავებენ სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანს. არასახელშეკრულებო ზიანის უზოგადესი და ცენტრალური ნორმაა სსკ-ის 992-ე მუხლი, რომელიც განამტკიცებს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს და დაზარალებულს (კრედიტორს) ვალდებული პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. აღნიშნული მუხლის გამოყენების წინაპირობებია: ზიანი; ქმედების მართლწინააღმდეგობა; მიზეზობრივი კავშირი და ბრალი (ე.წ. „გენერალური დელიქტი“).

164. სამოქალაქო სამართალში ზიანში მოიაზრება ქონებაზე ან სამართლებრივად დაცულ სხვა სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგი. ზიანი წარმოადგენს სამართალდარღვევის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს. თუ არაა ზიანი, არც ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს. ზიანი სწორედ რომ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგია. იგი წარმოადგენს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგს.

165. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ზიანი წარმოადგენს

პირის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების მისი ნების გარეშე ხელყოფას, რისი ანაზღაურებაც აღიარებულია ბრუნვის წესჩვეულებებით და შეზღუდული არ არის კანონმდებლობით. როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ასევე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობა, ერთმანეთისაგან განასხვავებს ქონებრივ და არაქონებრივ ზიანს. ქონებრივი ზიანი ქონებრივი სიკეთის ხელყოფით შემოიფარგლება. არაქონებრივი ზიანი ეტიმოლოგიურად მორალური ზიანის იდენტურია. ქონებრივ ზიანში იგულისხმება არა მხოლოდ დაზარალებულის ქონებრივი აქტივების შემცირება, არამედ პასივების გაზრდაც. სკ-ის 408-ე მუხლის თანახმად, პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

166. როგორც ზიანის მიყენების ფაქტი, ასევე გაცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი აწევს დაზარალებულ მხარეს ანუ კრედიტორს, რომელიც სასამართლო პროცესში წარმოადგენს მოსარჩელეს. ზიანის ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რეალურად გაცდილი დანაკარგების ჯამს. ის არ უნდა ატარებდეს მოვალის მიმართ სადამსჯელო ხასიათს და არ უნდა წარმოადგენდეს საჯარიმო სანქციას, რამეთუ ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი მდგომარეობს კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში და არა მოვალის დასჯაში. ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი მიმართულია ვალდებულების დარღვევის პრევენციისა და მხარეთა ინტერესთა წონასწორობის აღდგენაზე. საჯარიმო სანქციები ქართული სამართლისათვის უცხოა. ზიანის ანაზღაურება გულისხმობს შემდეგი პრინციპების დაცვას: ზიანის სრულად ანაზღაურება; უსაფუძვლო გამდიდრების არდაშვება; ადექვატურობა; სავარაუდოობა.

167. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით უნდა იყოს მიყენებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც წესი, ზიანის ანაზღაურების საკითხი არ დადგება. მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს. მართლწინააღმდეგობა ობიექტური ნიშანია სამართალდარღვევისა და მისი არსებობა არაა დამოკიდებული მოვალის ცნობიერების ხასიათზე ანუ აცნობიერებდა თუ არა მოვალე თავისი ქმედების სამართლებრივ ხასიათს. მთავარია, რომ მოვალის ქმედება არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს სამოქალაქო სამართალში მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა სხვა პირთა დაცული ინტერესის ხელყოფა. მართლწინააღმდეგობა მოიცავს როგორც კანონით დადგენილი წე-

სების, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევას.

168. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მიზეზობრივი კავშირი სამართალდარღვევის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია. ანაზღაურდება მხოლოდ ისეთი ზიანი, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედებით იყო გამოწვეული. იმისათვის, რომ მოვალეს დაეკისროს პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, წარმოადგენს თუ არა ზიანი მოვალის მოქმედების უშუალო შედეგს. თუ მიზეზობრივი კავშირი სახეზეა, არსებული ზიანი ანაზღაურდება სრულად, მიუხედავად იმისა, თუ რა ოდენობისაა ეს ზიანი ან რამდენად მაღალია მოვალის ბრალეულობა დამდგარ შედეგში. ეს ნესი არ მოქმედებს მაშინ, როდესაც კრედიტორი თავადაც არის პასუხისმგებელი დამდგარი შედეგისათვის (სსკ-ის 415-ე მუხლი); პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მხოლოდ მაშინაა ზიანის მიზეზი, როცა ის უშუალოდაა დაკავშირებული დამდგარ ზიანთან. ამგვარად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მისი გამომწვევი ქმედების უშუალო, აუცილებელი, პირდაპირი შედეგია.

169. ბრალი სამართალდარღვევის შემადგენლობის უმნიშვნელოვანესი სუბიექტური ელემენტია. ბრალის სამართლებრივი კატეგორია განსაკუთრებული იურიდიული მნიშვნელობის მქონეა, როგორც კონტინენტური, ისე საერთო სამართლის სისტემაში. სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ ბრალის ორ ფორმას: განზრახვა (dolus) და გაუფრთხილებლობა (culpa), რომლებიც პირის ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტებია.

170. განზრახვა მოიცავს ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის ფაქტობრივი გარემოებების, მხარეთა უფლება-მოვალეობების ცოდნას, ასევე ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერებას. განზრახვის აუცილებელი კომპონენტია საკუთარი ქმედების „შედეგის ცოდნა და სურვილი მართლწინააღმდეგობის შეგნებით“.

171. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ გაუფრთხილებლობა ბრალის ყველაზე გავრცელებული ფორმაა სამოქალაქო სამართალში. სსკ არც გაუფრთხილებელი ბრალის დეფინიციას იცნობს. თუ განზრახვასთან მიმართებით ცივილისტიკა მთლიანად სისხლის სამართალს ემყარება, გაუფრთხილებლობაში მას გარკვეული კორექტივები შეაქვს. გაუფრთხილებლობა გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი აუცილებელი წინდახედულობისა და ყურადღებიანობის უგულებელყოფას.

172. გაუფრთხილებლობა სამოქალაქო სამართალში იყოფა ორ სახედ: უხეში გაუფრთხილებლობა და (culpa lata) და მარტივი გა-

უფრთხილებლობა (*culpa levis*). უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც თავისი ქმედებით სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ აუცილებელი ყურადღებიაწილის მოთხოვნებს არღვევს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით, რის გამოც განზრახვა და უხეში გაუფრთხილებლობა ხშირად ერთ სიბრტყეზე განიხილება. მარტივი გაუფრთხილებლობისას კი გონივრული წინდახედულები-სა და ყურადღებიაწილის დარღვევის ხარისხი მნიშვნელოვნად შემცირებულია. უხეში გაუფრთხილებლობა, როგორც სამოქალაქო ბრუნვისათვის საჭირო გულმოდგინების განსაკუთრებით მძიმე, უჩვეულო ხარისხით დარღვევა, პასუხისმგებლობის საფუძვლად გამოიყენება, როცა ამის შესახებ პირდაპირ უთითებს კანონი.

173. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს კანონმდებლობა ზოგადი პრინციპის სახით აფუძნებს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს, მაგრამ გამონაკლისის სახით ითვალისწინებს ასევე ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შესაძლებლობა-საც. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა შეიძლება გათვალისწინებული იყოს, როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო ვალდებულებით ურთიერთობებში.

174. განსახილველ შემთხვევაში, კასატორის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება იმით გამოიხატა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 21 აგვისტოს განაჩენით დადგენილია ის გარემოება, რომ კასატორი თაღლითურად დაეუფლა პირველი მოსარჩელის კუთვნილ 124150 აშშ დოლარს, შესაბამისად, გამოვლინდა დელიქტის ერთ-ერთი მთავარი პირობა – თავდაპირველი მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედება. საკასაციო პალატის მოსაზრებით, არსებობს დელიქტური პასუხისმგებლობისათვის აუცილებელი დანარჩენი სამი ელემენტიც, კერძოდ: ზიანი – თავდაპირველმა მოსარჩელემ ქონებრივი დანაკლისი განიცადა; ბრალეულობა; მიზეზშედეგობრიობა – თავდაპირველი მოპასუხის ქმედებამ გამოიწვია თავდაპირველი მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება, ანუ, მოცემულ შემთხვევაში, მიყენებული ზიანი არის თავდაპირველი მოპასუხის მოქმედების უშუალო შედეგი.

175. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მოდავე მხარეების მიმართ კანონიერ ძალაში შესული საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 22 აპრილის განჩინებაზე (იხ.სუსგ №ას-638-605-2014, 22 აპრილი, 2016), რომელშიც აღნიშნულია, რომ მეორე მოსარჩელის (თავდაპირველი მოპასუხე, კასატორი) მოსაზრებით, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული ზემოხსენებული განაჩენით დადგენილი ფაქტები არ შეიძლება, ზიანის ანაზღაურების საფუძვლად გამოვიყენოთ, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლში შესული ცვლილებით, განაჩენით

დადგენილ ფაქტებს აღარ გააჩნიათ პრეიუდიციული მნიშვნელობა სამოქალაქო საქმეების განხილვისას.

176. საკასაციო პალატამ თავდაპირველი მოპასუხის ეს მოსაზრება არ გაიზიარა და განმარტა, რომ სსსკ-ის 106-ე მუხლზე მითითება ამავე კოდექსის 309²⁰-ე მუხლის მეორე ნაწილის გაუთვალისწინებლად არ შეიძლება. მართალია, სსსკ-ის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი („ფაქტები იმის შესახებ, განხორციელდა თუ არა მოქმედება და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქოსამართლებრივი შედეგების შესახებ, რომლის მიმართაც გამოტანილია საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილება“) 2010 წლის 24 სექტემბერს განხორციელებული ცვლილების შედეგად ამოღებულ იქნა, მაგრამ იმავე წლის 15 დეკემბრის კანონით (№4075.სსმ1, №76) განხორციელებული ცვლილებით დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნების განხილვისას მოქმედებს განსხვავებული წესი, რაც იმას გულისხმობს, რომ კანონიერ ძალაში შესულ განაჩენში მითითებული სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტები ხელახლა არ დგინდება, ანუ ისინი დადგენილად მიიჩნევა (სსსკ-ის XXXIV თავი).

177. შესაბამისად, საკასაციო პალატამ 2016 წლის 22 აპრილის განჩინებაში გაიზიარა პირველი მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ 124 150 აშშ დოლარის პირველი მოპასუხისათვის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება იყო დაუსაბუთებელი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მითითებული თანხის დაკისრებაზე უარი იმით დაასაბუთა, რომ მინდობილმა პირმა დავალების შესასრულებლად გადაცემული თანხა განკარგა ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნის შესაბამისად. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული დასკვნა დაამყარა მოწმეთა განმარტებებს, ასევე, საქმეში წარმოდგენილ თანხის მიღების დამადასტურებელ ხელწერილებს. სააპელაციო პალატამ მითითებული დასკვნა ისე გამოიტანა, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი საერთოდ არ შეაფასა, კერძოდ, არ გამოიკვლია, თუ რა დაადგინა განაჩენმა უძრავი ქონების შესაძენად პირველი მოპასუხისათვის გადაცემული თანხის ხარჯვის ნაწილში, ასევე, არ იმსჯელა იმაზე, შეეძლოთ თუ არა გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებულ მტკიცებულებებს განაჩენით დადგენილი ფაქტების გაქარწყლება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება მითითებულ ნაწილში იყო დაუსაბუთებელი, რის გამოც გაა-

უქმა და ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს.

178. შესაბამისად, საქმის ხელახლა განხილვისას, სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა თავდაპირველი მოსარჩელის სააპელაციო საჩივარზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე, მეორე მოსარჩელისათვის 124 150 აშშ დოლარის გადახდის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და დადგენილად მიიჩნია, რომ თავდაპირველმა მოსარჩელემ მეორე მოსარჩელის სახელზე 2007 წლის 21 მაისს გასცა მინდობილობა (სანოტარო აქტი №-...), რომლითაც უფლება მისცა მისი სახელით შეეძინა მინის ნაკვეთები ქ-ში, ემოქმედა მისი სახელით, ქონება გაეტარებინა რეგისტრაციაში ქ-ის საჯარო რეესტრში, აელო შესაბამისი ამონაწერი, გადაეხადა ყველა საჭირო გადასახადი, მათ შორის სანოტარო ბიუროში, ხელი მოეწერა მის მაგივრად ყველა საჭირო დოკუმენტზე, ყოფილიყო მისი წარმომადგენელი ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და მუნიციპალურ დაწესებულებებთან ურთიერთობებში, მათ შორის ბანკთან, საგადასახადო ინსპექციაში და შეასრულოს ყველა ის საჭირო კანონიერი მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესასრულებლად. აღნიშნული მინდობილობის საფუძველზე, მეორე მოსარჩელემ 2007 წლის 28 მაისს, გააფორმა გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება მ. გ-ს, ბ. ბ-ის, ლ. მ-ის და ც. ბ-ის წარმომადგენელთან ნ. ჭ-ასთან, რომლის საფუძველზეც თავდაპირველი მოსარჩელის სახელზე შეიძინა უძრავი ქონება, კერძოდ 4990 კვ.მ მინის ნაკვეთი, მდებარე ქ. ქ-ი, ა-ის გამზირი №-.... ხელშეკრულება დამონმებული იქნა სანოტარო წესით და აღნიშნული ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 424 150 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარად (იხ. ხელშეკრულება). ხელშეკრულების მე-3 მუხლის თანახმად მხარეები შეთანხმდნენ, რომ ნასყიდობის ფასს მყიდველი გადაუხდიდა გამყიდველს შემდეგი გრაფიკის დაცვით: 120 000 აშშ დოლარს გადაიხდიდა ხელშეკრულების სანოტარო წესით დამონმებისთანავე, 261 735 აშშ დოლარს – 2007 წლის 14 ივნისამდე, ხოლო 42 415 აშშ დოლარს გადაიხდიდა 2007 წლის 28 ივნისამდე. ამ დავალების შესარულებლად მარწმუნებელმა რწმუნებულს გადაუხადა 424150 აშშ დოლარი.

179. მოცემულ შემთხვევაში, თავდაპირველი მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის (მეორე მოსარჩელე) 124 150 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე დაეფუძნა იმ გარემოებას, რომ თავდაპირველმა მოსარჩელემ მეორე მოსარჩელეს დაავალა რა თავისი სახელით უძრავი ქონების შეძენა – დავალების შესასრულებლად და მინის ნაკვეთის შესაძენად გადასცა 424 150 აშშ დოლარი. თავდა-

პირველმა მოსარჩელემ ბოროტად გამოიყენა მარნმუნებლის ნდობა, მოტყუებით დაეუფლა და მიისაკუთრა მარნმუნებლის ფული, რომელიც განკუთვნილი იყო ზემოხსენებულ დავალების შესასრულებლად, კერძოდ, მოპასუხემ მიწის ნაკვეთის შესაძენად გადაცემული თანხიდან მიითვისა 124 150 აშშ დოლარი.

180. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 21 აგვისტოს განაჩენით მეორე მოსარჩელის ბრალდების საქმეზე, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მეორე მოსარჩელემ ჩაიდინა თაღლითობა ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დიდი ოდენობით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, მანვე ჩაიდინა სანარმოში ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გამოყენება, ამ ორგანიზაციის საწინააღმდეგოდ თავისთვის გამორჩენის და უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. . . ამავე განაჩენით დადასტურებულია, რომ მ. ზ-ემ, 2007 წელს, ქ. ქ-ში ა-ის გამზ №-...ში მდებარე 4990 კვ.მ. მიწის ნაკვეთინ ... ჭ-ასაგან შეიძისა 300 000 აშშ დოლარად, ნასყიდობის ხელშეკრულებაში კი არასწორად მიეთითა ნასყიდობის საფასურად 424 150 აშშ დოლარი.

181. სააპელაციო სასამართლომ განაჩენით დადგენილი ფაქტებისათვის სამართლებრივი მნიშვნელობის მინიჭებასთან დაკავშირებით გაიზიარა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 22 აპრილის განჩინებიდან გამომდინარე საკასაციო პალატის განმარტება სსსკ-ის 106-ე მუხლთან დაკავშირებით და აღნიშნა, ვინაიდან, სასამართლოს განაჩენში მითითებული ფაქტობრივი გარემოების გასაბათილებელი სარწმუნო, უტყუარი მტკიცებულება მეორე მოსარჩელის (თავდაპირველი მოპასუხე) მიერ წარმოდგენილი ვერ იქნა, მიჩნეული იქნა, რომ დავალების შესრულების პროცესში, როდესაც მეორე მოსარჩელემ თავდაპირველი მოსარჩელისათვის შეიძინა მიწის ნაკვეთი, მდებარე ქ. ქ-ი, ა-ის გამზ. №-...) მიითვისა პირველი მოსარჩელის კუთვნილი 124 150 აშშ დოლარი. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საფუძვლიანი და მტკიცებულებებით გამყარებულია თავდაპირველი სარჩელის მოთხოვნა მეორე მოსარჩელისათვის 124 150 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე და ამ ნაწილში სარჩელი დაკმაყოფილებულ იქნა.

182. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს პირველი მოსარჩელისათვის 124 150 აშშ დოლარის გადასახდელად დაკისრების ნაწილში, არ წამოუყენებია დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება) (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პპ.57-60), შესაბამისად, ამ ნაწილში არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

183. ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილებულია მხოლოდ ნაწილობრივ (594968 ლარის ნაწილში), სსსკ-ის 53-ე მუხლის საფუძველზე სამივე ინსტანციის სასამართლოში როგორც პირველი მოსარჩელის, ასევე მეორე მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტისთვის გადახდილად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ემუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. მ. ზ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილების მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, და მე-11 პუნქტების გაუქმებით მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება.
3. მ. ზ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს. ვ. მ-ს დაეკისროს მ. ზ-ის სასარგებლოდ 594968 ლარის გადახდა;
4. დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.
5. მხარეთა მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტისთვის გადახდილად.
6. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. დაზღვევა

პანსონისგაგაბლოგა სავალდებულო დაზღვევისას

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-278-260-2014

25 თებერვალი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: რეგრესული მოთხოვნის დაკმაყოფილება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2005 წლის 5 ოქტომბერს სს „ს-სა“ (შემდეგში მოხსენიებული, როგორც მზღვეველი, მოსარჩელე, პირველი კასატორი) და შპს „ჯ-ს“ (შემდეგში მოხსენიებული, როგორც დამზღვევი, მოპასუხე, აპელანტი, მეორე კასატორი) შორის გაფორმდა ფინანსური რისკების დაზღვევის გენერალური ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე მოსარჩელემ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის (შემდეგში მოხსენიებული, როგორც მოსარგებლე, მესამე პირი) წინაშე დააზღვია მოპასუხის მიერ ტვირთვის ტრანზიტული გადაზიდვისას წარმოქმნილი რისკი. ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელემ გასცა პოლისი.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტული რეჟიმით შემოვიდა 20 ვაგონ-ცისტერნა ტვირთი, რომლის 2005 წლის 20 დეკემბერს შპს „ბათუმი ოილ ტერმინალის“ ტერიტორიაზე შემონმები-სას, აღმოჩნდა, რომ მოპასუხის მიერ დეკლარირებული ნავთობპროდუქტის (მ-100 მარკის მაზუთი) ნაცვლად, ვაგონ-ცისტერნებში მოთავსებული იყო ზღვის წყალი.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის 2006 წლის 9 იანვრის №... წერილობითი შეტყობინებით მოსარჩელეს ეცნობა, რომ მოპასუხეს, დანაკლისის გამო, წარმოექმნა საბაჟო გადასახდელების შესაბამისი თანხის – 107 977 ლარისა და საურავის, 604.6 ლარის, ჯამში – 108 591.60 ლარის ფინანსური პასუხისმგებლობა, რომელიც, დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე უნ-

და გადაერიცხა.

4. მოსარჩელეს აღნიშნული აქტი არ გაუსაჩივრებია. მან 2006 წლის 16 იანვარს საბაჟო დეპარტამენტს წერილის პასუხად აცნობა, რომ, ვინაიდან არ იყო წარდგენილი მოპასუხის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, მზღვეველს არ გააჩნდა აღნიშნული თანხის გადახდის სამართლებრივი საფუძველი.

5. 2010 წლის 21 მაისს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის „საბანკო ანგარიშებიდან გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხის ჩამოწერის შესახებ“ ბრძანების საფუძველზე მოსარჩელეს საინკასო წესით ანგარიშიდან ჩამოეჭრა 234 405 ლარი.

6. აღნიშნულის თაობაზე მოსარჩელემ მოპასუხეს 2010 წლის 3 ივნისს აცნობა. ამასთან, მიუთითა, რომ, ვინაიდან მოპასუხემ ვერ უზრუნველყო საქართველოს საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულება, ხელშეკრულების შესაბამისად, მოსარჩელისთვის საინკასო წესით ჩამოჭრილი თანხა მას უნდა აენაზღაურებინა.

7. 2010 წლის 10 ივნისს მოპასუხემ მოსარჩელეს გაუგზავნა წერილი, რომელშიც უარს აცხადებდა მოთხოვნის შესრულებაზე, იმ მიზეზით, რომ მას საბაჟო კანონმდებლობა არ დაურღვევია. ინფორმაციას ტვირთის თაობაზე ელექტრონული ფოსტით იღებდა და რომელიც პირდაპირ გადაჰქონდა დეკლარაციაში ისე, რომ ტვირთის სახეობასა და რაოდენობაზე პასუხისმგებლობას არ იღებდა. ამასთან, მის არაბრალეულობას ადასტურებდა საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ გამოტანილი დასკვნაც, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დამზღვევს სამართალდარღვევა არ ჩაუდენია, რადგან ქ. მახაჩკალაში ვაგონ-ცისტერნები სათანადო წესით დაილუქა და ქ. ბათუმის ტერმინალში შესვლის დროს მათი მთლიანობა არ დარღვეულა.

8. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 23 სექტემბრის №... ბრძანებით, არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის საჩივარი ბათუმის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 21 მაისის ბრძანების გაუქმების თაობაზე; საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა აღნიშნულ ბრძანებაზე წარდგენილი საჩივარიც.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით მზღვეველის სარჩელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ არ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 9 თებერვლის განჩინებით

მოსარჩელეს უარი ეთქვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე და ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 7 მაისის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დაუშვებლად.

10. 2012 წლის 17 სექტემბერს, მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა, მოპასუხეს დაჰკისრებოდა:

10.1. სადაზღვევო ანაზღაურების სახით გადახდილი – 234 405 ლარი;

10.2. ზიანის – 14 400 ლარის ანაზღაურება;

10.3. მიუღებელი შემოსავლის – 70 020 ლარის გადახდა.

11. მოსარჩელე წინამდებარე გადაწყვეტილების 1-9 პუნქტში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ მოპასუხე ვალდებული იყო, აენაზღაურებინა მზღვეველის რეგრესული მოთხოვნა. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 6.1. პუნქტის შესაბამისად, სადაზღვევო შემთხვევა გამონვეული იყო დამზღვევის ბრალით, ვინაიდან მან სპეციალურ დეკლარაციაში მიუთითა, რომ უნდა ჩამოსულიყო 20 ვაგონ-ცისტერნა მანუთი, აღნიშნული ინფორმაციის სისწორე მან ხელმოწერითაც დაადასტურა და აიღო ფინანსური პასუხისმგებლობა მცდარობით გამონვეულ შედეგებზე. ინფორმაციის მცდარობას კი, შედეგად მოჰყვა დამზღვევის ფინანსური პასუხისმგებლობა. მოსარჩელე მოითხოვდა 14 400 ლარის ანაზღაურებასაც, რომელიც მან ადმინისტრაციული წესით სასამართლოში საქმისწარმოებისას სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადა. მოსარჩელის განმარტებით, დამზღვევს მზღვეველის რეგრესული მოთხოვნა რომ შეესრულებინა, აღნიშნული ხარჯის გაღება აღარ მოუწევდა. ამავე დროს, იგი ამტკიცებდა, რომ, მოპასუხის მიერ თანხის დაუბრუნებლობის გამო, 70 020 ლარის შემოსავალი ვერ მიიღო. ამ ოდენობის განსაზღვრისას, იგი აპელირებდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იურიდიული პირებისათვის დადგენილ სადეპოზიტო განაკვეთზე.

12. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მან წარადგინა მოთხოვნის წარმოშობის დამაბრკოლებელი შესაგებელი და მიუთითა, რომ მოპასუხეს არ დაურღვევია კანონმდებლობა და მას ბრალი არ მიუძღვის სადაზღვევო შემთხვევაში და საგადასახადო/საბაჟო ორგანოების მიერ მოსარჩელისათვის თანხის ჩამოჭრაში. შესაბამისად, ხელშეკრულების 6.1. პუნქტის მიხედვით, მოსარჩელემ თანხა არა მოპასუხისგან, არამედ ბრალეული „მესამე მხარისაგან“ უნდა მოითხოვოს. მოპასუხემ 30.11.2012 წელს სასამართლოში წარდგენილი

განცხადებით მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელ გარემოებაზე – ხანდაზმულობაზეც მიუთითა.

13. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

13.1. მოპასუხეს დაეკისრა 234 405 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ;

13.2. სარჩელი ზიანის ანაზღაურების მიზნით 14 400 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა;

13.3. სარჩელი მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

14.1. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 128-ე, 832.1, 394.1, 411-ე მუხლები და განმარტა, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებს დაზღვევის ისეთ სახეებს, რომლებიც გამოიყენება საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებში, თუმცა უკუმოთხოვნის უფლება სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველს ეფუძნება. მოცემულ შემთხვევაში, სუბროგაციის პრინციპის (სუბროგაცია მოთხოვნის კანონისმიერი დათმობაა, რომლის დროსაც ვალდებულებაში იცვლება მხოლოდ კრედიტორი, თავად ვალდებულება კი უცვლელი რჩება) რეალიზაცია შესაძლებელი იყო მხოლოდ თანხის მოთხოვნის ნაწილში, რადგან მისი სრულად გამოყენება წარმოშობდა ისეთ შედეგს, როდესაც სადაზღვევო კომპანია ჩაენაცვლებოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობაში. ამის გამო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებული ურთიერთობის სპეციფიკა გამორიცხავდა ხანდაზმულობის ვადების განსაზღვრას სუბროგაციის პრინციპისათვის დამახასიათებელი პირობებით და მის მიმართ საერთო ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა უნდა გავრცელებულიყო, რის გამოც სარჩელი ხანდაზმული არ იყო.

14.2. სასამართლოს განმარტებით, სადაზღვევო კომპანიის მიერ თანხის უკუმოთხოვნის ორი წინაპირობა არსებობს: დამზღვევის მოთხოვნის უფლება ზიანის მიმყენებელთან და მზღვეველის მიერ მოსარგებლისათვის ზიანის ანაზღაურება. მოპასუხის ქმედების ბრალეულობა უნდა დადგინდეს პირველ წინაპირობაზე მსჯელობისას, ანუ დამზღვევს მოთხოვნის უფლება აქვს თუ არა ზიანის მიმყენებლის მიმართ. მოცემულ შემთხვევაში, როგორც ადმინისტრაციული საზედამხედველო წარმოების წესით, ისე სასამართლო წარმოებისას დადგინდა, რომ მოპასუხემ დაარღვია საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი ნორმები, ამიტომ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მის მიმართ მოთხოვ-

ნის უფლება ჰქონდა. მზღვეველის მიერ ზიანის ანაზღაურების ეტაპზე კი, ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის საკითხი აღარ იყო აქტუალური. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სსკ-ის 832-ე (სუბროგაცია) მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი წინაპირობები და ამ ნაწილში სარჩელი დააკმაყოფილა.

14.3. სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან დავის წარმოებისას განეული სასამართლო ხარჯის, 14 000 ლარის, მოთხოვნას მოპასუხის მიერ ვალდებულების დარღვევასა და უკუმოთხოვნაზე უარს უკავშირებდა. პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოსათვის მიმართვის უფლება გარანტირებულია ყოველი პირისათვის. რადგან მოპასუხე სადაზღვევო შემთხვევის არსებობაში საკუთარ ბრალეულობას გამორიცხავდა, მისი უფლების დაცვის საშუალება სასამართლოსადმი მიმართვა იყო, ხოლო, თუ სასამართლოსადმი მიმართვა ზიანის მაკვალიფიცირებელ წინაპირობად მიიჩნეოდა, მოპასუხეს უფლების დაცვის სამართლებრივი ბერკეტი აღარ ექნებოდა. ამასთან, 2005 წლის 5 ნოემბრის ხელშეკრულებაში პირდაპირ აღნიშნულია, რომ ზიანის მიყენების ფაქტი დადასტურებული უნდა იყოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით.

14.4. მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ ამ სახის ზიანი, ისევე, როგორც ფაქტობრივად მიღებული ზიანი, მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული და დადასტურებული უტყუარი მტკიცებულებებით. ვალდებულების შეუსრულებლობა, თავისთავად, ზიანის მომტანია მხარისთვის, რადგან კრედიტორი ყოველთვის ელოდება შესრულებას და შესრულება მისთვის ყოველთვის გარკვეულ ღირებულებას წარმოადგენს, მაგრამ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, თუ დარღვევამ დამატებით ზიანი მიაყენა კრედიტორს. ამგვარი გარემოება კი, საქმეში წარმოდგენილი მასალების მიხედვით არ დასტურდებოდა.

15. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის უარყოფის მოთხოვნით შემდეგ საფუძვლებზე მითითებით:

15.1. აპელანტის მოსაზრებით, სადავო შემთხვევაში არ შეიძლებოდა, გამოყენებულიყო სსკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი საერთო ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა. სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 699-ე მუხლით გათვალისწინე-

ბული სპეციალური ვადები, რომლის თანახმად, ხანდაზმულობა არის 1 წელი, განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში კი, 3 წელი. ამასთან, აპელანტის მითითებით, ხანდაზმულობის ვადა გასულია იმ შემთხვევაშიც, თუ დავა განხილული იქნება: ა) როგორც დელიქტი, რომელზეც მოქმედებს სსკ-ის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა; ბ) როგორც საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობიდან წარმოშობილი. ასეთ შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადა იქნება 6 წელი მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, რაც, მოცემულ შემთხვევაში, არის 2005 წლის დეკემბერი, ანდა 2006 წლის იანვარი; გ) როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე, რადგან, სსკ-ის 129-ე მუხლის მიხედვით, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 3 წელს, ხოლო უძრავ ნივთებზე – 6 წელს. მოცემულ შემთხვევაში, დავა უძრავ ნივთებთან დაკავშირებული არ არის, შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა 3 წელია და უკვე გასულია.

15.2. აპელანტის მოსაზრებით, სასამართლოს შეხედულება მის ბრალეულობასთან დაკავშირებით არ ეფუძნებოდა მტკიცებულებებს. საგადასახადო/საბაჟო ორგანოებმა თანხის გადახდა მხოლოდ მოსარჩელეს მოსთხოვეს. აქედან გამომდინარე, რადგან ამ უკანასკნელმა წერილი (აქტი) სასარჩელო წესით არ გაასაჩივრა, ის კანონიერ ძალაში შევიდა. ამდენად, აპელანტის მითითებით, მზღვეველის მიერ სასამართლო პროცედურების დაუცველობამ განაპირობა საგადასახადო ორგანოების მხრიდან მისი კუთვნილი ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრა.

16. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

16.1. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.1 და მე-4 პუნქტები და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;

16.2. სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

16.3. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 117 202.5 ლარის ანაზღაურება;

16.4. გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩა.

17.1. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სუბროგაცია მოთხოვნის დათმობის კანონისმიერი შემთხვევაა და სწორედ ეს განასხვავებს მას ცესიისაგან (სსკ-ის 199-ე მუხლი), რა დროსაც მოთხოვნის დათმობა ხდება გარიგების ძალით. მოთხოვნა კი, ისევე გადადის ახალ კრედიტორზე, როგორც იყო თავდაპირველი კრე-

დიტორის ხელში, რაც ნიშნავს იმას, რომ ახალ კრედიტორს შეუძლია, თავდაპირველი კრედიტორის კუთვნილი მოთხოვნა წაუყენოს მოვალეს, ხოლო, ეს უკანასკნელი უფლებამოსილია, ახალ კრედიტორს წაუყენოს ყველა ის შესაგებელი, რაც მას გააჩნდა თავდაპირველი კრედიტორის მიმართ. ეს ეხება კრედიტორის მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე მოვალის შესაგებელსაც. პირთა შეცვლა ვალდებულებაში არ იწვევს ხანდაზმულობის ვადისა და მისი გამოთვლის წესის შეცვლას. ამდენად, თუ აღმოჩნდება, რომ დამზღვევის მოთხოვნა ზიანის მიმყენებლის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე ხანდაზმულია, მაშინ ხანდაზმული იქნება მზღვეველის მოთხოვნაც, ვინაიდან ეს მოთხოვნა მასზე გადავიდა ისევე, როგორც იყო დამზღვევის ხელში.

17.2. პალატის მითითებით, მოსარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი უნდა გადაწყდეს იმ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებით, რომლებიც არეგულირებენ დამზღვევსა და ზიანის მიმყენებელს შორის არსებულ ურთიერთობას. ვინაიდან კანონი არ ადგენს მზღვეველის რეგრესული მოთხოვნის ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას, გამოიყენება სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა, რომლის ათვლაც 2010 წლის 20 მაისიდან უნდა დაიწყოს. ასეთ შემთხვევაში კი, მზღვეველის მოთხოვნა არ არის ხანდაზმული, ვინაიდან სარჩელი შეტანილია 3-წლიანი ვადის დაცვით – 2012 წლის 17 სექტემბერს.

17.3. სასამართლომ მიიჩნია, რომ ზიანში ბრალი მიუძღვოდა როგორც მოპასუხეს, ისე მოსარჩელეს, რის გამოც დასაკისრებელი თანხის ოდენობა უნდა განსაზღვრულიყო ზიანის მიღებაში მხარეთა ბრალის მოცულობის გათვალისწინებით, კონკრეტულ შემთხვევაში კი – თანაბრად (სსკ-ის 415-ე მუხლი).

17.3.1. სასამართლომ მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 12 ივლისის №434 ბრძანებულებაზე, რომლის მე-2 პუნქტის თანახმად, ნავთობის მსუბუქი, საშუალო ან მძიმე დისტილატების დეკლარირება სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაციებით ხდება სახელმწიფოს წინაშე საგადასახადო ვალდებულებათა აღსრულების საფუძველზე. საგადასახადო ვალდებულების აღსრულება საბაჟო რეჟიმის შემთხვევაში, რომელთა შედეგად ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატები კვეთს საქართველოს სახელმწიფო საზღვარს (ტრანზიტის ჩათვლით), ხორციელდება ფულადი დეპოზიტის ან/და ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისის წარმოდგენის შემდეგ. 2007 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საბაჟო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი,

საქართველოს საბაჟო ორგანოს ნებადაურთველად საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გაცემის, დაკარგვის ან გამწვებ საბაჟო ორგანოში მიუტანლობის შემთხვევაში, გადამზიდველმა უნდა გადაიხადოს საბაჟო გადასახდელები საქონლის თავისუფალ მოქცევაში გაშვების საბაჟო რეჟიმის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დანაკლისი ბუნებრივი ცვეთის, ტრანსპორტირების ან შენახვის ნორმალურ პირობებში დანაკარგების შედეგად წარმოიშვა ან, თუ საქონელი და/ან სატრანსპორტო საშუალებები განადგურდა ან დაიკარგა ავარიისა თუ დაუძლეველი ძალის მოქმედებისას.

17.3.2. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის მიერ ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილაციის საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტის დროს დაფიქსირდა დანაკლისი, ნაცვლად დეკლარირებული ტვირთისა, აღმოჩნდა წყალი. ამდენად, ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხემ დაარღვია საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი ნორმები.

17.3.3. სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხის ფინანსური პასუხისმგებლობა განისაზღვრა 108 591.60 ლარით. აღნიშნული საბაჟო ვალდებულების შესახებ ეცნობა სადაზღვევო კომპანიას, თუმცა მან თანხა არ გადაიხადა. თავისი სამართლებრივი ბუნებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის 2006 წლის 9 იანვრის წერილობითი შეტყობინება წარმოადგენდა რა საბაჟო ვალდებულების დამდგენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, მოქმედი საბაჟო კოდექსის თანახმად, ექვემდებარებოდა გასაჩივრებას დაინტერესებული პირის მიერ. მოსარჩელეს მითითებული წერილი არ გაუსაჩივრებია, რამაც გამოიწვია მისთვის, როგორც ფინანსური რისკის დამზღვევი კომპანიისათვის, მისივე ანგარიშიდან 108 591.60 ლარის ნაცვლად, 234 405 ლარის ჩამოჭრა.

17.3.4. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის პრეტენზია, რომ იგი მოკლებული იყო შესაძლებლობას, გაესაჩივრებინა საგადასახადო/საბაჟო ორგანოების მიერ მიღებული აქტი, ვინაიდან მას დადგენილი წესით საგადასახადო მოთხოვნა, შეტყობინება ან რაიმე სახის წერილი არ ჩაჰბარებია.

17.4. პალატამ მიუთითა, რომ მოსარჩელეზე მოთხოვნის გადასვლით არ შეცვლილა ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი, თუმცა, მოსარჩელის ბრალით, შეიცვალა საზღაურის ოდენობა, რის გამოც საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა ბრალი ზიანის მიღებაში თანაბრად – 50%-50%-ით უნდა შეფასებულიყო.

18. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა როგორც მოსარჩელემ, ისე მოპასუხემ.

18.1. მოსარჩელემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით 234.405 ლარის სრულად მოპასუხისათვის დაკისრება მოითხოვა შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

18.1.1 სადაზღვევო კომპანიას ბრალი არ მიუძღვის დამდგარ ზიანში. ზიანზე პასუხისმგებელი მხოლოდ მოპასუხეა შემდეგ გარემოებათა გამო: იმ დროს მოქმედი საბაჟო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად (84-ე, 88-ე მუხლები) მოპასუხეს, რომელიც, როგორც გადამზიდავი, ისე სპეციალური დეკლარაციით გათვალისწინებული ტვირთის ფინანსურ დარეგულირებაზე პასუხისმგებელი პირი იყო, ჰქონდა გადასაზიდი ტვირთის შესახებ ზუსტი მონაცემების მითითების ვალდებულება. სწორედ ამიტომ მოეთხოვებოდა მას, პრეზიდენტის 1992 წლის 12 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად, ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისის ან საბანკო გარანტიის წარდგენა. მოპასუხე მიუთითებდა, რომ მას დეკლარაციაში ავტომატურად გადაჰქონდა ელექტრონულ ფოსტაზე მოსული ინფორმაცია. ენდობოდა რა ბრმად ამ ინფორმაციას, მოპასუხე იმთავითვე არღვევდა სწორი და უტყუარი ინფორმაციის დეკლარაციაში მითითების ვალდებულებას, რაც გახდა კიდევ სადაზღვევო შემთხვევის მიზეზი.

18.1.2. კასატორის მითითებით, როდესაც საუბარია ბრალზე, მათ შორის – შერეულ ბრალზე, აუცილებელია, დადგინდეს ის მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედება, რომელმაც შედეგი განაპირობა. მოცემულ შემთხვევაში კი, უნდა დადგენილიყო, კონკრეტულად რისი შესრულება ევალეობდა სადაზღვევო კომპანიას, რომელიც მან არ შეასრულა ან/და რა სახის დარღვევა გამოიკვეთა მისი მხრიდან, რომელმაც ფინანსთა სამინისტროს თანხის მიღების უფლება წარმოუშვა.

18.2. მეორე კასატორმა სარჩელის უარყოფა სააპელაციო საჩივარში მითითებული პრეტენზიების იდენტური საფუძვლებით მოითხოვა და დამატებით მიუთითა:

18.2.1. საქმეში არ მოიპოვება არცერთი მტკიცებულება, რომელიც მოპასუხის ბრალეულობას დაადასტურებდა. გადასაზიდი ტვირთის არასრული და არასწორი ინფორმაციისათვის პასუხისმგებლობა შესაძლოა, ტვირთგამგზავნს დაეკისროს და არა – მოპასუხეს.

18.2.2. ზიანი გამოიწვია იმან, რომ სადაზღვევო კომპანიამ 9.01.2006 წლის აქტი არ გაასაჩივრა. ვინაიდან კასპიის ზღვის წყლის ღირებულება ნულია, საბაჟო-საგადასახადო მიზნებისათვის მისი

ღირებულება მხოლოდ ტრანსპორტირების ღირებულებით შეფასდებოდა და იმ დროს მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 193-ე მუხლის მიხედვით გადასახდელი მხოლოდ 22 325 ლარი იქნებოდა. სასამართლომ სადაზღვევო კომპანიისათვის წარდგენილ მოთხოვნას პრეიუდიციული მნიშვნელობა მიანიჭა და ზემოაღნიშნულ საკითხზე არსებითად აღარ იმსჯელა. სწორედ ამიტომ მოუწია მზღვეველს ამ თანხის ათმაგად გადახდა.

18.2.3. მეორე კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მან საგადასახადო კანონმდებლობა დაარღვია. კასატორის მითითებით, თუ სატრანსპორტო საშუალებაზე გამომგზავნის მიერ დაყენებული საიდენტიფიკაციო ნიშნები წესრიგშია, საბაჟო კანონმდებლობა გადაშინდავ კომპანიას არ ავალდებულებს ტვირთის ოდენობისა და სახეობის შემოწმებას შემოსასვლელ საბაჟო ორგანოში. გარდაბნის საბაჟოს ვაგონების საქართველოში შემოსვლისას არც შეუძენმებია დეკლარირებული ტვირთის სახეობა და ოდენობა. ტვირთი დაათვალიერა მხოლოდ მიმღებმა საბაჟო ორგანომ ბათუმში. ყოველივე ზემოაღნიშნული გამორიცხავს მოპასუხის მიერ საბაჟო კანონმდებლობის დარღვევას.

19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივრები დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მოპასუხის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

20. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

21. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 12 ივლისის „ნავთობის მსუბუქი, საშუა-

ლო ან მძიმე დისტილატების დაბეგვრისა და აღრიცხვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ №434 ბრძანებულების მე-2 პუნქტის შესაბამისად (ნავთობის მსუბუქი, საშუალო ან მძიმე დისტილატების დეკლარირება სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაციებით ხდება სახელმწიფოს წინაშე საგადასახადო ვალდებულებათა აღსრულების საფუძველზე. საგადასახადო ვალდებულების აღსრულება საბაჟო რეჟიმის შემთხვევაში, რომელთა შედეგად ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატები კვეთს საქართველოს სახელმწიფო საზღვარს (ტრანზიტის ჩათვლით) ხორციელდება ფულადი დეპოზიტის ან/და ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისის წარმოდგენის შემდეგ), მხარეებს შორის დიდო დაზღვევის ხელშეკრულება, კერძოდ, მოპასუხეს, როგორც ნავთობის გადამზიდავს, ევალეზობდა, სახელმწიფოსათვის წარედგინა ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისი, რომლის გარეშეც იგი ნავთობის შემოტანასა და საგადასახადო ვალდებულებათა შესრულებას ვერ შეძლებდა.

22. სსკ-ის 801-ე მუხლის თანახმად, კანონით შეიძლება, გათვალისწინებული იყოს სავალდებულო დაზღვევა, რომლის მიმართაც გამოიყენება ამ თავის წესები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას სავალდებულო დაზღვევის შესახებ.

მხარეთა შორის გაფორმებული 5.10.2005 წლის ხელშეკრულება რომ სავალდებულო დაზღვევის ხელშეკრულებაა და ამასთან, დაზღვეულია დამზღვევის ფინანსური პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე (სსკ-ის 839 მუხლის თანახმად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა, გაათავისუფლოს დამზღვევი იმ ვალდებულებისაგან, რომელიც მას ეკისრება მესამე პირის წინაშე დაზღვევის პერიოდში წარმოშობილი პასუხისმგებლობის გამო), მხარეთა შორის სადავო არ არის. მოსარჩელე უთითებს, რომ მან მოპასუხის ფინანსური პასუხისმგებლობა დააზღვია მესამე პირის წინაშე და თანხა, სსკ-ის 839-ე-840-ე მუხლების შესაბამისად, ჩამოეჭრა ანგარიშიდან.

23. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან (წინამდებარე გადაწყვეტილების 1-9 პუნქტები) გამომდინარე, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 843.2 (თუ მზღვეველი აკმაყოფილებს მესამე პირის მოთხოვნას, მაშინ მესამე პირის მოთხოვნა დამზღვევის მიმართ გადადის მზღვეველზე) მუხლი.

სსკ-ის 843.2 მუხლის მიზანია მესამე პირის დაცვა სავალდებულო დაზღვევისას, რა დროსაც კანონმდებელი ამ უკანასკნელის ინტერესს უპირატესობას ანიჭებს, მზღვეველს კი, რეგრესული მოთხოვნის გამოყენების შესაძლებლობას აძლევს. პალატა არ იზი-

არებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე სსკ-ის 832-ე მუხლით რეგულირებული სუბროგაციიდან გამომდინარეობს და განმარტავს, რომ, ვინაიდან სახეზეა სავალდებულო დაზღვევა, მოთხოვნა სავალდებულო დაზღვევისათვის დადგენილი სპეციალური დანაწესიდან გამომდინარეა (სსკ-ის 843.2 მუხლი). მითითებული ნორმა სწორედ რეგრესული მოთხოვნის გამოყენებას ეხება. რეგრესი უნდა გაიმთავროს სუბროგაციისგან, რადროსაც ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში იცვლება კრედიტორი და, შესაბამისად, უფლება დამზღვევიდან მზღვეველზე გადადის. რეგრესის დროს კი, კონკრეტული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა დასრულებულია და წარმოიშობა ახალი ვალდებულება (მდრ. სუსგ №ას-581-549-2011 5.092012).

24. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევისას, მზღვეველს რეგრესის უფლება ენიჭება ისეთ შემთხვევაში, თუ დამზღვევმა ზიანი განზრახ გამოიწვია. წინააღმდეგ შემთხვევაში, სადაზღვევო დაფარვით გათვალისწინებულ ფარგლებში ზიანის მიყენებისას მზღვეველის მიერ ასეთი მოთხოვნის გამოყენება წინააღმდეგობაში მოვიდოდა თავად პასუხისმგებლობის დაზღვევის მიზანთან.

სსკ-ის 839-ე მუხლის მიზანი ისაა, რომ დამზღვევი გაათავისუფლოს იმ ვალდებულებისაგან, რომელიც მას მესამე პირის წინაშე დაზღვევის პერიოდში წარმოშობილი პასუხისმგებლობის გამო ეკისრება.

შესაბამისად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევისას, მზღვეველის მიერ რეგრესული მოთხოვნის გამოყენების წინაპირობებია: 1. მის მიერ მესამე პირის მოთხოვნის დაკმაყოფილება და 2. დამზღვევის მიერ ზიანის განზრახ გამოწვევა.

25. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ პირველი წინაპირობა შესრულებულია – მოსარჩელემ მესამე პირს თანხა აუნაზღაურა. რაც შეეხება მეორე წინაპირობას, პალატა მიუთითებს, რომ მხარეებმა ხელშეკრულებით მზღვეველის რეგრესული უფლება ბრალს დაუკავშირეს, რის გამოც, მოპასუხეს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრება. უფრო მეტიც, მართალია, მათ ხელშეკრულებით ერთმანეთისაგან არ გაუთიხნავთ განზრახვისა და გაუფთხილებლობის შემთხვევები (ხელშეკრულების 6.1. პუნქტის თანახმად, დამზღვევის ან სხვა ნებისმიერი მესამე მხარის ბრალით გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევის დროს, მზღვეველი უფლებამოსილია, გამოიყენოს რეგრესის წესი და დაიბრუნოს საბაჟო სამსახურის სასარგებლოდ გადახდილი თანხა ბრალეული მხარისაგან), თუმცა ცხადია, რომ მითითებულ დათქმაში სადაზღვევო შემთხვევის დამზღვევის მიერ განზრახ გამოწვევა იგულის-

ხმეს. ხელშეკრულების 6.1. მუხლის იმგვარი განმარტება, რომ დამზღვევის გაუფრთხილებლობით გამოწვეულ სადაზღვევო შემთხვევაზე მზღვეველის რეგრესული მოთხოვნა გავრცელებულიყო, როგორც უკვე აღინიშნა (პ.24), წინააღმდეგობაში მოვიდოდა თავად პასუხისმგებლობის დაზღვევის მიზანთან.

26. განსახილველ შემთხვევაში, მართალია, მოპასუხის ვალდებულება ფინანსთა სამინისტროს წინაშე წარმოიშვა ადმინისტრაციული კანონმდებლობის, კერძოდ, სადავო პერიოდში მოქმედი საბაჟო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის (საქართველოს საბაჟო ორგანოს ნებადაურთველად საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გაცემის, დაკარგვის ან გამშვებ საბაჟო ორგანოში მიუტანლობის შემთხვევაში, გადამზიდველმა უნდა გადაიხადოს საბაჟო გადასახდელები საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო რეჟიმის შესაბამისად) საფუძველზე, თუმცა მიუძღვოდა თუ არა მას, როგორც გადამზიდავს ბრალი „შესაბამისი საქონლის დანაკლისში“ გადაზიდვის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმებით უნდა გაირკვეს.

27. სსკ-ის 686-ე მუხლის მე-2 ნაწილით (გადამზიდველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ ტვირთის დაკარგვა, დაზიანება ან მითანის ვადის გადაცილება უფლებამოსილი პირის ბრალით ანდა ამავე პირის ისეთი მითითებით მოხდა, რომელზედაც გადამზიდველი პასუხს არ აგებს; აგრეთვე, თუ ტვირთის ნაკლი ისეთი გარემოებებითაა გამოწვეული, რომელთა თავიდან აცილებაც გადამზიდველს არ შეეძლო და არც მათი შედეგები შეიძლებოდა თავიდან აეცილებინა) გათვალისწინებულია გადამზიდველის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველები, თუ ტვირთი უფლებამოსილი პირის ბრალით დაიკარგა. ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, გადამზიდავი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან თუ ტვირთის დათვალიერება, დატვირთვა, დანყოფა ან გადმოტვირთვა ხდება გამგზავნის, მიმღების ან მათთვის მოქმედი მესამე პირის მიერ და ტვირთის დაკარგვა ან დაზიანება დასახელებულ გარემოებასთან დაკავშირებული საფრთხიდან წარმოიშვა. ასეთ დროს მტკიცების ტვირთს სსკ-ის 687.2 (თუ გადამზიდველი დაამტკიცებს, რომ, კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, დანაკარგი ან დაზიანება შეიძლებოდა წარმოქმნილიყო 686-ე მუხლის მე-4 ნაწილში დასახელებული ერთი ან რამდენიმე საფრთხისაგან, ივარაუდება, რომ ზიანი აქედან წარმოიშვა. უფლებამოსილ პირს შეუძლია, დაამტკიცოს, რომ ზიანი არ არის ამ საფრთხისგან ან მხოლოდ ამ საფრთხისგან წარმოშობილი) მუხლი გადამზიდველს აკისრებს.

28. დამზღვევი ტვირთის დაკარგვაში და, შესაბამისად, სადაზ-

დევრო შემთხვევაში, თავისი არაბრალეულობის დასადასტურებლად მიუთითებს საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებული წერილის პასუხზე, რომლის თანახმად, გამოძიებით დადგინდა, რომ „ქ. მახაჩკალაში ვაგონცისტრენები დაილუქა სათანადო წესით და ქ. ბათუმის ტერმინალში შესვლის დროს, მათი მთლიანობა დარღვეული არ ყოფილა“. ის რომ ტვირთი ქ. მახაჩკალაში დაიტვირთა და მოპასუხის ქმედებით არ დაკარგულა მოსარჩელეც ადასტურებს, თუმცა აპელირებს, რომ მოპასუხის ბრალეულობა იმაში ვლინდება, რომ ამ უკანასკნელმა დეკლარაციაში ტვირთის სახეობის თაობაზე ინფორმაცია გადამოწმების გარეშე შეიტანა. სსკ-ის 675-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის მიხედვით, გადასაზიდი ტვირთის შესახებ ინფორმაციის სისწორესა და სრულყოფილებაზე პასუხს აგებს გამგზავნი. ამასთან დაკავშირებით, პალატა იზიარებს მოპასუხე მხარის არგუმენტს, რომ მას გამგზავნის მიერ ტვირთის შესახებ მიწოდებული ინფორმაცია გადაჰქონდა დეკლარაციაში, რისი გადამოწმებაც არ ევალეზობდა და არც შეეძლო (წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ტვირთზე ლუქები უნდა აეხსნა). ნორმაზე, რომელიც დაზღვეულს ამგვარ ვალდებულებას დააკისრებდა, ვერც პირველი კასატორი ვერ მიუთითებს. იგი მოპასუხის ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად მიუთითებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც მზღვეველის სარჩელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტების ბათილად ცნობისა და ჩამოჭრილი თანხის, 234 405 ლარის, უკან დაბრუნების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა. პალატა მიუთითებს, რომ არც ამ გადაწყვეტილებით და არც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 9 თებერვლის განჩინებით მოპასუხის ბრალეულობა დადგენილი არ არის. პირიქით, სარჩელის დაუკმაყოფილებლობის მოტივია მოსარჩელის (მზღვეველის) მიერ ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის ვალდებულების დამდგენი 9.01.2006 წლის აქტის აღიარება, კერძოდ, გადაწყვეტილების მიხედვით, მითითებული აქტი კანონიერ ძალაში შევიდა, ვინაიდან მოსარჩელეს იგი სადავოდ არ გაუხდია.

29. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხემ, სსსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, დაამტკიცა, რომ ტვირთი დატვირთა გამგზავნმა, იგი იყო დალუქული და მის დაკარგვაში – დეკლარირებული ტვირთის ნაცვლად, საქართველოს ტერიტორიაზე წყლის შემოტანაში, დაზღვეულს ბრალი არ მიუძღვის. ამასთან, მოსარჩელე არ უთითებს და არც საქმის მასალებით არ დგინდება, რომ გადამზიდველს ტვირთის შემცველობის შემოწმება ევალეზობდა (სსკ-ის

676.3 მუხლი).

30. რაც შეეხება მოპასუხის შესაგებელს მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის განხორციელებადობა (ხანდაზმულობა), მოთხოვნის წარმოშობისა და მისი გამომრიცხველი გარემოებების შემონმების შემდეგ უნდა იქნეს განხილული. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მოთხოვნის წარმოშობის კანონით დადგენილი სამართლებრივი წანამძღვრები არ არსებობს, პალატა მისი განხორციელების დამაბრკოლებელ გარემოებებს, მოთხოვნის შემაფერხებელი ნორმების საფუძველზე, აღარ შეამონმებს. თუმცა მიზანშეწონილად მიიჩნევს, განმარტოს, რომ სუბროგაციისაგან განსხვავებით, რა დროსაც მზღვეველზე გადასული მოთხოვნის მიმართ არ მოქმედებს ხანდაზმულობის ახალი ვადა, რეგრესული ვალდებულებების შემთხვევაში, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება ძირითადი, მთავარი ვალდებულების შესრულების მომენტიდან ანუ იმ დროიდან, როდესაც უშუალოდ რეგრესული ვალდებულება წარმოიშვა.

31. ამრიგად, დადგინდა რა, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომაში დამზღვევეს არ მიუძღვის ბრალი, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხის რეგრესული წესით ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ პირად მიჩნევის თაობაზე დაუსაბუთებელია.

32. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

33. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწი-

ლის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიცხადებენ მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამდენად, მოსარჩელეს კასატორის სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გაღებული სახელმწიფო ბაჟის – 12 860.00 ლარისა და ადვოკატის მომსახურებაზე განეული ხარჯის – 8 250.00 ლარის, სულ – 21 110.00 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, მე-8 მუხლებით, 257-ე მუხლის პირველი ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სს „ს-ის“ (ს/ნ ...) საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. შპს „ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. სს „ს-ის“ (ს/ნ ...) სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
5. სს „ს-ს“ შპს „ჯ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გაღებული სახელმწიფო ბაჟის – 12 860.00 ლარისა და ადვოკატის მომსახურებაზე განეული ხარჯის – 8 250.00 ლარის, სულ – 21 110.00 ლარის გადახდა;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. საბანკო მომსახურება; საბანკო გარანტია

გარანტიის უარი გენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-960-925-2016

27 სექტემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: საბანკო გარანტიებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ა-მა“ (შემდგომში – „მოსარჩელე“, „ბენეფიციარი“, „მონინალმდგემხარე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „დ-ს“ (შემდგომში – „მოპასუხე“, „გარანტი“, „კასატორი“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორი“) მიმართ და მოითხოვა:

1.1. მოპასუხისათვის საბანკო გარანტიებით ნაკისრი თანხების – 255 210 აშშ დოლარისა და 42 465 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის დაკისრება, რაც სარჩელის შეტანის მომენტიდან დადგინდა 538 791 ლარს;

1.2. მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება, ყოველდღიურად დარიცხული საურავის – 270 ლარის ოდენობით, საგადასახადო დავალიანების წარმოშობის მომენტიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

2. სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2.1. მოპასუხემ 2008 წლის 24 ივლისს გასცა ვალდებულების შესრულების უპირობო საბანკო გარანტია №B... და წინასწარი გადახდის უპირობო საბანკო გარანტია №B..., რომლებშიც პრინციპალს წარმოადგენდა შპს „ლი“, ბენეფიციარს – მოსარჩელე, ხოლო გარანტს – მოპასუხე. თითოეული საბანკო გარანტიის თანხა შეადგენდა 255 210 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში. აღნიშნული გარანტიების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2008 წლის 31 დეკემ-

ბრით, ხოლო შემდგომში გაგრძელდა 2009 წლის 28 თებერვლამდე, რაც გამოიხატა №0... და №0... ახალი საბანკო გარანტიების გაცემით (საბანკო გარანტია №B..., საბანკო გარანტია №B..., საბანკო გარანტია №0... და საბანკო გარანტია №0... შემდგომში მოიხსენიებინ, როგორც „საბანკო გარანტიები“);

2.2. 2009 წლის 18 თებერვალსა და 9 მარტს გარანტს, გარანტიის ტექსტში მითითებული ფორმის სრული დაცვით, წარედგინა მოთხოვნები №B... გარანტიით გათვალისწინებული თანხის სრულად გადახდის თაობაზე (255 210 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში), ასევე №B... გარანტიით გათვალისწინებული თანხის ნაწილობრივ გადახდის თაობაზე (42 465 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში);

2.3. მიუხედავად წაყენებული მოთხოვნებისა, მოპასუხემ თავი აარიდა თანხების გადახდას;

2.4. 2010 წლის 25 იანვარს მოსარჩელემ მოპასუხეს განმეორებით წარუდგინა მოთხოვნა იმავე თანხების გადახდის თაობაზე, რომელიც ასევე არ დაკმაყოფილდა;

2.5. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, მან ვერ დაფარა საგადასახადო დავალიანება, რომელმაც შეადგინა 180 000 ლარზე მეტი და, ამასთან, ყოველდღიურად ერიცხება საურავი – 270 ლარის ოდენობით.

3. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი საფუძველებით:

3.1. მოპასუხემ დაადასტურა მის მიერ №B... და №B... საბანკო გარანტიებისა და, 2009 წლის 23 იანვარს აღნიშნული გარანტიების ვადის გასვლის შემდეგ, №0... და №0... საბანკო გარანტიების გაცემის ფაქტი, თუმცა აღნიშნა, რომ მან საბანკო გარანტიები გასცა შპს „ლ-ის“ მიერ ფ-ის (24.0-64.1კმ) გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით;

3.2. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მისთვის ცნობილი გახდა მოსარჩელესა და შპს „ლ-ს“ შორის ფ-ის (24.0-64.1კმ) გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების თაობაზე ძირითადი ხელშეკრულების არარსებობის შესახებ [მოპასუხის ინფორმაციით, აღნიშნულ გზის მონაკვეთზე სამუშაოების შესრულების შესახებ ხელშეკრულება დაიდო შპს „ი.-სთან], მოპასუხემ მოსარჩელეს მოსთხოვა დამატებითი ინფორმაციის წარდგენა, რაში გამოიხატებოდა პრინციპალის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობა, რაზეც პასუხი არ მიუღია;

3.3. მოპასუხემ აღნიშნა, რომ ბენეფიციარმა დაარღვია მოთხოვნის წარდგენის როგორც ფორმა, ასევე – შინაარსი;

3.4. ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, მოპასუხემ განმარტა, რომ საგადასახადო ვალდებულების შეუსრულებლობის

ფაქტი არ არის დაკავშირებული კონკრეტული საბანკო გარანტიით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან, რადგან ზიანის ანაზღაურების წინაპირობას წარმოადგენს პირის მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედებასა და აღნიშნული ქმედებით დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობა, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

4. მოპასუხემ შესაგებლით წარადგინა შუამდგომლობა შპს „გ.“-ის (ყოფილი შპს „ლ-ი“) დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირად საქმეში ჩართვის შესახებ, იმ დასაბუთებით, რომ შპს „გ.“ წარმოადგენდა პრინციპალს მოპასუხის მიერ გაცემული საბანკო გარანტიების მიხედვით და, შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილება გავლენას მოახდენდა ერთ-ერთი მხარის მიმართ მის უფლება-მოვალეობებზე (მათ შორის, რეგრესული მოთხოვნის წარდგენისას).

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 19 აპრილის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა მოპასუხის შუამდგომლობა შპს „გ.“-ის (შემდგომში – „მესამე პირი“ ან „პრინციპალი“) დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე საქმეში მესამე პირად ჩართვის შესახებ.

6. მესამე პირმა აღიარებითი სარჩელი აღძრა სასამართლოში მოსარჩელის მიმართ და მოითხოვა მის მიმართ ვალდებულების არარსებობის აღიარება, მათ შორის, აღიარება, რომ პრინციპალს ბენეფიციარის მიმართ ფ-ის (24.0-64.1კმ) გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო და სხვა სახის სამუშაოთა შესრულების ვალდებულება არ გააჩნდა.

7. მესამე პირის სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

7.1. 2008 წლის 3 მაისს პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმდა ხელშეკრულება №... (საავტომობილო გზის რეაბილიტაცია გ-ის მონაკვეთზე 64,1-98,7 კმ, რომელიც ცნობილია მე-3 ლოტის სახელწოდებით) (შემდგომში „ხელშეკრულება“ ან „ძირითადი ხელშეკრულება“);

7.2. 2008 წლის 15 მაისს ბენეფიციარმა იმავე გზის მონაკვეთზე პრინციპალთან შეთანხმების გარეშე ხელშეკრულება გააფორმა სხვა პირთან – შპს „ს“-სთან და სამუშაოები, რომლებიც ძირითადი ხელშეკრულების თანახმად პრინციპალს უნდა შეესრულებინა, შესასრულებლად გადასცა აღნიშნულ კომპანიას უფრო მაღალი ანაზღაურებითა და უკეთესი პირობებით. შპს „ს“-ს მიერ აღნიშნულ მონაკვეთზე ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად სს „ვე-მა“ გასცა საბანკო გარანტია;

7.3. 2008 წლის ივნისში მხარეთა შორის შედგა შეხვედრის ოქმი

მხოლოდ მიწის სამუშაოების შესრულების თაობაზე, თუმცა ბენეფიციარის მხრიდან სამუშაოთა მოცულობა ყოველგვარი ახსნა-განმარტებების გარეშე მცირდებოდა. საბოლოოდ, პრინციპალმა ბენეფიციარის წინაშე ვალდებულება ჯეროვნად და სრულად შეასრულა და მასთან არანაირი ვალდებულებითი ურთიერთობა აღარ აკავშირებს. ვინაიდან მხარეთა შორის არ გაფორმებულა ხელშეკრულება ფ-ის (24.0-64.1 კმ) გზის მონაკვეთზე სამუშაოთა წარმოების თაობაზე და პრინციპალს არ აუღია ამ მონაკვეთზე სამუშაოთა შესრულების ვალდებულება, შესაბამისად, არც არანაირი ვალდებულება დაურღვევია.

8. ბენეფიციარმა მესამე პირის სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ საბანკო გარანტიებში შეცდომით მითითებული გზის სხვა მონაკვეთი (24.0-64.1 ნაცვლად 64.1-98.7) წარმოადგენს უბრალო ტექნიკურ ხარვეზს. მან მიუთითა, რომ შპს „ს“-ს შესასრულებლად გადაეცა სამუშაოების მხოლოდ ნაწილი, კერძოდ, გზის მონაკვეთი 74.0 და 98.7 კმ-ებს შორის, ხოლო პრინციპალს შესასრულებლად დარჩა გზის მონაკვეთი 64.1-74.0, რასაც ადასტურებს მხარეებს შორის 2008 წლის 9 ივლისს გაფორმებული შეთანხმება, რომლითაც ცვლილება შევიდა 2008 წლის 3 მაისის ხელშეკრულებაში. ის ფაქტი, რომ პრინციპალს ჰქონდა სამუშაოების შესრულების ვალდებულება და იგი მათ ასრულებდა (ხარვეზებით), დასტურდება ასევე სამუშაოების შესრულების თაობაზე სერტიფიკატებითა და პრინციპალის წერილით. საქმის მასალები ასევე ადასტურებს, რომ მესამე პირს მიღებული აქვს ავანსი 357 294 ლარის ოდენობით.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; მესამე პირის სარჩელი მოსარჩელის მიმართ დაკმაყოფილდა; აღიარებულ იქნა მოსარჩელესა და მესამე პირს შორის სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობა ფ-ის 24.0-64.1 კმ გზის მონაკვეთზე სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების თაობაზე.

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნაწილობრივ, კერძოდ, იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა მოპასუხის მიმართ.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა საბანკო გარანტიის ხელშეკრულებული

ბის საფუძველზე 538 791 ლარის გადახდა; დანარჩენ ნაწილში მოსარჩელის სარჩელი მოპასუხის მიმართ არ დაკმაყოფილდა.

12. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისთვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

12.1. 2008 წლის 3 მაისს პრინციპალს, შემდგომში როგორც ქვეკონტრაქტორს, და მოსარჩელეს, შემდგომში როგორც გენერალურ კონტრაქტორს, შორის გაფორმდა ხელშეკრულება №M...;

12.2. ხელშეკრულების პირველი მუხლის თანახმად, განისაზღვრა ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოები, ხელშეკრულებაზე №1 MCGF-ის საკონტრაქტო სპეციფიკის მიხედვით, გ-ის 64.1-98.7 კმ-იან საგზაო მონაკვეთზე, რომელიც ცნობილია მე-3 ლოტის სახელწოდებით;

12.3. ხელშეკრულების 3.2 მუხლის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ გენერალური კონტრაქტორი ქვეკონტრაქტორს გადაუხდოდა ავანსის სახით საკონტრაქტო ფასის 10%-ს, ქვეკონტრაქტორისგან უპირობო საბანკო გარანტიის მიღების შემდეგ, №4 დანართში მოცემული ფორმით, გენერალური კონტრაქტორისათვის მისაღები ბანკიდან;

12.4. ხელშეკრულების 3.4 პუნქტის თანახმად, განისაზღვრა, რომ დაწყების თარიღიდან 5 დღეში ქვეკონტრაქტორი მიაწვდიდა გენერალურ კონტრაქტორს შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტიას, №5 დანართში მითითებული ფორმით – ქვეკონტრაქტორული სამუშაოების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

12.5. 2008 წლის 9 ივლისის №1 კრების ოქმიდან ირკვევა, რომ მხარეთა შორის 2008 წლის 3 მაისს გაფორმებული №M... ხელშეკრულების შესაბამისად არავითარი მოქმედება არ განხორციელდა, ამ ხელშეკრულების შესაბამისად ჩატარდა კრება №1. კრებაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება სამუშაოების შესწორებასთან დაკავშირებით. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ქვეკონტრაქტორი შესრულებდა მინის სამუშაოებს 64.1-74.0 გზის მონაკვეთზე, შესწორებული ზედნაღების შესაბამისად. ქვეკონტრაქტორმა იკისრა ხის ჭრის ვალდებულება გენერალური კონტრაქტორის დავალების საფუძველზე. სამუშაოების დასრულების ვადა განისაზღვრა 5 თვით;

12.6. 2008 წლის 24 ივლისს მოპასუხემ გასცა საბანკო გარანტია – ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა №B..., რომლის თანახმად, პრინციპალმა, როგორც ქვეკონტრაქტორმა №M... კონტრაქტის შესაბამისად, იკისრა ვალდებულება ფ-ის 24.0-64.1 კმ გზის მონაკვეთზე სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუ-

შაოების შესრულების შესახებ, რომელიც ცნობილია, როგორც ლოტი №3. ამავე საბანკო გარანტიის თანახმად, მოპასუხემ დაადასტურა, რომ წარმოადგენს გარანტს და კისრულობს ვალდებულებას გამოუხმობად და უპირობოდ, პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე და დასაბუთების ან არგუმენტის გარეშე გადაუხადოს ბენეფიციარს 357 294 ლარი. საბანკო გარანტიის №B... მოქმედების ვადა განისაზღვრა 2008 წლის 31 დეკემბრამდე;

12.7. 2008 წლის 24 ივლისს მოპასუხემ გასცა საბანკო გარანტია – წინასწარ გადახდის უზრუნველყოფა №B..., რომლის თანახმად, პრინციპალმა, როგორც ქვეკონტრაქტორმა №M... კონტრაქტის შესაბამისად, იკისრა ვალდებულება ფ-ის 24.0-64.1 კმ გზის მონაკვეთზე სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების შესახებ, რომელიც ცნობილია, როგორც ლოტი №3. აღნიშნული საბანკო გარანტიის თანახმად, მოპასუხემ იკისრა ვალდებულება უპირობოდ, პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე და დასაბუთების ან არგუმენტის გარეშე გადაეხადა ბენეფიციარისთვის 425 690 ლარზე მეტი თანხა, რომელიც უნდა შემცირებულიყო პერიოდულად კონტრაქტიდან მიღებული შემოსავლებიდან დაფარული თანხებით. საბანკო გარანტიის №B... მოქმედების ვადა განისაზღვრა 2008 წლის 31 დეკემბრამდე;

12.8. 2009 წლის 23 იანვარს მოპასუხემ გასცა ანალოგიური შინაარსის საბანკო გარანტიები №0... და №0..., სადაც მითითა, რომ ისინი წარმოადგენენ №B... და №B... საბანკო გარანტიების ვადის გაგრძელებას. აღნიშნული საბანკო გარანტიების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2009 წლის 28 თებერვლამდე;

12.9. 2008 წლის 5 აგვისტოს სს „ს-ში“ არსებული მოსარჩელის ანგარიშიდან ... GEL პრინციპალის ანგარიშზე ... გადაირიცხა 357 294.00 ლარი დანიშნულებით „წინასწარ გადახდა B...“;

12.10. 2009 წლის 19 თებერვალს მოსარჩელემ წერილობით მიმართა მოპასუხეს, სადაც აღნიშნა, რომ პრინციპალმა ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები და სამუშაოები და აღნიშნულის გათვალისწინებით, გარანტისგან მოითხოვა №B... საბანკო გარანტიის საფუძველზე 255 210 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა. ასევე, მოითხოვა წინასწარი გადახდის საბანკო გარანტიის საფუძველზე 42 465 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება;

12.11. 2009 წლის 9 მარტსა და 2010 წლის 25 იანვარს მოსარჩელემ კვლავ მიმართა მოპასუხეს წერილობით და მოითხოვა №B... და №B... საბანკო გარანტიებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

12.12. პრინციპალის (შპს „ლ-ის“) ამჟამინდელი სახელწოდება

არის შპს „გ-“;

12.13. 2015 წლის 24 ნოემბერს შეიცვალა მოპასუხის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და გარდაიქმნა სააქციო საზოგადოება „დ-დ“;

12.14. მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ პრინციპალი 2008 წლის 9 ივლისის №1 კრების ოქმით გათვალისწინებულ სამუშაოებს ასრულებდა;

12.15. მხარეები არც იმ გარემოებას ხდიან სადავოდ, რომ, 2008 წლის 3 მაისის ხელშეკრულებითა და 2008 წლის 9 ივლისის №1 კრების ოქმით გათვალისწინებული ურთიერთობის გარდა, მათ შორის სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობა არ არსებობდა.

13. იმ პირობების გათვალისწინებით, რომ: მხარეებს შორის სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობა არ არსებობდა; საბანკო გარანტიაში მითითებული იყო 2008 წლის 3 მაისის ხელშეკრულების ნომერი; მონაკვეთი სახელდება „ლოტი – №3“, ისე – როგორც ეს ხელშეკრულებაში იყო მითითებული „გ-ის“ მონაკვეთის სახელწოდებად; გარანტიის გაცემის შემდეგ, 2008 წლის 5 აგვისტოს ბენეფიციარის მიერ სს „ს-ის“ მეშვეობით პრინციპალის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხული იყო 357 294.00 ლარი, დანიშნულებით წინასწარ გადახდა, და მითითებული იყო 2008 წლის 24 ივლისის წინასწარ გადახდის უზრუნველყოფის შესახებ საბანკო გარანტიის ნომერი – სააპელაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ 2008 წლის 24 ივლისის №B... და №B... საბანკო გარანტიები გაცემული იყო 2008 წლის 3 მაისის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად და გარანტიაში მითითებული მონაკვეთი – „ფ-ი 24.0-64.1“ წარმოადგენდა მექანიკურ უზუსტობას.

14. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტი, რომ გარანტია გაიცა „ფ-ის“ მონაკვეთზე შესასრულებელი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, რადგან პრინციპალს ამ მონაკვეთზე მოსარჩელესთან ხელშეკრულების გაფორმების მოლოდინი ჰქონდა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გარანტიაში მითითებული რეკვიზიტები, გარდა ერთისა, იდენტური იყო 2008 წლის 3 მაისის ხელშეკრულებაში არსებულისა; ფ-ის მონაკვეთზე, სახელწოდებით ლოტი №2, 2008 წლის 3 მაისის ხელშეკრულება გაფორმებული იყო შპს „ჯ-თან“; 2009 წლის 8 აპრილის წერილში პრინციპალი განმარტავდა, რომ დადებული ხელშეკრულების თანახმად მიწის მოჭრის სამუშაოების მოცულობა განსაზღვრული იყო 200 000 მ²-ის ოდენობით. სამუშაოები აღმოჩნდა 25%, რითაც ის დაზარალდა; ამავე წერილში პრინციპალი უთითებდა, რომ მან მოპასუხისგან გარანტია მიიღო 2552100 აშშ დოლარზე დღგ-ის ჩათვლით, ხოლო სხვადასხვა მიზეზის გამო სამუშაოს მოცულობამ შეადგინა

არაუმეტეს 550 000 აშშ დოლარი; 2008 წლის 24 ივლისს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხემ გარანტია გასცა სწორედ 255 210 აშშ დოლარის ოდენობით.

15. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიცია 2008 წლის 3 მაისის ხელშეკრულების ანულირებისა და 2008 წლის 9 ივლისს მხარეებს შორის ახალი ხელშეკრულების გაფორმების შესახებ. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა 2008 წლის 3 მაისის ხელშეკრულების 6.3 მუხლზე, რომლის თანახმად, გენერალურ კონტრაქტორს ქვეკონტრაქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში უფლება ჰქონდა ხელშეკრულების შეწყვეტის ნაცვლად ქვეკონტრაქტორისთვის ჩამოეთმია სამუშაოს ნაწილი და ამგვარი სამუშაო შეესრულებინა თავად ან სხვა ქვეკონტრაქტორის მეშვეობით. აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების სხვა ქვეკონტრაქტორისთვის გადაცემა ვერ გამოიწვევდა მოსარჩელესა და პრინციპალს შორის 2008 წლის 3 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების ანულირებას. სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა ისიც, რომ 2008 წლის 9 ივლისის №1 კრების ოქმში მითითებული იყო 2008 წლის 3 მაისის ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესწორებაზე. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ 2008 წლის 9 ივლისს მხარეებს შორის ახალი ხელშეკრულების დადებას ადგილი არ ჰქონია და 2008 წლის 9 ივლისის №1 კრების ოქმით დაზუსტდა ამავე წლის 3 მაისის ხელშეკრულების პირობები.

16. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 2008 წლის 24 ივლისს გაცემული საბანკო გარანტიები წარმოადგენდა 2008 წლის 3 მაისის ხელშეკრულებით (რომელიც დაკორექტირდა ამავე წლის 9 ივლისის №1 კრების ოქმით) გათვალისწინებული ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებას. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ 2009 წლის 23 იანვარს მოპასუხემ გასცა ანალოგიური შინაარსის საბანკო გარანტიები №0... და №0..., სადაც მითითებულია, რომ ისინი წარმოადგენენ №B... და №B... საბანკო გარანტიების ვადის გაგრძელებას, ხოლო ახალი საბანკო გარანტიების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2009 წლის 28 თებერვლამდე. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სახეზე იყო დისპოზიციური ნების შესაბამისად გაცემული საბანკო გარანტიები, რომლებიც აგრძელებდა 2008 წლის 3 მაისის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების უზრუნველყოფას, თავისუფალი ნების ფარგლებში ასეთი გარანტიის გაცემა, თავის მხრივ, მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ გარანტიის გაცემის

დროს მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა კვლავ არსებობდა.

17. სააპელაციო პალატის განმარტებით, იმ პირობებში, როდესაც დადგენილი იყო, რომ მოპასუხის მიერ 2008 წლის 24 ივლისს გაცემული საბანკო გარანტიები, რომელთა მოქმედების ვადაც მოგვიანებით 2009 წლის 28 თებერვლამდე გაგრძელდა, ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის 2008 წლის 3 მაისს გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად გაიცა და გარანტმა იკისრა უპირობო ვალდებულება, ბენეფიციარის პირველი მოთხოვნისთანავე გაეცა გარანტიაში მითითებული თანხა, სახეზე იყო გარანტიის მოქმედების ვადაში საბანკო გარანტიით თანხის მოთხოვნის წინაპირობის დადგომა, ასევე, ბენეფიციარის მიერ გარანტისათვის მოთხოვნის გარანტიით შეთანხმებულ ვადაში წარდგენა. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საფუძვლიანი იყო ბენეფიციარის მოთხოვნა გაცემული საბანკო გარანტიის ფარგლებში მოთხოვნილი თანხის ანაზღაურების თაობაზე.

18. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879-ე, 880-ე და 881-ე მუხლებზე დაყრდნობით, განმარტა, რომ საბანკო გარანტია წარმოადგენს გამოუთხოვად ვალდებულებას, გადაიხადოს საგარანტიო თანხა პრინციპალის მიერ ბენეფიციარის წინაშე აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ამდენად, საბანკო გარანტია წარმოადგენს ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებას. ის არის დამოუკიდებელი ვალდებულება და მისი პირობების თანახმად, ბანკი ვალდებულია გადაიხადოს თანხა ბენეფიციარის პირველივე მოთხოვნისთანავე. საბანკო გარანტიის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებებთან მიმართებაში არის ის, რომ იგი ატარებს ძირითადი ვალდებულებისგან დამოუკიდებელ, ავტონომიურ ხასიათს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გარანტი მოკლებულია გარანტიის მიხედვით გათვალისწინებული თანხის გადახდაზე უარის თქმის საშუალებას იმ შემთხვევაშიც, როცა ძირითადი ვალდებულება შესრულებულია ნაწილობრივ ან ბათილია. გარანტი ვალდებულება შესასრულოს თავისი ვალდებულება, ე.ი. გადაიხადოს დათქმული თანხა საბანკო გარანტიის მიხედვით. ამდენად, საბანკო გარანტიაში ძირითადი ვალდებულების მითითება არ არის აუცილებელი, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ასეთი სახის ვალდებულებაზე არსებობს მითითება, ეს არანაირ გავლენას არ ახდენს გარანტის ვალდებულების დამოუკიდებელ ხასიათზე.

19. სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო

კოდექსის 885-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე და განმარტა, რომ ბენეფიციარის მიერ გარანტიისათვის თანხის გადახდის შესახებ მოთხოვნა გარკვეულ ფორმალურ წინაპირობებს უნდა აკმაყოფილებდეს: ბენეფიციარის მოთხოვნა აუცილებლად წერილობითი ფორმით უნდა იყოს ფორმულირებული. ამასთან, მასში მითითებული უნდა იყოს იმ დარღვევების შესახებ, რომელიც პრინციპალის მიერ არის განხორციელებული.

20. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის პირველ ნაწილზე დაყრდნობით, მიუთითა, რომ საბანკო გარანტიის ავტონომიური, დამოუკიდებელი ხასიათი ვლინდება იმ გარემოებების განსაზღვრაში, რომელიც ათავისუფლებს გარანტს გადახდის შესრულების ვალდებულებისგან გარანტიის მიხედვით. გარანტს შეუძლია უარი უთხრას ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ ის არ შეესაბამება გარანტიაში გათვალისწინებულ გარემოებებს. გარანტს უფლება არ აქვს სხვა საფუძველით განაცხადოს უარი ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. შესაბამისად, მას არ გააჩნია უფლება კრედიტორის მოთხოვნის წინააღმდეგ წამოაყენოს სხვა მოთხოვნები.

21. სააპელაციო პალატის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში დაადგინდა იყო, რომ ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის არსებობდა სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა გარანტია და ბენეფიციარმა ვალდებულების დარღვევაზე მითითებით გარანტს მიმართა გარანტიით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების მოთხოვნით, შესაბამისად, ბენეფიციარის მიერ დაცული იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნები და გარანტის მიერ ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლით გათვალისწინებულ არცერთ საფუძველს ამ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სახეზე იყო საბანკო გარანტიის ფარგლებში მოთხოვნილი თანხის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

22. ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე და 412-ე მუხლებზე და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, თუ რა კონკრეტული ზიანი მიადგა მას, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა ასევე ისიც, თუ ასეთი ზიანის არსებობის შემთხვევაშიც კი, იგი სავარაუდოდ იყო მოპასუხისათვის და წარმოადგენდა მოპასუხის ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ამ ნაწილში არ არსებობდა სააპელაციო საჩივ-

რის დაკმაყოფილების საფუძველი.

23. 2016 წლის 19 ივლისის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ საკუთარი ინიციატივით გამოიტანა დამატებითი გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში სარჩელზე და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 12 000 ლარის ოდენობით.

24. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოპასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა:

24.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი;

24.2. სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 30 ნოემბრის განჩინების გაუქმება;

24.3. სახელმწიფო ბაჟის დაკისრების შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 19 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილების გაუქმება.

25. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა 2016 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

25.1. 2016 წლის 12 ივლისის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლომ გვერდი აუარა იმ ფაქტს, რომ გარანტიით დაცული ვალდებულება არ წარმოშობილა და სახეზე არ არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულების შესრულება, შეწყვეტა ან ბათილად ცნობა, რის თაობაზეც ცნობილი იყო თვით ბენეფიციარისთვის, როდესაც მას ჩაბარდა №B... (ხელშეკრულების შესრულების) და №B... (ავანსის უზრუნველყოფის) საბანკო გარანტიები, მათში შესაბამისი გზის მონაკვეთების მითითებით. აქვე საყურადღებოა, რომ, კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ, ბენეფიციარი გარანტიებში არსებული, მისი აზრით, „შეცდომების“ თაობაზე დუმდა №0... და №0... საბანკო გარანტიების ჩაბარების დროსაც;

25.2. სააპელაციო სასამართლო ეყრდნობა რა მოსარჩელის მიერ პირობითად გამოყენებულ მინიშნებას (ხელშეკრულებისა და ლოტის ნომრები), არ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ პრინციპალის მომართვის საფუძველზე, მოპასუხესთან დადებული შესაბამისი ხელშეკრულების მიხედვით გაცემული №B... (ხელშეკრულების შესრულების) და №B... (ავანსის უზრუნველყოფის) საბანკო გარანტიების შესაბამისად, ცალსახად განისაზღვრა აღნიშნული გა-

რანტიებით უზრუნველყოფილი ფ-ის (24.0-64.1 კმ) გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან დაკავშირებული პრინციპალის ვალდებულებები, ამასთან, საბანკო გარანტიების ტექსტში გამოკვეთილია არა მხოლოდ ციფრობრივად სამუშაოების შესრულების მონაკვეთი, არამედ – დასახლებული პუნქტების დასახელებაც, კერძოდ: ფ-ი, რაც შეესაბამება ციფრობრივად 24.0-64.1 კმ-ს;

25.3. სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე დაადგინა, რომ მოპასუხემ 2009 წლის 23 იანვარს გასცა №0... და №0... საბანკო გარანტიები, რა დროსაც გაგრძელდა №B... და №B... გარანტიების მოქმედების ვადა. სასამართლო გვერდს უვლის იმ გარემოებას, რომ მითითებულ დროს გასული იყო ხსენებული გარანტიების მოქმედების ვადა. ასევე საყურადღებოა, რომ ანალოგიურად, პრინციპალის მომართვის საფუძველზე, მოპასუხესთან დადებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული №0... და №0... საბანკო გარანტიების შესაბამისად კვლავ ცალსახად განისაზღვრა აღნიშნული გარანტიებით უზრუნველყოფილი ფ-ის (24.0-64.1 კმ) გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან დაკავშირებული პრინციპალის ვალდებულებები, ამასთან საბანკო გარანტიების ტექსტში გამოკვეთილია არა მხოლოდ ციფრობრივად სამუშაოების შესრულების მონაკვეთი, არამედ – დასახლებული პუნქტების დასახელებაც, კერძოდ: ფ-ი, რაც შეესაბამება ციფრობრივად 24.0-64.1 კმ-ს;

25.4. სააპელაციო სასამართლოს მიერ სს „ს-ის“ მიერ 2010 წლის 30 აპრილს გაცემული ცნობის საფუძველზე დადგინდა გარემოებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, 2008 წლის 5 აგვისტოს სს „ს-ში“ არსებული მოსარჩელის ანგარიშიდან პრინციპალის ანგარიშზე გადაირიცხა 357 294 ლარი, დანიშნულებით „წინასწარ გადახდა №B...“, კასატორმა აღნიშნა, რომ უსაფუძვლოა აღნიშნული ცნობისთვის რაიმე განსაკუთრებული მტკიცებულებითი ძალის მინიჭების მცდელობა იმ უბრალო მიზეზით, რომ 2008 წლის აგვისტოში მოქმედი 2007 წლის 26 ივნისის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №166 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესების“ შესაბამისად, საგადახდო დავალების საფუძველზე ანგარიშსწორებისას დავალების შინაარსს განსაზღვრავს თვით დავალების მიმცემი;

25.5. სააპელაციო სასამართლო მოსარჩელის მიერ მოპასუხისთვის მიმართვის ფაქტებზე მსჯელობისას გვერდს უვლის იმ გარემოებას, თუ რას ეხებოდა მოთხოვნა და რაზე იყო გაცემული საბანკო გარანტიები;

25.6. საბანკო გარანტიებში არსებული მკაფიო ჩანანერის [ფ-ის (24.0-64.1 კმ) გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოები] მიუხედავად, სააპელაციო სასამართლო აკავშირებს აღნიშნულ გარანტიებს ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის 2008 წლის 3 მაისს დადებულ ხელშეკრულებასთან და იმავდროულად გვერდს უვლის იმ ფაქტს, რომ აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების იდენტიურ სამუშაოებზე [გ-ის (64.1-98.7 კმ.) გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოები] 2008 წლის 15 მაისს მოსარჩელემ გააფორმა ხელშეკრულება შპს „ს“-სთან, რა დროსაც ამ უკანასკნელმა ბენეფიციარს წარუდგინა გოხნარი-ნარდევანის (64.1-98.7 კმ.) გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან დაკავშირებული საბანკო გარანტია;

25.7. საქმეში არსებული დოკუმენტაციის შესაბამისად და მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, „კორექტირებული“ სამუშაოების დასრულების ვადა განისაზღვრა ხუთი თვე ანუ 2008 წლის დეკემბრის დასაწყისი. ვინაიდან არ არსებობს რაიმე მტკიცებულება ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის „ვალდებულების“ გადავადების ან ე.წ. 2008 წლის 9 ივლისის შეთანხმებით განსაზღვრული ვადის გაგრძელების შესახებ, გამომდინარეობს, რომ მოსარჩელემ 2009 წლის თებერვლის თვეში მოპასუხისგან მოითხოვა 2008 წლის დეკემბრის დასაწყისამდე „არსებული ვალდებულების“ დარღვევის გამო საგარანტიო თანხის ანაზღაურება ანუ იმ პირობებში, როდესაც 2008 წლის 24 ივლისს გაცემული საბანკო გარანტიების მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 2008 წლის 31 დეკემბრამდე და აღნიშნულ ვადამდე საგარანტიო თანხა არ ყოფილა მოთხოვნილი, ჩნდება კითხვა – თუ რომელი ვალდებულების უზრუნველსაყოფად გაიცა 2009 წლის 23 იანვრის საბანკო გარანტიები. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ უნებლიედ დაუშვა, რომ ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის ძირითადი ხელშეკრულების არარსებობის პირობებში შესაძლებელია გაიცეს საბანკო გარანტია, რაც, თავის მხრივ, გაკრიტიკებულია გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში;

25.8. 2016 წლის 12 ივლისის გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში, სხვა საკითხებთან ერთად, დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიჩნეულია ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის 2008 წლის 3 მაისს დადებული ხელშეკრულების №4 და №5 დანართების მიხედვით შესაბამისი საბანკო გარანტიების ბენეფიციარისთვის წარდგენის ვალდებულება, მაგრამ საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ საქმეში არ მოიპოვება აღნიშნული დანართები.

26. კასატორმა აღნიშნა, რომ, ვინაიდან სარჩელი, უსაფუძვლო-ბის გამო, არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას, უსაფუძვლოა, ასე-ვე, 2016 წლის 19 ივლისის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2ბ/4942-15 დამატებითი გადაწყვეტილება, რომლითაც გადაწყდა სასამართლო ხარჯების საკითხი; გარდა ამისა, საკასაციო საჩივრის ავტორის განმარტებით, დამატებითი გადაწყვეტილება უსაფუძვლოა იმის გამოც, რომ 2016 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თუმცა, მოპასუხეს სრულად დაეკისრა აპელანტის/მოსარჩელის მიერ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის თანხა, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილს.

27. გასაჩივრებულ – 2015 წლის 30 ნოემბრის 2ბ/4942-15 განჩინებასთან დაკავშირებით, კასატორმა მიუთითა, რომ 2015 წლის 21 ოქტომბერს სასამართლოში მოსარჩელის სახელით სააპელაციო საჩივრის წარმდგენ პირს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე და 368-ე მუხლების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, არ გააჩნდა წარმომადგენლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და, შესაბამისად, 2015 წლის 30 ნოემბრის განჩინების გამოტანისას არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების წინაპირობა. ხსენებული ხარვეზი არ იქნა აღმოფხვრილი, მათ შორის, საქმის არსებითად განხილვისას და, ამასთან, არ იქნა შესწავლილი შემდგომში წარმოდგენილი რწმუნებულებების შესაბამისობა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს არქივში არსებულ მოსარჩელის წესდებასთან.

28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესა-მონებლად.

29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 4 აგვისტოს განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის განცხადება და საქმეში კასატორის მოწინააღმდეგე მხარის უფლებამონაცვლედ, მოთხოვნის დათმობის საფუძველზე, ჩაბმულ იქნა შპს „ჯ-ი“ (შემდგომში – „მოსარჩელე“, „ბენეფიციარი“, „მონინააღმდეგე მხარე“), საქართველოს სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

31. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 18 სექტემბრის განჩინებით დადგინდა კასატორის საკასაციო საჩივრის მხარეთა დასწრებით განხილვა.

32. 2017 წლის 25 სექტემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ საკასაციო საჩივარი განიხილა ზეპირ სხდომაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

33. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილებების იურიდიული დასაბუთების შემოწმების, ასევე მხარეთა პოზიციების ზეპირი მოსმენის შედეგად მიიჩნევს, რომ კასატორის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება და ამავე პალატის 2016 წლის 19 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

34. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

35. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებისა და, შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის დაკისრების თაობაზე ამავე პალატის 2016 წლის 19 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილების გაუქმების ნაწილში.

36. მოცემულ შემთხვევაში კასატორი სადავოდ ხდის სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომ 2008 წლის 24 ივლისის №B... და №B... საბანკო გარანტიები გაცემული იყო 2008 წლის 3 მაისის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით და მიუთითებს, რომ აღნიშნული გარემოება დადგენილ იქნა მტკიცებულებათა არასათანადოდ გამოკვლევის შედეგად.

37. სადავო გარემოება დადგენილია საქმეში არსებული 2008 წლის 3 მაისის ხელშეკრულებისა და №B... და №B... საბანკო გარანტიების ტექსტების შედარების საფუძველზე, რის შედეგადაც სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ საბანკო გარანტიებში მითითება გზის მონაკვეთზე „ფ-ი 24.0-64.1“, რომელიც არ ემთხვევა 2008 წლის 3 მაისის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გზის მონაკვეთს, იყო მექანიკური უზუსტობის შედეგი.

38. კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს შეფასებას, რომ სხვაობა, ერთის მხრივ, ძირითად ხელშეკრულებაში და, მეორეს მხრივ, გარანტიებში მითითებულ გზის მონაკვეთის დასახელებასა და კილომეტრაჟს შორის წარმოადგენს მექანიკურ უზუსტობას. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საბანკო გარანტიებში ცალსახად არის განსაზღვრული გარანტიებით უზრუნველყოფილი – ფ-ის (24.0-64.1 კმ) გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან დაკავშირებული – პრინციპალის ვალდებულებები. ასეთ პირობებში კი, შეუსაბამობა გარანტიებისა და ძირითადი ხელშეკრულების ტექსტებს შორის უზრუნველყოფილი ვალდებულების აღწერის ნაწილში არ შეიძლება მიჩნეულ იქნას მექანიკურ შეცდომად.

39. საქმის მასალების შესწავლისა და მხარეთა პოზიციების ზეპირი მოსმენის საფუძველზე საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული სადავო ფაქტობრივი გარემოება დაადგინა საქმეში არსებული მტკიცებულებების არასათანადოდ შეფასების შედეგად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით გათვალისწინებულია სასამართლოს მიერ მტკიცებულებების შეფასების წესი. კერძოდ, მოცემული მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

40. საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ მტკიცებულებათა შეფასება არა სპონტანური და ინტუიციური, არამედ სათანადოდ მოტივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს (სუსგ №ას-398-371-2017, 2017 წლის 6 ივნისი); მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი მიუთითებს სასამართლოსათვის არა სუბიექტურ მოსაზრებებზე დაყრდნობით მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადგენილად მიჩნევაზე, არამედ,

მოსამართლის შინაგან რწმენაზე, რომელიც შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ შეფასებაზეა დაფუძნებული (სუსგ №ას-279-264-2017, 2017 წლის 21 აპრილი).

41. საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულ მტკიცებულებათა შეფასების თვალსაზრისით ყურადღებას მიაქცევს თავად სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას, რომ 2008 წლის 3 მაისის ხელშეკრულებაში ცვლილებები შევიდა 2008 წლის 9 ივლისის №1 კრების ოქმით, რის შედეგადაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ 64.1-98.7 კმ-იანი საგზაო მონაკვეთის ნაცვლად პრინციპალი იმუშავებდა 64.1-74.0 კმ გზის მონაკვეთზე და გზის სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების მაგივრად განახორციელებდა მხოლოდ ამ სამუშაოების ნაწილს, კერძოდ, მიწის სამუშაოებს და ხის ქრას (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 12.5 პუნქტი).

42. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ გარანტიებში მოცემული ინფორმაცია, გარდა გზის მონაკვეთის დასახელებისა, იდენტურია 2008 წლის 3 მაისის ხელშეკრულებაში არსებულისა, არ ეფუძნება მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას.

43. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იურიდიული დოქტრინისა და დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ხელშეკრულების საგანი წარმოადგენს ხელშეკრულების ერთ-ერთ არსებით პირობას. მოცემულ შემთხვევაში 2008 წლის 3 მაისის №M... ხელშეკრულების საგნის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები არ შეესაბამება საბანკო გარანტიებით უზრუნველყოფილი პრინციპალის ვალდებულების მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს, სახელდობრ:

43.1. ძირითადი ხელშეკრულება (№1 კრების ოქმით მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით), დადებულია ხის ქრისა და მიწის სამუშაოების შესრულებაზე, ხოლო საბანკო გარანტიები გაცემულია მთლიანად გზის სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების უზრუნველსაყოფად. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ გარანტიები გაცემულია 2008 წლის 24 ივლისს ანუ მას შემდეგ, რაც მხარეებმა ძირითად ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანით შეამცირეს შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა. შესაბამისად, საბანკო გარანტიების გაცემისას მოსალოდნელია, რომ მათში ასახული იქნებოდა მხარეთა მიერ ძირითად ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები;

43.2. ძირითადი ხელშეკრულება (№1 კრების ოქმით მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) დადებულია 64-74 კმ გზის მონაკვეთზე სამუშაოების შესასრულებლად, ხოლო საბანკო გა-

რანტიის ხელშეკრულებები გაცემულია 24.0-64.1 კმ გზის მონაკვეთზე სამუშაოების შესრულების უზრუნველსაყოფად. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ 24.0-64.1 კმ გზის მონაკვეთზე სამუშაოების შესრულება არ იყო გათვალისწინებული არც №1 კრების ოქმით ძირითადი ხელშეკრულების პირობების შეცვლამდე. 2008 წლის 3 მაისის №M... ხელშეკრულება თავდაპირველად დადებული იყო 64.1-98.7 კმ-იან საგზაო მონაკვეთზე;

43.3. ძირითადი ხელშეკრულება დადებულია გ-ის გზის მონაკვეთზე, ხოლო საბანკო გარანტიები გაცემულია ფ-ის გზის მონაკვეთზე.

44. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლის შესაბამისად, აუცილებელი არ არის საბანკო გარანტიაში არსებობდეს მითითება იმ ვალდებულებაზე (ვალდებულების წარმომშობ ხელშეკრულებაზე), რომლის უზრუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია გაიცა. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ფულადი თანხის გადახდის შესახებ მოთხოვნის წარდგენისას, მნიშვნელოვანია შემოწმდეს გამომდინარეობს თუ არა მოთხოვნა სწორედ იმ ვალდებულებიდან (ვალდებულების წარმომშობი ხელშეკრულებიდან), რომელსაც უზრუნველყოფს საბანკო გარანტია.

45. იმის დასადგენად, საბანკო გარანტიები რომელი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად გაიცა, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ვალდებულებების (მათი წარმომშობი ხელშეკრულების) იდენტიფიცირება ზედმინვენით შესაძლებელი იყოს, რაც იმას გულისხმობს, რომ გარანტიის ტექსტში დაცული ინფორმაცია ვალდებულებების შესახებ თუ ზუსტად იდენტიფიკაციის არ იქნება ამ ვალდებულებების წარმომშობ ხელშეკრულებაში მოცემულისა, მინიმუმ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მას, მით უმეტეს, ისეთ არსებით პირობაში, როგორც არის ვალდებულების შინაარსი.

46. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ერთის მხრივ, საბანკო გარანტიების ტექსტებში, ხოლო მეორეს მხრივ, თავად ხელშეკრულების ტექსტში მოცემული ძირითადი ხელშეკრულების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები (ხელშეკრულების ნომერი და ლოტის ნომერი), მართალია, ერთმანეთის იდენტიფიკაცია, მაგრამ განსხვავებულია ძირითადი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შინაარსი, კერძოდ, გზის მონაკვეთის დასახელება, კილომეტრაჟი და შესასრულებელი სამუშაოების აღწერილობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააკელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ აღნიშნული შეუსაბამოებები მხოლოდ მექანიკურ უზუსტობას წარმოადგენს, რომლებიც შეიძლება უგულვებელყო-

ფილ იქნას საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულების იდენტიფიცირებისას, ვერ იქნება გაზიარებული. ხელშეკრულების არსებით პირობაში შეცდომა და, ამასთან, სწორედ ვალდებულების შესახებ მონაცემებში არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ისეთ უზუსტობად, რომელიც უმნიშვნელოა იმ გარემოების დასადგენად, გაცემულია თუ არა საბანკო გარანტია კონკრეტული ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით.

47. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელობა განპირობებულია თავად საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნების იმ თავისებურებებით, რითაც ის განსხვავდება მოთხოვნის უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისგან.

48. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლის თანახმად, საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

49. ზემოაღნიშნული ნორმის მიხედვით, საბანკო გარანტია წარმოადგენს ფულად ვალდებულებას, რომელიც ბენეფიციარს შესაძლებლობას აძლევს, მოვალის (პრინციპალის) მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მიმართოს გარანტს წერილობით, მოითხოვოს გადახდა და მიიღოს მოთხოვნილი თანხა. მას ამისათვის არ სჭირდება წინასწარ მიმართვა რომელიმე იურისდიქციის ორგანოსთვის თავისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად (სუსგ №ას-1038-999-2016, 2017 წლის 1 თებერვალი).

50. სამოქალაქო კოდექსი საბანკო გარანტიას განიხილავს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც სხვა უზრუნველყოფის საშუალებებისგან განსხვავდება თავისი დამოუკიდებლობით – არააქცესორულობით, რაც გულისხმობს იმას, რომ ძირითადი ვალდებულება – ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია გაიცა, გავლენას ვერ ახდენს ამ უკანასკნელზე (სუსგ №ას-562-871-09, 2009 წლის 20 ოქტომბერი; სუსგ №ას-782-739-2015, 2015 წლის 19 ოქტომბერი; სუსგ №ას-781-996-08, 2009 წლის 17 მარტი).

51. საბანკო გარანტიის ზემოაღნიშნული თავისებურება ასახულია სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლში, რომლის თანახმად, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე მათ შორის ურთიერთობისას არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების

უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული, მაშინაც კი, როცა გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე.

52. საბანკო გარანტიების დამოუკიდებლობის პრინციპი ასახულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სავაჭრო კომისიის მიერ შემუშავებული „დამოუკიდებელი გარანტიებისა და რეზერვული აკრედიტივების შესახებ“ გაეროს კონვენციის მე-3 მუხლში.

53. საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობის პრინციპი ასევე განმარტებულია დამოუკიდებელი გარანტიების შესახებ (The Uniform Rules for Demand Guarantees) საერთაშორისო სავაჭრო პალატის №458 უნიფიცირებული წესების მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტსა და დამოუკიდებელი გარანტიების შესახებ (The Uniform Rules for Demand Guarantees) საერთაშორისო სავაჭრო პალატის №758 უნიფიცირებული წესების მე-5 მუხლის პირველი პუნქტში.

54. საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე გარანტის მხრიდან შესასრულებელია იმ მომენტიდან, როდესაც ბენეფიციარი გარანტს წარუდგენს მოთხოვნას ფულადი თანხის გადახდის შესახებ. მხარეები საბანკო გარანტიაში ჩვეულებრივ თვითონ განსაზღვრავენ იმ წინაპირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც ბენეფიციარი უფლებამოსილია მოითხოვოს გადახდა. მოთხოვნის წარდგენის ფორმალური წინაპირობების დაცვას განსაკუთრებული ყურადღება „პირველივე მოთხოვნისთანავე გადახდის გარანტიის“ დროს ექცევა, ვინაიდან ამ შემთხვევაში ბენეფიციარს ფაქტობრივად შეუზღუდავი უფლებამოსილება გააჩნია, რისი კომპენსირებაც სწორედ ამ ფორმალურ პროცედურაზე აქცენტის გადატანით ხდება (სუსგ №ას-1038-999-2016, 2017 წლის 1 თებერვალი).

55. სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლით მონესრიგებულია ბენეფიციარის მოთხოვნის წარდგენის ფორმა და მოთხოვნისა და თანდართული დოკუმენტების გარანტიის პირობებისადმი შესაბამისობის საკითხი, კერძოდ, საბანკო გარანტიით ბენეფიციარის მოთხოვნა ფულადი თანხის გადახდის შესახებ უნდა წარედგინოს გარანტს წერილობითი ფორმით, გარანტიაში მითითებული დოკუმენტების დართვით. მოთხოვნაში ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაცა გარანტია. ბენეფიციარის მოთხოვნა უნდა წარედგინოს გარანტს გარანტიით განსაზღვრული იმ ვადის დამთავრებამდე, რა ვადითაც იგი გაიცა.

56. სამოქალაქო კოდექსის 885-ე და 887-ე მუხლების ანალიზი ცხადყოფს, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა ექვემდებარება მხოლოდ ფორმალური პროცედურის დაცვის მხრივ შემონიშნებას და,

შესაბამისად, ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარიც სწორედ ფორმალური პროცედურის დარღვევაზე მითითებით არის შესაძლებელი.

57. რაც შეეხება ძირითად ვალდებულებასთან დაკავშირებულ შემთხვევებს, როგორცაა: საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულება, მისი სხვა საფუძვლებით შეწყვეტა ან ბათილად აღიარება, კანონი მათ გარანტიის ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძვლად არ განიხილავს. ასეთ შემთხვევებში გარანტი უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და პრინციპალს, თუმცა მიუხედავად ამ შეტყობინებისა, ბენეფიციარის განმეორებითი მოთხოვნა დაკმაყოფილებას ექვემდებარება (სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის მეორე ნაწილი) (სუსგ. №ას-781-996-08, 2009 წლის 17 მარტი).

58. ამდენად, პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის სახის და ხარისხის კვლევა გარანტიის მხრიდან გონივრული წინდახედულობის ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ საბანკო გარანტიით შეთანხმებული მოთხოვნის ან თანდართული დოკუმენტების წარდგენის პირობების დაცვის კვლევის ფარგლებში ანუ ფორმალური სახით (დოკუმენტების გარეგნული შესაბამისობის დადგენა). სწორედ ამიტომ უწოდებენ კომერციულ პრაქტიკაში საბანკო გარანტიას ე.წ. დოკუმენტურ ოპერაციას (სუსგ. №ას-782-739-2015, 2015 წლის 19 ოქტომბერი).

59. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, გამომდინარე იქედან, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა ექვემდებარება მხოლოდ ფორმალური საფუძვლით შემოწმებას და პრინციპალის ძირითადი ვალდებულების გაბათილება, შეწყვეტა ან სამართლებრივი ვითარების სხვაგვარი შეცვლა თავისთავად არ იწვევს საბანკო გარანტიის მოქმედების შეწყვეტას, საბანკო გარანტიაში მკაფიოდ უნდა აისახოს მისი დაკმაყოფილების წინაპირობები (სუსგ. №ას-749-709-2015, 2015 წლის 25 სექტემბერი).

60. საკასაციო სასამართლო, №B... და №B... საბანკო გარანტიების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ სახეზე გვაქვს უპირობო და პირველივე მოთხოვნისთანავე გადასახდელი გარანტიები, რომელთა თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა წარმოშობს გარანტიის მიერ თანხის გადახდის ვალდებულებას ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის საფუძვლის დამატებითი მტკიცების გარეშე.

61. შესაბამისად, წარმოდგენილი საბანკო გარანტიებით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ დოკუმენტების გარეგნული შესა-

ბამისობის დადგენას, რაც სამართლის დოქტრინაში ცნობილია „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპით (Principle of Strict Compliance). აღნიშნული პრინციპის თანახმად, ბენეფიციარის მოთხოვნა ზუსტად შესაბამისი უნდა იყოს საბანკო გარანტიის პირობებთან და მასვე უნდა დაერთოს გარანტიაში გათვალისწინებული დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

62. „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპი გათვალისწინებულია დამოუკიდებელი გარანტიების შესახებ (The Uniform Rules for Demand Guarantees) საერთაშორისო სავაჭრო პალატის №458 უნიფიცირებული წესების მე-9 მუხლით, რომლის თანახმად, „ყველა დოკუმენტი, რომელიც გათვალისწინებულია ან წარდგენილია საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, მათ შორის მოთხოვნა, შემონემებული უნდა იქნეს გარანტიის მიერ გონივრული წინდახედულობის გათვალისწინებით, შეესაბამება თუ არა ისინი საბანკო გარანტიის პირობებს. იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტები არ შეესაბამება პირობებს, გარანტია უნდა იქნას უარყოფილი“.

63. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ძირითადი ხელშეკრულების მხარეთა ინტერესების დაბალანსებისთვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება საბანკო გარანტიის ავტონომიურობისა და „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპების სათანადოდ რელიაზაციას. ბენეფიციარის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების რისკისგან პრინციპალის ერთადერთი დაცვის მექანიზმი, შეიძლება ითქვას, სწორედ საბანკო გარანტიის პირობებთან ბენეფიციარის მოთხოვნის ზუსტი შესაბამისობის დადგენაში მდგომარეობს.

64. მოცემულ შემთხვევაში, გამომდინარე იქიდან, რომ 2008 წლის 3 მაისის №M... ხელშეკრულების საგნის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები არ შეესაბამება საბანკო გარანტიებით უზრუნველყოფილი პრინციპალის ვალდებულების მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს, შეუძლებელია იმის დადგენა, რომ აღნიშნული გარანტიები 2008 წლის 3 მაისის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით გაიცა (იხ. მოცემული გადაწყვეტილების 46-ე პუნქტი).

65. ასეთ პირობებში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბენეფიციარის მიერ გარანტისათვის წარდგენილი მოთხოვნა, რომელიც გამომდინარეობდა 2008 წლის 3 მაისის №M... ხელშეკრულებიდან, გონივრული წინდახედულობის ფარგლების გათვალისწინებით, ვერ იქნება მიჩნეული 2008 წლის 24 ივლისს გაცემული №B... და №B... საბანკო გარანტიების შესაბამისად.

66. საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ განსახილველი დავის მხარეები წარმოადგენენ მენარმე სუბიექტებს, რომლებსაც მათი ყოველდღიური საქმიანობის გამოცდილებიდან

გამომდინარე, მოეთხოვებათ მეტი წინდახედულობა და გონივრულობა გარიგებების დადებისას. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ჩვეულებრივი მონაწილისგან განსხვავებით, მენარმე სუბიექტებს მოეთხოვებათ მეტი გულისხმიერების გამოჩენა და კონკრეტული ფაქტის მტკიცებისას ვერ მიუთითებენ გამოუცდელიაობაზე. გამომდინარე იქედან, რომ მხარეებს არ აქვთ დაცული საბანკო გარანტიისთვის დამახასიათებელი ფორმალური პირობები, მათი მტკიცების ტვირთიც ნაწილდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმის მიხედვით, თუ რომელ მხარეს რა მოცულობით ეკისრებოდა წინდახედულობის სტანდარტის დაცვა.

67. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოცემულ შემთხვევაში სწორედ მოსარჩელის, როგორც ბენეფიციარის, ინტერესის სფეროს წარმოადგენს საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილება მოცემული საბანკო გარანტიების შესაბამისად. გამომდინარე აქედან, იმის მტკიცების ტვირთი, რომ საბანკო გარანტიები გაცემულია ძირითადი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, ეკისრება სწორედ მოსარჩელეს. სამოქალაქო სამართალში აღიარებული მტკიცების სტანდარტის გათვალისწინებით, მოსარჩელემ ვერ შეძლო სარწმუნო მტკიცებულებების წარმოდგენის გზით გაექარწყლებინა მოპასუხის პოზიცია და მისი მითითება დოკუმენტების შეუსაბამობის თაობაზე. უფრო მეტიც, მოსარჩელემ ვერ შეძლო მიეთითებინა მტკიცებულებებზე, რომლებიც დაადასტურებდა ძირითადი ხელშეკრულების და, შესაბამისად, ძირითადი ვალდებულების არსებობას, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც გაიცა საბანკო გარანტიები. ძირითადი ვალდებულების არარსებობა კი თავისთავად გამორიცხავს საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი უფლების რეალიზაციას.

68. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს არა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულების შესრულებას, შეწყვეტას ან ბათილობას, არამედ განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდება საბანკო გარანტიების უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულებების არსებობა, რაც გამორიცხავს აღნიშნულ შემთხვევაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის მე-2 ნაწილის გავრცელებას.

69. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმე-

ბის დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

70. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო მტკიცებულებების არასათანადო შეფასების შედეგად მივიდა საქმის არასწორ გადაწყვეტამდე, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

71. სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 30 ნოემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე კასატორის მიერ წარმოდგენილია არაკვალიფიციური და დაუსაბუთებელი პრეტენზია, რომელიც ვერ იქნება გაზიარებული. შესაბამისად, ამ ნაწილში საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

72. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

73. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი და საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე. კერძოდ, კასატორის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

74. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება. ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა

დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (შპს „ა-ის“ წესდების ასლი), მთლიანობაში „97“ ფურცლად.

75. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადანყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადანყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადანყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

76. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 19 ივლისის დამატებითი გადანყვეტილება, რომლითაც მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში სარჩელზე და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 12000 ლარის გადახდა.

77. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს კასატორის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 8000 (რვა ათასი) ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სს „დ-ს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ივლისის გადანყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადანყვეტილება;

3. შპს „ჯ-ის“ (შპს „ა-ის“ უფლებამონაცვლე) სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 19 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილება;

5. შპს „ჯ-ს“ (შპს „ა-ის“ უფლებამონაცვლე) (ს/კ: ...) სს „დ-ს“ (ს/კ: ...) სასარგებლოდ დაეკისროს სს „დ-ს“ მიერ საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 8000 (რვა ათასი) ლარის გადახდა;

6. კასატორ სს „დ-ს“ დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (შპს „ა-ის“ წესდების ასლი), მთლიანობაში „97“ ფურცლად;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. ამხანაგობის ხელშეკრულება

შესატანის შეტანის ვალდებულება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1792-2018

25 აპრილი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება, კრების ოქმების ბათილად ცნობა, სამშენებლო ნაგვის გატანის ღირებულების დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2006 წლის 14 სექტემბერს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „გ-სა“ (შემდეგში: ამხანაგობა ან მოსარჩელე ან მონინალმდეგე მხარე) და ნ. ტ-ეს (შემდეგში: მოპასუხე ან კასატორი) შორის გაფორმდა ხელშეკრულება „ამხანაგობაში განვერიანების“ შესახებ. ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხეს საკუთრებაში უნდა გადასცემოდა 2 ოთახიანი საცხოვრებელი ბინა – 54 კვ.მ ოდენობით, და ავტომანქანის სადგომი, ქ. თბილისში, შ-ას ქ. №35-ში (შემდეგში – სადავო მისამართზე) ასაშენებელ სახლში მე-9 სართულზე. სანაცვლოდ მოპასუხეს უნდა განეხორციელებინა ამხანაგობაში შენატანი – 36 400 აშშ დოლარის ოდენობით, საინაც, 32 400 აშშ დოლარი არის საცხოვრებელი ფართის ღირებულება, ხოლო 4000 აშშ დოლარი მანქანის ავტოსადგომის ღირებულება.

2. 2010 წლის 22 ივლისს, ამხანაგობასა და მოპასუხეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება „ამხანაგობაში განვერიანების“ შესახებ. ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხეს საკუთრებაში უნდა გადასცემოდა 2-ოთახიანი საცხოვრებელი ბინა 54 კვ.მ ოდენობით, და ავტომანქანის სადგომი, ქ. თბილისში, შ-ას ქ. №35-ში, ასაშენებელ სახლში მე-10 სართულზე. ხელშეკრულებით ამხანაგობამ იკისრა ვალდებულება აუშენოს და წევრს საკუთრებაში გადასცეს ახალაშენებულ სახლში საცხოვრებელი ბინა საერთო ფართობით – 56.03 კვ.მ., მე-2 სადარბაზო, მე-10 სართული. წევრის შენატანი

ამხანაგობაში შეადგენდა – 39 221 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში. მშენებლობის დამთავრების ვადად განისაზღვრა – 2011 წლის მარტი.

3. ამხანაგობის წევრთა საერთო კრების 2013 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით, დადგენილ იქნა, რომ ამხანაგობის წევრებს დამატებით უნდა გადაეხადათ კვ.მ-ზე 23 აშშ დოლარი, ხოლო 2013 წლის 19 სექტემბრის ამხანაგობის წევრთა კრების გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა, რომ ამხანაგობის იმ წევრებმა, რომელთაც საკუთრებაში გააჩნდათ საცხოვრებელი ფართები, სრულად უნდა გადაეხადათ 1 კვ.მ.-ზე 43 აშშ დოლარი.

4. ამხანაგობამ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ ამხანაგობის სასარგებლოდ დამატებითი ფულადი ვალდებულების შესრულების, სახელდობრ, მოპასუხისთვის საკუთრებაში გადაცემული საცხოვრებელი ფართის ოდენობიდან გამომდინარე, 1 კვ.მ.-ზე 43 აშშ დოლარის გადახდის, სულ – 4795.79 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ. მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხე წარმოადგენს ამხანაგობის მონაწილეს, რომელსაც ამხანაგობის წინაშე ფულადი ვალდებულება გააჩნია, მისი მხრიდან თანხის გადაუხდელობა კი, აბრკოლებს ამხანაგობის ერთობლივი საქმიანობის მიზნის საბოლოოდ მიღწევას. მოსარჩელემ მიუთითა 2013 წლის 19 აპრილს გამართულ ამხანაგობის წევრთა საერთო კრებაზე, რომლის დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხს წარმოადგენდა მშენებარე საცხოვრებელი სახლის ე.წ. „შავ კარკასამდე“ მიყვანისათვის, არსებული ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, მენაშენეთა მიერ თანხის დამატება, რაც შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, საცხოვრებელი სახლის თითოეული მესაკუთრისათვის 1 კვ.მ.-ზე 43 აშშ დოლარით განისაზღვრა. ამხანაგობის წევრების მიზანი იყო, რომ ერთიანი ძალითა და კრიზისული სიტუაციის სწორი მართვით დასრულებულიყო სამშენებლო სამუშაოები. გასათვალისწინებელი იყო, რომ ამხანაგობის წევრთა უმრავლესობის მიერ დამატებითი თანხების გადახდამ შედეგობრივად გამოიწვია ის, რომ მშენებარე ობიექტზე არ შეჩერებულა სამშენებლო სამუშაოები, ასაშენებელი 1 დონიდან აშენდა 1 დონე. ამასთან, დასრულდა შენობის სახურავის მოწყობის სამუშაოები. მოსარჩელის მტკიცებით, ამხანაგობის წინაშე არსებობს სხვა სახის სერიოზული გამოწვევები, რაც ერთობლივი საქმიანობის მიზნების მიღწევის აუცილებლობიდან გამომდინარე უნდა გადაიჭრას. ყურადსაღებია, რომ ამხანაგობას გააჩნია ფულადი ვალდებულება ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის წინაშე – გადასახდელია მრავალფუნქციური ობიექტის კოეფიციენტის მოსაკრებელი, 458 659 ლარი, იმ შემთხვევაში კი, თუ ამხანაგობა შენობას ექსპლუატაციაში ვადაში ჩა-

აბარებს, ეპატიება არსებული კოეფიციენტის დავალიანება. ამხანაგობის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნულ ვალდებულებას ასრულებს კეთილსინდისიერად, დამატებით ფულად თანხას იხდის დროულად, ერთჯერადად ანდა გარკვეული პერიოდულობით, ხოლო მოპასუხესთან ეს საკითხი გადაუწყვეტელია, რადგანაც, იგი უარს აცხადებს დამატებითი თანხის გადახდაზე.

5. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და წარდგენილი შესაგებლით გამორიცხა მოთხოვნა. მოპასუხის განმარტებით, მან სრულად შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და ამხანაგობას გადაუხადა უძრავი ნივთის საფასური, ხოლო ამხანაგობამ მას საკუთრებაში გადასცა კუთვნილი №1-... და №1-... ბინები. დამატებითი თანხის შეტანასთან დაკავშირებით მოპასუხეს არ შეთანხმებია. შესაბამისად, იგი არ იყო ვალდებული მოთხოვნილი თანხის გადახდაზე. ამდენად, ამხანაგობა არ იყო უფლებამოსილი, მისთვის დამატებითი შენატანების განხორციელება მოეთხოვა. იგი კეთილსინდისიერად იხდიდა გადასახადს, ხოლო ხელმძღვანელობის გულგრილობისათვის, მან არ უნდა აგოს აპასუხი. გარდა ამისა, ამხანაგობის წევრებმა გადაწყვეტილებები წესების დარღვევით მიიღეს, რაც გარიგებების უცილოდ ბათილობის საფუძველი იყო. მოპასუხის მითითებით, კონკრეტული წევრების მიერ კრების ოქმზე ხელმოწერა, ამხანაგობაში დამატებითი შენატანის განხორციელების ვალდებულებას მას არ წარმოუშობს (იხ., შესაგებელი). ამასთან, მოპასუხემ აღნიშნა, რომ 2013 წლის 19 სექტემბრის კრება არაუფლებამოსილი იყო, რადგან მას ხელს აწერს მოსარჩელისთვის უცნობი პირები. შესაბამისად, კრების ოქმი არ წარმოუშობს იურიდიული შედეგს.

6. მოპასუხემ თავდაპირველ სარჩელთან ერთად განსახილველად წარადგინა შეგებებული სარჩელიც, რომლითაც მოითხოვა ამხანაგობის 2012 წლის 19 მარტის კრების ოქმის №1, 2013 წლის 19 აპრილის კრების ოქმის №6 და 2013 წლის 19 სექტემბრის კრების ოქმი №7 ბათილად ცნობა და ამხანაგობისთვის სამშენებლო ნაგვის გატანის საფასურის – 3000 ლარის გადახდის დაკისრება. შეგებებული სარჩელის ავტორის მტკიცებით 2013 წლის 19 აპრილის კრებას სინამდვილეში წევრები არ დასწრებიან და არც დამატებითი თანხის შეტანის ვალდებულება უკისრიათ. მისივე განმარტებით არ ჩატარებულა არც 2013 წლის 19 სექტემბრის კრება. ამ კრების ოქმს ფორმალურადაც კი არ ერთვის წევრთა ხელმოწერები.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2... წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით ამხანაგობის სარჩელი დაკმაყოფილდა. პირველ მოპასუხეს ამხანაგობის სასარგებლოდ დაეკისრა – 4817 აშშ დოლარის გადახდა. შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

8. პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების და სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით სააპელაციო საჩივარი წარადგინა მოპასუხემ.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2... წლის 04 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2... წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება.

10. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

11. ამ განჩინების პპ:1-3-ში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

12. სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს ფულადი ვალდებულება გააჩნდა ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის წინაშე, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ გადასახდელი იყო ქ. თბილისში, შ-ას ქ. №35-ში მშენებარე მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, სავაჭრო, საოფისე) ობიექტის კოეფიციენტის მოსაკრებელი, რომლის საერთო ოდენობა იმ დროისათვის შეადგენდა – 458 659.25 ლარს, რაც თავის დროზე ამხანაგობის მმართველი სუბიექტის კომპანია „ე-ის“ მიერ გადახდილი არ ყოფილა. იმ შემთხვევაში, თუ ამხანაგობა 2014 წლის დეკემბრის თვისთვის შენობას არ ჩააბარებდა ექსპლუატაციაში, აღნიშნული თანხა ამხანაგობას გადასახდელი ექნებოდა ქ. თბილისის მერიისთვის, ხოლო თუკი ნაგებობა ვადებში ჩაბარდება ექსპლუატაციაში, ამ შემთხვევაში, არსებული კოეფიციენტის დავალიანება ამხანაგობას ეპატიებოდა.

13. 2013 წლის 19 სექტემბრის ამხანაგობის წევრთა საერთო კრების დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხს წარმოადგენდა ის, რომ მშენებარე საცხოვრებელი სახლის ე.წ. „შავ კარკასამდე“ მიყვანილსათვის არსებული ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე აუცილებელი იყო მენაშენეთა მიერ თანხის დამატება, რაც შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით საცხოვრებელი ფართების მესაკუთრეებისათვის განისაზღვრა სულ – 43 აშშ დოლარის ოდენობით 1 კვ.მ-ზე.

14. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ამხანაგობის 2010 წლის 30 დეკემბრის კრების ოქმის მიხედვით, დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხების გადაწყვეტა: 1. ამხანაგობის გამგეობის ახალი წევრების არჩევა; 2. სადავო მისამართზე ამხანაგობის შერეული ტიპის მრავალბინიანი საცხოვ-

რებელი სახლის, საკადასტრო კოდი №01.10.1-.0-...0-... ფართების განაწილება ამხანაგობის წევრებზე; 3. ამხანაგობის წევრთა გავლა ამხანაგობიდან, რომელთაც არ განუხორციელებიათ შენატანი ამხანაგობაში, ასევე, წევრობის შეწყვეტა.

15. ამხანაგობის თავმჯდომარის – ვ. ზ-ს (შემდეგში – თავმჯდომარე) მიერ 2014 წლის 28 ივლისს გაცემული ცნობის მიხედვით, მოპასუხეს სრულად აქვს შესრულებული მისი წილი ფულადი ვალდებულება და ამხანაგობა თანახმაა, რომ მოპასუხეს საკუთრებაში რიცხულ საცხოვრებელ ბინაზე, მდებარე სადავო მისამართზე, მე-10 სართული, მე-2, სადარბაზო, ბინა №1-, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №01.10.13.0....0....01.01.1... გაუქმდეს ამხანაგობის სასარგებლოდ რეგისტრირებული იპოთეკის უფლება, რომელიც რეგისტრირებულ იქნა მოპასუხის სახელზე რიცხულ საცხოვრებელ ბინაზე 2010 წლის 30 დეკემბრის კრების ოქმის საფუძველზე. შესაბამისად, ამხანაგობის 2010 წლის 30 დეკემბრის კრების ოქმის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერს მოპასუხე, მას საკუთრებაში გადაეცა სადავო მისამართზე მდებარე საცხოვრებელი ბინა: ფართი – 55.73 კვ.მ., სადარბაზო 2, სართული №10, ბინა №1-, საკადასტრო კოდით: 01.10.13.0....0....01.01.1...

16. თბილისის საქალაქო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 16 მაისის განჩინებით დამტკიცდა მხარეებს ამხანაგობა (წარმომადგენელი თავმჯდომარე) და მოპასუხეს შორის მორიგება შემდეგი პირობებით: „მხარეები თანხმდებიან, რომ მოპასუხის მიერ მოსარჩელე ამხანაგობა „გ-ის“ წინაშე შესასრულებელი ფულადი ვალდებულება (გადაუხდელი შენატანის სახით) შეადგენს სულ 29 221 აშშ დოლარს, რომელიც გამომდინარეობს მხარეთა შორის 2010 წლის 22 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულებიდან. პირველი მოპასუხე ვალდებულებას იღებს ამხანაგობის წინაშე, რომ 2013 წლის მაისის თვის ბოლომდე ამხანაგობის კუთვნილ საბანკო ანგარიშზე გადაიხდის 5 000 აშშ დოლარს. პირველი მოპასუხე ვალდებულებას იღებს ამხანაგობის წინაშე, რომ შემდეგ გადახდას – 5 აშშ დოლარის ოდენობით, ის განახორციელებს მას შემდეგ რაც სადავო მისამართზე მიმდინარე მშენებლობაზე ამხანაგობის მიერ მოხდება მე-16 სართულის იატაკის დასხმის სამუშაოების დასრულება. აღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდეგ პირველი მოპასუხე ვალდებული იქნება გადაიხადოს 5 000 აშშ დოლარი არაუგვიანეს 2013 წლის 15 აგვისტოსი. დარჩენილ ფულად ვალდებულებას პირველი მოპასუხე შეასრულებს შემდეგი პირობით: 2013 წლის სექტემბრის თვიდან 2014 წლის ივნისის თვის ჩათვლით“...

17. დადგენილია, რომ მოპასუხეს საკუთრებაში გადაეცა სადა-

ვო მისამართზე მდებარე საცხოვრებელი ბინა ფართი – 56.26 კვ.მ., სადარბაზო 2, სართული №10, ბინა №1..., საკადასტრო კოდი: 01.10.13.0...0...01.01.1...

18. მიუხედავად ამხანაგობის წინაშე არსებული მთელი რიგი სირთულეებისა მშენებარე ობიექტზე არ შეჩერდა სამშენებლო სამუშაოები, ასაშენებელი 18 დონიდან აშენებულია 18 დონე, ანუ მშენებლობა დასრულებულია.

19. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას სააპელაციო სასამართლომ ამხანაგობის სასარჩელო მოთხოვნის – თანხის დაკისრების – სამართლებრივ საფუძვლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) სსკ-ის 932-ე მუხლის პირველი ნაწილი მიიჩნია [დისპოზიცია: მონაწილეებმა უნდა შეიტანონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესატანები], ხოლო შეგებებული სარჩელის მოთხოვნების სამართლებრივ საფუძვლად კრების ოქმების ბათილობის ნაწილში სსკ-ის 54-ე მუხლი, ხოლო სამშენებლო ნარჩენების გატანის ღირებულების ანაზღაურების ნაწილში – სსკ-ის 935-ე მუხლის მე-2 ნაწილი [დისპოზიცია: თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს მოსთხოვოს ყოველ მონაწილეს ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება].

20. უდავოა, რომ ამხანაგობას და მოპასუხეს შორის 2010 წლის 22 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულებით ამხანაგობამ იკისრა ვალდებულება აუშენოს და წევრს საკუთრებაში გადასცეს ახალაშენებულ სახლში საცხოვრებელი ბინა საერთო ფართით – 56.03 კვ.მ., მე-2 სადარბაზო, მე-10 სართული. წევრის შენატანი ამხანაგობაში შეადგენდა – 39 221 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში. მშენებლობის დამთავრების ვადად განისაზღვრა – 2011 წლის მარტი.

21. ამხანაგობას და მოპასუხეს შორის 2006 წლის 14 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით პირველ მოპასუხეს საკუთრებაში უნდა გადასცემოდა ოროთახიანი საცხოვრებელი ბინა – 54 კვ.მ ოდენობით, და ავტომატურად სადგომი, ქ. თბილისში, შ-ას ქ.№35-ში, ასაშენებელ სახლში მე-9 სართულზე. საცხოვრებელი ფართის ღირებულება განისაზღვრა 32 400 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო მანქანის ავტოსადგომის ღირებულება – 4000 აშშ დოლარის ოდენობით.

22. ამხანაგობის წინაშე ზემოხსენებული ხელშეკრულებებით ნაკისრი შენატანების განხორციელების ვალდებულება მოპასუხემ სრულად შეასრულა. ამხანაგობამ პირველ მოპასუხეს საკუთრებაში გადასცა სადავო მისამართზე მდებარე საცხოვრებელი ბინები: 1. სადარბაზო 2, სართული №10, ბინა №1..., ფართი (მშენებარე) –

56.26 კვ.მ., საკადასტრო კოდით: 01.10.13.0...0...01.01.1...; 2. სადარბაზო 2, სართული №10, ბინა №1..., ფართი (მშენებარე) – 55.73 კვ.მ, საკადასტრო კოდით: 01.10.13.0...0...01.01.1...

23. ამხანაგობის 2012 წლის 19 მარტის კრების ოქმის საფუძველზე გადარჩეულ იქნა ამხანაგობის თავმჯდომარე მ. ჩი-ი, ასევე ამხანაგობის გამგეობის წევრები და მათ ნაცვლად არჩეულ იქნა ახალი თავმჯდომარე, ასევე ახალი გამგეობის წევრები. ახალი თავმჯდომარის და გამგეობის წევრთა არჩევა მოხდა ამხანაგობის ჩვეულებრივი (აპელანტის მსგავსი) წევრებიდან, რითაც ფაქტობრივად დასრულდა ის მოცემულობა, რომ ამხანაგობის მართვას ჩამოშორდა კომპანია „ე-ი“ და მისი თანამშრომლები და ამხანაგობის მართვა სრულად აიღო ამხანაგობის წევრებმა.

24. მიუხედავად ამხანაგობის წინაშე არსებული მთელი რიგი სირთულეებისა მშენებარე ობიექტზე არ შეჩერდა სამშენებლო სამუშაოები, ასაშენებელი 18 დონიდან აშენებულია 18 დონე, ანუ მშენებლობა დასრულებულია. სარჩელით ამხანაგობა საერთო კრების გადაწყვეტილებების საფუძველზე პირველი მოპასუხისაგან მოითხოვდა ამხანაგობაში დამატებითი შენატანის – 4795.79 აშშ დოლარის განხორციელებას. პირველი მოპასუხე სადავოდ ხდიდა ამხანაგობის 2013 წლის 19 აპრილის და 19 სექტემბრის საერთო კრების გადაწყვეტილებებს, მიიჩნევდა, რომ მითითებულ თარიღებში ამხანაგობის საერთო კრებები არ ჩატარებულა, შესაბამისად, №6 და №7 ოქმები გაყალბებულია, მათ ხელს არ აწერენ ამხანაგობის წევრები, არამედ ხელმოწერილია მისთვის უცნობი ორი პიროვნების მიერ. №6 ოქმს ფორმალურად ერთვის ამხანაგობის წევრთა ხელმოწერები, რომლებიც სხვა დოკუმენტთან დაკავშირებით არის გაკეთებული.

25. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 04 ოქტომბრის საოქმო განჩინებით შეწყდა წარმოება მოპასუხის სააპელაციო საჩივარზე იმ ნაწილში, რომლითაც იგი ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 30.01.2018 წლის გადაწყვეტილების გაუქმებას ამხანაგობის მიერ 2012 წლის 19 მარტით დათარიღებული №1 კრების ოქმის ბათილად ცნობის ნაწილში, ამ ნაწილში, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის გამო.

26. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ 2013 წლის 19 აპრილს და 19 სექტემბერს ამხანაგობის საერთო კრებები არ ჩატარებულა და №6, №7 ოქმები გაყალბებულია, აპელანტს ეკისრებოდა, რომელმაც სათანადო მტკიცებულებებზე მითითებით ვერ შეძლო მის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადასტურე-

ბა [საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ-ის) მე-4, 102-ე მუხლები].

27. ამასთან, სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა საქმეში წარმოდგენილ სადავო ოქმებზე, რომლებიც ხელმოწერილია კრების თავჯდომარის – შ. ო-ის და კრების მდივნის – ე-ე ნ-ას მიერ, რომლებიც იმავდროულად არიან ამხანაგობის გამგეობის წევრებიც (იხ. 2012 წლის 19 მარტის №1 კრების ოქმი). №6 ოქმში მითითებულია, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ამხანაგობის წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით, 80 წევრის მიერ, ხოლო №7 ოქმში აღნიშნულია, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ამხანაგობის წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით, 87 წევრის მიერ. №6 ოქმს თან ერთვის ამხანაგობის წევრთა ხელმოწერებიც.

28. აღნიშნულის საპირისპირო გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, სააპელაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ 2013 წლის 19 აპრილს და იმავე წლის 19 სექტემბერს ამხანაგობის საერთო კრებები ჩატარდა და მათზე სადავო გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა ამხანაგობის წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით.

29. სსკ-ის 930-ე მუხლის შესაბამისად, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს, ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება მრავალმხრივი გარიგებაა, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობას ამხანაგობასა და მესამე პირებს შორის, ასევე ამხანაგობის წევრებს შორის. ამხანაგობის საერთო კრების გადაწყვეტილება წარმოადგენს ამხანაგობის წევრთა ნებაზე დაფუძნებულ სამოქალაქოსამართლებრივ გარიგებას. კრების ოქმი მრავალმხრივი გარიგებაა, რომელიც გარკვეულ უფლება-მოვალეობებს წარმოუშობს გარიგების მონაწილე მხარეებს. ამდენად, საერთო საქმიანობის ხელშეკრულება წარმოადგენს საშუალებას, რომლის მეშვეობითაც ხდება ყველა მონაწილის უფლების დაკმაყოფილება. აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ხელშეკრულებით ამხანაგობის საქმეების გაძლოლაში იგულისხმება იმ საშუალების გამოყენება, რომელიც მიმართულია მხოლოდ საერთო მიზნის მიღწევისაკენ.

30. სსკ-ის 932-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მონაწილეებმა უნდა შეიტანონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესატანები. ერთობლივ საქმიანობაში (ამხანაგობაში) ამხანაგობის წევრის მონაწილეობა უკავშირდება მის მიერ ამხანაგობის მიზნის

მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებების შექმნაში (შესატანის შეტანის განხორციელებით) სავალდებულო მონაწილეობას. ასეთი მონაწილეობის გარეშე, ანუ სავალდებულო შესატანის განუხორციელებლობისას, ამხანაგობის წევრად მიღებას აქვს მხოლოდ ფორმალური ხასიათი და ასეთი მონაწილის მიმართ, ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგები არ მიიღება.

31. განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი, საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობის შესახებ 2010 წლის 22 ივლისის და 2006 წლის 14 სექტემბრის ხელშეკრულებებით, ამხანაგობის 2012 წლის 19 მარტის №1 კრების ოქმით დადგენილია, რომ მოპასუხე წარმოადგენს ამხანაგობის წევრს.

32. უდავო გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ აპელანტს 2010 წლის 22 ივლისის და 2006 წლის 14 სექტემბრის ხელშეკრულებებით ნაკისრი შენატანების განხორციელების ვალდებულება შესრულებული აქვს სრულად.

33. დადგენილია, რომ ამხანაგობის წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც საერთო მიზნის მისაღწევად ამხანაგობის წევრებს დაევალათ დამატებითი შენატანის განხორციელება საკუთრებაში მიღებული ფართის თითოეულ კვადრატულ მეტრზე 43 აშშ დოლარის ოდენობით.

34. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ვინაიდან ამხანაგობის კრების გადაწყვეტილება ამხანაგობის წევრებს შორის არსებულ მრავალმხრივ გარიგებას წარმოადგენს, რომელიც მათ სახელშეკრულებო ვალდებულებით ბოჭავს, ამხანაგობის სარჩელი ამხანაგობის წევრის – პირველი მოპასუხის მიმართ დამატებითი შენატანის განხორციელების შესახებ, საფუძვლიანია და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მართებულად დაკმაყოფილდა.

35. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი მოპასუხის (აპელანტი) მტკიცება სადავო კრების ოქმების სიყალბესთან დაკავშირებით, გამომდინარე იქიდან, რომ საქმეში აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები არ მოიპოვებოდა [სსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლები].

36. სსკ-ის 937-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულების პასუხს აგებენ სოლიდარულად. ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

37. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ შეგებებული სარჩელით

მოთხოვნილი იყო ამხანაგობისგან, ანუ მისი წევრებისგან სოლიდარულად პირველი მოპასუხის საკუთრებაში არსებული ფართიდან სამშენებლო ნაგვის გატანის ღირებულების ანაზღაურება, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პირველი მოპასუხე თვითონაც ამხანაგობის წევრია, მის მიმართ ამხანაგობის სხვა წევრთა პასუხისმგებლობა, ისევე როგორც მისი პასუხისმგებლობა ნებისმიერი სხვა წევრის მიმართ განისაზღვრება მონაწილეთა წილების პროპორციულად. შესაბამისად, პირველი მოპასუხის მოთხოვნა ამხანაგობის წევრების მიმართ თანხის სოლიდარულად დაეკისრების თაობაზე, უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული.

38. ამასთან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ამხანაგობის წევრთა წილები საკუთრებაში მიღებული ბინებით განისაზღვრება და თითოეულ წევრს გააჩნია თავისი წილის პროპორციული პასუხისმგებლობა ამხანაგობის სხვა წევრების მიმართ, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თითოეული მონაწილის მხრიდან საკუთარი ფართიდან სამშენებლო ნარჩენების დამოუკიდებლად გატანით, დაცული იქნება ამხანაგობის მონაწილეთა ურთიერთპასუხისმგებლობის პროპორციულობის პრინციპი.

39. სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების, სარჩელის უარყოფის და შეგვებულ სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით საკასაციო საჩივარი წარმოადგინა მოპასუხემ.

40. საკასაციო საჩივარი წარმოდგენილია, როგორც მატერიალურ სამართლებრივი ნორმების არასწორი გამოყენებისა და განმარტების [სსსკ-ის 393-ე მუხლის პირველი ნაწილი], ისე, საპროცესო სამართლებრივი დარღვევების არსებობის საფუძვლებით [სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი] – იხ., საკასაციო საჩივრის საფუძვლები.

41. კასატორი უთითებს შეგვებულ სარჩელის საფუძვლებსა და შეგვებულ სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე. კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ჯეროვნად არ იმსჯელა შეგვებულ სარჩელში მოთხოვნილი კრების ოქმების ბათილობის საფუძვლებზე. კასატორი აღნიშნავს, რომ 2013 წლის 19 აპრილის სადავო კრება არ ჩატარებულა და შესაბამისად, კრების სადავო ოქმები კანონსაწინააღმდეგოდაა შედგენილი. კასატორი პრეტენზიას გამოთქვამს სადავო ოქმების შინაარსობრივ მხარეზე და აღნიშნავს, რომ გაურკვეველია თუ რას ეფუძნება ოქმში მითითებული გამოანგარიშებები (არ ერთვის ექსპერტიზის დასკვნა) ნოტარიუსმა კი მხოლოდ ორი პირის ხელმოწერა დაადასტურა, ხოლო სხვა წევრთა ხელმოწერები სადავო ოქმს არ ერთვის.

42. რაც შეეხება 2013 წლის 19 სექტემბრის ოქმს, კასატორი აღნიშნავს, რომ არც აღნიშნული კრება ჩატარებულა და ოქმს არ ერ-

თვის მონაწილე წევრთა ხელმოწერები. ამასთან, სადავო კრების ოქმში მითითებული გარემოება თითქოს წევრთა გარკვეულ ნაწილს გადახდილი ჰქონდა დამატებითი თანხა, სინამდვილეს არ შეესაბამება. ამ ოქმს ხელს კვლავ ორი პირი აწერს – შ. ო-ი და ე-ე ნ-ა, რომელთა ხელმოწერებსაც ამოწმებს ნოტარიუსი.

43. კასატორი სადავო ხდის კრებაზე დადგენილი წესით წევრთა მონაწილეს შესახებ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომელის დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეში წარმოდგენილი არ არის. სააპელაციო სასამართლომ კი, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება უგულვებელყო და იმსჯელა პრობლემის ერთობლივად გადაჭრის მიზანშეწონილობაზე. კასატორის განცხადებით, მხოლოდ აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზანი არ განაპირობებს კრების ოქმის ნამდვილობას, როდესაც აშკარაა დარღვევა, რომელიც შეხება კრების ჩატარების კანონით დადგენილი პროცედურის დარღვევას, ამხანაგობის ყველა წევრის მოუწვევლობას, მხოლოდ ორი ხელმოწერის არსებობას.

44. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის ნამდვილ ინტერესს წარმოადგენდა ქონების მიღება და არა შენატანის უკან დაბრუნება. დადგენილია, რომ ამხანაგობის საერთო მიზანი მიღწეულ იქნა ამხანაგობის რიგითი წევრების მიერ განხორციელებული დამატებითი შენატანების ხარჯზე, რომელთაც ზუსტად იგივე უფლება-მოვალეობები ჰქონდათ ამხანაგობის წინაშე, როგორც მოპასუხეს (კასატორს). შესაბამისად, თავდაპირველად არც მას ეკისრებოდა ვალდებულება მათთან დადებული ინდივიდუალური ხელშეკრულების შესაბამისად განეხორციელებინა დამატებითი შენატანები. თუმცა, კასატორმა ამხანაგობის საერთო მიზნიდან გამომდინარე ეს ვალდებულება შეასრულა. საბოლოოდ, საკუთარი სახსრებით, ამხანაგობის ყველა წევრის სასარგებლოდ ბოლომდე ააშენეს საცხოვრებელი კორპუსი. სასამართლომ მიიჩნია, რომ შეგებებული სარჩელის მიმართ არ დგინდებოდა ნამდვილი იურიდიული ინტერესის არსებობა (კრების ოქმების ბათილად ცნობა). შეგებებული სარჩელის მიმართ იურიდიული ინტერესი მდგომარეობდა უკანონოდ ჩატარებულ კრებაზე შედგენილი ოქმის საფუძველზე დაკისრებული თანხისაგან გათავისუფლებაში, ეს ინტერესი ნათელია, ხოლო რომელი იურიდიული ინტერესი ექნება მხარეს, ეს მისი დისკრეციაა: ქონების მიღება, თანხის უკან დაბრუნება თუ დამატებითი თანხის გადახდისაგან გათავისუფლება. აქედან გამომდინარე, კასატორს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტაცია ამ ნაწილშიც, დაუსაბუთებლად მიაჩნია.

45. კასატორი აღნიშნავს, რომ როგორც სააპელაციო სასამარ-

თლო მსჯელობს არც ერთ მოპასუხეს ხელშეკრულებიდან გასვლა და ზიანის ანაზღაურება არ მოუთხოვია, რაც თავისთავად გამო-რიცხავს სწორ იურიდიულ ინტერესს კრების ოქმის ბათილად ცნო-ბის მოთხოვნასთან მიმართებაში. კასატორის განმარტებით, მო-ცემული მსჯელობით სასამართლომ დაარღვია დისპოზიციურობის პრინციპი. სასამართლოს უნდა ემსჯელა შეგებებულ სარჩელში და-ყენებულ მოთხოვნაზე, დავის საგანზე და არა შესაძლო ალტერნა-ტივაზე, რომლის მოთხოვნაც შეეძლო მხარეს. მოსარჩელემ თავად უნდა გადაწყვიტოს რას მოითხოვს სასამართლო გზით, ზიანის ანაზღაურებას თუ უკანონოდ ჩატარებულ კრებაზე მიღებუ-ლი ოქმის ბათილობას [სსსკ-ის მე-3 მუხლი].

46. კასატორი უთითებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვე-ტილების იმ ნაწილზე, სადაც საუბარია საკუთრების უკანონო ხელ-შეშლის აღკვეთაზე, კერძოდ, სასამართლოს განმარტებით, სამ-შენებლო ნარჩენები სამშენებლო კორპუსზე მშენებლობის შედე-გად წარმოშობილი ბუნებრივი და ლოგიკური მოვლენაა და არ ემ-სახურება ვინმესთვის საკუთრების უფლების შეზღუდვას. პირს შეუძლია მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან თავად გაიტანოს ან არ გაიტანოს სამშენებლო ნარჩენები. კასატორის გან-მარტებით, სასამართლოს დამოკიდებულება აღნიშნულთან დაკავ-შირებით არის დაუსაბუთებელი, ვინაიდან არ აქვს მნიშვნელობა ხელის შეშლა გამოწვეულია ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტო-რებით, ფაქტია, რომ კასატორს საკუთრებით სარგებლობაში ხელი ეშლება. ამასთან, კასატორის მოსაზრებით, არც ის არგუმენტია მყარი, რომ თავად გადატანა შეუძლია, აღნიშნული შესაძლებლო-ბა არ გამორიცხავს საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლის ფაქტს.

47. კასატორის განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამარ-თლომ არასწორად გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოება. კერძოდ, თბი-ლისის საქალაქო სასამართლომ 2018 წლის 30 იანვრის გადაწყვე-ტილების 3.2.1 ფაქტობრივ გარემოებაში დადგენილად მიიჩნია, რომ კასატორს გააჩნია გარკვეული ვალდებულება ამხანაგობის წინაშე ერთობლივი საქმიანობის ინტერესებიდან გამომდინარე, რაც იმ-თავითვე ეწინააღმდეგება პირველ მოპასუხეს და ამხანაგობას შო-რის გაფორმებული ხელშეკრულების არსს. მხარეთა შორის დადე-ბულია ნარდობის ხელშეკრულება, რაც გულისხმობდა კონკრეტუ-ლი ფართის კასატორისთვის გადაცემის სანაცვლოდ კონკრეტუ-ლი საფასურის გადახდას და არა მის რაიმე სახის დაინტერესებას ამხანაგობის საქმიანობასთან ან სარგებელთან დაკავშირებით. ამასთანავე, სასამართლო ამავე ფაქტობრივ გარემოებაში იზიარებს აპელანტის პოზიციას, რომ მხარეთა შორის არსებული ხელ-

შეკრულება განეკუთვნება ნარდობის ხელშეკრულებას.

48. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არას-ნორად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომელიც ეხებოდა მერიის წინაშე ამხანაგობის გარკვეული დავალიანების არსებობის ფაქტს, ამხანაგობის წევრთა მიერ დამატებითი ვალდებულებების გადახდის კონტექსტში, ვინაიდან, აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებას სადავო საკითხთან არავითარი შემხებლობა არ აქვს.

49. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არას-ნორად გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომლის მიხედვითაც 2013 წლის 19 სექტემბრის სხდომის ოქმის საფუძველზე მესაკუთრეებისათვის განისაზღვრა დამატებითი ვალდებულება 43 აშშ დოლარის ოდენობით 1 მ²-ზე. სასამართლოს მიერ არასნორად დადგენილი აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება არ დასტურდება მტკიცებულებით, ვინაიდან ამგვარი კრება არ ჩატარებულა და შესაბამისად, გადანყვეტილებაც არ მიღებულა. სასამართლო სნორად მიჯნავს ამხანაგობის რიგით წევრებს (შემკვეთებს) და დამფუძნებელ წევრებს, თუმცა არასნორად მიიჩნევს დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ამხანაგობის რიგითმა წევრებმა რაიმე დამატებითი ვალდებულების აღების გადაწყვეტილება მიიღეს. ამასთან, სასამართლო დამატებითი საჭიროებებისა და დამატებით გადასახდელი თანხის განსაზღვრად დაეყრდნო მხოლოდ ხარჯთაღრიცხვას და არავითარი ობიექტური დაანგარიშება საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა.

50. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არას-ნორად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომელის მიხედვითაც სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ თავდაპირველად დადებული ხელშეკრულებებში მოპასუხეები მოხსენებულნი არიან როგორც ამხანაგობის წევრები, თუმცა ეს ხელშეკრულებები არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის ხელშეკრულებებად. ისინი წარმოადგენენ ნარდობის ხელშეკრულებებს, მეორე მხრივ კი სასამართლო კრების ოქმის ნამდვილობასა და პრობლემის ერთობლივად მოგვარების მიზანშეწონილობაზე მსჯელობს. კასატორის განცხადებით, თუ კი სახეზეა ნარდობის ხელშეკრულება მაშინ რატომ არის რელევანტური კრების ოქმზე მსჯელობა, ნათელია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ემყარება ფაქტობრივ უსწორობებს და ურთიერთსაწინააღმდეგო არგუმენტებს.

51. კასატორის განმარტებით, სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძველს მოკლებულია სასამართლოს მსჯელობა იმ საკითხთან

დაკავშირებით, თითქოს სხვა ჩვეულებრივი წევრების მიერ დამატებითი თანხების გადახდა წარმოშობდეს კასატორის მიერ იმავე შენატანის შესრულების აუცილებლობას ან ვალდებულებას. ამხანაგობაში არსებული თუნდაც კრიზისული მდგომარეობა ვერ იქნება იმის სამართლებრივი საფუძველი, რომ კასატორს, როგორც მენარდეს დაეკისრებოდა დამატებითი ვალდებულება, ვინაიდან მას ამხანაგობასთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ჰქონდა საკუთარი ინტერესი – ბინის მიღება და ვალდებულება – ხელშეკრულებით და ამხანაგობასთან შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი ვალდებულება, რაც კასატორის მხრიდან პირნათლად შესრულდა.

52. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი 3.2.1 ფაქტობრივი გარემოება, არასწორად მიუთითა სამართლებრივი საფუძველები სსკ-ის 934-ე და 937-ე მუხლები.

53. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომელიც ეხებოდა ამხანაგობის დაფუძნებას.

54. კასატორის განმარტებით, საქალაქო სასამართლოს უნდა დაედგინა და არ დაადგინა, რომ კასატორს უნდა გადასცემოდა ფართი ყოველგვარი დამატებითი ვალდებულების გარეშე.

55. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ არასრულად დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომლის მიხედვითაც მხარეთა შორის გაფორმებული მორიგება მოიცავდა არა დამატებითი ვალდებულებების აღებას კასატორის მხრიდან, არამედ მხარეთა შეთანხმებას არსებული ვალდებულებების ორივე მხარის მიერ შესრულების ვადებთან და პირობებთან დაკავშირებით.

56. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც უნდა დაედგინა და არ დაადგინა, რომ საერთო კრება მოწვეული არ ყოფილა კანონის დაცვით და მასზე კასატორი არ ყოფილა მოწვეული, შესაბამისად, მისი მონაწილეობისა და თანხმობის გარეშე, მას ვერანაირ ვალდებულებას ვერ დააკისრებდნენ. აღნიშნულის დასადასტურებლად კასატორი ციტირებს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ 2017 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე №ას-866-808-2017.

სამოტივაციო ნაწილი:

57. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2018 წლის 30 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2019 წლის 01 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის (საკასაციო საჩივარი ქონებრივ და არაქონებრივ დავებში დასაშვებია თუ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე) საპროცესოსამართლებრივი საფუძვლით.

58. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია. შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელი უარყოფილ იქნეს, ხოლო შეგებებული სარჩელის უარყოფის ნაწილში უცვლელად დარჩეს, შემდეგი საფუძვლებით:

59. საკასაციო საჩივრით შედავებულია გასაჩივრებული განჩინება პირველი მოპასუხისათვის (კასატორისათვის) ამხანაგობის სასარგებლოდ 4817 აშშ დოლარის გადახდის დაკისრების ნაწილში, აგრეთვე, იმ ნაწილში, რომლითაც უარყოფილია შეგებებული სარჩელის მოთხოვნები 2013 წლის 19 აპრილისა და 2013 წლის 19 სექტემბრის კრების ოქმების ბათილად ცნობაზე უარის თქმისა და ამხანაგობისთვის სამშენებლო ნაგვის გატანის საფასურის – 3000 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში.

60. სსსკ-ის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები, ხოლო ამავე კოდექსის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)“. დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორად გამოყენებისა და განმარტების კუთხით დასაშვები და და-

საბუთებულის პრეტენზია (შედავება) წარმოადგინა.

61. დადგენილია, რომ ამხანაგობის სასარჩელო მოთხოვნა ამხანაგობის სასარგებლოდ დამატებითი ფულადი ვალდებულების შესრულების, სახელდობრ, მოპასუხისთვის საკუთრებაში გადაცემული საცხოვრებელი ფართის ოდენობიდან გამომდინარე, 1 კვ.მ.-ზე 43 აშშ დოლარის გადახდის, სულ – 4795.79 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ (რომლის წარმატების კანონიერებასაც ამონშებს საკასაციო პალატა), ეფუძნება იმ გარემოებას, რომ ამხანაგობის წევრებმა იკისრეს ამხანაგობაში დამატებითი თანხის შენატანი ვალდებულება საერთო მიზნის სისრულეში მოსაყვანად (იხ., სარჩელის საფუძველი).

62. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ამხანაგობის წევრთა საერთო კრების 2013 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით ამხანაგობის წევრებს მართლაც დაეკისრათ დამატებითი კვ.მ.-ზე 23 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება, ხოლო 2013 წლის 19 სექტემბრის ამხანაგობის წევრთა კრების გადაწყვეტილებით დადგენილი იქნა, რომ ამხანაგობის იმ წევრებმა, რომელთაც საკუთრებაში გააჩნდათ საცხოვრებელი ფართები, სრულად უნდა გადაეხადათ 1 კვ.მ.-ზე 43 აშშ დოლარი.

63. ამასთან, დადგენილია, რომ დამატებითი ვალდებულების მოპასუხისათვის დაკისრების ფაქტობრივ საფუძველად მოსარჩელე მიიჩნევდა ამ გადაწყვეტილების პ-4, 12-ში მითითებულ გარემოებას, რაც გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ და გასაჩივრებული განჩინებით თანხის მოპასუხისათვის დაკისრების სამართლებრივ საფუძველად მიიჩნია სსკ-ის 930-ე და 932-ე მუხლები. აღნიშნულ გარემოება შედავებულია საკასაციო საჩივრით, სახელდობრ კასატორს მიაჩნია, რომ მან სრულად გადაიხადა უძრავი ქონების საფასური, ხოლო დამატებითი შენატანის გადახდის ვალდებულება არ წარმოშობია (იხ., ამ გადაწყვეტილების პპ: 48-51-ში მითითებული კასატორის პოზიცია. აგრეთვე იხ., მოპასუხის შესაგებელი წარდგენილი პირველი ინსტანციის სასამართლოში – ამ გადაწყვეტილების პ-5).

64. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სარჩელის დაკმაყოფილების (მოპასუხისათვის ამხანაგობის სასარგებლოდ 4817 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში) ნაწილში კასატორმა წარმოადგინა დასაშვები საკასაციო პრეტენზია.

65. პირველ რიგში, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კერძო ხასიათის ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების პროცესში კონკრეტული სამართლის ნორმების საფუძველზე, ამ ურთიერთობის მონაწილეების აღჭურვა განსაზღვრული სუბიექტური უფლებებითა და მოვალეობებით, განაპირობებს შემდგომში მათ

ქცევას არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში. სამართლის ნორმა (ნორმები) პირს უნდა ანიჭებდეს უფლებას, მოსახოვოს ვალდებულ პირს, შეასრულოს სამართლებრივად განპირობებული აუცილებელი მოქმედება ან თავი შეიკავოს მისგან (სსკ-ის 316-ე მუხლის პირველი ნაწილი). აქედან გამომდინარე, მოთხოვნა ყოველთვის წარუმატებელი იქნება, თუ არ არსებობს კანონის ნორმა, საიდანაც გამომდინარეობს ის სამართლებრივი შედეგი, რომლის მიღწევაც მოსარჩელეს სურს (შდრ. სუსგ საქმე №ას-245-233-2017 6.06.2017).

66. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნას – მოპასუხისათვის ფულადი ვალდებულების შესრულების დაკისრების თაობაზე, სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია, კერძოდ, ამ გადაწყვეტილების პპ:1, 2-ში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, მოსარჩელეს, როგორც ამხანაგობას ასეთი მოთხოვნის წარდგენის საშუალებას არ იძლევა, რადგანაც მოპასუხეს სრულად შესრულებული აქვს მითითებული შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება თანხის გადახდის შესახებ და სანაცვლოდ, საკუთრებაში აქვს მიღებული უძრავი ქონება (იხ., ამ გადაწყვეტილების პპ-15, 17). აქედან გამომდინარე, ფულადი ვალდებულება მხარეთა შორის შეწყვეტილია (სსკ-ის 427-ე მუხლი).

67. მხარეთა შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის შეფასების კუთხით საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე ასპექტზე. მათ შორის, მსგავს საქმეზე დადგენილ სასამართლო პრაქტიკაზე (იხ., სუსგ №ას-866-808-2017, 17.10.2017), რომელშიც საკასაციო პალატამ აღნიშნული ხელშეკრულებების სამართლებრივ ბუნებასთან მიმართებით ამხანაგობის (მოსარჩელის) ყურადღება გაამახვილა შემდეგზე: „... მიუხედავად იმისა, რომ მხარეებმა მათ შორის გაფორმებული შეთანხმებები (შენიშვნა: მოცემულ საქმეში კი, მხედველობაშია 2010 წლის 22 ივლისის და 2006 წლის 14 სექტემბრის შეთანხმებები – იხ., ამ გადაწყვეტილების პპ:1,2) დაასათაურეს, როგორც „ამხანაგობაში განწესების შესახებ“ ხელშეკრულება, ის ამხანაგობაში მოპასუხეების განწესების საფუძველად ვერ მიიჩნევა, რადგანაც 2005 წლის 28 ნოემბრის სადამფუძნებლო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც უნდა წარმოშობოდათ მოპასუხეებს ე.წ. „ჩვეულებრივი წევრის“ უფლება-მოვალეობები, სანოტარო წესით იქნა დამონმებული, ანუ მხარეებმა გარიგების ნამდვილობა წერილობითი შეთანხმების სანოტარო წესით დამონმებას დაუკავშირეს და, აქედან გამომდინარე, ამხანაგობაში განწესებისასთან დაკავშირებით ყველა შემდგომი გარიგებებიც სანოტარო წესით უნდა დამონმებულიყო (სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილი), რაც მოპა-

სუბიექტების შემთხვევაში დაცული არ ყოფილა და შესაბამისად, მათ არ წარმოემოხობოდათ საერთო საქმიანობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები“. გარდა აღნიშნულისა, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს ზემოთმოხმობილ საქმეზე (იხ., სუსგ №ას-866-808-2017, 17 ოქტომბერი, 2017 წელი), უზენაესი სასამართლოს განმარტებას, რომლის მიხედვით: „...საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებას თავისი სპეციფიკა გააჩნია. სსკ-ის 930-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების თავისებურებას წარმოადგენს მხარეთა სურვილი, საკუთარი ქონების, გამოცდილებისა თუ პროფესიული უნარ-ჩვევების გაერთიანებით ერთობლივად იმოქმედონ გარკვეული მიზნების მიხედვით. ამასთან, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების აუცილებელი წინაპირობაა, რომ ამხანაგობა ყალიბდება იურიდიული პირის შეუქმნელად. ნიშანდობლივია, რომ სამოქალაქო კოდექსი არ აკონკრეტებს ხელშეკრულების ამ ტიპისათვის განსაზღვრული მიზნის შინაარსს, ამდენად, გარიგების მხარეთა ინტერესს, შესაძლებელია, წარმოადგენდეს კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი მიზანი, მათ შორის, გარკვეული მოგების მიღების სურვილი. საერთო მიზნის არსებობა გარიგების მთავარ წინაპირობას წარმოადგენს, ამიტომ ამხანაგობის თითოეული წევრი მონაწილეობს, როგორც გარიგების დამოუკიდებელი მხარე. პალატას მიაჩნია, რომ ამხანაგობაში უნდა გაიმიჯნონ ის წევრები, რომელთაც ამხანაგობა დააფუძნეს და ამხანაგობის ფინანსური ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობა იკისრეს, ისეთი წევრებისაგან, რომლებიც ამხანაგობაში მხოლოდ იმ მიზნით გაწევრიანდნენ, რომ ამხანაგობისაგან ბინა შეეძინათ ან ამხანაგობას მათთვის ბინა აეშენებინათ. პალატის მოსაზრებით, ამხანაგობის მიზნის მიღწევაზე პასუხისმგებელი სუბიექტები არიან არა ამხანაგობის ის წევრები, რომელთა მიზანი მხოლოდ ბინის შექმნა იყო, არამედ ამხანაგობის ის წევრები, რომელთაც ამხანაგობის სახელით, ეკონომიკური საქმიანობის ვალდებულება იკისრეს. აღსანიშნავია, რომ ამხანაგობის დასახელებული წევრები პასუხისმგებელი არიან ამხანაგობის ფინანსურ ვალდებულებებზე და მათი მიზანი აღნიშნულ ამხანაგობაში არა მხოლოდ შენატანის პროპორციული უძრავი ქონების მიღება, არამედ ამხანაგობის შემოსავლებში მონაწილეობა და მოგება-ზარალის განაწილებაა (სსკ-ის 931-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქ/პუნქტი, 935-ე მუხლები). განსახილველ შემთხვევაში კი, ამხანაგობის ე.წ. „ჩვეულებრივ წევრებს“, ამ შემთხვევაში მოპასუხეებს, ამხანაგობის სადამფუძნებლო დოკუმენტების მიხედვით, სრული უფლებამოსილება არ გააჩნდათ და ისინი მხოლოდ აშენებული საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის უფლე-

ბით იყვნენ აღჭურვილნი (აგრეთვე შდრ: სუსგ, საქმე №ას-482-458-2013, 16.01.2014წ.; №ას-630-597-2014, 28.07.2015). იმისათვის, რომ ამხანაგობის ხელშეკრულება გაიმიჯნოს ნარდობის ხელშეკრულებისაგან, აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, დავახასიათოთ ამხანაგობის ხელშეკრულების ის მხარეები, რომლითაც იგი ემსგავსება ნარდობის ხელშეკრულებას. ამხანაგობის ხელშეკრულება, როგორც კონკრეტული მიზნის მისაღწევად პირთა გაერთიანებაზე აგებული ხელშეკრულება, მოითხოვს წევრებისგან ისეთი მოქმედებების განხორციელებას, რომლებსაც ახასიათებს სხვადასხვა ხელშეკრულებებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. როდესაც ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ისეთ ხელშეკრულებაზე, რომელიც მიზნად ისახავს, მაგალითად, რაიმე ნაკეთობის დამზადებას, სახლის აშენებას და ა.შ. ამხანაგობის წევრთა უფლება-ვალდებულებები ემსგავსება ნარდობის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ურთიერთობებს, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ისეთ უფლება-ვალდებულებებს, რაც დამახასიათებელია კოლექტიური გაერთიანებისათვის, რომელსაც ახასიათებს კორპორაციული სტრუქტურის ისეთი თვისებები, რომელიც მოიცავს, როგორც ორგანიზაციულ, ასევე, ქონებრივ ელემენტებს. ზუსტად ასეთი ტიპის გაერთიანება წარმოადგენს გარკვეულწილად იმ საშუალებათა ერთობას, რითაც საბოლოოდ უზრუნველყოფილია ამ გაერთიანების მონაწილეთა მიერ დასახული მიზნის მიღწევა. ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების თავისებურება იმაში ვლინდება, რომ დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მონაწილე პირთა ერთობლივი საქმიანობით“.

68. ამდენად, განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან, დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა სამართლებრივი შეფასებიდან და მსგავს საქმეზე დადგენილი სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, რომელთან შესაბამისობაშიცაა (იდენტური ფაქტობრივი გარემოებები) მოცემული საქმის ვითარება, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხეთან გაფორმებული ხელშეკრულებებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ მან სახელშეკრულებო თვითობჭვის ფარგლებში იკისრა ვალდებულება, ერთობლივად ემოქმედა ამხანაგობის სხვა წევრებთან ერთად ამხანაგობის მიზნების მისაღწევად და ამ მიზნების მიღწევისას წარმოშობილ ვალდებულებებზე აიღო პასუხისმგებლობა.

69. ამდენად, პალატის მოსაზრებით, ამხანაგობაში განწევრიანების შესახებ ხელშეკრულებებში, მოპასუხეების ამხანაგობის წევრებად მოხსენიება არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს იმის-

თვის, რომ აღნიშნული პირები ამხანაგობის მონაწილე დამფუძნებელ წევრებად და მის ვალდებულებებზე პასუხისმგებელ პირებად მივიჩნით.

70. ამრიგად, ამ გადაწყვეტილების პპ:1, 2-ში მითითებული შეთანხმებები სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საერთო საქმიანობის სამართლებრივ ურთიერთობად და არასწორად გამოიყენა 930-ე და მომდევნო მუხლები.

71. ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნების გაზიარების შემთხვევაშიც კი, არ იარსებებდა სარჩელის დაკმაყოფილების არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძველი, რადგანაც 2013 წლის 19 აპრილისა და 19 სექტემბრის კრებას მოპასუხე არ ესწრებოდა და მას არ აუღია დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულება. ამხანაგობასა და მოპასუხეს შორის ურთიერთობა ნარდობად უნდა შეფასდეს და, შესაბამისად, გამოყენებული უნდა იქნეს ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები (სსკ-ის 629-ე და მომდევნო მუხლები). სსკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. ანუ, ნარდობის ძირითადი თავისებურებაა ის, რომ შემკვეთი საკუთრების უფლებას იძენს შესრულებული სამუშაოს რეზულტატზე, რისთვისაც იხდის კონკრეტულ საზღაურს. მოცემულ შემთხვევაში, შინაარსობრივად მხარეთა შორის (ამ გადაწყვეტილების პპ: 1, 2) ხელშეკრულების დადების მიზანი იყო შესრულებული სამუშაოს რეზულტატის, კონკრეტული საცხოვრებელი ბინის საკუთრებაში გადაცემა, რისთვისაც მოპასუხე ახორციელებდა არა არაფულადი სახის რაიმე შენატანს, არამედ იხდიდა კონკრეტული ფართის ბინის განსაზღვრულ ღირებულებას. საკასაციო პალატის განმარტებით, მოპასუხესთან დადებული ხელშეკრულებებით დგინდება, რომ მისი ინტერესი შემოიფარგლებოდა ინდივიდუალურად განსაზღვრული ფართის (ბინის) მიღებით. მან ხელშეკრულება გააფორმა უკვე შექმნილ ამხანაგობასთან. შესაბამისად, მას ამხანაგობის დამფუძნებლებისაგან განსხვავებული სამართლებრივი კავშირი აქვთ ამხანაგობასთან. იგი ერთობლივი საქმიანობის მონაწილე კი არ გახდა, არამედ შეთანხმებული საზღაურის გადახდის სანაცვლოდ, ამხანაგობის დამფუძნებელი წევრების მიერ აშენებულ მრავალბინიან კორპუსში გახდა განსაზღვრული ფართის მესაკუთრე. რადგანაც განსახილველ შემთხვევაში, ნარდობა არ ითვალისწინებდა უძრავი ნივთის დაზღვევას (აშენებას) მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით (სსკ-ის 629.2 და 631.1 მუხლები), ამხანაგობას (მენარ-

დეს) არ შეუძლია, მოითხოვოს მოპასუხისაგან შეთანხმებულ საზღაურზე მეტი.

72. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, რაც მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია, თუ გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული, ხოლო სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, სარჩელი უარყოფილი უნდა იქნეს და ამ ნაწილში, საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

73. რაც შეეხება შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნას (2013 წლის 19 აპრილის კრების ოქმის №6 და 2013 წლის 19 სექტემბრის კრების ოქმი №7 ბათილად ცნობა და ამხანაგობისთვის სამშენებლო ნაგვის გატანის საფასურის – 3000 ლარის გადახდის დაკისრება იხ., ამ გადაწყვეტილების პ-6), საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში, კასატორმა დასაბუთებული საკასაციო შედავება ვერ წარმოადგინა.

74. ჯერ ერთი, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სარჩელის უარყოფის იურიდიული შედეგის გათვალისწინებით (იხ., ამ გადაწყვეტილების პ-72) შეგებებული სარჩელის იმ მოთხოვნების მიმართ, რომლებიც მოსარჩელისათვის თავდაპირველი სარჩელით მოთხოვნილი დამატებითი შენატანის (4817 აშშ დოლარი) განხორციელების ვალდებულებას შეეხებოდა, კასატორს იურიდიული ინტერესი არ გააჩნია.

75. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კრების ოქმების ბათილობა თავისი სამართლებრივი ბუნებით აღიარებით სარჩელს წარმოადგენს. შესაბამისად, მისთვის დამახასიათებელია იურიდიული ინტერესის არსებობა. თუმცა, ამ სახის მოთხოვნა, როგორც საკასაციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში აისახა და შემდგომ დიდი პალატის გადაწყვეტილებით ხაზი გაესვა, როგორც უფლებადამდგენი სარჩელის დასაშვებობა მკაცრ საპროცესო წინაპირობებს ექვემდებარება (შდრ: დიდი პალატის განჩინება №ას-121-117-2016, 17 მარტი, 2016 წელი; №ას-782-782-2018, 12 სექტემბერი, 2018 წელი; №ას-609-609-2018, 12 სექტემბერი, 2018 წელი და ა.შ), რაც იმაში გამოიხატება, რომ ყოველთვის შეზღუდულია იურიდიული ინტერესის არსებობით. ანუ სარჩელის დაკმაყოფილების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს იმ იურიდიული შედეგების მიღწევადობა, რისი დადგომაც სურს მოსარჩელეს ამ-

გვარი აღიარებით. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესი მნიშვნელოვანი სამართლებრივი მოვლენაა. ასეთი ინტერესის არსებობა ყოველთვის გულისხმობს, რომ მხარე გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს ინტერესის ობიექტს. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ იურიდიული ინტერესი არ განისაზღვრება მხოლოდ პირის სუბიექტური დამოკიდებულებით, ანუ მხოლოდ მისი სურვილით, არამედ, აუცილებელია მისი ობიექტური მხარეც. ობიექტური თვალსაზრისით, ინტერესი მოიცავს შედეგებს, რომელიც კონკრეტული მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად ობიექტურად მიღწევადი უნდა იყოს. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე უთითებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოხდა კრების ოქმების ბათილად ცნობა მას არ დაეკისრება დამატებითი ღირებულების გადახდა. იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელი დამატებითი შენატანის მოპასუხისთვის დაკისრების შესახებ წარუმატებელია, კრების ოქმების ბათილობის მიმართ მისი იურიდიული ინტერესი დაუსაბუთებელია.

76. ასევე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დასაშვები საკასაციო პრეტენზია არაა წარმოდგენილი შეგებებული სარჩელის იმ მოთხოვნის უარყოფის ნაწილში, რომელიც შეეხება მოპასუხის საკუთრებაში არსებული ფართიდან სამშენებლო ნაგვის გატანის ღირებულების ანაზღაურებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 172.2 მუხლის შესაბამისად, თუ საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა ხდება ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით. ამავე კოდექსის 174-ე მუხლის თანახმად, მეზობელი მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრენი, გარდა კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობებისა, ვალდებულნი არიან პატივი სცენ ერთმანეთს. მეზობლად მიიჩნევა ყველა ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება, საიდანაც შესაძლებელია გამომდინარეობდეს ორმხრივი ზემოქმედება.

77. ნიშანდობლივია, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძ-

ველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზე დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადანაცვებების მიღება. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადანაცვებების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადანაცვებები, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის სწორი განაწილება მოდავე მხარეებს შორის. მტკიცების ტვირთი – ესაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორედ გადანაცვებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადანაცვებების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ (ვერ) შეასრულა [სსსკ-ის მე-3, მე-4 და 102-ე მუხლები]. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადანაცვებისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მოწინააღმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან). მტკიცების ტვირთისაგან უნდა გავმიჯნოთ ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაკულტატური მოვალეობა. მხარეები სსსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალნი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად დასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლის შეფასების საგანია. ამასთან, საკმარისი

არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადანყვევისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას (კვალიფიციური შედეგების მნიშვნელობა ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნებისათვის). მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან. იმავედროულად, ახსნა-განმარტება უნდა დასტურდებოდეს რელევანტური მტკიცებულებებით [სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი].

78. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შეგებებული სარჩელის მოთხოვნა ხელშეშლის აღკვეთის და მოპასუხის საკუთრებაში არსებული ფართიდან სამშენებლო ნაგვის გატანის ღირებულების (3000 ლარი) ანაზღაურების შესახებ, დაუსაბუთებელია, ვინაიდან საკუთრების უკანონო ხელშეშლად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი ქმედება, რაც კანონიერ მესაკუთრეს უზღუდავს საკუთრების ფაქტობრივ ფლობა/განკარგვას. მოსარჩელემ ვერ დაადასტურა ამგვარი ხელშეშლის არსებობა. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შეგებებული სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს. ამ ნაწილში კი, უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინება.

79. ვინაიდან ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, ხოლო წინამდებარე გადაწყვეტილებით სარჩელი უარყოფილია, სსსკ-ის 199¹ მუხლის საფუძველზე უნდა გაუქმდეს კასატორის (მოპასუხე) საბანკო ანგარიშების დაყადაღების ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 30 მაისის განჩინება.

80. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარ-

ჯების განაწილებასაც.

81. ვინაიდან სარჩელი უარყოფილია, ამ ნაწილში კასატორის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დაეკისროს მოწინააღმდეგე მხარეს კასატორის სასარგებლოდ 936 ლარის ოდენობით. ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ შეგებებული სარჩელი უარყოფილია ამ ნაწილში, სააპელაციო და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 408.3, 411-ე და 199-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ნ. ტ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. ნაწილობრივ გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2... წლის 04 ოქტომბრის განჩინება და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2... წლის 30 იანვრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ნ. ტ-ის მიმართ თანხის დაკისრების ნაწილში, ასევე, მე-3 და მე-5 პუნქტები და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „გ-ის“ სარჩელი ნ. ტ-ის მიმართ 4795.79 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
4. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 04 ოქტომბრის განჩინება და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება;
5. ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობა „გ-ს“ (ს/ნ 1...) ნ. ტ-ის (პ/ნ 0-...) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 936 ლარის ანაზღაურება;
6. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 30 მაისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება იმ ნაწილში, რომლითაც ყადაღა დაედო საქართველოში მოქმედ ყველა საბანკო დაწესებულებაში ნ. ტ-ის (პ/ნ 0-...) კუთვნილ საბანკო ანგარიშებზე არ-

სებულ ფულად სახსრებს სასარჩელო მთხოვნის – 4817 აშშ დოლარის ფარგლებში;

7. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 299 82 08
www.supremecourt.ge